



CM/Rec (2010)5

მპყველესობის მონიტორინგი MONITORING OF IMPLEMENTATION

საქართველო 2012 Georgia

პუბლიკაცია მომზადებულია „ქალთა ინიციატივების მხარდაჭერი ჯგუფის“ (WISG) მიერ ილგა-ევროპის ადამიანის უფლებათა დარღვევების დოკუმენტირების ფონდის პროექტის „ევროპის საბჭოს რეკომენდაციის მონიტორინგი ლგბტ საკითხებთან დაკავშირებით“ ფარგლებში. პროექტის ფინანსური მხარდაჭერები არიან პოლანდიის განათლების, კულტურისა და მეცნიერების სამინისტროს გენდერისა და ლგბტ უფლებების დეპარტამენტი და პაინრიხ ბოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო.

ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ემთხვეოდეს ილგა-ევროპის, პოლანდიის მთავრობისა და პაინრიხ ბოლის ფონდის პოზიციას აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.

ავტორები: ანა ნაცვლიშვილი, დამოუკიდებელი ექსპერტი
ეკატერინე აღდგომელაშვილი

WISG-ი მადლობას უხდის ნაიჯელ უორნერსა და პეტერ ეშმანს ანგარიშის მომზადებაში გაწეული დახმარებისათვის.



Government of the Netherlands

This publication was prepared by "Women's Initiatives Supporting Group" (WISG) and supported by ILGA-Europe's Human Rights Violations Documentation Fund in the framework of the project "Implementing the Council of Europe's Recommendation on LGBT rights". This project is financially supported by the Dutch Government Department for Gender & LGBT Emancipation of the Ministry of Education, Culture and Science and South Caucasus Regional Office of the Heinrich Boell Foundation.

The opinions expressed in the document do not necessarily reflect the positions of ILGA-Europe, the Dutch Government or the Heinrich Boell Foundation.

Authors: Ana Natsvlishvili, Independent expert
Ekaterine Aghdgomelashvili, WISG's director

WISG wish to express the deepest gratitude to Mr. Nigel Warner and Mr. Peter Ashman for their assistance in preparation of this report.

პუბლიკაციის სრულად ან ნაწილობრივ გამოყენება ან გადაბეჭდვა WISG-ის წერილობითი თანხმობის გარეშე დაუშვებელია. გამოცემის ნარმოადგენს მოკლე ციტატების გამოყენება სტატიებში ნაშროს მითითებით. / No part of this publication may be used or reproduced in any manner whatsoever without written permission from WISG except in the case of brief quotations embodied in critical articles and reviews.

ევროპის მინისტრთა საბჭოს რეკომენდაცია
წვერი სახელმწიფოებისათვის
სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე
დისკრიმინაციის აღმოფხვრის თაობაზე –
საქართველო

რეკომენდაციის შესრულების მონიტორინგი

შინაარსი

I. რეზიუმე	5
II. რეკომენდაციები მთავრობას პრიორიტატული ქმედებების შესახებ	7
III. შესავალი	9
ისტორია	9
წინამდებარე ანგარიშის მიზანი	9
მეთოდოლოგია	10
IV. შამაჯამაგალი ანგარიში	11
შედეგების მოკლე შეჯამება	11
რეკომენდაციის დანართი CM/Rec(2010)5	13
I. სიცოცხლის, უსაფრთხოებისა და ძალადობისაგან დაცვის უფლება	13
ა. დანაშაული სიძულვილის ნიადაგზე და სიძულვილით მოტივირებული სხვა შემთხვევები	13
ბ. „სიძულვილის ენა“	15
II. გაერთიანების თავისუფლება	20
III. გამოხატვისა და მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება	21
IV. პირადი და ოჯახური პატივისცემის უფლება	22
IVა. კერძო და საოჯახო ცხოვრების პატივისცემის და ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის უფლება	24
V. დასაქმება	26
VI. განათლება	26
VII. ჯანდაცვა (ტრანსგენდერებთან დაკავშირებული საკითხების გარდა)	28
VIII. საცხოვრებელი	30
IX. სპორტი	31
X. თავშესაფრის ძიების უფლება	32
XI. ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტები	32
XII. დისკრიმინაცია მრავალჯერადი ნიშნით	33
V. დანართები	34
დანართი № 1. რეკომენდაცია CM/Rec(2010)5 ნევრი სახელმწიფოების მინისტრთა კომიტეტს	34
CM/Rec(2010)5 რეკომენდაციის დანართი	36
I. სიცოცხლის, უსაფრთხოებისა და ძალადობისაგან დაცვის უფლება	36
A. დანაშაული სიძულვილის ნიადაგზე და სიძულვილით მოტივირებული სხვა შემთხვევები	36
B. „სიძულვილის ენა“	36
II. გაერთიანების თავისუფლება	37
III. გამოხატვისა და მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება	37
IV. პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება	38
V. დასაქმება	39
VI. განათლება	39
VII. ჯანდაცვა	40
VIII. საცხოვრებელი	40
IX. სპორტი	40
X. თავშესაფრის ძიების უფლება	41
XI. ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტები	41
XII. დისკრიმინაცია მრავალჯერადი ნიშნით	41
დანართი № 2. დეტალური ანგარიში	42
რეკომენდაცია	42
I. სიცოცხლის, უსაფრთხოებისა და ძალადობისაგან დაცვის უფლება	44
A. დანაშაული სიძულვილის ნიადაგზე და სიძულვილით მოტივირებული სხვა შემთხვევები	44

B. „სიძულვილის ენა“	54
II. გაერთიანების თავისუფლება	59
III. გამოხატვისა და მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება	62
IV. პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება	64
V. დასაქმება	72
VI. განათლება	74
VII. ჯანდაცვა (ტრანსგენდერთა საკითხის გამოკლებით)	77
VIII. საცხოვრებელი	81
IX. სპორტი	83
X. თავშესაფრის ძიების უფლება	84
XI. ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტი	86
XII. დისკრიმინაცია მრავალჯერადი ნიშნით	88
დანართი №3 სამინისტროების, საპარლამენტო კომიტეტებისა და სხვა უწყებების ჩამონათვალი, რომელთაც დაეგზავნათ რეკომენდაციის ტექსტი შესაბამისი კითხვებით	90
დანართი №4. ტერმინოლოგია	92

I. რეზიუმე

საქართველოს კანონმდებლობა ლგბტ პირების მიმართ განსაკუთრებით დისკრიმინაციული ან რეპრესიული არ არის. უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვანმა ცვლილებებმა საბჭოთა კავშირის დროინდელი რეპრესიული კანონმდებლობის ლიბერალიზაცია მოახდინეს და საქართველოს სამართლებრივი სისტემა ევროპულს მიუახლოვეს; ეს ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების სფეროსაც შეეხო. თანხმობის საფუძველზე განხორციელებული ჰომოსექსუალური ქცევის დეკრიმინალიზაცია 2000 წელს მოხდა. ამას მოჰყვა საკანონმდებლო ცვლილებები, რომლის მიხედვითაც აიკრძალა დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციის და/ან გენდერული იდენტობის საფუძველზე საზოგადოებრივი თუ პირადი ცხოვრების სხვადასხვა, მათ შორის დასაქმებისა და ჯანდაცვის სფეროებში.¹

თუმცა, როგორც ჩანს, ეს ცვლილებები ცალკეული ქმედებების შედეგია და უბრალოდ საქართველოს ევროპულ ინსტიტუტებში გაერთიანების ან მათთან მიერთების სურვილის თანმდევი პროცესის ნაწილია² (რასაც, შესაბამისად, კანონმდებლობის ლიბერალიზაცია და ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია მოჰყვება) და არა მთავრობის ზოგადად, ან ლგბტ პირების მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრისაკენ, მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის შესრულებისაკენ ან ადამიანის უფლებების სფეროში არსებული ნებისმიერი სხვა ინსტრუმენტის განხორციელებისაკენ მიმართული გამიზნული ძალისხმევის რეზულტატი.

სავარაუდოდ, ზუსტად სახელმწიფოს მიზანმიმართული და კარგად გააზრებული ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკის და ქმედებების არარსებობის შედეგია ის, რომ კანონმდებლობაში და კიდევ უფრო მეტად პრაქტიკაში, ჯერ ისევ არსებობს მნიშვნელოვანი ხარვეზები. ეს ხარვეზები ლგბტ პირებს უთანასწორო მდგომარეობაში აყენებს და, კონკრეტულ შემთხვევებში, შეიძლება მათი დისკრიმინაციის და ფუნდამენტური უფლებების და თავისუფლებების დარღვევის მიზეზი გახდეს.

საქართველოში ლგბტ პირების უფლებების სფეროში არსებული ძირითადი პრობლემები შეიძლება შემდეგნაირად იქნას შეჯამებული:

ძალადობა ლგბტ პირთა მიმართ (სიტყვიერი, ფსიქოლოგიური და ფიზიკური შეურაცხყოფა და, განსაკუთრებით, ოჯახური ძალადობა) ჯერ კიდევ ფართოდაა გავრცელებული საქართველოში.³ მიუხედავად ამისა, ძალიან დაბალია მიმართვიანობის მაჩვენებელი პოლიციასა ან არასამთავრობო ორგანიზაციებში, ძირითადად იმის გამო, რომ არ სურს თავისი სექსუალური ორიენტაციის/გენდერული იდენტობის გამჟღავნება; მეტიც, ლგბტ პირებს ხშირად ეშინიათ, რომ ისინი სამართალდამცავი ორგანოების ჰომოფობიური დამოკიდებულების მსხვერპლნი შეიძლება გახდნენ.⁴ ასეთი შიში ყოველთვის უსაფუძვლო როდია.⁵ არსებული რეალობა გვაფიქრებინებს, რომ ლგბტ უფლებების დაცვისა და პატივისცემის უზრუნველსაყოფად უფრო მეტი უნდა გაკეთდეს, ვიდრე გარკვეული საკანონმდებლო დებულებების მიღება და მათ განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანოების განსაზღვრა. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს საჯარო მოსამსახურეებისა და უფრო ფართო საზოგადოების ცნობიერების ამაღლების პროგრამების განხორციელებას. თუმცა, მხოლოდ ეს საკმარისი არ იქნება – აუცილებელია ჰომოფობიის დონისა და ლგბტ უფლებებზე მისი ნეგატიური გავლენის შემცირება.

სიძულვილის ენა (მათ შორის პოლიტიკური სიძულვილის ენა) საქართველოში პრევალირებს,⁶ თუმცა, ამ მოვლენის მონიტორინგის და მასთან ბრძოლის რაიმე ეფექტური მექანიზმი არ არსებობს.

მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად ჰომოსექსუალობა აღარ ითვლება დაავადებად, მედიცინის სფეროს ცალკეული მუშაკები და ზოგიერთი სახელმძღვანელო ჰომოსექსუალობას კვლავაც განიხილავს როგორც მოვ-

1 კვლევა ჰომოფობიის, ტრანსფობიის და სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის შესახებ. სოციოლოგიური ანგარიში: საქართველო, COWI. 2010. პარაგრაფი 3. იხ: <http://www.coe.int/t/Commissioner/Source/LGBT/GeorgiaLegal-E.pdf>

2 საქართველო ევროსაბჭოს წევრია და ევროკავშირის „აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივაში“ მონაწილეობს

3 საქართველოში ლგბტ ქალთა მდგომარეობის ამსახველი ჩრდილოვანი ანგარიში CEDAW კომიტეტისათვის. „ქალთა ინიციატივების მხარდაჭერი ჯგუფი“. WISG. თბილისი, 2012. იხ: <http://women.ge/wp-content/uploads/2012/05/WISG-LBT-CEDAW-shadow-report-geo.pdf>

4 იქვე.

5 იქვე.

6 იქვე.

ლენას, რომელიც სამედიცინო ან სულიერი/რელიგიური ლიდერების ჩარევას მოითხოვს.

ძალიან მცირე ან საერთოდ არანაირი ინფორმაცია არ არსებობს ლგბტ პირების მდგომარეობის შესახებ დახუ-
რულ დაწესებულებებში (მაგ., ციხეებში, ჯარში და ა.შ.).

ინფორმაციას სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის
შესაბამისად გააჩნდა სპეციალური დაცვის სტატუსი, როგორც „პირად ინფორმაციას“. თუმცა, შარშან მიღებული
იქნა შესწორება, რომლის თანახმადაც, „საჯარო ინტერესის“ არსებობის შემთხვევაში დასაშვებია „პირადი ინფორ-
მაციის“ შეგროვება, დამუშავება და გავრცელება პიროვნების წინასწარი თანხმობის გარეშე. ეს ეხება ინფორმაციას
სექსუალური ორიენტაციის შესახებაც. თავად კანონი არ მოიცავს „საჯარო ინტერესის“ განსაზღვრებას, თუმცა,
პარლამენტის დეპუტატის განმარტებით, მაგალითად: თუკი ჰომოსექსუალი აპირებს მუშაობის დაწყებას საბავშვო
ბაღში, მისი სექსუალური ორიენტაციის გამჟღავნება საზოგადოების ინტერესებში შედის.⁷

ეს შესწორება ძალაში ჯერ არ შესულა. იუსტიციის სამინისტრომ შეატყობინა „ქალთა ინიციატივების მხარდამ-
ჭერ ჯგუფს“, რომ მათ მომზადებული აქვთ საკანონმდებლო ცვლილებების დამატებითი პაკეტი, რომელმაც
კანონი ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს,
რომ აქამდე არც სახელმწიფო დაწესებულებებს, არც ომბუდსმენის სამსახურს არ გამოუთქვამთ შემოფოტება
ამ კანონთან დაკავშირებით, რომელიც პიროვნულ თავისუფლებას და დამოუკიდებლობას საფრთხის ქვეშ აყ-
ენებს. ამ კანონის გამო მხოლოდ რამოდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ ატეხა განცხადება.

გაერთიანების თავისუფლებისაგან განსხვავებით, რომლითაც ლგბტ პირები და აქტივისტები პრობლემების
გარეშე სარგებლობენ, შეკრების თავისუფლებაზე უკანასკნელ წლებში რამოდენიმე შეტევა განხორციელდა.

ტრანსგენდერი ადამიანების საჭიროებები არასაკმარისადაა გათვალისწინებული კანონმდებლობაში, რაც ზოგ
შემთხვევაში, მათი ფუნდამენტური უფლებების დარღვევით სრულდება.

საქართველოში სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის საფუძველზე თავშესაფრის მიცემასთან
დაკავშირებით არანაირი კონკრეტული პრობლემები არ გამოვლენილა.

უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირს, პრეზიდენტს, რომელიც საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული
ყველა უფლების დაცვის გარანტი გახლავთ, არასოდეს გაუკეთებია რაიმე აშკარა განცხადება ან მიუღია რაიმე
აშკარა ზომა ლგბტ პირების დასაცავად, ისევე, როგორც, ამის სანინააღმდეგოდ. საქართველოს ომბუდსმენს ზოგა-
დად არ გააჩნია ლგბტ პირთა დაცვის, ან მათ წინააღმდეგ ძალადობასთან ბრძოლის დიდი ისტორია. თუმცა, 2012
წელს შეიმჩნევა გარკვეული ცვლილებები. დრო გვიჩვენებს, რამდენად მდგრადი აღმოჩნდება ეს ცვლილებები.

არ არსებობს სახელმწიფო სამოქმედო გეგმა მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის შესასრულებლად და მთავ-
რობა არ გვიჩვენებს არანაირ ნიშნებს, რომ იგი აპირებს საქართველოში ლგბტ პირების მდგომარეობის გასაუმ-
ჯობესებლად აქტიური ნაბიჯების გადადგმას. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი საკანონმდებლო ცვლილე-
ბები, რომელთა მიხედვითაც ლგბტ პირების მიმართ სიძულვილის საფუძველზე დანაშაულის ჩადენა დამამძიმებელ
გარემოებად ითვლება,⁸ ნამდვილად მისასალმებელია, ეს, როგორც ჩანს, ისევ და ისევ მხოლოდ განცალკევებული
ქმედებაა და არა ჰომოფობიასთან ბრძოლის და ლგბტ პირების დისკრიმინაციასთან საბრძოლველად გამიზნული
მთავრობის უფრო ფართო გეგმის ნაწილი; მეტიც, იმისათვის, რომ ეს დებულება რეალურად ამუშავდეს და ლგბტ
პირების უკეთესი პრაქტიკული დაცვა უზრუნველყოს, ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გაკეთდეს.

ვინმემ შეიძლება თქვას, რომ ქვეყანაში, რომელშიც ღრმად კონსერვატიული მორალისა გაბატონებული და
საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე მართლმადიდებელი ეკლესიის ძლიერი (თუ არა უძლიერესი) გავ-
ლენა არსებობს, ბევრი ცდილობს თავი აარიდოს ლგბტ საკითხების საჯაროდ განხილვას. მათ ეშინიათ, რომ
ეკლესიას ან მის მრევლს გაანაწყენებენ. ლგბტ საკითხები საქართველოში პოლიტიკური ძალაუფლების და გავ-
ლენისათვის ბრძოლის საშუალებად რჩება და, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ბევრი დროა საჭირო, სანამ სახელმ-
წიფო ინსტიტუტები და უფრო ფართო საზოგადოება ამ საკითხის, როგორც უბრალოდ ადამიანის უფლებათა
დაცვის საკითხად აღქმას დაიწყებენ.

7 არაფერი პირადული – კანონპროექტი, რომელიც ამას იცავს და საჯაროს ხდის. მ.მეცხვარიშვილი. ნეტგაზეთი. 10.01.2010. იხ:
<http://netgazeti.ge/GE/27/News/2534/?sms-ss=facebook&at-xt=4ca88497a59d6ab6%2C0>

8 სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის შესწორება, მიღებულია 2012 წლის 27 მარტს

II. რეკომენდაციები მთავრობას პრიორიტეტული ქმედებების შესახებ

შეიტანეთ ცვლილებები კანონმდებლობაში. კერძოდ:

1. სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა მკაფიოდ უნდა იქნას შეტანილი ყველა შესაბამისი კანონის ანტიდისკრიმინაციული საფუძვლების ჩამონათვალში; ამავდროულად, მოსამართლეებმა ფართო ინტერპრეტაცია უნდა მისცენ ამ დებულებებს და განმარტონ, როგორც სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის ამკრძალავი ნორმა.
2. აუცილებელია ცვლილებების შეტანა საქართველოს „შრომით კოდექსში“, რათა უზრუნველყოფილი იქნას დისკრიმინაციის აღმოფხვრა არა მხოლოდ უკვე დასაქმებული პირების, არამედ დასაქმების მაძიებელთა მიმართაც.
3. აუცილებელია ტრანსგენდერი პირებისთვის სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებების მიერ გაცემულ ყველა ძირითად დოკუმენტში მათი გენდერული იდენტობის ასახვის სწრაფი, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი პროცედურების დანერგვა.
4. აუცილებელია სქესის კვლავმინიჭების პროცესის რეგულირება ისე, რომ ტრანსგენდერ პირებს ეფექტურად მიუწვდებოდეთ ხელი საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის ფსიქოლოგიურ და ენდოკრინოლოგიურ დახმარებაზე და ამის ხარჯებს საზოგადოებრივი ჯანდაცვა უნდა ფარავდეს.
5. აუცილებელია პარლამენტის წევრების ეთიკის კოდექსის გადახალისება და მისი ეფექტურად შესრულების უზრუნველყოფა, განსაკუთრებით იმ ნაწილში, რომელიც პარლამენტარების მიერ ჰომოფობიური სიძულვილის ენის გამოყენებას ეხება.

მიიღეთ ზომები არსებული კანონებისა და ნორმატიული აქტების ეფექტურად შესრულების უზრუნველსაყოფად. მათ შორის:

6. პოლიციის ოფიცრების და სხვა საჯარო მოსამსახურეების ეთიკის კოდექსი ეფექტურად უნდა ხორციელდებოდეს, რათა გამოირიცხოს ლგბტ პირების მიმართ სახელმწიფო დაწესებულებებში ჰომოფობიური ქცევის და დამოკიდებულების გამოყენება. ამის მკაცრი უზრუნველყოფა, სხვა ზომებთან ერთად, უნდა მოიცავდეს დისციპლინარული და, საჭიროების შემთხვევაში, სისხლის სამართლის სანქციების გამოყენებას მათ წინააღმდეგ, ვინც არღვევს ქცევის კოდექსს ან სხვა შესაბამის საკანონმდებლო დებულებებს.
7. აუცილებელია კიბერ-დანაშაულის შესახებ კონვენციის ეფექტურად შესრულება. სახელმწიფომ, სხვა ნაბიჯების პარალელურად, უნდა ჩაატაროს თრეინინგები და ცნობიერების ამაღლების კამპანია სახელმწიფო დაწესებულებების შესაბამისი თანამშრომლებისათვის, ისევე როგორც უფრო ფართო საზოგადოებისთვის, შეისწავლოს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობა კონვენციასთან და, საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს მასში შესწორებები.
8. აუცილებელია ჰომოსექსუალების მიერ სისხლის დონორობაზე ჯანდაცვის მინისტრის ბლანკეტური აკრძალვის გადახედვა და მასში საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკების შესაბამისად შესწორებების შეტანა, რათა უზრუნველყოფილი იქნას ბალანსი ერთი მხრივ ლგბტ პირების უფლებების და, მეორე მხრივ, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ინტერესების დაცვას შორის.

შეიმუშავეთ და განახორციელეთ სათრეინინგო, საგანმანათლებლო და ცნობიერების ამაღლებაზე მიმართული აქტივობები. მათ შორის:

9. განათლების სამინისტრომ, სხვა შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთად, უნდა შეიმუშავოს პროგრამები, რომლებიც რეალურად უზრუნველყოფენ ინკლუზიურ განათლებას; მაგალითად, შესაძლებელია სასკოლო პროგრამებში სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საკითხების ჩართვა, აგრეთვე მასწავლებლებისთვის სამუშაოზე მიღებისას და მუშაობის პროცესში თრეინინგების ორგანიზება, ლგბტ მოსწავლეებისათვის ფსიქოლოგიური კონსულტაციების განევა და ა.შ.

10. განათლების სამინისტრომ, სამოქალაქო საზოგადოებასთან და განსაკუთრებით ლგბტ პირების პრობლემებზე და სხვა მომიჯნავე საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად უნდა ჩაატაროს კვლევა, რათა დაადგინოს, რას ასწავლიან სახელმძღვანელოები მოსწავლეებს: ტოლერანტობას თუ ჰომოფობიას. თუკი ამ უკანასკნელს აქვს ადგილი, სამინისტრომ, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან და განსაკუთრებით ლგბტ პირების პრობლემებზე და სხვა შესაბამის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით უნდა გადაჭრას ეს საკითხი.
11. საქართველოს საჯარო მოსამსახურეთათვის გამიზნულ ადამიანის უფლებათა საბაზისო კურსში აუცილებელია მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის შეტანა. ამას გარდა რეკომენდაციის შეტანა აუცილებელია იმ თრენინგების/სემინარების პროგრამებში (და შესაბამის მასალებში), რომლებიც სამართალდამცავი ორგანოების ოფიცრებისათვის, პროკურორებისათვის და მოსამართლეებისათვის ადამიანის უფლებების, დისკრიმინაციის აღმოფხვრის, სიძულვილის საფუძველზე ჩადენილი დანაშაულების და ა.შ. საკითხებზე ტარდება.
12. სექსუალურ ორიენტაციასთან და გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებული საკითხების შეტანა აგრეთვე აუცილებელია მოსამართლეების და სხვა იურიდიული პროფესიების, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებისა და სამედიცინო მუშაკების სანყის და მუშაობის პროცესში გასავლელი თრენინგების პროგრამებში.
13. განათლებისა და ჯანდაცვის სამინისტროებმა უნდა იმოქმედონ კოორდინირებულად, რათა შეიტანონ შესაბამისი ცვლილებები ამჟამად არსებულ და შემოთავაზებულ სამედიცინო სახელმძღვანელოებსა და სასწავლო პროგრამებში და უზრუნველყონ, რომ ამ სახელმძღვანელოებში ჰომოსექსუალობა არ განისაზღვრებოდეს როგორც ავადმყოფობა, ფსიქიკური აშლილობა, სექსუალური გარყვნილება და ა.შ.

გაატარეთ ზომები კონკრეტული ლგბტ ჯგუფების მიმართ. მათ შორის:

14. საქართველოს სახალხო დამცველმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ლგბტ პირების მდგომარეობას დახურულ დაწესებულებებში, მათ შორის ციხეებსა და ჯარში. მან ზედმინევით უნდა შეისწავლოს ეს საკითხი და შედეგები თავის ყოველწლიურ ანგარიშში, ან სპეციალური ანგარიშის სახით გამოაქვეყნოს.
15. აუცილებელია ადეკვატური მექანიზმის შექმნა იმისათვის, რათა არასრულწლოვანმა ლგბტ პირებმა შეძლონ განაცხადონ სამართალდამცავ ორგანოებში მათ მიმართ ჩადენილი ძალადობის შესახებ და მონაწილეობა მიიღონ შემდგომ პროცედურებში მათი მშობლების/მეურვეების აუცილებელი ჩართულობის გარეშე, რადგან ასეთი ჩართულობა გარდაუვალს ხდის ამ უკანასკნელთათვის არასრულწლოვნის იდენტობის გამჟღავნებას.
16. სახელმწიფომ არასრულწლოვან ლგბტ პირებს უნდა შესთავაზოს ეფექტური დაცვა ოჯახური ძალადობისაგან. მათ შორის, ფსიქოლოგიური ზეწოლისაგან ოჯახის წევრთა მხრიდან, რომლებიც აიძულებენ არასრულწლოვან ლგბტ პირებს გაიარონ „სამედიცინო მკურნალობა ორიენტაციის შესაცვლელად“.

მიიღეთ სხვა საჭირო ზომები. მათ შორის:

17. რეკომენდაციის სხვა ასპექტების განსახორციელებლად აუცილებელია საშუალო/გრძელვადიანი სამოქმედო გეგმის და ქმედებათა განხორციელების გრაფიკის შემუშავება რაც ლგბტ უფლებადაცვით ორგანიზაციებთან ან სამოქალაქო საზოგადოებაში ლგბტ საკითხებზე მომუშავე სხვა პირებთან მჭიდრო თანამშრომლობით უნდა განხორციელდეს.

III. შესავალი

ისტორია

2010 წლის 31 მარტს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო რეკომენდაცია წევრი სახელმწიფოებისთვის „სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციასთან ბრძოლის ზომების შესახებ“.

ეს ისტორიული მომენტი იყო. რეკომენდაცია, როგორც ეს ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა თორბურნ იაგლანდმა აღიარა, მსოფლიოში პირველი საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტია, რომელიც კონკრეტულად ამ საფუძველზე დისკრიმინაციის აღმოფხვრას ისახავს მიზნად. მისი თქმით „ეს დისკრიმინაციის ერთ-ერთი ყველაზე ძველი და აღმოსაფხვრელად ძნელი ფორმაა“.⁹

ზოგადად რომ ვთქვათ, რეკომენდაცია სამ რამეს ემსახურება:

- ხაზს უსვამს ძირითად პრინციპს, რომ ადამიანის უფლებები უნივერსალურია და ყველა ინდივიდს, მათ შორის ლგბტ პირებსაც, ერთნაირად ეხება;
- აღიარებს, რომ საუკუნეთა მანძილზე ხდებოდა ლგბტ პირების დისკრიმინაცია მათი სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის საფუძველზე;
- აღიარებს, რომ აუცილებელია კონკრეტული ქმედებების განხორციელება, რათა ლგბტ პირებმა შეძლონ თავიანთი უფლებების დაცვა და განსაზღვრავს ზომებს, რომლებიც წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ.

რეკომენდაცია ერთხმად იქნა მიღებული ევროპის საბჭოს წევრი 47 სახელმწიფოს მიერ. მიუხედავად იმისა, რომ ეს უფრო რეკომენდაციაა და არა კონვენცია, იგი მყარად ეფუძნება წევრი სახელმწიფოების მიერ აღიარებულ ადამიანის უფლებათა დამაგვალდებულებელ საერთაშორისო და ევროპულ შეთანხმებებს; შესაბამისად, წევრ სახელმწიფოებს მისი შესრულების მკაფიო ვალდებულება ეკისრებათ.

რეკომენდაცია სამი ნაწილისაგან შედგება: პირველი, პრეამბულა, მისი მიღების ისტორიას და ძირითად სახელმძღვანელო პრინციპებს აღწერს; მეორე, რეკომენდაციის ოპერატიული ნაწილი მოიცავს განსახორციელებელი ზომების ფართო სპექტრის მოკლე ჩამონათვალს; და მესამე, დანართი, რომელშიც ჩამოთვლილია კონკრეტული ზომები ადამიანის უფლებების დასაცავად და სხვადასხვა სფეროებში დარღვევებთან საბრძოლველად. ეს სფეროები მოიცავენ დანაშაულს სიძულვილის საფუძველზე, სიძულვილის ენას, გაერთიანების, თვითგამოხატვის და შეკრების თავისუფლებას, პირადი და საოჯახო ცხოვრების პატივისცემას, დასაქმებას, განათლებას, ჯანდაცვას და საცხოვრებელი უზრუნველყოფას, სპორტს, თავშესაფრის ძიების უფლებას და დისკრიმინაციას სხვადასხვა საფუძველზე. იგი აგრეთვე განსაზღვრავს ადამიანის უფლებადამცველი ეროვნული სტრუქტურების როლს.

რეკომენდაციას თან ახლავს „განმარტებითი მემორანდუმი“, რომელიც მიუთითებს ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო მექანიზმებსა და სამართლებრივ პრეცედენტებზე, რასაც ეფუძნება რეკომენდაცია და მისი დანართი.

წინამდებარე ანგარიშის მიზანი

წინამდებარე ანგარიშის მიზანია შეაფასოს, თუ რა პროგრესი იქნა მიღწეული საქართველოს მთავრობის მიერ რეკომენდაციების შესრულების კუთხით და გამოკვეთოს ის სფეროები, რომლებშიც აუცილებელია დამატებითი ზომების გატარება. შესაბამისად, ამ ანგარიშის საფუძველზე შესაძლებელი იქნება უახლოეს წლებში რეკომენდაციების შესრულების პროცესში მიღწეული პროგრესის შეფასება.

ანგარიში ორი ძირითადი სამიზნე აუდიტორიისათვის არის განკუთვნილი. პირველ რიგში, ეროვნულ დონეზე, ესენი არიან პოლიტიკური ლიდერები და საჯარო მოხელეები, რომლებიც პასუხს აგებენ რეკომენდაციის

⁹ „ევროპის საბჭო ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი პირების ადამიანის უფლებების დასაცავად“ <https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=1607163&Site=DC&BackColorInternet=F5CA75&BackColorIntranet=F5CA75&BackColorLogged=A9BACE>

შესრულებაზე. მეორე რიგში, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, რომელიც რეკომენდაციის მიღებისას შეთანხმდა იმაზე, რომ 2013 წლის მარტში იგი განახორციელებს შემოწმებას, თუ რამდენად ასრულებენ ქვეყნები მის მოთხოვნებს.

მეთოდოლოგია

წინამდებარე ანგარიშში პროგრესის შეფასება ხორციელდება რეკომენდაციის მიერ მოთხოვნილი კონკრეტული დეტალური სიის საფუძველზე, რომელიც აღებულია რეკომენდაციის ტექსტიდან და მისი დანართიდან, რასაც აგრეთვე მხარს უმაგრებს „განმარტებით მემორანდუმში“ განსაზღვრული დამატებითი დეტალები.

სია და „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ მიერ მოპოვებული მონაცემები, რომლებიც რეკომენდაციის ცალკეული ზომების განხორციელების პროგრესის შესაფასებლად გამოიყენება, წინამდებარე ანგარიშის მე-3 დანართშია („დეტალური ანგარიში“) მოცემული.

შესრულების პროგრესის შესაფასებლად გამოყენებული იქნა მონაცემები სხვადასხვა წყაროებიდან:

- საქართველოს კონსტიტუცია, სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები, სახვადასხვა სამინისტროების ბრძანებულებები, სარეკომენდაციო ხასიათის ნორმები (soft law).
- სხვადასხვა სამინისტროებიდან, საპარლამენტო კომიტეტებიდან და სხვა რელევანტური ინსტიტუციებიდან მიღებული საპასუხო წერილები „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ მიერ გაგზავნილ კითხვებზე;
- პუბლიკაციები, მაგ. როგორცაა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისიის ანგარიში საქართველოს შესახებ, რომელიც „სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის ანგარიშის“ ნაწილს წარმოადგენდა.
- „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“, ორგანიზაცია „იდენტობისა“ და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული კვლევები, ანგარიშები და შეგროვებული დოკუმენტაცია.
- მედიაში გამოქვეყნებული მასალები.

IV. შიშვერმეხელი ანგარიში

შედეგების მოკლე შეჯამება

რეკომენდაციის ოპერატიული სია მოიცავს ხუთ ძირითად გზავნილს მონაწილე ქვეყნების მთავრობების მიმართ: სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის საფუძველზე ნებისმიერი დისკრიმინაციის აღმოფხვრისაკენ მიმართული არსებული ზომების გადახედვა; ასეთ დისკრიმინაციასთან ბრძოლის ეფექტური ზომების შემოღება; იმის უზრუნველყოფა, რომ მსხვერპლს გააჩნდეს სათანადო სამართლებრივი კომპენსაციის მიღების საშუალება; დამატებით იმის უზრუნველყოფა, რომ რეკომენდაცია გადაითარგმნოს და გავრცელდეს რაც შეიძლება ფართოდ; საკუთარი საქმიანობის რეკომენდაციის დანართში მოცემული პინციპების და ზომების შესაბამისად განხორციელება.

როგორც მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციების შესრულების პროცესში მიღწეული პროგრესის შესახებ სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებიდან მიღებული პასუხები გვიჩვენებს, ოფიციალურმა ორგანოებმა ცოტა რამ იციან ამ რეკომენდაციის შესახებ. მთავრობას არ უთარგმნია რეკომენდაცია ქართულ ენაზე და არ გაუვრცელებია იგი; მეტიც, მთავრობას არც რეკომენდაციის შესრულების სამოქმედო გეგმა ან გრაფიკი შეუდგენია.

„ლგბტ პირები ჰეტეროსექსუალებთან შედარებით უთანასწორო პირობებში იმყოფებიან; ზოგიერთ შემთხვევაში კანონი თავად არ გახლავთ დისკრიმინაციული, თუმცა, იგი დისკრიმინაციული პრაქტიკების განხორციელების საშუალებას იძლევა და ნეგატიურ გავლენას ახდენს ლგბტ ჯგუფის წევრებზე.“¹⁰ მიუხედავად ამისა, მთავრობას არ განუხილავს ზომები, რომლებიც არსებული პრობლემების გადაჭრას უზრუნველყოფდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში, საქართველოს რამოდენიმე კანონში შევიდა ცვლილებები, რომლებიც მკაფიოდ კრძალავს დისკრიმინაციას სექსუალური ორიენტაციის და/ან გენდერული იდენტობის საფუძველზე, ეს ქმედებები არ წარმოადგენდნენ მთავრობის გამიზნულ პოლიტიკის შედეგს, რომელიც მიმართული იქნებოდა მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის შესრულებაზე ან კონკრეტულად ლგბტ პირების უფლებების დაცვაზე. ეს ცვლილებები განხორციელდა ან ევროპის საბჭოს ზეწოლის შესაბამისად მომხდარიყო საქართველოს კანონმდებლობის ლიბერალიზაცია, ან წარმოადგენდნენ საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების სურვილის გამო კანონმდებლობის ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სტანდარტებთან ჰარმონიზაციის მცდელობის დაუგეგმავ შედეგს.

ლგბტ პირების უფლებებთან დაკავშირებულ კანონმდებლობაში და პრაქტიკაში არსებული ხარვეზები შეიძლება ხუთ ძირითად ჯგუფად დაიყოს:

- ა) კანონი არ ითვალისწინებს ლგბტ პირების კონკრეტულ საჭიროებებს;
- ბ) კანონი ბუნდოვანია და მიკერძოებულად ინტერპრეტირების და ძალაუფლების ბოროტად გამოყენების საშუალებას იძლევა, რამაც შეიძლება ლგბტ პირების დისკრიმინაცია და მათი უფლებების შეზღუდვა გამოიწვიოს;
- გ) კანონი საერთოდ არ არეგულირებს/ითვალისწინებს ლგბტ პირებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე გარკვეულ საკითხებს;
- დ) ზოგიერთი დებულებები შეიძლება განიხილებოდეს, როგორც ლგბტ პირების მიმართ განსაკუთრებულად ნეგატიური დამოკიდებულების გამაძლიერებელი;
- ე) ლიბერალურ საკანონმდებლო დებულებებს მხარს არ უჭერენ მათი განხორციელების და მონიტორინგის ეფექტური ინსტრუმენტები, რომლებიც ლგბტ პირების მდგომარეობის რეალურ გაუმჯობესებას უზრუნველყოფდნენ.

„ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ მიერ დოკუმენტირებული ფაქტები გვიჩვენებენ, რომ

¹⁰ კვლევა ჰომოფობიის, ტრანსფობიის და სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის შესახებ. სამართლებრივი ანალიზი: საქართველო. დამოუკიდებელი მკვლევარი ანა ნაცვლიშვილი. COWI. 2010. გვ.3. იხ.: <http://www.coe.int/t/commissioner/source/lgbt/georgialegal-e.pdf>

ლგბტ პირების უფლებები რეკომენდაციაში განსაზღვრულ თითქმის ყველა სფეროში ირღვევა. ამავედროულად, სახელმწიფო ორგანოებისაგან მიღებული პასუხები გვიჩვენებენ, რომ სახელმწიფო ბევრს არაფერს აკეთებს, რათა აღმოფხვრას ეს დარღვევები და მიიღოს ზომები მათი განმეორების თავიდან ასაცილებლად, ისევე, როგორც დისკრიმინაციასთან ბრძოლის ეფექტური ზომების მისაღებად. სახელმწიფო ორგანოებისგან მიღებული პასუხები ძალიან მცირე (ან საერთაო არანაირ) საბაბს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ მთავრობა თავისი ქმედების განხორციელებისას რეკომენდაციის დანართში განსაზღვრული პრინციპებით ან ზომებით ხელმძღვანელობდა. უფრო საპირისპიროს დანახვა არის შესაძლებელი: უკანასკნელ დროს მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები წარმოადგენენ იმის აშკარა მაგალითს, რომ მთავრობა რეკომენდაციის, ისევე როგორც ზოგადად მიღებული ადამიანის უფლებების ნორმების საწინააღმდეგოდ მოქმედებდა.

კერძოდ, 2011 წლის დეკემბერში პარლამენტმა მიიღო კანონი „პირადი მონაცემების დაცვის შესახებ“, რომლის შესაბამისადაც შემოღებული იქნა მონაცემთა ინსპექტორის თანამდებობა. კანონი დამსაქმებლებს (როგორც საჯარო, ასევე კერძო) ავალდებულებს შეაგროვონ პირადი მონაცემები თავიანთი თანამშრომლების შესახებ (მათ შორის ინფორმაცია სექსუალური ორიენტაციის შესახებ) და გაუგზავნონ მონაცემთა ინსპექტორს. მეტიც, კანონი აძლევდა ინსპექტორს უფლებას დაემუშავებინა, გაეანალიზებინა, შეენახა და გაეცემებინა ასეთი ინფორმაცია იმ პირის წინასწარი თანხმობის გარეშე, რომელსაც იგი ეხებოდა, „საჯარო ინტერესის“ არსებობის შემთხვევაში. თუმცა, კანონი მკაფიოდ არ განმარტავდა „საჯარო ინტერესს“ და არც სახელმწიფოსათვის მინიჭებული ასეთი ფართო უფლებამოსილებების ბოროტად გამოყენებისაგან დამცავ მექანიზმებს ქმნიდა. პარლამენტის დეპუტატის მიერ გაკეთებულმა განმარტებებმა „საჯარო ინტერესის“ თაობაზე კიდევ უფრო შეაშფოთა უფლებადამცველები და ლგბტ უფლებებისათვის მეზობლი აქტივისტები. მან განაცხადა, რომ საჯარო ინტერესებშია იმ პირების სექსუალური ორიენტაციის ცოდნა, რომლებიც საბავშვო ბაღში მუშაობას აპირებენ. თუმცა, კანონი ჯერ ძალაში არ შესულა და აუცილებელია მისი სასწრაფოდ გამონევა.

რეკომენდაციის დანართი CM/Rec(2010)5

I. სიცოცხლის, უსაფრთხოებისა და ძალადობისაგან დაცვის უფლება

A. დანაშაული სიძულვილის ნიადაგზე და სიძულვილით მოტივირებული სხვა შემთხვევები

I.a ნაწილში მოცემული ძირითადი რეკომენდაციები მოიცავენ პოლიციის ოფიცრების, სასამართლო სისტემის და სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომელთა თრეინინგს, სამართალდამცავი ორგანოებისა და სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომელთა მიერ სავარაუდოდ სიძულვილის საფუძველზე ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დამოუკიდებელი საშუალებების დანერგვას და სხვა საკანონმდებლო თუ სხვა ზომებს სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის საფუძველზე ჩადენილი „სიძულვილის დანაშაულთან“ და სიძულვილით მოტივირებულ ინციდენტებთან საბრძოლველად, მათ შორის სიძულვილის დანაშაულების კანონმდებლობას. წევრ სახელმწიფოებს აგრეთვე მოეთხოვებათ ამ სფეროში დისკრიმინაციის პრევალირების შესახებ მონაცემების შეგროვება და გაანალიზება. სულ „შესაბამისობის დოკუმენტაციის ანგარიშის“ ამ ნაწილში 17 ზომა არის განსაზღვრული.

საქართველოს კანონმდებლობა არ განსაზღვრავს სიძულვილის საფუძველზე ჩადენილ დანაშაულს და არ ახდენს მის კრიმინალიზაციას. შედეგად, არ არსებობს ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები ზოგადად სიძულვილის საფუძველზე ჩადენილი დანაშაულების ან ამავე საფუძველზე ლგბტ პირების მიმართ ჩადენილი დანაშაულების შესახებ.¹¹ არ ხდება ლგბტ პირთა დისკრიმინაციის ბუნების და პრევალირების შესახებ მონაცემების შეგროვება და გაანალიზება. არ არსებობს სპეციალური სამართალდამცავი განყოფილება, რომელიც კონკრეტულად სიძულვილის საფუძველზე ჩადენილი დანაშაულების ან სიძულვილით მოტივირებული ინციდენტების შესახებ განცხადებებს მიიღებდა ან მათ გამოიძებდა.

პოლიციის ეთიკის კოდექსის (მაგალითად იმ ნაწილში, რომელიც კრძალავს დისკრიმინაციას) შესრულებას შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია ზედამხედველობს. გარდა განცხადების მიღების ჩვეულებრივ არსებული პროცედურებისა, შინაგან საქმეთა სამინისტროში ფუნქციონირებს ცხელი ხაზი, რომლითაც შესაძლებელია ინციდენტის შესახებ პირდაპირ ეცნობოს გენერალურ ინსპექციას. თუმცა, არ არსებობს არანაირი მონაცემები ამ ცხელი ხაზის ეფექტურობის შესახებ, ისევე, როგორც გენერალური ინსპექციის მიერ ლგბტ პირების მიმართ დისკრიმინაციის ჩამდენი პოლიციის ოფიცრებთან მიმართებაში გამოყენებული პრაქტიკების თაობაზე.

სამართალდამცავი ორგანოების ოფიცრები გადიან ზოგად კურსებს ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში და/ან სპეციალურ კურსებს, რომლებიც, სხვა საკითხებთან ერთად, ყურადღებას ამახვილებენ დისკრიმინაციაზე, სიძულვილით გამოწვეულ დანაშაულებზე და ა.შ. ამ თრეინინგების ორგანიზება ძირითადად ომბუდსმენის სამსახურთან ან ადამიანის უფლებადამცველ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად ხდება. თუმცა, არ არის ცხადი, როგორ იზომება ამ თრეინინგების კონკრეტული შედეგები ან საბოლოო ეფექტურობა.

უკანასკნელ დრომდე, რელიგიური ან ეთნიკური სიძულვილის საფუძველზე ჩადენილი დანაშაულისაგან განსხვავებით, სექსუალური ორიენტაციის/გენდერული იდენტობის გამო სიძულვილის საფუძველზე დანაშაულის ჩადენა არ ითვლებოდა დამამძიმებელ გარემოებად. უკანასკნელმა საკანონმდებლო შესწორებებმა ეს ხარვეზი სათანადოდ აღმოფხვრა.¹² მათ შესაბამისად, დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებათა ჩამონათვალს სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის საფუძველზე არსებული სიძულვილიც დაემატა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ძალიან პოზიტიური ცვლილებაა, უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს არანაირი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ზომებს იღებს მთავრობა ამ დებულებების პრაქტიკაში ეფექტურად განხორციელების უზრუნველსაყოფად (მაგ., შესაბამისი თანამდებობის პირების სწავლება, თუ როგორ უნდა ამოიცნონ ლგბტ პირების მიმართ სიძულვილის მოტივი კონკრეტულ საქმეში და ა.შ.); მეტიც, არ არის ცნობილი, რა მექანიზმები გამოიყენება (თუკი ასეთები საერთოდ არსებობს) იმისათვის, რომ ლგბტ ჯგუფის წევრებმა გადალახონ შიში და უნდობლობა სამართალდამცავთა მიმართ და ასეთი ინციდენტების თაობაზე პოლიციას მიმართონ.

¹¹ როგორც აგრეთვე „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“ თავის CEDAW-ის ჩრდილოვან ანგარიშში აღნიშნავს, დანაშაულები, რომლებიც ფაქტურად ლგბტ პირების მიმართ სიძულვილით არიან გამოწვეული, სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა დებულებებშია გაფანტული და კვალიფიცირდება, მაგალითად, როგორც სხეულის დაზიანება, ხულიგნობა და ა.შ.

¹² საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის შესწორება, მიღებულია 2012 წლის 27 მარტს.

Case #W19. აღდგომელაშვილი და ჯაფარიძე საქართველოს წინააღმდეგ – ევროპულ სასამართლოში წარდგენილი პირველი საქმე საქართველოდან, რომელიც პოლიციის ჰომოფობიურ ქცევას ეხება (აპლიკაციის N. 7224/11)¹³

2009 წლის 15 დეკემბერს ფონდ „ინკლუზივის“ (IF) ოფისში პოლიციამ ჩაატარა ჩხრეკა. ჩხრეკის მომენტისათვის ოფისში იმყოფებოდა ლბტ ჯგუფის ოცამდე წარმომადგენელი. 2006 – 2009 წლებში IF წარმოადგენდა ლესბოსელ, ჰომოსექსუალ, ბისექსუალ და ტრანსგენდერთა ერთადერთ არასამთავრობო ორგანიზაციას საქართველოში. აღნიშნული ორგანიზაციის თანადამფუძნებელი იყო პირველი განმცხადებელი ეკატერინე აღდგომელაშვილი, რომელიც 2000 წლიდან ორგანიზაცია „ქალთა ინიციატივის მხარდამჭერი ჯგუფის“ (WISG) აღმასრულებელი დირექტორია. მეორე განმცხადებელი – თინათინ ჯაფარიძე – 2006-2009 წლებში IF-ში მუშაობდა პროგრამის ხელმძღვანელად სრული განაკვეთით, ხოლო ამჟამად არის WISG-ის პროექტის მენეჯერი.

სასამართლოში წარდგენილ სარჩელში ნათქვამია, რომ ჩატარებული ჩხრეკის დროს პოლიციელებმა გადააჭარბეს საკუთარ უფლებამოსილებებს და დაარღვიეს კანონით დადგენილი პროცედურები, მოეპყრნენ რა განმცხადებლებს შეურაცხყოფელად და დამამცირებლად.

კერძოდ, მას შემდეგ, რაც პოლიციის ოფიცრებმა დაადგინეს IF-ის საქმიანობის ხასიათი, მათ საკუთარი ქცევებით გამოხატეს განსაკუთრებული ჰომოფობიური დამოკიდებულება ოფისში მყოფი ყველა პირის, მათ შორის, განმცხადებლების მიმართ. აღნიშნული ქცევები მოიცავდა უხემ მოპყრობას განმცხადებელთა მიმართ და მათი რეალური თუ აღქმული სექსუალური ორიენტაციის შეურაცხყოფას. ასევე უკანონოდ განხორციელდა IF-ის თანამშრომლების გაშიშვლებამდე ჩხრეკა მათთვის რაიმე ახსნა-განმარტების უზრუნველყოფის ან მათივე უფლებების გაცნობის გარეშე.

აღნიშნული ინციდენტის სერიოზულობას ადასტურებს გამოხმაურებათა ის რაოდენობა, რომელიც ამ ფაქტს მედიასა და სამოქალაქო საზოგადოებაში მოჰყვა. როგორც სახელმწიფო, ისე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გაკეთდა საჯარო განცხადებები, რომლებშიც მათ დაგმეს აღნიშნული დარღვევები და საქართველოს შესაბამის ორგანოებს მოსთხოვეს რეაგირება. მიუხედავად ყველაფრისა, აღნიშნულ ინციდენტთან დაკავშირებით ეფექტური გამოძიება არ ჩატარებულა და არც რომელიმე პოლიციელის პასუხისმგებლობის საკითხი დამდგარა.

სარჩელში ნათქვამია, რომ განმცხადებლები დაექვემდებარნენ არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი) და/ან მოხდა მათ პირად ცხოვრებაში ჩარევა (კონვენციის მე-8 მუხლი), ასევე მათ წინააღმდეგ ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციას მათი რეალური თუ აღქმული სექსუალური ორიენტაციიდან გამომდინარე (კონვენციის მე-14 მუხლი; ოქმი #12-ის მუხლი 1). გარდა ამისა, დასტურდება, რომ განმცხადებელთა ჩხრეკა გაშიშვლებამდე არ განხორციელებულა კანონის დაცვით და ეს არც კონვენციის მე-8 მუხლის მეორე თავში გათვალისწინებულ რომელიმე კანონიერ მიზანს ემსახურებოდა.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ვინაიდან აღნიშნულ ინციდენტთან დაკავშირებით არ ჩატარებულა ეფექტური გამოძიება, არავის გაურკვევია იყო თუ არა პოლიციელთა ქცევა გამოწვეული ჰომოფობიით და ასევე სახელმწიფოს არ დაუყენებია დამნაშავეთა პასუხისმგებლობის საკითხი, ნათელი ხდება, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3, მე-8 და მე-14 მუხლების გამუდმებულ დარღვევას. ფაქტი, რომ სახელმწიფომ არ უზრუნველყო ეფექტური დაცვის საშუალებების არსებობა; ასევე არღვევს კონვენციის მე-13 მუხლს.

Case #P21. სამართალდამცავები ცდილობენ ჟურნალისტის დაშანტაჟებას ლბტ ადამიანების წინააღმდეგ არსებული წინასწარგანწყობების გამოყენებით

25 ნოემბერი, 2009: თედო ჯორბენაძეს, გაზეთ „ბათუმელების“ ჟურნალისტური გამოძიების ჯგუფის კოორდინატორს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამმართველოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის (სოდი) განყოფილებაში მისვლა მოსთხოვეს. ჯორბენაძეს უთხრეს, რომ „ბათუმელებით“ დაინტერესებული არიან უცხო ქვეყ-

13 <http://www.interights.org/aghdgomelashvili/index.html>

ნების, კონკრეტულად კი რუსეთის და თურქეთის სპეცსამსახურები და შესთავაზეს თანამშრომლობა სამართალდამცავ სტრუქტურებთან. როდესაც ბატონმა ჯორბენაძემ უარი თქვა თანამშრომლობაზე, სოდ-ის ოფიცერმა მას ამობეჭდილი, შავ-თეთრი ფოტოები აჩვენა, სადაც გამოსახული იყვნენ მამაკაცები საცვლების ამარა. ამის შემდეგ ჟურნალისტის უთხრეს, რომ ამ კადრებზე თვითონ არის გამოსახული (თუმცა, თვითონ ჯორბენაძე აცხადებს რომ საკუთარი თავის იდენტიფიკაცია ფოტოზე ვერ მოახდინა) და დაემუქრნენ, რომ ამ კადრებს გაუზიარებენ მის ავადმყოფ მამას, თანამშრომლებს, ატივრთავენ ინტერნეტში. გააფრთხილეს, რომ ამ კადრების გავრცელების შემდეგ ის დაკარგავს სამსახურს, ან ინტერვიუს აღარავენ მისცემს.

გაზეთის რედაქციამ სასწრაფოდ მოიწვია პრესკონფერენცია და გაასაჯაროა ინფორმაცია ამ შემთხვევის შესახებ. ინცინდენტს გამომხაურება მოჰყვა ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო სექტორის მხრიდან და ასევე მედიაში. ოფიციალური გამოძიება ინციდენტს არ მოჰყოლია.¹⁴

Case #W28. პოლიცია არ იცავს კანონს მსხვერპლის სექსუალური ორიენტაციის გამო

მამაკაცი, ჰომოსექსუალი, 18 წლის, სექს-მუშაკი

რესპოდენტის თქმით, 2011 წლის დეკემბერში, თბილისში, ცირკის მიმდებარე ტერიტორიაზე სამმა უცნობმა ადამიანმა მას სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. ცდილობდნენ პარკის სიღრმეში შეეყვანათ, გზიდან მოშორებით. ჰქონდათ გაუპატიურების მცდელობა. ცემის შემდეგ რესპოდენტმა გონება დაკარგა, რის გამოც თავდამსხმელებმა მიატოვეს. რესპოდენტმა გამოიძახა პოლიცია. განყოფილებაში გადაყვანის შემდეგ, პოლიციელები დაუკავშირდნენ დაზარალებულის ბიძას და უთხრეს, რომ იმ ადგილზე, სადაც ინციდენტი მოხდა, „მხოლოდ გეები დგანან“, რომ დაზარალებული „უღირსი ადამიანი იყო“ და გაამართლეს თავდამსხმელები, რადგან „ვერც ერთი ქართველი ვერ აიტანდა ამას“.¹⁵

Case # W24. პოლიციის ოფიცრები შეურაცხყოფას აყენებენ ლბ წევრებს

ამონარიდი ინტერვიუდან: „მე მქონდა შემთხვევა, როდესაც ვცხოვრობდი მეგობარ გოგოსთან ერთად და ნასვამები ვიყავით და საღამოს მოგვივიდა სერიოზული კონფლიქტი. მეზობლებმა დარეკეს პატრულში... პატრული რო მოვიდა და შემოვიდა სახლში და დაინახეს რა მდგომარეობაში ვართ... თან ის გოგო ზუსტად ისე საეჭვოდ გამოიყურებოდა, რო შეიძლება დაგეშვა რო სხვა ორიენტაციის არის... პატრული... მოუტრიალდა და უთხრა მეზობლებს, ძაან ცინიკურად და სიცილით, რო საქმე ოჯახურ კონფლიქტთან გვაქვს, რომელშიც ჯობია არ ჩავერიოთ და დაინყეს გადალაპარაკებები და სიცილი და მასხრად აგვიგდეს რა... ჩვენ არც გვჭირდებოდა იმ სიტუაციაში პატრულის ჩარევა... რო მოვიდნენ და შემოვიპატიჟეთ, რო მობრძანდით და ნახეთ, რომ ყველაფერი კარგადაა და ცოცხლები ვართ, დაგვინყეს დაცინვა: რო არ ჩავერიოთ? კაცი და ქალი რომელი ხართ? ქმარი რომელია? კაცს ველაპარაკოთ?“¹⁶

B. „სიძულვილის ენა“

დანართის ნაწილი I.b. მოითხოვს სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის გამო „სიძულვილის ენის“ გამოყენებასთან ბრძოლისათვის ზომების განხორციელებას; ეს მოიცავს ასეთი „სიძულვილის ენის“ ამკრძალავი კანონების შემუშავებას, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების და ინტერნეტ პროვაიდერების მიერ პოზიტიური პრაქტიკების გამოყენების ნახალისებას, სამთავრობო მოხელეების მიერ ასეთი ენის გამოყენების საჯარო გაკიცხვას და სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავებას თანამდებობის პირთათვის, რათა მათ თავი შეიკავონ ასეთი ენის გამოყენებისაგან და მხარი დაუჭირონ ლგბტ პირების ადამიანის უფლებების პატივისცემის დანერგვას. მთლიანობაში, „შესაბამისობის დოკუმენტაციის ანგარიშში“ 9 ასეთი ზომა არის

14 „ზენოლა გაზეთი „ბათუმელებზე“. ადამიანის უფლებადაცვითი ორგანიზაციების სამხრეთ კავკასიის ქსელისა და თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის ერთობლივი განცხადება. ბმული: <http://humanrightshouse.org/Articles/12654.html>

15 ლგბტ ადამიანთა მდგომარეობა საქართველოში. „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“ (WISG). თბილისი, 2012. კვლევის მასალები. Q.87.

16 საქართველოში ლგბტ ქალთა მდგომარეობის ამსახველი ჩრდილოვანი ანგარიში CEDAW კომიტეტისათვის. „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“ (WISG). თბილისი, 2012. სამუშაო მასალები.

განსაზღვრული.

საქართველოში პრობლემად რჩება ჰომოფობიური სიძულვილის ენის გამოყენება, მათ შორის პარლამენტის წევრების და სხვა საჯარო პირების მიერ, და განსაკუთრებით პრევალირებს წინასაარჩევნო კამპანიებში. ლგბტ პირების მიმართ არსებული ნეგატიური დამოკიდებულების გარდა, ასეთი პრევალირება შეიძლება იმით იყოს გამოწვეული, რომ არსებული კანონები და რეგულაციები, შესაბამისი ქცევის კოდექსების ჩათვლით, არასაკმარისად ცდილობენ პარლამენტის წევრების და საჯარო პირების მიერ სიძულვილის ენის გამოყენების პრობლემის მოგვარებას.

პოლიტიკური ოპონენტის/ოპონენტების მარკირება ჰომოსექსუალად, დადანაშაულება ჰომოსექსუალობის პროპაგანდაში ამ შემთხვევაში გამოიყენება ერთი მხრივ, როგორც გამაძლიერებელი ეფექტი ხელისუფლების წარმომადგენელთაგან „უცხო“ კონსტრუირების პროცესში და მეორე მხრივ, „უცხოთაგან“ მომავალი საფრთხის გენერალიზებისათვის, რომელიც მთელ ქვეყანას ემუქრება.¹⁷ ბოლო პერიოდამდე, პოლიტიკოსთა ჰომოფობიურ განცხადებებს მხოლოდ უფლებადამცველები აკრიტიკებდნენ. მაგრამ, ბოლო დროს ოფიციალური პირები სულ უფრო ხშირად აკეთებენ საჯარო განცხადებებს ჰომოფობიური სიძულვილის ენის დასაგმობად; თუმცა, ეს უფრო ხშირად მაშინ ხდება, როცა ასეთ ენას მათი პოლიტიკური ოპონენტები იყენებენ. შესაბამისად, რთულია იმის გაგება, ეს ოფიციალური სახელმწიფო პოლიტიკის გამოხატულებაა, თუ პოლიტიკური მანევრი, რომელიც მათი პოლიტიკური ოპონენტების ევროპული ინსტიტუტების და საქართველოში არსებული ლგბტ ჯგუფის მიმართ კეთილგანწყობილი ჯგუფების თვალში დასაკნინებლად გამოიყენება.

მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ სიძულვილის ენა ძალიან ფართოდ გამოიყენება, მთავრობამ ვერ მიიღო ადეკვატური ზომები მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ასეთი ენის აღმოსაფხვრელად:

1. მის მიმართ სუსტი მონიტორინგი და დისციპლინარული მექანიზმები ხორციელდება.
2. ლგბტ პირების მიმართ არსებული სტერეოტიპების – სიძულვილის ენის მასაზრდოებელი და საზოგადოების თვალში მისი „ლეგიტიმიზაციის“ ძირითადი მიზეზის გასაქარწყლებლად ცოტა რამ კეთდება.

ლგბტ პირების მიმართ სიძულვილის ენა განსაკუთრებით შეურცხმყოფელ ფორმას ინტერნეტში იღებს; მეტიც, იგი ხშირად დისკრიმინაციის და ლგბტ პირების მიმართ ძალადობის გამოყენების პირდაპირ მოწოდებებს შეიცავს. სოციალურ ქსელებში ჰომოფობიური სიძულვილის ენის გამოყენების მასშტაბები შემაშფოთებელია. სულ უფრო ხშირად იქმნება ანტი-ლგბტ ანონიმური ჯგუფები, როგორებიცაა „ქართველები ჰომოსექსუალობის (ლგბტ) წინააღმდეგ“¹⁸, „შევეცი პედერასტებს“¹⁹ და სხვ., რომლებიც ლგბტ პირების მიმართ ძალადობის გამოყენებისაკენ პირდაპირ მოუწოდებენ. ასეთი ქმედებების ჩამდენ პირებს პასუხი არ მოეთხოვებათ.²⁰ უნდა აღინიშნოს, რომ სიძულვილის ენის გამოყენება ზოგიერთი სხვა კანონებითაც იკრძალება. მაგალითად, „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ აწესებს გარკვეულ შეზღუდვებს სიძულვილის ენის გამოყენებაზე და სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს შორის შუღლის ჩამოგდებაზე: „საარჩევნო პროგრამა არ უნდა შეიცავდეს პროპაგანდას ... რომელიც მოუწოდებს მოქალაქეთა შორის სიძულვილის და შუღლის გაძლიერებისაკენ, რელიგიური და ეთნიკური კონფრონტაციისაკენ.“²¹

საქართველოს ორგანული კანონი „მოქალაქეთა გაერთიანებების შესახებ“ აწესებს ბლანკეტურ აკრძალვას ისეთი პარტიის შექმნაზე და ფუნქციონირებაზე, რომელიც „ახალისებს შუღლს ეროვნებებს, თემებს, რელიგიურ

17 ლგბტ ადამიანთა მდგომარეობა საქართველოში. „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“ (WISG). თბილისი, 2012.

18 <https://www.facebook.com/anti.lgbt?sk=questions>

19 <https://www.facebook.com/ShevetsiPidarastebs>

20 2012 წლის 10 ივნისს, ინტერნეტ-გამოცემა www.argumenti.ge -მ გამოაქვეყნა სტატია სახელწოდებით: „დაჯგუფება რომელიც საქართველოში ლგბტ ადამიანებს ცოცხლად დაწვას უპირებს“. მითითებული სტატიით გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ნაციონალისტურ-შავრაზმული დაჯგუფების წევრებმა სოციალურ ქსელ ფეიზბუქზე“ შექმნეს ჯგუფი „პედერასტებთან მებრძოლი რაზმი“. ამავე ჯგუფის ადმინისტრატორი ვინმე ილია მაღაზონია, რომელსაც შავრაზმულ ფორმაში გამოწყობილს საკუთარი გვერდზე არაერთი ფოტო უდევს. ვინაიდან განცხადებები შეიცავდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედებების ნიშნებს, აღნიშნულთან დაკავშირებით ორგანიზაცია „იდენტობამ“ 16.07.2012-ში წერილით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს მურთაზ ზოდელავას საქმის აღძვრის მოთხოვნით. თუმცა, ორგანიზაციის წარმომადგენელთა თქმით, საჩივარს რეაგირება არ მოჰყოლია.

21 საქართველოს საარჩევნო კოდექსი. მუხლი 45. პარაგრაფი 3

ან სოციალურ ჯგუფებს შორის.“²²

2012 საქართველოში ძალაში შევიდა კონვენცია კიბერ-დანაშაულის შესახებ.

Cases #W4, W2a, W2b. ქართველი პოლიტიკოსები ევროპის საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციის 1728(2010) შესახებ

ქრისტინა დემოკრატიული მოძრაობა: „ვითვალისწინებთ რა საქართველოს მართლმადიდებელი სა-მოციქულო, ავტოკეფალური ეკლესიის ლოცვა-კურთხევას, მოვუწოდებთ საქართველოს დელეგაციის სხვა წარმომადგენლებსაც, რათა მხედველობაში მიიღონ და გაითვალისწინონ მართლმადიდებელი ეკლესიის მოწოდება და მხარი არ დაუჭირონ აღნიშნულ კანონპროექტს, რადგან დოკუმენტი თავისი შინაარსითა და სულისკვეთებით წინააღმდეგობაში მოდის ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ფასეულობებთან და სულიერ ღირებულებებთან და ის საკუთარ თავში გულისხმობს საფრთხეს ერის დემოგრაფიული გან-ვითარებისა და ზნეობრივი მდგრადობისათვის. საქართველოსთვის, როგორც უძველესი ქრისტიანული ტრადიციებისა და ისტორიის მქონე ქვეყნისათვის, რომელიც ნაწილია ევროპული ცივილიზაციისა, მი-უღებელია კანონპროექტში მოცემული საკითხების დაკანონება, რაც, თავის მხრივ, შეუთავსებელია ჩვენი მოქალაქეების მნიშვნელოვანი ნაწილის რელიგიურ და ტრადიციულ შეხედულებებთან“.²³

პეტრე ცისკარიშვილი (ყოფილი საპარლამენტო უმრავლესობის ყოფილი ლიდერი): „ჩვენ ვიზიარებთ საპატრიარქოს პოზიციას... რეზოლუციის პროექტს მხოლოდ იმ შემთხვევაში დაუჭერთ მხარს, თუ მასში ის ცვლილებები შევა, რომლებსაც ჩვენ ვითხოვთ და ხსენებულ პუნქტებს ამოიღებენ. თუკი რეზოლუციის პროექტში სექსუალური უმცირესობებისთვის ბავშვის აყვანისა და ოჯახის შექმნის უფლება იქნება აღნიშნული, ჩვენ ხმას არ მივცემთ. ჩვენ არ გვსურს, საქართველოს იმის რეკომენდაცია გაუწიონ, რომ მამათმავლობა წახალისდეს, ისევე, როგორც არ სურს ეს ძალიან ბევრ ევროპულ ქრის-ტიანულ ქვეყანას... .. რა თქმა უნდა, ჩვენ მხარს ვუჭერთ იმას, რომ ეს ქრისტიანულ პრინციპებზე არ არის დამყარებული და დემოკრატიასთან არანაირი საერთო არ აქვს. ამ ადამიანებს (სექსუალურ უმ-ცირესობებს) არავინ არ უშლის, აკეთონ ის, რისი კეთებაც სურთ, მაგრამ თუ ერთად ყოფნა უნდათ, ამ ერთობას ოჯახი არ უნდა დაერქვას“.²⁴

გიორგი გაბაშვილი (საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერების და კულტურის კომიტე-ტის ყოფილი თავმჯდომარე): „უმცირესობების უფლებები უნდა იყოს დაცული, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ უმრავლესობის ტრადიციები, წარმოდგენები იყოს აბსოლუტურად უგულვებელყოფილი. არც ერთი ჯგუფის ინტერესების თავსმოხვევა ერთმანეთზე სწორი არ არის, რასაც ითვალისწინებს ეს ინიციატივა“.²⁵

Case # W5. სიძულვილის ენა ლგბტ ადამიანების წინააღმდეგ ცნობილი პოლიტიკოსების მხრიდან

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე, ეკა ხოფერიას თოქ-შოუში „აუდიტორია“ ცნობილმა პოლიტიკოსმა ზვიად ძიძიგურმა განაცხადა: „მეძავეები, მკვლელები, პომოსექსუალები, თუ გინდათ პეტეროსექსუალები, რომლებსაც აქვთ მანიაკალური და არანორმალური გამოხედომები, ბავშვებთან არ უნდა მივუშვათ.“

დიმიტრი ლორთქიფანიძემ (საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამო-ქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე) და ზვიად ძიძიგურმა სექსუალური უმცი-რესობები არაერთხელ შეადარეს ზოოფილებს, ნეკროფილებს, პედოფილებს, გერონტოფილებს, რე-ციდივისტებს და მათ ავადმყოფები უწოდეს. დიმიტრი ლორთქიფანიძემ საკუთარი დამოკიდებულების საილუსტრაციოდ ამერიკელი მკვლევარის, პოლ კემერონის ციტატა გაიხსენა: „პომოსექსუალები არიან

22 საქართველოს ორგანული კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ. მუხლი 5. პარაგრ. 2.

23 ევროსაბჭო რელიგიური დოგმების წინააღმდეგ. დ. გამისონია. გაზეთი 24 საათი. 25.01.10. <http://24saati.ge/index.php/category/news/2010-01-25/2943>

24 იქვე.

25 სექსუალური უმცირესობების შესახებ რეზოლუციის ხმაური მოჰყვა. ე. ქევანიშვილი. რადიო თავისუფლება. 26.01.10. <http://www.radiotavisupleba.ge/content/article/1940174.html>

სახიფათო იმიტომ, რომ მათი ერთ-ერთი სტრატეგია არის ჩათრევა ჰომოსექსუალობაში. ისინი არიან ძირგამომთხრელები და ხდებიან ადამიანებს მოღალატედ ოჯახის, სახელმწიფოს და ღმერთის. მე პირადად გულით და სულით ვიზიარებ ამ თეზას,” – განაცხადა პარლამენტის წევრმა.²⁶

Case #G8. ჰომოფობიური განცხადებები ელექტრონულ მედიაში

„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ (საია), რომელიც არჩევნების მონიტორინგს აწარმოებდა, საჩივარი შეიტანა პარტია „თავისუფლების“ მაჟორიტარი კანდიდატის ლადო სადღობელაშვილის წინააღმდეგ. 2010 წლის მაისში მან ფეისბუქის გვერდზე გააკეთა ისეთი განცხადებები, როგორიცაა: „საქართველო სექსუალური უმცირესობების გარეშე“ და „საქართველოში აქტიური ჰომოსექსუალების დღეები დათვლილია“.

საია აცხადებს, რომ სადღობელაშვილმა დაარღვია საქართველოს საარჩევნო კოდექსის 75-ე მუხლის მე-2 პუნქტი, სადაც აღნიშნულია, რომ: „საარჩევნო პროგრამა არ უნდა შეიცავდეს ომისა და ძალადობის პროპაგანდას, არსებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების ძალადობით შეცვლის ან დამხობის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის, ეროვნული შუღლისა და მტრობის, რელიგიური და ეთნიკური დაპირისპირების მოწოდებას“. „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ თვლის, რომ კანდიდატის შეტყობინებები ფეისბუქზე შეიცავდნენ ძალადობისა და სიძულვილის პროპაგანდას, რასაც შედეგად უნდა მოხყოლოდა კანდიდატის მოხსნა რეგისტრაციიდან.

სასამართლო გადაწყვეტილების მიღებამდე სადღობელაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა: „მნიშვნელობა არ აქვს როგორი იქნება სასამართლოს გადაწყვეტილება, ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია მართლმადიდებლური ღირებულებების დაცვა“.

2010 წლის 25 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა საია-ს მოთხოვნა კანდიდატის რეგისტრაციიდან მოხსნის შესახებ. სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით (საქმე No3/2069-10, მაისი 25, 2010) არ იყო სათანადოდ დამაჯერებელი იმის მტკიცება, რომ კანდიდატი განცხადებებით – „ქართველი კაცის მენტალობაში არ ზის გეიპარადები“ და „გეების სისხლი უნდა დაიღვაროს!“ – ძალადობის ინსპირირებას ახდენდა ამომრჩეველთა შორის. ასევე არ იყო სათანადოდ დამაჯერებელი იმის მტკიცება, რომ ფრაზები („ქართველი კაცის მენტალობაში არ ზის გეიპარადები“ და „გეების სისხლი უნდა დაიღვაროს!“) სადღობელაშვილმა თავად გაავრცელა. რაც შეეხება სხვა განცხადებებს („ყველა გეი დაისჯება... პირობას ვიძლევი“), სადღობელაშვილი ამტკიცებს, რომ ის ღვთის სასჯელს გულისხმობდა. ამ შემთხვევაში სასამართლომ მიიჩნია, რომ განცხადება დაცული სიტყვის ფარგლებში ხვდება. სარჩელის წარდგენის შემდეგ, პარტია „თავისუფლების“ წარმომადგენელმა სანდრო ბრეგაძემ გაზეთში „ახალი თაობა“ „საია“ დაადანაშაულა უზარმაზარი გრანტის მიღებაში ლგბტ ადამიანების უფლებების დასაცავად.²⁷

Case #W9. სიძულვილის ენა წინასაარჩევნო კამპანიის დროს

2012 წლის აგვისტოს პირველ ნახევარში სოციალური ქსელების მეშვეობით გავრცელდა პოლიტიკური პარტიის „თავისუფალი საქართველო“ წინასაარჩევნო რეკლამა.²⁸ რეკლამაში მოცემულია აღნიშნული პარტიის საარჩევნო პროგრამა, რომლის განხორციელებასაც ის აპირებს ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში. რეკლამაში სხვა დანარჩენ საკითხებთან ერთად დასახელებული იყო შემდეგი:

„მოვახდენთ უცხოელების მიერ მიტაცებული ტყეების და საძოვრების ნაციონალიზაციას.

მინას დაეუბრუნებთ ქართველ გლეხს.

26 დისკრიმინაციული გამონათქვამები პირველ არხის ეთერში. მ.მეტეხვარიშვილი. ნეტგაზეთი. 12.14.10. <http://netgazeti.ge/GE/38/News/3710/>

27 კვლევა ჰომოფობიის, ტრანსფობიის და სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის შესახებ. სამართლებრივი ანალიზი: საქართველო. დამოუკიდებელი მკვლევარი ანა ნაცვლიშვილი. COWI. 2010. ბმული: <http://www.coe.int/t/commissioner/source/lgbt/georgialegal-e.pdf>

28 See: <http://www.youtube.com/watch?v=L9HZIjogIc>

ინგლისურ წარწერებს და თურქულ დროშებს ქართულით შევცვლით.

შევაჩერებთ აზიზის კომპლექსის მშენებლობას ბათუმში.

ავკრძალავთ ჰომოსექსუალიზმის და სექსუალური ზღვარგადასულ პროპაგანდას.“

აღნიშნული საკითხების ჩამონათვალთან ერთად მნიშვნელოვანია ის კადრებიც, რაც რეკლამაში გამოყენებული. მაგალითად, უცხოელების ნეგატიურ კონტექსტში ხსენებისას რეკლამაში ჩანან ჩინელი მუშები, ხოლო „ჰომოსექსუალიზმის და სექსუალური ზღვარგადასული პროპაგანდის“ აკრძალვაზე საუბრისას ჩანს ლგბტ (ლესბი, გეი, ბი, ტრანსსექსუალი) პირთა მიერ ამა წლის 17 მაისს გამართული მანიფესტაციის კადრები.

NOTE: 2012 წლის 3 სექტემბერს, 6 უფლებდაცვითმა ორგანიზაციამ შესაბამისი განცხადებით მიმართა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს და მოსთხოვა კანონით გათვალისწინებული რეაგირება აღნიშნულთან დაკავშირებით. კომისიამ დააკმაყოფილა სარჩელი და დაადგინა, რომ: „საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 45-ე მუხლის მე-3 ნაწილის დარღვევისთვის პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფალი საქართველოს“ მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს ამავე კანონის 79-ე მუხლით გათვალისწინებული ჯარიმის ღონისძიება, ამავე კანონის 93-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად უნდა შედგეს სამართალდარღვევის ოქმი, რომელიც „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 241-ე მუხლისა და ცესკოს 2012 წლის №8 დადგენილებით „საარჩევნო ადმინისტრაციაში განცხადება/საჩივრის შეტანისა და განხილვის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ დამტკიცებული ინსტრუქციის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად გადაეგზავნოს დაუყოვნებლივ თბილისის საქალაქო სამართლოს შესაბამისი რეაგირებისთვის.“²⁹

Case #P15. მედია ეთიკის საბჭო: ჟურნალისტმა ვერ დაიცვა პროფესიულ-ეთიკური ვალდებულება სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე დისკრიმინაციის დაუშვებლობასთან დაკავშირებით

2010 წლის მარტში ფონდმა „ინკლუზივმა“ საჩივრით მიმართა მედია ეთიკის საბჭოს მალხაზ გულაშვილის მიერ გაკეთებული ჰომოფობიური განცხადების (ტელეკომპანია „კავკასია“, გადაცემა „ბარიერი“. 9 მარტი, 2010) და ჟურნალისტის (ალექსანდრე ელისაშვილი) თაობაზე, რომელმაც გადაცემაში ამ განცხადებაზე ადეკვატური რეაგირება არ მოახდინა.

“მე არ ვფიქრობ, რომ ამ გადაცემაში ჰომოფობიური განცხადებები გაკეთდა, მალხაზ გულაშვილს, ისევე, როგორც ნებისმიერ ადამიანს, აქვს უფლება ჰქონდეს ამა თუ იმ საკითხზე ესა თუ ის შეხედულება და გამოთქვას თავისი აზრი, თანაც, პასუხის გაცემის საშუალება მიეცემა გადაცემის სხვა სტუმრებს, რომლებმაც გულაშვილს ნათქვამი შეუსწორეს“, – ამბობდა საბჭოს სხდომაზე ალექსანდრე ელისაშვილი. თავად ალექსანდრე ელისაშვილმა სხდომის დასრულების შემდეგ, Media.Ge-ს განუცხადა, რომ ის პატივს სცემს საბჭოს გადაწყვეტილებას: „მომავალ გადაცემებში აუცილებლად გავითვალისწინებ ამ გადაწყვეტილებას და უფრო დიდი სიფრთხილით მოვეკიდები უმცირესობების თემებს. ჩემს რესპოდენტებსაც მეტი სიფრთხილისკენ მოუწოდებ, რათა ჩემს გადაცემებში სიძულვილის ენა აღარ დაფიქსირდეს“, – თქვა ალექსანდრე ელისაშვილმა.³⁰

ქარტიის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით, ალექსანდრე ელისაშვილმა დაარღვია საქართველოს ჟურნალისტური ქარტიის მეშვიდე პრინციპი. რომელშიც ნათქვამია, რომ: „ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე; ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე ან რაიმე სხვა ნიშნით“.

29 ანგარიში ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შემოსული განცხადება/საჩივრების და მედიის საშუალებებში გავრცელებულ ინფორმაციაზე რეაგირების შესახებ (2012 წლის 1 აგვისტო – 02 ოქტომბრის მდგომარეობით). გვ.159-161. ბმული: <http://cesko.ge/files/2012/Report-on-Complaints-01-08-2012---02-10-2012-GEO.pdf>

30 „ეთიკის საბჭომ დაადგინა, რომ ალექსანდრე ელისაშვილმა პროფესიული სტანდარტი დაარღვია“. ლ. ბერიძე. პორტალი media.ge. 06.05.2010. ბმული: <http://www.media.ge/node/37229>

II. გაერთიანების თავისუფლება

დანართის II ნაწილი მოითხოვს წვერი სახელმწიფოებისგან სათანადო ზომების მიღებას, რათა უზრუნველყონ, რომ ლგბტ ორგანიზაციებს შეეძლოთ ოფიციალურად დარეგისტრირება, სათანადოდ იყვნენ ჩართულები პარტნიორობის სტატუსით ისეთი საჯარო პოლიტიკების შემუშავებასა და განხორციელებაში, რომელთაც ლგბტ პირებზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ და დისკრიმინაციის გარეშე შეეძლოთ არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის გამოყოფილი საჯარო დაფინანსების მიღება; აგრეთვე, რომ ლგბტ ადამიანის უფლებების დამცველი ორგანიზაციები ეფექტურად იყვნენ დაცული მტრული განწყობებისაგან და აგრესიისაგან.

საქართველოს კანონმდებლობა ღიად არ ახდენს ლგბტ ორგანიზაციების დისკრიმინაციას, ყოველ შემთხვევაში მათ რეგისტრაციასთან და ფუნქციონირებასთან დაკავშირებით. საქართველოს კონსტიტუცია შეიცავს ამომწურავ ჩამონათვალს იმ მიზეზებისა, რომელთა საფუძველზეც ორგანიზაციას შეიძლება უარი ეთქვას რეგისტრაციაზე; ამ დებულებაში არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ ლგბტ ორგანიზაცია შეიძლება მოხვდეს აკრძალულ ორგანიზაციათა კატეგორიაში მხოლოდ იმის გამო, რომ იგი ლგბტ პირების უფლებებს იცავს და მხარს უჭერს. თუმცა, „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში“, რომელიც რეგისტრაციის ტექნიკურ დეტალებს განსაზღვრავს, ნათქვამია, რომ ორგანიზაციას შეიძლება უარი ეთქვას რეგისტრაციაზე, თუკი მისი მიზნები „საზოგადოებრივ მორალს“ ეწინააღმდეგება. ამ უკანასკნელ ცნებას კანონი არ განსაზღვრავს. როგორც დაქვემდებარებულ კანონმდებლობას, „სამოქალაქო კოდექსს“ არ შეუძლია კონსტიტუციის მოთხოვნების გაუქმება და ლგბტ ორგანიზაციის რეგისტრაციის შეფერხება იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ვინმე ლგბტ პირების დაცვას „საზოგადოებრივი მორალის“ საწინააღმდეგოდ ჩათვლის. მიუხედავად ამისა, ამ დებულების არსებობა კითხვებს აჩენს და აუცილებელია მისი ფორმულირების შეცვლა.

საქართველოში არ არსებობს ლგბტ ორგანიზაციისთვის რეგისტრაციაზე მისი მიზნების ან რაიმე გაურკვეველი მოტივაციის გამო უარის თქმის პრეცედენტი.

მთავრობამ არასამთავრობო ორგანიზაციების ფონდი მხოლოდ რამოდენიმე წლის წინ შექმნა. თუმცა, ლგბტ ორგანიზაციებს ჯერ არ მიუმართავთ ამ ფონდისთვის დაფინანსების მისაღებად, როგორც ჩანს, ასეთი მიმართვის შემთხვევაში მათ დისკრიმინაციული მიზეზების გამო უარს არ ეტყვიან.

სახელმწიფო ორგანოები იშვიათად იწყებენ დიალოგს ლგბტ ორგანიზაციებთან დაგეგმილი საკანონმდებლო ცვლილებების განხილვის ან მათი ბენეფიციარების პრობლემების პოლიტიკური ქმედებების მეშვეობით გადაჭრის მიზნით.

Case #W20. სიტყვიერი თავდასხმა და მუქარა ფონდის „ქალთა ფონდი საქართველოში“ წინააღმდეგ

2009 წლის 29 ნოემბერს ქალთა ფონდმა საქართველოში გამოაცხადა საგრანტო კონკურსი ლგბტ ჯგუფის მიმართ ჰომოფობიისა და დისკრიმინაციის დასაძლევად, რის გამოც ფონდი და მისი თანამშრომლები თავად გახდნენ ჰომოფობიის მსხვერპლნი.

ამონარიდი ინტერვიუდან: „ამ საგრანტო კონკურსის გამო მედიაში დაახლოებით ათამდე ჰომოფობიური და სექსისტური სტატია დაიწერა: „ალია“, „ასავალ-დასავალი“... forum.ge-ზე გაიხსნა თემები, სადაც საგრანტო განაცხადთან ერთად დაკოპირებული ჰქონდათ ჩვენი თანამშრომლების, დირექტორთა საბჭოს, მრჩეველთა საბჭოს სიები და ყველა ვყავდით გალანძვლილი... ამაზე გვინდოდა პოლიციის ჩარევა, მაგრამ კონსულტაცია რომ გავიარეთ იურისტთან, გვითხრეს, რომ, პრესის თავისუფლება და გამოხატვის თავისუფლება იმდენად ღია ცნებაა ამ ჩვენს კანონმდებლობაში და იმდენად ღია დეფინიცია აქვს, რომ შეუძლებელია ამისგან პასუხი ვინმეს მოსთხოვო, მითუმეტეს, რომ არ გვაქვს სიძულვილის ენის შესახებ კანონი“, - ამბობს ქალთა ფონდის დირექტორი.³¹

31 საქართველოში ლგბტ ქალთა მდგომარეობის ამსახველი ჩრდილოვანი ანგარიში CEDAW კომიტეტისათვის. „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“ (WISG). თბილისი, 2012. სამუშაო მასალები. ქალთა ფონდი საქართველოში. ინტერვიუ მარიამ გაგოშაშვილთან. 25.10.2011

III. გამომხატვისა და მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება

თვითგამომხატვის თავისუფლება საქართველოს კონსტიტუციით არის გარანტირებული. სახელმწიფო არც ახალისებს და არც კრძალავს სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის შესახებ ინფორმაციის და იდეების მიღებას ან გადაცემას; არსებობს ლგბტ საკითხებისადმი მიძღვნილი რამოდენიმე ვებ-საიტი და ბლოგი: lesbi.org.ge; minority.ge; identoba.org, gay.ge; gay-batumi.com და ა.შ. ლგბტ ორგანიზაციები თავისუფლად აქვეყნებენ და ავრცელებენ ლგბტ საკითხებთან დაკავშირებულ სხვადასხვა მასალებს.

თავიანთ საჯარო გამოსვლებში სამთავრობო მოხელეები ხშირად უსვამდნენ ხაზს ტოლერანტობას და მის მნიშვნელოვნებას ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებთან მიმართებაში. თუმცა, ისინი დუმილს არჩევენ, როდესაც საქმე სექსუალური უმცირესობების პრობლემების მთელ სპექტრს ეხება.³² მიუხედავად ამისა, 2012 წელს ამ მიმართულებით გარკვეული პოზიტიური ცვლილებები შეიმჩნევოდა.

თუმცა, „მშვიდობიანი შეკრებების შესახებ“ კანონში 2009 და 2010 წელს შეტანილი ცვლილებები არ არის დისკრიმინაციული კონკრეტულად ლგბტ პირების მიმართ, ისინი ფუნდამენტურ თავისუფლებებს არაპროპორციულად ზღუდავენ. ამ კანონის შეცვლა სასწრაფოდ არის აუცილებელი.

ზოგადად, ადამიანის უფლებადამცველებისათვის საქართველოში უსაფრთხო და მეგობრული გარემო არაა. კერძოდ, ლგბტ აქტივისტები მესამე მხარეთაგან ძალადობის გამოვლინების ერთ-ერთ სავარაუდო რისკ ჯგუფს მიეკუთვნებიან. თუმცა, ლგბტ აქტივისტები არ განიცდიან რაიმე კონკრეტულ შეზღუდვებს ან განსაკუთრებით ხილულ რეპრესიებს სახელმწიფო ორგანოების მხრიდან.

Case #W10. მსვლელობა სავარაუდო გეი ალლუმის წინააღმდეგ ბათუმში

2010 წლის აგვისტოს თვეში, ბათუმში რელიგიური ლიდერების თაოსნობით საჯარო მსვლელობა მოეწყო ვითომდა დაგეგმილი გეი ალლუმის წინააღმდეგ. რელიგიურმა ლიდერებმა საჯარო ლოცვაც აღავლინეს ცოდვილთა (ლგბტ ადამიანთა) სულებისთვის.³³ მსვლელობის კულმინაცია იყო საჯარო ლოცვა ბათუმის ერთ-ერთი სასტუმროს პირდაპირ, სადაც ის უცხოელები იყვნენ გაჩერებულნი, რომლებიც თითქოს ალლუმში მონაწილეობას აპირებდნენ.³⁴

აქციის წევრები ბათუმის მერიის შენობასთან მივიდნენ, რადგან ფიქრობდნენ, რომ მერიამ გასცა გეი ალლუმის ჩატარების ნებართვა. მერიის წარმომადგენელი ცდილობდა დაერწმუნებინა ისინი ინფორმაციის მცდარობაში, მეტიც, უხსნიდა, რომ „მათ მხარეს“ იყო და არასოდეს გაამართლებდა გეი ალლუმის ჩატარებას.³⁵

Case #I12A. IDAHO -ს მსვლელობა

2012 წლის 17 მაისს ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ორგანიზაცია „იდენტობამ“ გადანყვიტა თბილისში მშვიდობიანი მსვლელობის ორგანიზება, რის შესახებაც წერილობით შეატყობინა ქალაქის მერიას და ძველი თბილისის პოლიციის განყოფილებას. პოლიციის ოფიცერი, რომელიც პასუხისმგებელი იყო აქციების უსაფრთხოებაზე, ორგანიზატორებს აქციის ჩატარებამდე ორი დღით ადრე დაუკავშირდა და განუცხადა, რომ აქციის მონაწილეთა უსაფრთხოება უზრუნველყოფილი იქნებოდა სამართალდამცავების მხრიდან და პოლიცია დააკავებდა ნებისმიერს, ვინც ხელს შეუშლიდა მსვლელობას, მშვიდობიანი მსვლელობის მონაწილეთა მიმართ სიტყვიერი შეურაცხყოფის შემთხვევაშიც კი.

13:00 სთ-ზე არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობის“ წევრები და მსვლელობის სხვა ორგანიზა-

32 ე. აღდგომელაშვილი. სექსუალური ორიენტაციის/გენდერული იდენტობის რეპრეზენტაცია მედიაში (2011 წლის მაისის მდგომარეობით). მედიის განვითარების ფონდი (MDF). <http://www.mdfgeorgia.ge/index.php?&address=&menuid=16&id=54&lang=1>

33 „მართლმადიდებელი მრევლის აქცია ბათუმში“, ნ. ცეცხლაძე. ნეტგაზეთი. 2010.25.08. ხელმისაწვდომია: <http://netgazeti.ge/GE/22/News/2281/>

34 ლოცვა გეი ალლუმის წინააღმდეგ. ბმული: <http://www.youtube.com/watch?v=pFYWNJAxGWM&feature=player-embedded>

35 „მართლმადიდებელი მრევლის აქცია ბათუმში“, ნ. ცეცხლაძე. ნეტგაზეთი. 2010.25.08. ხელმისაწვდომია : <http://netgazeti.ge/GE/22/News/2281/>

ტორები მიუახლოვდნენ ფილარმონიის შენობას საიდანაც იგეგმებოდა მსვლელობის დაწყება თავისუფლების მოედანამდე. ამ დროისთვის სამართალდამცავებიც შეიკრიბნენ ფილარმონიის მიმდებარე ტერიტორიაზე. მიუხედავად აგრესიული და შეურაცხყოფილი შეძახილებისა გამვლელების მხრიდან დემონსტრანტების მისამართით მსვლელობა მაინც დაბრკოლების გარეშე დაიწყო. მსვლელობის დაწყებისთანავე მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის წარმომადგენლები გამოჩნდნენ და დემონსტრანტებს მოუწოდებდნენ აქციის შეწყვეტისკენ. ცხადი იყო, რომ ისინი საგანგებოდ იყვნენ მობილიზებულნი და თავიდან სიტყვიერი შეურაცხყოფით ცდილობდნენ მსვლელობის ჩაშლას. როცა აქცია მეცნიერებათა აკადემიას მიუახლოვდა (რუსთაველის გამზირზე) მათ ცოცხალი ჯაჭვი გააკეთეს და გზა გადაუღობეს ლგბტ აქტივისტებს. აქციის ჩაშლის მცდელობა მათი მხრიდან, სამართალდამცავებისთვისაც ცხადი უნდა ყოფილიყო, თუმცა, იდენტობის წარმომადგენლების მრავალი თხოვნის მიუხედავად სამართალდამცავებმა ჩარევისგან თავი შეიკავეს. მათი თანდასწრებით რელიგიური ექსტრემისტები არღვევდნენ აქციის მონაწილეთა შეკრების თავისუფლების უფლებას – დაამტკრიეს ტრანსპარანტები, დახიეს ლგბტ დროშები, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს აქტივისტებს და დაემუქრნენ, რომ ფიზიკურად გაუსწორდებოდნენ მათ. პოლიცია ჩაერია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ლგბტ აქციის მონაწილემდე გეგები რამდენიმე აქტივისტს ფიზიკურად შეეხებნენ³⁶. პოლიციის საპასუხო რეაქცია დაგვიანებული იყო. მედია საშუალებების მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რამოდენიმე დღის შემდეგ ზოგიერთი თავდამსხმელი დააკავეს და სასამართლომ მათ ადმინისტრაციული სასჯელი დააკისრა. ორგანიზაცია „იდენტობის“ წარმომადგენლები თვლიან, რომ „სამართალდამცავებმა არ შეასრულეს მათი ვალდებულება, ვინაიდან, მოქმედი კანონმდებლობით სისხლის სამართლის პასუხისგებაში უნდა მიეცათ დამნაშავეები მაშინ, როცა მხოლოდ ადმინისტრაციული სასჯელი დააკისრეს. 2012 წლის 27 ივნისს, ორგანიზაცია „იდენტობამ“ განცხადებით მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურორს გამოძიების დაწყების მოთხოვნით. წერილში მითითებული იყო, რომ სისხლის სამართლის საქმის ინიცირების შემთხვევაში, დაცული ყოფილიყო 2012 წლის 27 მარტს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში მიღებული შესწორება სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობაზე დაფუძნებული დანაშაულის თაობაზე. ორგანიზაციას არ მიუღია პასუხი განცხადებაზე.

IV. პირადი და ოჯახური პატივისცემის უფლება (ტრანსგენდერთა საკითხების გამოკლებით)

დანართის IV ნაწილის ეს პარაგრაფები ერთსქესიანი სექსუალური აქტების კრიმინალიზაციის, პირადი მონაცემების შეგროვების და წყილების და შვილების უფლებების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით დისკრიმინაციის საკითხებს განიხილავენ.

ჰომოსექსუალური ქცევის დეკრიმინალიზაცია საქართველოში 2000 წელს მოხდა. ცოტა ხნის წინ პარლამენტში რეკრიმინალიზაციის მოთხოვნამ გაიჟღერა; თუმცა, ამ მოთხოვნას უმაღლესი მოწყვეა უარყოფითი რეაქცია და საჯარო დაგმობა სხვა დეპუტატების მხრიდან.

პირადი ინფორმაცია, სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის შესახებ ინფორმაციის ჩათვლით, კონსტიტუციითაა დაცული. თუმცა, 2011 წლის დეკემბერში მიღებული ახალი კანონი „პირადი მონაცემების დაცვის შესახებ“ განგაში საფუძველს იძლევა. კანონი აწესებს მონაცემთა ინსპექტორის თანამდებობას და ავალდებულებს დამსაქმებლებს (როგორც საჯარო, ასევე კერძო) შეაგროვონ პირადი მონაცემები, მათ შორის ინფორმაცია სექსუალური ორიენტაციის შესახებ, თავიანთი თანამშრომლების შესახებ და გაუგზავნონ ისინი მონაცემთა ინსპექტორს. მეტიც, კანონი აძლევდა ინსპექტორს უფლებას დაემუშავებინა, გაეანალიზებინა, შეენება და გაეგროვებინა ასეთი ინფორმაცია იმ პირის წინასწარი თანხმობის გარეშე, ვისაც ეს ეხებოდა, თუკი ასეთი ქმედებები „საჯარო ინტერესებით“ იყო გამოწვეული. ამასთან, კანონი არ მოიცავდა „საჯარო ინ-

36 Fighting at gay rights march in Tbilisi Georgia. 17 May 2012. BBC News. <http://www.bbc.co.uk/news/world-europe-18109022>, Georgia gay-pride march ends in fist fight. 17 May 2012. Euronews. <http://www.euronews.com/2012/05/17/georgia-gay-pride-march-ends-in-fist-fight/>; A Backlash in Georgia. By Haley Sweetland Edwards. June 14. 2012. New York Times. <http://latitude.blogs.nytimes.com/2012/06/14/progress-by-georgias-gays-spurs-a-backlash/> etc.

ტერესის“ განმარტებას და არც რაიმე დამცავ მექანიზმს ქმნიდა სახელმწიფოსათვის მინიჭებული ასეთი ფართო უფლებამოსილებების ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად. ჟურნალისტთა და უფლებადამცველთა შეკითხვას, თუ რას გულისხმობდა „საჯარო ინტერესი“, პარლამენტის დეპუტატმა, ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის (ყოფილმა) თავმჯდომარემ, ლაშა თორდიამ ასეთი პასუხი გასცა: „საბავშვო ბაღს ან ნებისმიერ სამედიცინო ცენტრს უნდა გააჩნდეს პირის შესახებ ინფორმაცია, ხომ არ არის იგი შიდსით დაავადებული, ხოლო საბავშვო ბაღს უნდა გააჩნდეს ინფორმაცია პირის სექსუალური ორიენტაციის შესახებ“.³⁷

თუმცა, კანონი ჯერ ძალაში არ შესულა და აუცილებელია მისი სასწრაფოდ გამოწვევა, რათა უზრუნველყოფილი იქნას, რომ იგი (1) ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზნებს დემოკრატიულ საზოგადოებაში და (2) არ უქმნიდეს საფრთხეს ფუნდამენტური უფლებების და თავისუფლებების დაცვას.

საქართველოს კანონმდებლობა არ ცნობს ერთი სქესის პირებს შორის ქორწინებას ან რაიმე სახის სამოქალაქო პარტნიორობას, შესაბამისად ჰომოსექსუალ წყვილებს საქართველოში არ გააჩნიათ ისეთივე უფლებები, როგორიც ჰეტეროსექსუალ წყვილებს.

Case #W3. პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის (ყოფილი) წევრი ითხოვს ჰომოსექსუალობის კრიმინალიზაციას

დიმიტრი ლორთქიფანიძე (საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე), რომელიც საპარლამენტო უმცირესობამ 2009 წელს სახალხო დამცველის პოსტზე წარადგინა, 30 ივლისს არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრისას განაცხადა, რომ, მისი აზრით, აუცილებელია ჰომოსექსუალობის კრიმინალიზაცია საქართველოში: „ვფიქრობ, უხერხულობას არ უნდა ინვესტირება გავცე პასუხი, რასაც ვფიქრობ. მე ვფიქრობ, რომ მამათმავლობა უნდა იყოს დასჯადი ქმედება ამ ქვეყანაში, იმიტომ, რომ ის ჩვენი რჯულის კანონით ისჯება და თან ისჯება ძალიან მძიმედ... მე ვფიქრობ, რომ მამათმავლობის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება იქნება თუ სისხლის სამართლის წესით ეს ქმედება იქნება დასჯადი.“³⁸

Case #W7A. ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის ინიციატივა საკონსტიტუციო ცვლილების შესახებ ერთსქესიანი ქორწინების აკრძალვასთან დაკავშირებით

2012 წლის 22 მაისს, გიორგი თარგამაძემ (ყოფილი პარლამენტარი, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის ლიდერი) პარლამენტს საკონსტიტუციო ცვლილებების ინიციატივით მიმართა³⁹, რომელთაგან ერთ-ერთი ერთსქესიანი ქორწინების აკრძალვას ეხებოდა (საქართველოს ამჟამინდელი კანონმდებლობით ერთსქესიანი ქორწინება არაა დაშვებული, თუმცა, კონსტიტუცია ცალსახად არ კრძალავს მას). პარლამენტარი თავის გამოსვლაში 17 მაისს IDAHOსადმი მიძღვნილი მსვლელობის დროს მომხდარ ინციდენტსაც შეეხო: „ბატონებო და ქალბატონებო, მას შემდეგ, რაც მისი უწმინდესობის მიერ ეპისტოლეში გამოთქმული გარფთხილება სოდომისეული ცოდვის პოპულარიზებასთან დაკავშირებით ძალიან მწარე რეალობად იქცა და არა მხოლოდ პოპულარიზება, არამედ გვიღელვებდა ვიხილეთ თბილისის ქუჩებში, მე ვალდებულად ვთვლი გამოვხატო ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის პოზიცია და მეტიც, საზოგადოებას, პარლამენტს და მთლიანად მთელს ჩვენს ქვეყანას შევთავაზოთ კონსტიტუციური ცვლილებების ახალი პაკეტი, რომელიც მოიცავს 5 მნიშვნელოვან ცვლილებას მოქმედ კონსტიტუციაში.

თავიდანვე მინდა ვთქვა, რომ ჩვენ ვგმობთ ძალადობის ყოველგვარ გამოვლინებას, ვისგანაც არ უნდა მომდინარეობდეს ეს. თუმცა, ამავე დროს, წინააღმდეგი ვართ მომხდარი ფაქტი წარმოაჩინოთ როგორც სექსუალური უმცირესობების წარმომადგენელთა თუ მათ მხარდამჭერთა მიერ უბრალო, უწყინარ, მშვიდ გასაუბრებას. ჩვენ მიგვაჩნია რომ ასეთი ტიპის სერიოზულები რა თქმა უნდა არ არის საბოლოო მიზანი მსგავსი აქტივობისა. ეს არის შორს გამიზნული და მნიშვნელოვანი მოვლენის დასაწყისი, რომლის

37 „არაფერი პირადული – კანონპროექტი, რომელიც ამას იცავს და საჯაროს ხდის“. მ.მეცხვარიშვილი. ნეტგაზეთი. 10.01.2010. იხ: <http://netgazeti.ge/GE/27/News/2534/?sms-ss=facebook&at=4ca88497a59d6ab6%2C0>.

38 ომბუდსმენობის კანდიდატი: ჰომოსექსუალიზმი „უნდა დაისაჯოს“. Civil Georgia, 31.07.2009. ბმული: <http://www.civil.ge/geo/article.php?id=21585>

39 <http://www.youtube.com/watch?v=e1zRaTVgxfc>

საბოლოო შედეგიც უნდა იყოს საქართველოში ჰომოსექსუალიზმის, მამათმავლობის, გახრწნილების, გარყვნილების, გაუკუღმართებული ცხოვრების წესის მორალური და სამართლებრივი ლეგალიზაცია. იმისათვის, რომ ამის დასტური არ გავგიჟიდეს, შეგვიძლია გავიხსენოთ მაგალითები, რომელთაც ადგილი აქვთ მთელ რიგ ქვეყნებში, სადაც, მიუხედავად იმისა რომ სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლებს ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით, მათი ჩაგვრის კუთხით დიდი ხანია არა-ნაირი პრობლემები არ აქვს და ამ თვალსაზრისით არც საქართველოში განიცდიან ისინი რაიმე სახის სისხლის სამართლებრივ დევნას. მიუხედავად ამისა, მთელ რიგ ევროპულ სახელმწიფოებში ეს ჯგუფები ამით სრულიად არ დაკმაყოფილდნენ და პირიქით დღეს თქვენ ნახავთ მთელ რიგ სახელმწიფოებში მაღალ პოლიტიკურ სახელმწიფო თანამდებობებზე ჰომოსექსუალისტებს, ნახავთ ისეთი ტიპის გადანეცეტილებებს რომლის შედეგადაც ერთსქესიანი ქორწინებები უკვე კონსტიტუციურ გარანტიას წარმოადგენს, რომლის შედეგადაც შესაძლებელი არის შვილების აყვანა, რომლის შედეგადაც შესაძლებელი არის სუროგატი.. სუროგატობის გზით შვილების აყვანას ასევე შესაძლებელი ხდება და ასე შემდეგ და ასე შემდეგ... ..ამიტომ ჩვენ საზოგადოებას ვთავაზობთ საკონსტიტუციური ცვლილებების პაკეტს, რომელშიც 5 ცვლილება არის მოცემული, ჩვენ ვინაყებთ მთელი საქართველოს მასშტაბით ხელმოწერების შეგროვებას.⁴⁰

მმართველი პარტიის წარმომადგენლებმა პარლამენტში⁴¹, ისევე, როგორც სახალხო დამცველმა⁴² და სხვა უფლებადაცვითმა ორგანიზაციებმა⁴³ მკაცრად გააკრიტიკეს გიორგი თარგამაძის გამოსვლა და შეთავაზებული საკონსტიტუციო ცვლილებები.

IVა. კერძო და საოჯახო ცხოვრების პატივისცემის და ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის უფლება (კონკრეტულად ტრანსგენდერების შესახებ)

(პარაგრაფები 20 -22 და 35 -36)

დანართის IV ნაწილის ეს პარაგრაფები წევრი სახელმწიფოებისაგან მოითხოვენ უზრუნველყონ პირის მიერ სქესის კვლავინიჭების სრული სამართლებრივი აღიარება სწრაფად, გამჭვირვალედ და ხელმისაწვდომი გზით, გააუქმონ ნებისმიერი წინასწარი მოთხოვნები ასეთი აღიარების მიმართ (ნებისმიერი ფიზიკური ხასიათის

40 4-22 ივნისს, კავკასიის რესურს ცენტრმა (CRRC), ქვეყნის მასშტაბით ჩატარა გამოკითხვა აშშ-ს არაკომერციული კვლევითი ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტთან (NDI) ერთად. ჩატარდა 6229 ინტერვიუ. NDI-ის მიერ ჩატარებულ გამოკითხვაში ჩართული იყო კითხვაც ქრისტიან-დემოკრატების მიერ წარდგენილი საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით. შეკითხვაზე, დაუჭერდნენ თუ არა მხარს ცვლილებას, რომელიც კონსტიტუციურად კრძალავს ერთსქესიან ქორწინებას, 89% პასუხობს „დიახ“, 6% – „არა“, ხოლო 4%-მა „არ იცის“. (q104). საზოგადოების განწყობები საქართველოში: 2012 წლის ივნისის კვლევის შედეგები. CRRC/NDI <http://www.ndi.org/files/Georgia-NDI-survey-update-June2012-ENG.pdf>

41 **ლაშა თორღია:** „ძალიან სამწუხაროა, რომ ესეთი მაღალი ტრიბუნიდან, როგორიც არის პარლამენტი, პარლამენტის წევრები აკეთებენ ისეთ განცხადებას, რომელიც რეალურად აღვივებს შუღლს საზოგადოების ცალკეულ წევრებს შორის... ..კონსტიტუციის თანახმად, ყველა ადამიანი თანასწორია და რელიგიური მრწამსის გამო ან სექსუალური უმცირესობების მიმართ ადამიანების მიმართ დისკრიმინაციული მიდგომა, აკრძალულია“. „საპარლამენტო უმრავლესობა: ადამიანების მიმართ დისკრიმინაციული მიდგომა აკრძალულია“. 22.05.2012. ექსპრესნიუსი. <http://www.epn.ge/?p=109923> ; **პავლე კუბლაშვილი:** „მე ვფიქრობ, რომ ის გამოსვლა, რაც ბატონ თარგამაძესა და ლალიაშვილს ჰქონდათ, თავიდან ბოლომდე ჰომოფობური განცხადებებია. ეს იყო დისკრიმინაციის მუხტით განმსჭვალული განცხადებები. აქედან გამომდინარე, ხაზი მინდა გავუსვა, რომ ჩვენს ქვეყანაში არის თავისუფალი საზოგადოება, სადაც კანონი არის პირველი გარანტი იმის, რომ არ არის არანაირი ნიშნის მიხედვით დისკრიმინაცია და არანაირი შეზღუდვები არ მოხდება. ჩვენს სახელმწიფოში არც რელიგიური და არც სექსუალური უმცირესობებისათვის არ დანესდება მსგავსი შეზღუდვები. ამის გარანტია არის ის ხელისუფლება, რომელიც დღეს არის. უმრავლესობა არ დაუჭერს ამ ინიციატივას მხარს. საზოგადოება კი გაცილებით ტოლერანტულია, ვიდრე ქმდ. სამარცხვინოა, როდესაც პარლამენტში ასეთი ტიპის ჰომოფობური განცხადებები კეთდება“. „კუბლაშვილი: სექსუალური უმცირესობებისათვის შეზღუდვები არ დანესდება“. ნ. ცეცხლაძე. ნეტგაზეთი. 22.05.2012. <http://www.netgazeti.ge/GE/105/opinion/9905/>

42 ომბუდსმენი ქრისტიან-დემოკრატების ჰომოფობიის წინააღმდეგ. თაზო კუპრეიშვილი. ნეტგაზეთი. 22.05.2012. <http://www.netgazeti.ge/GE/105/News/9908/>

43 მაგ.იხ. „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ მიერ წარმოდგენილი საკონსტიტუციო ცვლილებები დისკრიმინაციულია“. „კონსტიტუციის 42-ე მუხლისა“ და „ქალთა ინიციატივების მხარდაჭერი ჯგუფის“ ერთობლივი განცხადება <http://women.ge/2012/06/04/cristiandemocrats/> ;

მოთხოვნების ჩათვლით) და უზრუნველყონ, რომ ტრანსგენდერ პირებს შეეძლოთ დაუყოვნებლივ დაქორწინება სქესის კვლავმინიჭების პროცესის დასრულებისთანავე. VII ნაწილის პარაგრაფები მოითხოვენ წევრი სახელმწიფოებისაგან, რომ მათ უზრუნველყონ ტრანსგენდერი პირებისათვის შესაბამისი სქესის კვლავმინიჭების მომსახურების ხელმისაწვდომობა და რომ ნებისმიერი გადაწყვეტილება დაზღვევის მიერ დაფარული ხარჯების შემცირების შესახებ იყოს კანონიერი, ობიექტური და პროპორციული.

საქართველოს კანონმდებლობა არც კრძალავს და არც არეგულირებს სქესის კვლავმინიჭების მიზნით ქირურგიულ ჩარევას. ეს სამედიცინო დაწესებულებებს აძლევს საშუალებას მიიღონ ერთპიროვნული გადაწყვეტილება იმის შესახებ, ვის აქვს უფლება გაიკეთოს ასეთი ოპერაცია და ვის არა. ქირურგიულ ჩარევამდე საჭირო პროცედურების ჩამონათვალი და რიგითობა ასევე არ რეგულირდება სახელმწიფოს მხრიდან. ზემოაღნიშნული ხარვეზი შეიძლება იწვევდეს მიკერძოებულ მიდგომებს, არათანმიმდევრულობას და უქმნიდეს დაბრკოლებებს ტრანსგენდერ პირებს. თუმცა, სქესის კვლავმინიჭების მომსახურება საქართველოში არსებობს, ამასთან დაკავშირებული ქირურგიული ოპერაციის მთელი ხარჯების გაწევა თავად პაციენტებს უწევთ (მაშინ, როდესაც სხვა სამედიცინო პროცედურების ხარჯები, მაგალითად, სხვადასხვა ანალიზები, კბილის ექიმის მომსახურება, მშობიარობა და ა.შ. შეიძლება საქართველოში არსებული სხვადასხვა კერძო თუ სახელმწიფო სადაზღვევო პაკეტებით იფარებოდეს).

საქართველოს მთავრობის N77 დადგენილების⁴⁴ საფუძველზე გარკვეული კატეგორიების სამედიცინო ოპერაციები სრულად ან ნაწილობრივ ფინანსდება სახელმწიფოს მხრიდან. ოპერაციათა ჩამონათვალი და სახელმწიფო დაფინანსების კრიტერიუმები ძირითადად განპირობებულია დაავადებათა მნიშვნელოვანებითა და სამედიცინო ოპერაციის ბენეფიციართა დაბალი სოციალური ან სპეციფიკური სოციალური სტატუსით. ტრანსსექსუალ ადამიანთა მიერ სქესის კვლავმინიჭების ოპერაცია მისი მაღალი სოციალური მნიშვნელოვანების მიუხედავად არ არის წარმოდგენილი არცერთ სამართლებრივ აქტში. საქართველოში არსებული სიღარიბის და უმუშევრობის დონის გათვალისწინებით, ბევრისათვის სქესის კვლავმინიჭებისათვის აუცილებელი პროცედურებისათვის საჭირო ხარჯები, რაც ჯამურად 19900 ლარს შეადგენს, შეიძლება ფინანსურად ხელმიუწვდომელი იყოს.⁴⁵

სავალდებულოა შეუქცევადი სტერილიზაციის, ჰორმონალური მკურნალობის და წინასწარი ქირურგიული პროცედურების გავლა, რათა პირმა ახალი პირადობის დამადასტურებელი საბუთების მიღება შეძლოს. სქესის კვლავმინიჭების პროცედურის სრულად გავლის შემთხვევაში, პირს გააჩნია უფლება ოფიციალურ დოკუმენტებში შეცვალოს მონაცემები სქესის შესახებ.⁴⁶ თუმცა, შეუძლებელია უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის ხელახლა აღება, რომელშიც შეცვლილი სქესი იქნება მითითებული. შესაბამისი ნორმატიული აქტი კრძალავს უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის ნებისმიერი მიზეზით ხელმოწერა დატოვებას. ამან შეიძლება ტრანსგენდერ პირებს მნიშვნელოვანი პრობლემები შეუქმნას, განსაკუთრებით სამუშაოს ძიების პროცესში, თუკი მათ შესაბამისი განათლების დადასტურება დასჭირდათ.

მეტიც, ახალ პირადობის მოწმობებში მითითებულია სქესი, რაც კიდევ უფრო ამძიმებს ტრანსგენდერი პირების მდგომარეობას, განსაკუთრებით იმ ადამიანებისას, ვინც ტრანზიციის პროცესში იმყოფება (პროცედურას სულ მცირე ორი წელი სჭირდება).⁴⁷

როგორც ჩანს, საქართველოს მთავრობას უახლოეს მომავალში ტრანსგენდერი პირების პრობლემების მოგვარების არავითარი გეგმები არ გააჩნია.

რთულია იმის თქმა, მიეცემა თუ არა ტრანსგენდერ პირებს სქესის კვლავმინიჭების ოპერაციის შემდეგ ქორწინების ნებართვა. თეორიულად, კანონმდებლობის დონეზე ამისათვის არანაირი დაბრკოლებები არ უნდა არსებობდეს. თუმცა, პრაქტიკაში ასეთი შემთხვევა არ ყოფილა.

44 საქართველოს მთავრობის 77-ე დადგენილება „2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“. 15.02.2011. https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=1208699

45 ტრანსგენდერთა საჭიროებების კვლევის მასალები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში. ორგანიზაცია „იდენტობა“. 2012

46 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საპასუხო წერილი, N.26948, თარიღი: 26.06.2012.

47 საქართველოში ლბტ ქალთა მდგომარეობის ამსახველი ჩრდილოვანი ანგარიში CEDAW კომიტეტისათვის. „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“. WISG. თბილისი, 2012. გვ.27. იხ: <http://women.ge/wp-content/uploads/2012/05/WISG-LBT-CEDAW-shadow-report-geo.pdf>

V. დასაქმება

დანართის V ნაწილი მოითხოვს წევრი სახელმწიფოებისაგან უზრუნველყონ ეფექტური დაცვა სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციისაგან დასაქმების სფეროში; ეს მოიცავს დისკრიმინაციის ამკრძალავ კანონმდებლობას, დისკრიმინაციასთან ბრძოლის სხვა პოლიტიკურ მექანიზმებს და კონკრეტულ ზომების მიღებას შეიარაღებულ ძალებთან მიმართებაში. იგი აგრეთვე მოითხოვს წევრი სახელმწიფოებისაგან დასაქმების სფეროში ტრანსგენდერი პირების პრივატულობის დაცვას.

„საქართველოს შრომის კოდექსი“ ამკრძალავს დისკრიმინაციას სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის საფუძველზე. ეს შესწორება 2006 წელს იქნა მიღებული და დადებითად უნდა შეფასდეს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს აკრძალავს ძალაში შედის მხოლოდ მას შემდეგ, რაც პირი უკვე დასაქმებულია და არ ეხება შერჩევის ან დაქირავების პროცესს. ეს ხარვეზები კანონმდებლობის სუსტ მხარეს წარმოადგენს და აუცილებელია მათი დაუყოვნებლივ გამოსწორება. მომავალი მთავრობა (რომელიც ჯერ არ დაკომპლექტებულია 1 ოქტომბერს ჩატარებული უკანასკნელი საპარლამენტო არჩევნების შემდეგ) საჯაროდ აცხადებს, რომ შრომით კანონმდებლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევა; თუმცა, არ არის ცხადი, შეეხება თუ არა ეს ცვლილებები აგრეთვე ანტიდისკრიმინაციულ მუხლებს.

გენერალური პროკურატურის შინაგანანესი, რომელიც თანამშრომლებს სექსუალური ძალადობისაგან იცავს, შეიძლება მოყვანილი იქნას, როგორც პოზიტიური პრაქტიკის მაგალითი.

სქესის კვლავმინიჭების ოპერაციის შემდეგ უმაღლესი განათლების დიპლომის ხელმოწერა მიღების შეუძლებლობა ტრანსგენდერი პირების პრივატულობის დაცვას დასაქმების სფეროში შეუძლებელს ხდის.

ინფორმაცია ტრანსგენდერი პირების შესახებ შეიარაღებულ ძალებში არ არის ხელმისაწვდომი, რადგან თავდაცვის სამინისტრომ არ უპასუხა „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ წერილს.⁴⁸

Case #W32. სამსახურიდან გათავისუფლება გენდერული იდენტობის საფუძველზე

ტრანსგენდერი (MtF), 21 წლის

ამონარიდი ინტერვიუდან: „2010-2011 წელს ბარმენად ვმუშაობდი კაფეში. უფროსს და თანამშრომლებს ქონდათ ჩემდამი კარგი დამოკიდებულება. მათ იცოდნენ ჩემი იდენტობის შესახებ. მეორე წელს გადავწყვიტე ჩემი იდენტობა უფრო საჯარო გამეხადა საზოგადოებაში და ჩემი უფლებები დამეცვა თავისუფლად. ჩემი ინიციატივით შევხვდი ჟურნალისტს. ჩემი ფოტო დაიბეჭდა ჟურნალის ყდაზე, რითაც ძალიან ბედნიერი ვიყავი. თუმცა, კაფის მენეჯერმა გამათავისუფლა, იმ მოტივით, რომ კაფეში ძალიან ბევრი ადამიანი დადის და მათ ექნებოდათ ჩემს მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება. მე ვიყავი ძალიან ცუდ პირობებში. მქონდა ფინანსური პრობლემები და ლამის პროსტიტუციის მსხვერპლი გავხდი... საბედნიეროდ დედა დამეხმარა... მაგრამ, საკვების გარდა, სხვა რაღაცეებიც სჭირდება ადამიანს... ასე რომ, ღრმა დეპრესიაში ვიყავი... მე შემეძლო ჩემი უფლებების თავისუფლად დაცვა, მაგრამ არ ვიცოდი რა გამეკეთებინა...“⁴⁹

VI. განათლება

დანართის VI ნაწილი მოითხოვს წევრი სახელმწიფოებისაგან, რომ განათლების უფლება ყველასათვის ხელმისაწვდომი იყოს სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის გარეშე. მათ შორის უნდა იქნას მიღებული ზომები ჩაგვრისაგან და სოციალური გარიყვისაგან დასაცავად; ეს მოიცავს თანასწორობისა და უსაფრთხოების პოლიტიკას, ქცევის კოდექსებსა და თანამშრომელთა თრეინინგების პროგრამებს, ისევე, როგორც სკოლებში ურთიერთშემწყნარებლობისა და პატივისცემის დამკვიდრებისათვის ზომების მიღებას, სასკოლო პროგრამებში და საგანმანათლებლო მასალებში ობიექტური ინფორმაციის შეტანას, ლგბტ მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის სპეციალური ინფორმაციის მიწოდებასა და მხარდაჭერას, ტრანსგენდერი სტუდენტების სპეციალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ზომების მიღებას.

⁴⁸ თავდაცვის სამინისტრომ არ უპასუხა „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ წერილს.

⁴⁹ ლგბტ ადამიანთა მდგომარეობა საქართველოში. „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“ (WISG). თბილისი, 2012. კვლევის მასალები. I.4 7(1)

საქართველოს კანონმდებლობით განათლების სფეროში დისკრიმინაცია აკრძალულია და განათლებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობა აღიარებულია როგორც დაწყებით და საშუალო, ასევე უმაღლეს სასწავლო სისტემებში.⁵⁰ თუმცა, პრაქტიკა კანონის ყოველთვის არ შეესაბამება.

სკოლებსა და უნივერსიტეტებში ლგბტ პირების მიმართ არსებული დამოკიდებულება ასახავს საზოგადოებაში არსებულ ტენდენციებს და იმ ტრადიციული სტიგმების, ტაბუებისა და ფასეულობების ძლიერი ზეგავლენის ქვეშ იმყოფება, რომელთაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მხარს უჭერს.⁵¹ თუმცა, საქართველოს სკოლებში მოსწავლეების მიერ ერთმანეთის ჩაგვრა საქართველოში გავრცელებულ პრობლემას წარმოადგენს,⁵² განათლების სამინისტრო არ ცდილობს ამ საკითხის შესწავლას და არ გააჩნია პრობლემის მასშტაბების და ხასიათის შესწავლისა და აღმოფხვრის გეგმა. სავარაუდოდ, სახელმძღვანელოები დისკრიმინაციულ მასალებს შეიცავენ; თუმცა, ამის გადანეყვით მტკიცება რთულია, რადგან ამ მიმართულებით კონკრეტული კვლევა არ განხორციელებულა. სკოლებსა და უმაღლესი განათლების დაწესებულებებში არ ხორციელდება სპეციალური პროგრამები (ცნობიერების ამაღლების, ფსიქოლოგიური კონსულტირების და ა.შ.), რომლებიც ლგბტ მოსწავლეების/სტუდენტების საჭიროებების დაკმაყოფილებაზე იქნებოდა ორიენტირებული.

პოზიტიური მაგალითია 2011 წლის „სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის“ პროექტი, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს სახელმწიფოს ვალდებულებებს ლგბტ ახალგაზრდების მიმართ: „სახელმწიფო მოახდენს სკოლებში და უმაღლესი განათლების დაწესებულებებში სათრეინინგო პროგრამების ორგანიზებას ადამიანის უფლებების, მათ შორის ეთნიკური, რელიგიური და სექსუალური უმცირესობების უფლებების დაცვის თემებზე.“⁵³ თუმცა, უცნობია, როდის დასრულდება ამ დოკუმენტის მიღება, როგორია მისი განხორციელების კონკრეტული გეგმა და დროითი ჩარჩოები, რა ინსტრუმენტები იქნება გამოყენებული მის განსახორციელებლად და ა.შ.

უნდა აღინიშნოს, რომ განათლების სამინისტრომ საერთოდ უპასუხოდ დატოვა „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ მიერ გაგზავნილი შეკითხვები და არ გამოაგზავნა წერილობითი ანგარიში მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის განხორციელების პროცესში მიღწეული პროგრესის თაობაზე.

Case #W38. ბულინგი სკოლასა და ქუჩებში

მამაკაცი, ჰომოსექსუალი, ასაკობრივი ჯგუფი 16-18.

ამონარიდი ინტერვიოდან: „სკოლაში ხშირად დამცინიან ჩემი მანერების გამო. ხშირად მოუძახებიან ჩემთვის „პიდარასტო“; შეუგინებიათ... დამცინიან – ხან ჩანთას შემოიღებენ, ხან სკამს გამოიმინვენ... შარშან (2011) ზამთარში, სკოლიდან რომ გამოვდიოდი, ჩემმა სკოლელებმა დამიძახეს და „პაღიეზდში“ შემიყვანეს. დამცინავად მელაპარაკებოდნენ, ხელით მეხებოდნენ. მერე ჩანთა გადამიგდეს. ერთ-ერთმა ნიხლიც ამომარტყა. მერე შემეშენენ... 2011 წლის ზამთარში, სკოლის დერეფანში, შესვენების დროს, რამდენიმე ბიჭმა დაცინვა დამიწყო. სიტყვიერ შეურაცხყოფას მაყენებდნენ. როდესაც შევეპასუხე, რამდენჯერმე გამარტყეს ხელი სახეში.“⁵⁴

2011 წლის გაზაფხულზე ჩემმა უბნელებმაც გაიგეს, რომ გეი ვარ და მთელ უბანს მოსდეს ჩემი „პედერასტობის“ ამბავი. მთელი უბანი დამცინოდა და ხშირად მაყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას თუ ერთად მყოფებს შეეხვებოდნენ. ერთხელ „მარშუტკით“ მოვდიოდი. როცა იმ ადგილს მივუახლოვდი, სადაც ჩემი უბნელები იდგნენ, დამინახეს და ხმამაღლა მომადახეს „შე პიდარასტო“. თან ცემით დამემუქრნენ...

ზაფხულში, ჩემი უბნის ბაღში ვიჯექი ჩემს მეგობართან ერთად. ჩემი უბნელები მოვიდნენ და დამიწყეს დაცინვა. ერთ-ერთი ვითომ თვითონაც გეი იყო და მე დამცინოდა მანერებით. მერე ვითომ ჩემს კოცნას

50 საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“

51 კვლევა ჰომოფობიის, ტრანსფობიის და სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის შესახებ. სოციოლოგიური ანგარიში: საქართველო. COWI. 2010. პარაგრაფი .67. იხ: <http://www.coe.int/t/Commissioner/Source/LGBT/GeorgiaSociological-E.pdf>

52 მაგ. „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ ლგბტ პირები დისკრიმინაციის შესახებ კვლევის 16–18 წლის ასაკობრივი ჯგუფის ყველა მონაწილემ განაცხადა, რომ სკოლაში ბულინგის მსხვერპლი იყო.

53 პოლიტიკის მიმართულება: სპეციალური მხარდაჭერა და დაცვა. http://youth.gov.ge/?page_id=1158

54 ლგბტ ადამიანთა მდგომარეობა საქართველოში. „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“ (WISG). თბილისი, 2012. კვლევის მასალები. Q.13(1).

ცდილობდა. მე თავიდან ვიშორებდი. ამაზე დანარჩენები იცინოდნენ“.⁵⁵

Case #140b. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი: ჰომოფობიური ფსიქოლოგია სტუდენტებისთვის.

2012 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა ორგანიზაცია იდენტობას ერთ-ერთი ლექტორის მიერ გაკეთებული ჰომოფობიური განხადებების თაობაზე მიმართა. ფსიქოლოგიის ლექცი-აზე, ლექტორი „არაჯანსაღი გადახრების მქონე“ პირებად მოიხსენიებდა ლგბტ ადამიანებს. ორგანიზაცია „იდენტობის“ წარმომადგენელს, რომელიც ინფორმაციის დასაზუსტებლად პირადად შეხვდა პროფესორს, (ნუგზარ ბაინდურაშვილი თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტი-პროფესორია, რომელიც ფსიქოლოგიის მიმართულების სტუდენტებისთვის კითხულობს განვითარების ფსიქოლოგიის, ძნელად აღსაზრდელ ბავშვთა ფსიქოლოგიისა და ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის სალექციო კურსებს). ლექტორმა განუცხადა: „ხშირად ასეთი არანორმალური ორიენტაციის მქონე ადამიანები ბავშვობაშივე ავლენენ საეჭვო სიმპტომებს. ამ შემთხვევაში მშობლებს დიდი ყურადღება მართებთ, რომ არ გამოეპაროთ ეს ნიშნები და რაც შეიძლება, სწრაფად გაუწიონ ბავშვს დახმარება.

არ არსებობს დაავადების ჩამოყალიბება ისე, რომ სიმპტომები არ გამოუვლინდეს. მშობელი ყურადღებით უნდა იყოს სწორედ ამ სიმპტომების მიმართ და შეეცადოს სათანადო დახმარება დროულად აღმოუჩინოს შვილს. მათი საბოლოო გადაწყვეტილება მხოლოდ ღმერთის ნებაა, ამის გარანტიას ვერავინ მოგცემს, მაგრამ ჩვენ მაინც უნდა ვცადოთ ბედი. მაგალითად, ფსიქოკორექცია შეიძლება ეფექტური აღმოჩნდეს. უნდა უმკურნალო მანამდე, სადამდეც შეიძლება. ჩვენ მაქსიმალურად უნდა ვცადოთ ყველაფერს და არ შეიძლება დახმარებაზე უარი ვთქვათ იმის შიშით, რომ მკურნალობა არაეფექტური აღმოჩნდება. ვერ მივუშვებთ ასეთ ადამიანებს თავის ნებაზე.“

ორგანიზაცია „იდენტობამ“ ღია წერილით მიმართა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, მოთხოვნით რომ რეაგირება მოეხდინათ უნივერსიტეტის ლექტორის საჯარო ჰომოფობურ განცხადებებზე, თუმცა, ადმინისტრაციას წერილზე პასუხი არ გაუცია.⁵⁶

VII. ჯანდაცვა (ტრანსგენდერებთან დაკავშირებული საკითხების გარდა)⁵⁷

დანართის VII ნაწილის ეს პარაგრაფები მოითხოვენ ნევრი სახელმწიფოებისაგან იმის უზრუნველყოფას, რომ ჯანდაცვის სისტემაში არსებული უმაღლესი სტანდარტის მომსახურება ყველასათვის ერთნაირად იყოს ხელმი-საწვდომი და ამ პროცესში არ არსებობდეს დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენ-ტობის საფუძველზე. შემოთავაზებული ზომები მოიცავენ ლგბტ პირების სპეციალური საჭიროებების გათვალ-ისწინებას ჯანდაცვის ეროვნული გეგმების შემუშავების პროცესში; მათ შორის: თვითმკვლელობის პრევენციის ზომებს, ჯანმრთელობის მდგომარეობის კვლევებს, სასწავლო და სათრეინინგო კურსებს, პაციენტებისათვის თავისი „უახლოესი ნათესავების“ დისკრიმინაციის გარეშე დასახელების უფლებას, ისეთი სახელმძღვანელოე-ბის და სხვა დოკუმენტების ხმარებიდან ამოღებას, რომლებიც ჰომოსექსუალობას განსაზღვრავენ როგორც ავადმყოფობას და იმის უზრუნველყოფას, რომ არავინ იქნას იძულებული გაიაროს სამედიცინო მკურნალობა მხოლოდ თავისი სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის გამო.

პაციენტების, მათ შორის სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფი პაციენტების დისკრიმინაცია, სხვა მიზეზებთან ერთად, მათი სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე, პირდაპირაა აკრძალული კანონით.⁵⁸ თუმ-ცა, ლგბტ პაციენტები ხშირად აცხადებენ, რომ სამედიცინო პერსონალი მათ მიმართ ჰომოფობიურ დამოკიდე-ბულებას ამჟღავნებს და ხშირად მათ ჰომოსექსუალობისაგან მკურნალობის კურსის გავლას სთავაზობენ.⁵⁹

⁵⁵ ლგბტ ადამიანთა მდგომარეობა საქართველოში. „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“ (WISG). თბილისი, 2012. კვლევის მასალები. Q.13(2).

⁵⁶ თსუ: ჰომოფობიით ნასწავლი ფსიქოლოგია. ID mag. 01.25.2012. <http://identoba.ge/7606>

⁵⁷ იხ. ნაწილი v ზემოთ.

⁵⁸ საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“; საქართველოს კანონი „საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესახებ“.

⁵⁹ საქართველოში ლგბტ ქალთა მდგომარეობის ამსახველი ჩრდილოვანი ანგარიში CEDAW კომიტეტისათვის. „ქალთა ინიცია-

პოზიტიურ სიახლეს წარმოადგენს ჯანდაცვის სამინისტროს გეგმა, რომელიც გულისხმობს ცვლილებების შეტანას პოსტ-სადიპლომო სასწავლო პროგრამებში ცვლილებების შეტანასა და შეცვლასთან დაკავშირებით, რათა უზრუნველყოს, რომ ჰომოსექსუალობა აღარ განიხილებოდეს როგორც დაავადება.⁶⁰

ლგბტ ჯგუფების კონკრეტული საჭიროებები არ არის გათვალისწინებული არც სახელმწიფო სამოქმედო გეგმებში, არც სახელმწიფოს ამჟამად არსებულ ჯანდაცვის სტრატეგიაში⁶¹ და არც ამ სფეროში მიმდინარე რაიმე კვლევებში. ასევე, არ არსებობს თვითმკვლელობის პრევენციის პროგრამები.

პაციენტებს არ აქვთ უფლება თავისი შეხედულებისამებრ დაასახელონ „უახლოესი ნათესავი“, რადგან კანონი ასეთი პირების ამომწურავ ჩამონათვალს განსაზღვრავს.

ბლანკეტური აკრძალვა ჰომოსექსუალებს სისხლის დონორობას უკრძალავს.⁶²

16 წლამდე პაციენტებს შეუძლიათ გაიარონ სამედიცინო მკურნალობა მხოლოდ მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით, გარდა შემთხვევებისა, როდესაც თავად არასრულწლოვანი მოითხოვს კონფიდენციალურობის დაცვას.

2012 წლის 8 ივნისს შემოთავაზებული იქნა ახალი შესწორებები საქართველოს კანონში „ჯანდაცვის შესახებ“ (N07-3/639; 08.06.12), რომლის მიხედვითაც სუროგატი მშობლის დახმარების მიღების უფლება ექნებათ მხოლოდ უშვილო წყვილებს, რომლებიც იმყოფებიან რეგისტრირებულ ქორწინებაში, მაგრამ უნაყოფო არიან.⁶³

Case #W34a. სამედიცინო პერსონალის მხრიდან მომსახურებაზე უარის თქმა

ტრანსგენდერი (MtF), 27 წლის.

ამონარიდი ინტერვიუდან: „ტრანსექსუალის ცნობის აღება რომ დამჭირდა, კლინიკაში, თავად სპეციალისტები, სექსოლოგი იქნებოდა თუ ფსიქოლოგი, ძალიან კარგი რეაქციებით მხედებოდა აბსოლუტურად ყველა. მაგრამ, ანალიზებზე რომ მივდიოდი... როგორც კი გაიგებდნენ, რომ ტრანსი ვიყავი, საშინელება ხდებოდა... ანალიზების ნაწილი ჟორდანიაში კლინიკაში გავიკეთე. ზოგი ექიმი ნორმალურად შემხვდა, თბილადაც დამელაპარაკა, მაგრამ ზოგადად... ფაქტიურად ძალიან ცუდ სიტუაციაში აღმოვჩნდი... შეურაცხყოფების კორიანტელი მომაყენეს... საბოლოო ჯამში რო დავფიქრდი, მთლად შეურაცხყოფაც არ იყო... ძალიან განიცდიდა ის (ერთ-ერთი ექიმი) ადამიანი ამ ყველაფერს... „ჩემი შვილი რომ ასეთ მდგომარეობაში ყოფილიყო არ ვიცი რას ვიზამდიო“... და რას იზამდით-მეთქი, ვკითხე: მოკლავდით, სახლიდან გააგდებდით-მეთქი? იქ იყო შეურაცხყოფელი რაღაცეებიც, უბრალოდ არ მინდა ახლა აღვნიშნო... ესეთ ცუდ რაღაცეებს ჩემი ცხოვრებიდან ყოველთვის ვიღებ, როგორც კომპიუტერში შეგიძლია – ნაგვის ურნაში ვყრი და ვასუფთავებ, რომ არ დავიზაფრო ხოლმე ზედმეტი პრობლემებით...“⁶⁴

Case #W34. ჰომოფობიური დამოკიდებულება სამედიცინო მომსახურებისას

მამაკაცი, ჰომოსექსუალი, ასაკობრივი ჯგუფი 18-25

2011 წლის იანვარში, ერთ-ერთ სტომატოლოგიურ კლინიკაში ექიმმა, რომელთანაც რამდენიმე თვის განმავლობაში მკურნალობდა, უარი უთხრა მომსახურებაზე მას შემდეგ, რაც ერთხელ ვიზიტზე „განსხვავებული“ იმიჯით მივიდა. ამის შემდეგ, ექიმმა აღარ მიიღო, არც ჩატარებული მკურნალობის ფული

ტივების მხარდამჭერი ჯგუფი“. WISG. თბილისი, 2012. გვ.17. იხ: <http://women.ge/wp-content/uploads/2012/05/WISG-LBT-CEDAW-shadow-report-geo.pdf>

60 საქართველოს შრომის, ჯანდაცვის და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს საპასუხო წერილი. N.01/27507, თარიღი: 15.05.2012

61 საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის 2011-2015 წწ. სახელმწიფო სტრატეგია. http://www.healthrights.ge/wp-content/uploads/2012/05/jandacva_GEO.pdf

62 მინისტრის ბრძანება, რომელმაც შექმნა მისი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრების აუცილებლობა

63 <http://chairman.parliament.ge/index.php?option=com-content&view=article&id=1603:2012-07-12-06-31-59&catid=136:prs&lang=en&Itemid=0>

64 ლგბტ ადამიანთა მდგომარეობა საქართველოში. „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“ (WISG). თბილისი, 2012. კვლევის მასალები. I.45(2)

გამოართვა და აღარ პასუხობდა მის სატელეფონო ზარებს.⁶⁵

Case #I36. სამედიცინო უნივერსიტეტის ფსიქიატრული განყოფილების უფროსი ჰომოსექსუალობას აღწერს როგორც „ანომალიას“

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფსიქიატრიის მიმართულების ხელმძღვანელი, თეიმურაზ სილაგაძე, ამბობს, რომ მართალია, ჰომოსექსუალობა ამოღებულია ფსიქიკური დაავადებების ჩამონათვლიდან ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ, ლგბტ ადამიანები მაინც განსაკუთრებული შემთხვევებს წარმოადგენენ, როგორც განსხვავებული ქცევის მქონე პირები:

„საერთოდ, ეს სახელების ცვლილება ჩვეულებრივი მოვლენაა: როცა რამე ტერმინი ნეგატიურ დატვირთვას იძენს და სალანძღავ სიტყვად იქცევა, მაშინ ვცდილობთ ხოლმე, ის შევცვალოთ. ასე იყო ადრე, მაგალითად, ტერმინები: ფსიქოპათი, იდიოტი, დებილი, გონებაჩლუნგი, რომლებიც ჩვეულებრივ იხმარებოდა სამედიცინო დიაგნოზად. ახლა ეს ტერმინები შეცვლილია და უფრო რბილი, ლოიალური ტერმინებით მივმართავთ ამ ტიპის პაციენტებს. თუმცა, თავად ფაქტი ფაქტად რჩება და სახელების გადარქმევა-გამარტივებით ისინი ნაკლებად მძიმე დაავადებები არ ხდებიან.

თუ რაღაც 20 საუკუნეზე მეტის განმავლობაში ანომალია იყო, ახალი სახელის დარქმევით ვერ შეცვლი ამ ფაქტს. ეს ხალხი (ლგბტ ადამიანები) არღვევს იმ ჰარმონიას, რაც ღმერთმა შექმნა. მთავარია ის, რომ ოჯახი იყოს ჰარმონიული. ცხოველებიც კი, ყველა სულიერი არსება დედამიწაზე, განსხვავებული სქესის პრინციპით არიან შექმნილები. სხვა შემთხვევაში მათ გამრავლების საშუალება არ ექნებათ“.⁶⁶

Case #W37. ლგბტ ადამიანების იძულებითი მკურნალობა

ამონარიდი „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ სექსოლოგის ინტერვიუდან:⁶⁷

“ჩვენთან ძირითადად ის ადამიანები ხვდებიან, ვისაც უკვე გაცნობიერებული აქვთ თავიანთი სექსუალური იდენტობა და მიღებული აქვთ სქესის ქირურგიული გზით შეცვლის გადაწყვეტილება. ამ ბოლო 2-3 წელიწადში მქონდა შემთხვევა, როცა მშობელი დამიკავშირდა და შვილის განკურნებას მთხოვდა. შვილს კი სულ სხვა რამ სურს... ერთი პაციენტი მასხენდება, FTM, რომელიც პირდაპირ ეუბნებოდა დედამისს, რომ ბიჭი ვარ და გამანებეთ თავიო. დედა ატარებდა ექიმებთან, ენდოკრინოლოგიურ გამოკვლევებს უტარებდა. ის უკვე 25 წლის იყო, გარკვეული ჰქონდა რომ არის გენდერულად მამაკაცი და ჰყავდა ცოლი, რომელთანაც სრულ ჰარმონიაში ცხოვრობდა, ჰქონდა აბსოლუტურად ჩამოყალიბებული სექსუალური რეპერტუარი და დედამისის ამ საუბარზე უბრალოდ ეცინებოდა, მაგრამ მაინც რატომღაც ნებდებოდა. უფრო სწორედ, იმიტომ, რომ არ ქონდა ფინანსური შესაძლებლობა, რომ თავი ან ცოლი ერჩინა. ამიტომ იძულებული იყო რაღაც დათმობებზე წასულიყო, წაჰყოლოდა დედამისს ექიმთან, რაღაცა გამოკვლევები ჩაეტარებინა და აი, ასე... ფინანსური ამბების გამო...“.

VIII. საცხოვრებელი

დანართის VIII ნაწილი მოითხოვს წვერი სახელმწიფოებისაგან სათანადო საცხოვრებლის უფლებით სარგებლობის უზრუნველყოფას სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის გარეშე. ეს უნდა განხორციელდეს ისეთი ზომების გამოყენებით, როგორებიცაა: საცხოვრებლის გაყიდვისას ან გაქირავებისას, საცხოვრებლის შესაძენად სესხის აღებისას, მაცხოვრებლის პარტნიორის უფლებების აღიარებისა და საცხოვრებლის სასამართლო დავის მეშვეობით დაბრუნების პროცესში დისკრიმინაციისაგან დაცვა; აგრეთვე მესაკუთრისა და მაცხოვრებლისათვის სათანადო ინფორმაციის მიწოდება და თავშესაფრის და საგანგებო მდ-

65 ლგბტ ადამიანთა მდგომარეობა საქართველოში. „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“ (WISG). თბილისი, 2012. კვლევის მასალები. Q.108.

66 ჰომოსექსუალობის აღქმა საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში. IDmag.

67 საქართველოში ლგბტ ქალთა მდგომარეობის ამსახველი ჩრდილოვანი ანგარიში CEDAW კომიტეტისათვის. კვლევის მასალები. WISG. 2012. ინტერვიუ მაია ჭავჭავაძესთან. „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“, სექსოლოგი 6.10.2011.

გომარეობისას საცხოვრებლის ხელმისაწვდომობა დისკრიმინაციის გარეშე, ისევე, როგორც ლგბტ პირების უსახლკაროების რისკის აღმოფხვრა, მათ შორის სახლიდან ოჯახის მიერ გაგდებული ახალგაზრდების მიმართ.

საქართველოს კონსტიტუცია საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერად მყოფი ყველა პირისათვის უზრუნველყოფს გადაადგილების თავისუფლებას და ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლებას.⁶⁸

თუმცა, იყო შემთხვევები, როდესაც ლგბტ პირებს უარი ეთქვათ საცხოვრებლის დაქირავებაზე მათი სტატუსის გამო. ასეთი დისკრიმინაციის შემთხვევებში არ არსებობს რაიმე სამართლებრივი კომპენსაციის მექანიზმები, რადგან სახელმწიფო არ ერევა კერძო ურთიერთობებში მესაკუთრეებსა და პოტენციურ დამქირავებლებს შორის.

ლგბტ პირებს ხშირად ემუქრებათ უსახლკაროების საფთხე, თუკი მათი ოჯახი შეიტყობს მათი სექსუალური ორიენტაციის შესახებ. არ არსებობს რაიმე სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ასეთ პირებს დროებითი საცხოვრებლის მოძებნაში დაეხმარებოდა ან ამ პრობლემას სხვაგვარად გადაჭრიდა. საქართველოში არსებობს რამოდენიმე თავშესაფარი კონკრეტული ჯგუფებისათვის (მაგალითად მოხუცებულთათვის), მაგრამ არ არსებობს თავშესაფარი ლგბტ პირებისათვის.

Case #W39. საცხოვრებელზე უარის თქმა

მამაკაცი, ბისექსუალი, ასაკობრივი ჯგუფი 16-18

2011 წელს მშობლებთან კონფლიქტის გამო სახლიდან წასვლა და მეგობართან ერთად ბინის დაქირავება გადანყვიტა. ბინის მესაკუთრემ ეჭვი აიღო, რომ გეები იყვნენ და აგრესიულად მიმართა. უთხრა, რომ ასე ჩაცმულ მამაკაცებზე ბინას არ გააქირავებდა, რომ მათ გამო მთელი ახალგაზრდობა გაირყვნა... კიბიდან დაგორებითაც დაემუქრა თუ სწრაფად არ დატოვებდნენ მის ბინას...⁶⁹

IX. სპორტი

დანართის IX ნაწილი მოითხოვს წვერი სახელმწიფოებისაგან სპორტის სფეროში სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდეტობის საფუძველზე დისკრიმინაციასთან ბრძოლას. ეს უნდა მოხდეს დისკრიმინაციისაგან დაცვის ზომების გატარების, სპორტული ორგანიზაციების ქცევის კოდექსების შემუშავების, ლგბტ ორგანიზაციებსა და სპორტულ კლუბებს შორის პარტნიორობის წახალისების, ანტიდისკრიმინაციული კამპანიების და ტრანსგენდერი პირების სპორტული ცხოვრებიდან გარიყვის აღმოფხვრის გზით.

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროდან „ქალთა ინიციატივების მარდამჭერ ჯგუფს“ შეატყობინეს, რომ არაფერი სმენიათ საქართველოში სპორტის სფეროში ლგბტ პირების დისკრიმინაციის შესახებ. თუმცა, „ქალთა ინიციატივების მარდამჭერ ჯგუფს“ დაფიქსირებული აქვს რამოდენიმე ასეთი შემთხვევა, რომელიც ააშკარავებს სპორტის სფეროში ლგბტ პირების დისკრიმინაციის ფაქტებს.

სამინისტრომ საპასუხო წერილში დაადასტურა, რომ გმოზენ ნებისმიერი ტიპის დისკრიმინაციას, თუმცა, WISG-ის მიერ გაგზავნილ სხვა კონკრეტულ შეკითხვებზე სხვა ინფორმაცია არ წარმოუდგენია.

Case #W33. შეურაცხყოფა სპორტული ღონისძიების დროს

ლესბოსელი, 18 წლის

2010 წლის 28 ივნისი. რესპოდენტი მონაწილეობას იღებდა სპორტულ ღონისძიებაში („მხიარული სტარტები“), როდესაც დარბაზიდან ვილაცამ შეაგინა: „ამ ლესბიანკის დედა...“. ღონისძიების დასრულების შემდეგ, რესპოდენტი თავად შეეცადა სიტუაციის დარეგულირებას, რომლის დროსაც ერთ-ერთმა მათგანმა სილა გაარტყა. პოლიციისთვის არ მიუმართეს, რადგან შეეშინდა პოლიციის მხრიდან ჰომოფობიური რეაქციის.⁷⁰

68 საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 22, ნაწილი 1-ლი

69 ლგბტ ადამიანთა მდგომარეობა საქართველოში. „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“ (WISG). თბილისი, 2012. კვლევის მასალები. Q.32.

70 ლგბტ ადამიანთა მდგომარეობა საქართველოში. „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“ (WISG). თბილისი, 2012. კვლევის მასალები. Q.74(3).

X. თავშესაფრის ძიების უფლება

დანართის X ნაწილი მოითხოვს წევრი სახელმწიფოებისაგან (თუკი მათ გააჩნიათ საერთაშორისო ვალდებულებები ამ კუთხით), აღიარონ სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის საფუძველზე სამართლებრივი დევნის კარგად დასაბუთებული საფრთხე, როგორც ლტოლვილის სტატუსის მინიჭების საკმარისი მიზეზი და უზრუნველყონ, რომ თავშესაფრის მაძიებლები არ იქნან დაბრუნებული ქვეყანაში, სადაც მათ სიცოცხლეს ან თავისუფლებას საფრთხე დაემუქრება, ან სადაც მათ ელით წამება, დამაცირებელი მოპყრობა ან დასჯა სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის გამო. აგრეთვე მოითხოვს, რომ თავშესაფრის მაძიებლები დაცულები იყვნენ ნებისმიერი დისკრიმინაციული პოლიტიკისაგან ან პრაქტიკებისაგან და რომ თავშესაფრის მოთხოვნის განხილვაზე პასუხისმგებელ პირებს ჩაუტარდეთ თრეინინგები იმ კონკრეტული პრობლემების საკითხებზე, რომლებსაც თავშესაფრის მაძიებელი ლგბტ პირები აწყდებიან.

კონსტიტუციის 47-ე მუხლი იძლევა იმის გარანტიას, რომ საქართველოში მცხოვრებ უცხოელ და მოქალაქეობის არმქონე პირებს იგივე უფლებები და მოვალეობები გააჩნიათ, როგორც საქართველოს მოქალაქეებს, გარდა კონსტიტუციით და კანონმდებლობით განსაზღვრული გამონაკლისებისა.

საქართველოს კანონმდებლობა იცავს ადამიანებს იმ ქვეყანაში გაგზავნისაგან, სადაც მათ სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება. თავშესაფრის მაძიებლის დეპორტაცია აკრძალულია.

არ არსებობს იმის დამადასტურებელი რაიმე ფაქტი, რომ ლგბტ სტატუსის საფუძველზე სამართლებრივი დევნის კარგად დასაბუთებული საფრთხე არ ჩათვლილიყო საკმარის მიზეზად თავშესაფრის ან ლტოლვილის სტატუსის მისანიჭებლად.

„ქალთა ინციატივების მხარდამჭერი ჯგუფისათვის“ უცნობია თავშესაფრის/ლტოლვილის სტატუსის მაძიებლების განცხადებების განხილვაზე პასუხისმგებელი პირებისათვის ჩატარებული რაიმე სათრეინინგო პროგრამების შესახებ.

XI. ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტები

დანართის XI ნაწილი მოითხოვს წევრი სახელმწიფოებისაგან ადამიანის უფლებადამცველი ეროვნული სტრუქტურებისთვის სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის მკაფიო მანდატის მინიჭებას. კერძოდ, მათ უნდა შეეძლოთ კანონმდებლობის ან პოლიტიკის შესახებ რეკომენდაციების წარდგენა, ფართო საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე მუშაობა და, რამდენადაც ამას ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებს, ინდივიდუალური საჩივრების შესწავლა და სასამართლო პროცესებში მონაწილეობის მიღება.

ტრადიციულად, საქართველოს სახალხო დამცველები ლგბტ პირების უფლებების დიდ დამცველებად არ გვევლინებიან, თუმცა, 2012 წლიდან გარკვეული ცვლილებები შეინიშნება. სახალხო დამცველის სამსახურის განცხადებით, დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა მის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას და პრიორიტეტს წარმოადგენს.⁷¹

ეროვნული კანონმდებლობა სახალხო დამცველს ინდივიდუალური საჩივრების მიღების უფლებას აძლევს, თუმცა, სახალხო დამცველის განცხადებით, ლგბტ პირები მას იშვიათად მიმართავენ (სავარაუდოდ, ისინი შიშობენ, რომ თუკი მათი საქმის შესახებ ინფორმაცია გავრცელდება, მათი სექსუალური ორიენტაცია ან გენდერული იდენტობა ცნობილი გახდება მესამე მხარეთათვის, რომლებიც ამა თუ იმ გზით ინციდენტის გამოძიებაში მონაწილეობას მიიღებენ. მაგალითად: პოლიციისათვის, ოჯახის წევრებისათვის ან უფრო ფართო საზოგადოებისათვის).

მიუხედავად იმისა, რომ სახალხო დამცველი ახორციელებს ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართულ ღონისძიებებს საკუთარი თანამშრომლებისა და ზოგიერთი სამთავრობო სტრუქტურების თანამშრომლებისათვის, ფართო საზოგადოების დისკრიმინაციის აკრძალვის საკითხების გარშემო ცნობიერების ასამაღლებლად უფრო მასშტაბიანი კამპანიები არ განხორციელებულა და ა.შ.

⁷¹ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საპასუხო წერილი, N.706/04-11, თარიღი: 17.07.2012

სახალხო დამცველის სიტყვებით, იგი აქტიურად უწევდა ლობირებას უკანასკნელ ცვლილებებს, რომელთა მიხედვითაც დანაშაულის ჩადენისას ლგბტ საფუძველზე სიძულვილის მოტივი დამამძიმებელ გარემოებად იქცა.

სახალხო დამცველი გამოეხმაურა პარლამენტის ერთ-ერთი წევრის წინადადებასაც ერთსქესიანი ქორწინების საკონსტიტუციო აკრძალვის თაობაზე: „შემოთავაზებულ ცვლილებებზე არანაკლებ შემამოფოთებლად მიმაჩნია საპარლამენტო უმცირესობის ლიდერისა და მისი წევრების მიერ გაკეთებული განცხადებები, რომლებიც განმსჭვალული იყო ჰომოფობიური სულისკვეთებით. სამწუხაროდ, მათ მიერ გაკეთებული განცხადებების ნაწილი შეიცავდა სიძულვილის ენას, რომელიც მიმაჩნია რომ ხელს უწყობს საზოგადოებაში სტერეოტიპული წარმოდგენებისა და დისკრიმინაციული დამოკიდებულების ნახალისებას, რაც სექსუალური უმცირესობების შეურაცხყოფისა და საზოგადოებიდან გარიყვის საფრთხეს ქმნის. რამდენიმე დღის წინ, ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეს განვითარებული მოვლენების ფონზე ისეთი განცხადებების გაკეთება, რომელიც ჰომოსექსუალობას, „გახრწნილობასთან, გარყვნილობასთან და გაუკუღმართებულ წესთან“ ათანაბრებს, ხელს უწყობს საზოგადოებაში არასწორი სტერეოტიპების დამკვიდრებას და ახალისებს დისკრიმინაციას“.⁷²

იგი ხაზს უსვამს, რომ საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლები პასუხისმგებლები არიან არა მარტო თავიანთი მანდატის ფარგლებში, არამედ მათ აგრეთვე საზოგადოების წინაშე დიდი მორალური პასუხისმგებლობა ეკისრებათ: „საქართველოს კონსტიტუცია ჩვენს სახელმწიფოში იყო და არის უპირველესი გარანტი თანასწორუფლებიანობისა. მოვუწოდებ ყველა პოლიტიკურ ძალას, ცალკეულ პოლიტიკოსებს, სამოქალაქო საზოგადოებას, განსაკუთრებული ყურადღება და სიფრთხილე გამოიჩინონ, რათა მათ მიერ ან მათი მეშვეობით, სამომავლოდ არ მოხდეს ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაციული გამონათქვამებისა და სიძულვილის ენის ტირაჟირება“, ნათქვამია სახალხო დამცველის განცხადებაში.

საქართველოს სახალხო დამცველმა მკაცრად დაგმო 2012 წლის 17 მაისს გამართული IDAHO მსვლელობის დარბევის ფაქტიც: „საქართველოს სახალხო დამცველი დაუშვებლად მიიჩნევს შეუწყნარებლობის ნიადაგზე განხორციელებულ ნებისმიერ ძალადობრივ ქმედებას. მშვიდობიანი აქციის ჩატარების უფლებით სარგებლობისათვის სათანადო პირობების შექმნა სამართალდამცავი ორგანოების პოზიტიური ვალდებულებაა. მსგავსი მსვლელობის წინააღმდეგ ჩადენილი სამართალდარღვევა სწრაფ და ადეკვატურ რეაგირებას მოითხოვს. სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ აუცილებელია მსგავს შემთხვევებში სახელმწიფომ გაატაროს დროული და ეფექტური ღონისძიებები შეუწყნარებლობის ნიადაგზე განხორციელებული ქმედებების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით“.⁷³

XII. დისკრიმინაცია მრავალჯერადი ნიშნით

ამ საკითხებზე არ მოიპოვება არანაირი ინფორმაცია.

72 ომბუდსმენი ქრისტიან-დემოკრატების ჰომოფობიის წინააღმდეგ. თ. კუპრეიშვილი. ნეტგაზეთი. 22.05.2012. <http://www.net-gazeti.ge/GE/105/News/9908/>

73 საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება 2012 წლის 17 მაისის ღონისძიების შესახებ. 18.05.2010. <http://www.ombudsman.ge/index.php?page=1001&lang=1&id=1501>

V. დანართები

დანართი № 1. რეკომენდაცია CM/Rec(2010)5 ნევრი სახელმწიფოების მინისტრთა კომიტეტს

სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის წინააღმდეგ მიღებული ზომების შესახებ

(მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2010 წლის 31 მარტს მინისტრთა მოადგილეების 1081-ე შეხვედრაზე)

მინისტრთა კომიტეტი, ევროპის საბჭოს წესდების მე-15.ბ მუხლის ფარგლებში,

ითვალისწინებს რა, რომ ევროპის საბჭოს მიზანს წარმოადგენს მის წევრებს შორის მჭიდრო ერთიანობის მიღწევა და რომ აღნიშნული ერთიანობა შეიძლება მიღწეულ იქნეს მხოლოდ ადამიანის უფლებათა სფეროში საერთო მოქმედებით;

იხსენებს რა, რომ ადამიანის უფლებები უნივერსალურია და ვრცელდება ყველა ინდივიდზე და ხაზს უსვამს რა ვალდებულებას, უზრუნველყოს ყველა ადამიანის თანასწორობა და უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა, რომელიც დაცული იქნება ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაციისგან, როგორებიცაა სქესი, რასა, კანის ფერი, ენა, რელიგია, პოლიტიკური თუ სხვაგვარი შეხედულება, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობა, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილება, საკუთრება, დაბადების გარემოება ან ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით (შემდგომში „კონვენცია“) და მისი ოქმებით გათვალისწინებული სხვა სტატუსი;

აღიარებს რა, რომ სახელმწიფოების მიერ არადისკრიმინაციულ მოპყრობას და სადაც საჭიროა, სახელმწიფოების მიერ დისკრიმინაციული მოპყრობის წინააღმდეგ, მათ შორის არასახელმწიფოებრივი ერთეულების მიერ განხორციელებული დისკრიმინაციული მოპყრობის წინააღმდეგ, პოზიტიური ზომების გატარება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის საერთაშორისო სისტემის ძირეული კომპონენტებია;

აღიარებს რა, რომ ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი ადამიანები საუკუნეების განმავლობაში იყვნენ და დღესაც არიან ჰომოფობიის, ტრანსფობიისა და სხვა სახის შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის მსხვერპლი, მათ შორის მათსავე ოჯახებში, რაც გამოიხატება სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით განპირობებულ კრიმინალიზაციაში, მარგინალიზაციაში, სოციალურ გარიყვასა და ძალადობაში და რომ აღნიშნული ჯგუფის მიერ ადამიანთა უფლებებით სარგებლობის უზრუნველსაყოფად კონკრეტული მოქმედებებია საჭირო;

მხედველობაში იღებს რა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (შემდგომში „სასამართლო“) და სხვა საერთაშორისო სასამართლოების მიერ განხილულ საქმეებს, რომელთა თანახმად სექსუალური ორიენტაცია წარმოადგენს დისკრიმინაციისაგან დაცულ საფუძველს და რომელთა გადანეყვითლებებმაც დიდი როლი ითამაშეს ტრანსგენდერი ადამიანების უფლებების განმტკიცების საქმეში;

იხსენებს რა, რომ სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად, მოპყრობაში ნებისმერი სახის განსხვავება უნდა იყოს ობიექტური და გონივრულად გამართლებული, რაც გულისხმობს ლეგიტიმური მიზნის არსებობას და მიზნის პროპოციული საშუალებების გამოყენებას;

ითვალისწინებს რა, რომ სიძულვილის ენის ან დისკრიმინაციის, მათ შორის სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის სხვაგვარი ფორმის გამართლება დაუშვებელია როგორც კულტურული, ტრადიციული და რელიგიური ფასეულებებით, ასევე „დომინანტური კულტურის“ წესებით;

მხედველობაში იღებს რა, საორგანიზაციო კომიტეტებისა და ევროპის საბჭოს მთავრობათაშორის თანამშრომლობაში ჩართული სხვა კომიტეტების მიმართ მინისტრთა კომიტეტის მიერ ადამიანთა თანასწორი უფლებებისა და ღირსების, მათ შორის ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი პირების შესახებ 2008 წლის 2 ივლისს მიღებულ შეტყობინებასა და შესაბამის რეკომენდაციებს;

ითვალისწინებს რა, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შესახებ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეას მიერ 1981 წლიდან მიღებულ რეკომენდაციებს და „ლესბოსელების, გეების, ბისექსუალებისა და ტრანსგენდერი პირების შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ (2007) ევროპის საბჭოს რეგიონალური და ადგილობრივი ხელისუფლების კონგრესის 211-ე რეკომენდაციას;

მადლიერია რა, წევრ სახელმწიფოებში სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის საკითხში ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი პირების მდგომარეობის მონიტორინგისას ადამიანის უფლებათა კომისარის როლით;

მხედველობაში იღებს რა, გაეროს გენერალური ასამბლეას 66 სახელმწიფოს მიერ 2008 წლის 18 დეკემბერს მიღებულ საერთო განცხადებას, რომელმაც დაგმო სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით განხორციელებული ადამიანის უფლებათა დარღვევები, როგორებიცაა მკვლელობები, წამება, თვითნებური დაკავება და „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების, მათ შორის ჯანმრთელობის უფლების შეზღუდვა“.

ხაზს უსვამს რა, რომ სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე განხორციელებული დისკრიმინაცია და სოციალური გარიყვა შესაძლოა ყველაზე უკეთ დაიძლიოს ისეთი საშუალებებით, რომლებიც მიმართულია როგორც ასეთი დისკრიმინაციისა და გარიყვის მსხვერპლის, ასევე ზოგადად საერთო მოსახლეობის მიმართ;

რეკომენდაცია წევრ სახელმწიფოებს:

1. შეამოწმონ არსებული საკანონმდებლო და სხვა ზომები, გადახედონ მათ, შეაგროვონ და გაანალიზონ შესაბამისი მონაცემები, რათა მოხდეს სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე განხორციელებული პირდაპირი და არაპირდაპირი დისკრიმინაციის მონიტორინგი და მასზე რეაგირება;
2. საკანონმდებლო და სხვა ზომების მიღებითა და მათი ეფექტური იმპლემენტაციით ებრძოლონ დისკრიმინაციას სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიადაგზე, უზრუნველყონ ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი პირების ადამიანის უფლებების მიმართ პატივისცემა და ხელი შეუწყონ მათ მიმართ შემწყნარებლობას.
3. უზრუნველყონ დისკრიმინაციის მსხვერპლთა აღჭურვა ეფექტური სამართლებრივი დაცვის საშუალებების ცოდნით და მათი გამოყენების შესაძლებლობით ეროვნული ხელისუფლების დონეზე. ასევე უზრუნველყონ, რომ დისკრიმინაციის წინააღმდეგ არსებული საშუალებები, საჭიროების შემთხვევაში, მოიცავდეს დამრღვევების მიმართ სანქციებს და დისკრიმინაციის მსხვერპლთათვის ადეკვატურ ანაზღაურებას;
4. კანონმდებლობის, პოლიტიკისა და პრაქტიკის შემუშავებისას იხელმძღვანელონ ამ რეკომენდაციის დანართში მითითებული პრინციპებითა და ზომებით;
5. უზრუნველყონ ამ რეკომენდაციისა და მისი დანართის თარგმნა და გავრცელება რაც შეიძლება ფართოდ შესაბამისი საშუალებებითა და მოქმედებებით.

I. სიცოცხლის, უსაფრთხოებისა და ძალადობისაგან დაცვის უფლება

A. დანაშაული სიძულვილის ნიადაგზე და სიძულვილით მოტივირებული სხვა შემთხვევები

1. ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ მსხვერპლის სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე ჩადენილი სავარაუდო დანაშაულის შემთხვევებისა და სხვა ინციდენტების დროს ეფექტური, სწრაფი და მიუკერძოებელი გამოძიება; ნევრმა სახელმწიფოებმა ასევე უნდა უზრუნველყონ, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სამართალდამცავი ორგანოების ან საჯარო უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედი სხვა პირების მიერ სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულებების გამოძიებას, დამნაშავეების ეფექტურ გასამართლებას და საჭიროების შემთხვევაში მათ დასჯას, რათა თავიდან იქნას არიდებული დაუსჯელობის სინდრომი.
2. ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ სასჯელის განსაზღვრისას, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის მოტივი მხედველობაში იქნას მიღებული როგორც დამამძიმებელი გარემოება.
3. ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ სათანადო ზომები, რათა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით ჩადენილი სიძულვილის დანაშაულებისა და სხვა სიძულვილით მოტივირებული შემთხვევების მსხვერპლებმა და თვითმხილველებმა განაცხადონ მათ შესახებ; აღნიშნული მიზნით, ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა შესაძლო ზომა, რათა სამართალდამცავ სტრუქტურებს, მათ შორის სასამართლო სისტემას, გააჩნდეს ასეთი დანაშაულებებისა და ინციდენტების იდენტიფიცირებისა და მსხვერპლთა და მოწმეთა დახმარებისა და მხარდაჭერისთვის აუცილებელი ცოდნა და უნარები.
4. ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ სათანადო ზომები, რათა უზრუნველყონ საპატიმრო დაწესებულებებში ან სხვაგვარად თავისუფლებააღკვეთილი პირების, მათ შორის ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი ადამიანების უსაფრთხოება და ღირსების დაცვა; კერძოდ, უნდა მიიღონ დამცავი ზომები აღნიშნული პირების მისამართით განხორციელებული ფიზიკური შეურაცხყოფის, გაუპატიურების და სხვა სახის სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ, იმის მიუხედავად თუ ვის მიერაა ეს ჩადენილი: სხვა პატიმრების თუ დაწესებულების პერსონალის მიერ; ასეთი ზომები უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ ადეკვატურად დაცული და პატივცემული იყოს ტრანსგენდერ პირთა გენდერული იდენტობა.
5. ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის და შეუწყნარებლობის გავრცელების და აღნიშნული სახის დისკრიმინაციისა და შეუწყნარებლობის ბუნების შესახებ შესაბამისი მონაცემების შეკრება და გაანალიზება; უფრო კონკრეტულად, უნდა შეგროვდეს ინფორმაცია სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე ჩადენილი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებისა და სხვა ინციდენტების შესახებ.

B. „სიძულვილის ენა“

6. ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები გამოხატვის ისეთი ფორმების წინააღმდეგ, მათ შორის მასმედიასა და ინტერნეტ სივრცეში, რომელმაც შესაძლოა გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი პირების მიმართ სიძულვილის ან დისკრიმინაციის სხვაგვარი ფორმის გამოწვევის, გავრცელების ან ხელშეწყობის პროვოცირება მოახდინოს. ასეთი „სიძულვილის ენა“ საჯაროდ უნდა იყოს აკრძალული და დაგმობილი. ყველა მიღებულმა ზომამ პატივი უნდა სცეს გამოხატვის ფუნდამენტურ უფლებას კონვენციის მე-10 მუხლისა და სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად.
7. ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა ააბალონ ხელისუფლებისა და საჯარო ინსტიტუტების წარმომადგენელთა ცნობიერება, მათი პასუხისმგებლობის ყველა დონეზე, რათა მათ თავი შეიკავონ ისეთი განცხადებებისგან, მათ შორის მასმედიის მისამართით გაკეთებული განცხადებებისგან, რომლებიც შეიძლება აღქმული იქნას როგორც სიძულვილის ან დისკრიმინაციის ლეგიტიმაცია.

8. საჯარო მოხელეები და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები უნდა ნახალისდნენ, რათა სამოქალაქო საზოგადოებასთან, მათ შორის მასმედიაში და სპორტულ ორგანიზაციებთან, პოლიტიკური და რელიგიური თემების წარმომადგენლებთან დიალოგის დროს ხელი შეუწყონ ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი ადამიანის მიმართ შემწყნარებლობისა და მათი უფლებების პატივისცემის დანერგვას.

II. გაერთიანების თავისუფლება

9. ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა ზომა, გაერთიანების თავისუფლების ეფექტურად გამოყენების უზრუნველსაყოფად კონვენციის მე-11 მუხლის შესაბამისად სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე, კერძოდ, დისკრიმინაციული ადმინისტრაციული პროცედურები, მათ შორის გაერთიანების რეგისტრაციისთვის და პრაქტიკული ფუნქციონირებისთვის საჭირო ზედმეტი ფორმულები თავიდან უნდა იყოს აცილებული და გაუქმებული; ასევე, ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა ზომა სამართლებრივი და ადმინისტრაციული წესების, მათ შორის საზოგადოებრივ ჯანმთელობასთან, საზოგადოების მორალთან და საზოგადოებრივ წესრიგთან დაკავშირებული შეზღუდვების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ.
10. არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმისაწვდომობა სახელმწიფო/საჯარო დაფინანსებაზე გარანტირებული უნდა იქნეს სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე.
11. ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი ადამიანების უფლებებისთვის მეზობლთა დასაცავად მათ წინააღმდეგ მიმართული აგრესიისგან და მტრობისგან, მათ შორის, სავარაუდოდ სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ განხორციელებული ქმედებებისგან, რათა ადამიანის უფლებადამცველების დაცვისა და მათი საქმიანობის მხარდაჭერის გაუმჯობესების შესახებ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტების დეკლარაციის თანახმად, ადამიანის უფლებადამცველებმა შეძლონ თავისუფლად მოქმედება.
12. ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ სათანადო კონსულტაციის გავლა ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი ადამიანების უფლებადამცველ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ისეთი ზომების მიღებისას და განხორციელებისას, რომლებმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი ადამიანების მდგომარეობაზე.

III. გამოხატვისა და მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება

13. ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა უზრუნველყონ კონვენციის მე-10 მუხლის თანახმად გამოხატვის თავისუფლების ეფექტური გამოყენება სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის გარეშე. მათ შორის, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შესახებ ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების თავისუფლება.
14. ნევრმა სახელმწიფოებმა საერთაშორისო, ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა უზრუნველყონ კონვენციის მე-11 მუხლის თანახმად მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებით სარგებლობა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე.
15. ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ სამართალდამცავმა ორგანოებმა მიიღონ შესაბამისი ზომები ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი ადამიანების უფლებებისთვის გამართული მშვიდობიანი დემონსტრაციის მონაწილეების დასაცავად, აღნიშნული დემონსტრაციის უკანონო შეწყვეტის ან შეკრების თავისუფლებით სარგებლობაში ხელის შეშლის მცდელობების აღსაკვეთად.
16. ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა თავიდან აიცილონ გამოხატვისა და მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების შეზღუდვა, რომელიც გამოწვეული იქნება სამართლებრივი და ადმინისტრაციული დებულებების, როგორცაა საზოგადოებრივი ჯანმრთელობა, მორალი და წესრიგი, ბოროტად გამოყენებით.

17. ხელისუფლების წარმომადგენლებს ყველა დონეზე უნდა მოეწოდოს, რომ საჯაროდ დაგმონ, განსაკუთრებით მასმედიაში, გამოხატვის თავისუფლებისა და მშვიდობიანი შეკრების ინდივიდუალურ და ჯგუფურ უფლებაში ნებისმიერი არაკანონიერი ჩარევა, განსაკუთრებით როცა ეს ეხება ადამიანის უფლებებს ლესბოსელების, გეების, ბისექსუალებისა და ტრანსგენდერებთან მიმართებაში.

IV. პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება

18. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ სრულწლოვან პირებს შორის ერთსქესიანი ნებაყოფლობითი სექსუალური კავშირის სისხლის სამართლებრივად ამკრძალავი ყველანაირი დისკრიმინაციული კანონმდებლობის გაუქმება, მათ შორის ისეთი კანონმდებლობისა, რომელიც განსხვავებულად განსაზღვრავს თანხმობის ასაკს ერთსქესიანი და ჰეტეროსექსუალური აქტებისთვის; გარდა ამისა, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა უზრუნველყონ იმ სისხლის სამართლის დებულებების გაუქმება, შეცვლა ან ანტიდისკრიმინაციულ პრინციპთან შესაბამისად განმარტება, რომლებიც ფორმულირების გამო შესაძლოა დისკრიმინაციული კუთხით იქნან გამოყენებულნი.
19. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ არ მოხდეს პიროვნების სექსუალურ ორიენტაციასთან ან გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებული პირადი ინფორმაციის შეგროვება, შენახვა და საჯარო დაწესებულებების მიერ სხვაგვარად გამოყენება, განსაკუთრებით სამართალდამცავი ორგანოების მიერ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია განსაკუთრებული, კანონით განსაზღვრული და ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად; არსებული ჩანაწერები, რომლებიც მოცემულ პრინციპებს არ შეესაბამება, უნდა განადგურდეს.
20. მოთხოვნები, რომელთა შესრულება სავალდებულოა სქესის იურიდიული აღიარებისთვის, მათ შორის მოთხოვნები, რომლებიც ეხება ფიზიკური ხასიათის ცვლილებებს, რეგულარულად უნდა იქნას გადახდილი, არაჰუმანურ მოთხოვნათა გაუქმების მიზნით.
21. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა ცხოვრების ყველა სფეროში მოახდინონ პირის სქესის შეცვლის სრული სამართლებრივი აღიარება; კერძოდ, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შესაძლებელი გახადონ ოფიციალურ დოკუმენტებში სახელისა და სქესის შეცვლა სწრაფი, გამჭვირვალე და ადვილად ხელმისაწვდომი გზით; წევრმა სახელმწიფოებმა ასევე უნდა უზრუნველყონ, საჭიროების მიხედვით, არასახელმწიფო ერთეულების მიერ შეცვლილი სქესის და აღნიშნულთან დაკავშირებით განხორციელებული სხვა ცვლილებების შესაბამისი აღიარება ისეთ ძირითად დოკუმენტებში, როგორიცაა განათლების დამადასტურებელი დიპლომი ან შრომის ნიგნაკი.
22. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა შესაძლო ზომა რათა მე-20 და 21-ე პარაგრაფების შესაბამისად განხორციელებული სქესის შეცვლის პროცედურის დასრულებისა და სამართლებრივი აღიარების შემდგომ, უზრუნველყონ ტრანსგენდერი ადამიანის მიერ მისი ახალი სქესის საპირისპირო სქესის წარმომადგენელთან ქორწინების უფლების რეალური გამოყენება.
23. ეროვნული კანონმდებლობის მიერ ქორწინებაში არმყოფი პირებისთვის უფლებებისა და ვალდებულებების მინიჭების შემთხვევაში, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ აღნიშნული დისკრიმინაციის გარეშე მოიცავდეს როგორც ერთსქესიან, ასევე სხვადასხვა სქესიან წყვილებს, მათ შორის ცოცხლად დარჩენილი პარტნიორის საპენსიო და საიჯარო უფლებებით სარგებლობის გათვალისწინებით.
24. ეროვნული კანონმდებლობის მიერ რეგისტრირებული ერთსქესიანი პარტნიორობის აღიარების შემთხვევაში, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მათი სამართლებრივი სტატუსი, უფლებები და ვალდებულებები შესაბამის სიტუაციაში თანასწორი იყოს ჰეტეროსექსუალი წყვილების სამართლებრივ სტატუსთან, უფლებებთან და ვალდებულებებთან.
25. თუკი ეროვნული კანონმდებლობა არ აღიარებს და არ ანიჭებს უფლებებსა და ვალდებულებებს რეგისტრირებულ ერთსქესიან პარტნიორებს და დაუქორწინებელ წყვილებს, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ ერთსქესიანი წყვილების სამართლებრივი და სხვა სახის საშუალებებით უზრუნველყოფის შესაძლებლობა, რათა აღნიშნული წყვილები გაუმკლავდნენ ყოველდღიურ ცხოვრებაში

სოციალური რეალობით გამოწვეულ პრაქტიკულ პრობლემებს; აღნიშნული ზომები უნდა განხორციელდეს დისკრიმინაციის გარეშე, მათ შორის სხვადასხვა სქესის წევრების მიმართ დისკრიმინაციის გარეშე.

26. იმის გათვალისწინებით, რომ მშობლის უფლებასთან და მეურვეობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებისას ძირითადი ფაქტორი უნდა იყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესი, ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ გადაწყვეტილებების მიღება მოხდეს სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე.
27. იმის გათვალისწინებით, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესი უნდა იყოს ძირითადი ფაქტორი შვილად აყვანასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას, ნევრმა სახელმწიფოებმა, რომელთა ეროვნული კანონმდებლობა მარტოხელა პირებს შვილად აყვანის უფლებას აძლევს, უნდა უზრუნველყონ, რომ შესაბამისი კანონის გამოყენება მოხდეს სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე.
28. თუკი ეროვნული კანონმდებლობა მარტოხელა ქალებს ხელოვნური რეპროდუქციული ჩარევის საშუალებას აძლევს, ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ აღნიშნული პროცედურა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე განხორციელდეს.

V. დასაქმება

29. ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა საჯარო და კერძო სექტორში შრომითი ურთიერთობები თავისუფალი იყოს დისკრიმინაციისგან სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე. აღნიშნულმა ზომებმა უნდა მოიცვას დასაქმების და დანინაურების ხელმისაწვდომობის პირობები, გათავისუფლება, გასამრჯელოს გადახდა და სამუშაოსთან დაკავშირებული სხვა პირობები, მათ შორის შევინროებისა და ვიქტიმიზაციის სხვა ფორმების პრევენცია, მათ წინააღმდეგ ბრძოლა და აღნიშნულ ქმედებათა ჩამდენი პირების დასჯა.
30. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ტრანსგენდერი ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვას დასაქმების კონტექსტში; კერძოდ, დასაქმების აპლიკაციების შევსებისას თავიდან უნდა იქნას აცილებული ტრანსგენდერთა გენდერული ისტორიის ან მათი წინა სახელის დამსაქმებლისადმი და სხვა დასაქმებულებისადმი რეალური საჭიროების გარეშე ხელმისაწვდომობა.

VI. განათლება

31. ბავშვის უპირატესი ინტერესის გათვალისწინებით, ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც მიმართული იქნება საგანმანათლებლო პერსონალისა და მოსწავლეების მიმართ და რომელთა მეშვეობითაც უზრუნველყოფილი იქნება განათლების უფლებით ეფექტური სარგებლობა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე; აღნიშნული უნდა მოიცავდეს უსაფრთხო გარემოში ბავშვებისა და ახალგაზრდების განათლების უფლებას, რომელიც თავისუფალი იქნება ძალადობისაგან, ბულინგისგან, სოციალური გარიყულობისგან, დისკრიმინაციისა და დამამცირებელი მოპყრობის სხვა ფორმებისგან სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე.
32. ბავშვის უპირატესი ინტერესის გათვალისწინებით, შესაბამისი ზომები უნდა იქნას მიღებული სკოლებში ურთიერთმეწყენარებლობისა და პატივისცემის მხარდასაჭერად მიუხედავად სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობისა. აღნიშნული უნდა მოიცავდეს სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შესახებ ობიექტური ინფორმაციის მიწოდებას გეგმებსა და საგანმანათლებლო მასალებში. აღნიშნული ასევე უნდა მოიცავდეს მოსწავლეთა და სტუდენტთა აუცილებელი ინფორმაციით, დაცვითა და მხდაჭერით უზრუნველყოფას, რათა მათ შეძლონ მათი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შესაბამისად ცხოვრება. გარდა ამისა, ნევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ შეადგინონ და განახორციელონ თანასწორობისა და უსაფრთხოების სასკოლო პოლიტიკა და სამოქმედო გეგმა. ნევრ სახელმწიფოებს ასევე შეუძლიათ უზრუნველყონ დისკრიმინაციის საწინააღმდეგო ადეკვატური

თრეინინგებისა თუ სხვა სახის მხარდაჭერისა და სასწავლო მასალების ხელმისაწვდომობა. აღნიშნულ ზომებში გათვალისწინებული უნდა იქნას მშობელთა უფლება ბავშვების განათლებასთან დაკავშირებით.

VII. ჯანდაცვა

33. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი საკანონმდებლო და სხვა ზომები, რათა უმაღლესი ხარისხის ხელმისაწვდომი ჯანდაცვის სისტემით სარგებლობა მოხდეს სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე; კერძოდ, წევრმა სახელმწიფოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი პირების სპეციალური საჭიროებები ეროვნული ჯანმრთელობის გეგმების, მათ შორის სუიციდის პრევენციის ზომების, ჯანმრთელობის გამოკითხვების, სამედიცინო კურიკულუმების, სასწავლო კურსებისა და მასალების შექმნისას. წევრმა სახელმწიფოებმა ასევე უნდა მიიღონ მხედველობაში ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი პირების სპეციალური საჭიროებები ჯანდაცვის სერვისების მონიტორინგისას და შეფასებისას.
34. უნდა იქნას მიღებული შესაბამისი ზომები რათა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის სტანდარტების თანახმად, არ მოხდეს ჰომოსექსუალობის დაავადებად კლასიფიკაცია.
35. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა უზრუნველყონ ტრანსგენდერი ადამიანებისათვის სქესის შეცვლის მომსახურების ეფექტური ხელმისაწვდომობა, რომელიც თავისუფალი იქნება არაგონივრული მოთხოვნებისაგან. სერვისების ხელმისაწვდომობა უნდა მოიცავდეს ტრანსგენდერთა ჯანდაცვის სფეროში არსებულ ფსიქოლოგიურ, ენდოკრინოლოგიურ და ქირურგიულ მომსახურებას. არც ერთ ადამიანს არ უნდა ჩაუტარდეს სქესის შეცვლის პროცედურა მისი თანხმობის გარეშე.
36. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი საკანონმდებლო და სხვა ზომები რათა უზრუნველყონ, რომ ჯანმრთელობის დაზღვევის მიერ სქესის შეცვლის პროცედურებისთვის გამოყოფილი თანხის შემამცირებელი ნებისმიერი გადაწყვეტილება იყოს კანონიერი, ობიექტური და პროპორციული.

VIII. საცხოვრებელი

37. შესაბამისი ზომები უნდა იქნას მიღებული რათა სათანადო საცხოვრებლის უფლება ეფექტურად და თანასწორად ხელმისაწვდომი იყოს ყველა ადამიანისთვის სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე. აღნიშნული ზომები მიმართული უნდა იყოს დისკრიმინაციული გამოსახლებებისგან თავდაცვისა და მინისა და სხვა საკუთრების შესაძენად და შესანარჩუნებლად თანასწორი უფლებების უზრუნველყოფისკენ.
38. შესაბამისი ყურადღება უნდა დაეთმოს ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი ადამიანების უსახლკაროდ დარჩენის რისკებს, მათ შორის ახალგაზრდებსა და ბავშვებს, რომლებიც განსაკუთრებით მონყვლადი არიან სოციალური მარგინალიზაციის, მათ შორის მათივე ოჯახების მხრიდან გარიყულობის გამო. ამ მხრივ, დისკრიმინაციის გარეშე, თითოეული ინდივიდის საჭიროების ობიექტურ შეფასებაზე დაყრდნობით, შესაბამისი სოციალური მომსახურება უნდა იქნას უზრუნველყოფილი.

IX. სპორტი

39. სპორტში ჰომოფობია, ტრანსფობია და სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაცია, რასიზმისა და დისკრიმინაციის სხვა ფორმების მსგავსად, მიუღებელია და აუცილებელია მის წინააღმდეგ ბრძოლა.
40. სპორტული ღონისძიებები და ობიექტები ყველასათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს მათ შორის სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე; კერძოდ, მიღებული უნდა იქნას ეფექტური ზომები, რათა თავიდან იქნას აცილებული სექსუალური ორიენტაციისა

და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაცია სპორტული ღონისძიებების განმავლობაში და სპორტულ ღონისძიებებთან დაკავშირებით. ასევე, ასეთი ფაქტების არსებობის შემთხვევაში აღნიშნულ ფაქტზე რეაგირებისა და სასჯელის განსახორციელებლად.

41. ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა წახალისონ სპორტულ გაერთიანებებთან და გულშემატკივართა კლუბებთან დიალოგი და მხარი დაუჭირონ მათ, რათა სპორტულმა გაერთიანებებმა და გულშემატკივართა კლუბებმა მოახერხონ სპორტში ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი ადამიანების დისკრიმინაციის წინააღმდეგ ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებების ჩატარება და აღნიშნული ჯგუფის მიმართ შეუწყნარებელი გამოსვლების დაგმობა.

X. თავშესაფრის ძიების უფლება

42. საერთაშორისო ვალდებულების არსებობის შემთხვევაში, ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა აღიარონ, რომ სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დევნის კარგად დასაბუთებული საფრთხე შესაძლოა წარმოადგენდეს ეროვნული კანონმდებლობით ლტოლვილის სტატუსისა და თავშესაფრის მინიჭების მართებულ საფუძველს.
43. ნევრმა სახელმწიფოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ, რათა არ მოხდეს თავშესაფრის მაძიებლების გაგზავნა ისეთ ქვეყანაში, სადაც მათ სიცოცხლეს ან თავისუფლებას საფრთხე დაემუქრება მათი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის გამო, ან სადაც ისინი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის გამო იქნებიან წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის რისკის ქვეშ.
44. თავშესაფრის მაძიებლები დაცულნი უნდა იყვნენ ყველა სახის დისკრიმინაციული პოლიტიკისა და პრაქტიკისგან; კერძოდ, შესაბამისი ზომები უნდა იქნას მიღებული ფიზიკური ძალადობის რისკის თავიდან ასაცილებლად, მათ შორის თავისუფლებააღკვეთილი თავშესაფრის მაძიებლების მიმართ განხორციელებული სექსუალური ძალადობის, სიტყვიერი აგრესიის და შევიწროების სხვაგვარი ფორმების თავიდან ასაცილებლად. გარდა ამისა, ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ თავშესაფრის მაძიებლებისთვის მათივე კონკრეტულ შემთხვევებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

XI. ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტები

45. ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ადამიანის უფლებადამცავ სტრუქტურებს ჰქონდეთ სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის განხილვის უფლებამოსილება; კერძოდ მათ უნდა შეეძლოთ საკანონმდებლო და პოლიტიკის რეკომენდაციების შემუშავება, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე მუშაობა, ხოლო ეროვნული კანონმდებლობის მიერ დაშვების შემთხვევაში, საჯარო და კერძო სექტორის ინდივიდუალური საჩივრების განხილვა, სასამართლო საქმისწარმოების ინიცირება და აღნიშნულ საქმისწარმოებაში მონაწილეობის მიღება.

XII. დისკრიმინაცია მრავალჯერადი ნიშნით

46. ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები, რათა უზრუნველყონ, რომ ეროვნულ კანონმდებლობაში დისკრიმინაციის ამკრძალავი და დისკრიმინაციის ხელის შემშლელი სამართლებრივი დებულებები ასევე კრძალავდნენ მრავალჯერად დისკრიმინაციას, მათ შორის სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე; ეროვნულ უფლებადამცავ დანესებულებებს უნდა გააჩნდეთ ფართო მანდატი, რათა შეძლონ აღნიშნულ საკითხებთან გამკლავება.

დანართი № 2. დეტალური ანგარიში

რეკომენდაცია

1. შეამოწმონ არსებული საკანონმდებლო და სხვა ზომები, გადახედონ მათ, შეაგროვონ და გაანალიზონ შესაბამისი მონაცემები, რათა მოხდეს სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე განხორციელებული პირდაპირი და არაპირდაპირი დისკრიმინაციის მონიტორინგი და მასზე რეაგირება;

1.1. მოხდა თუ არა არსებული საკანონმდებლო და სხვა საშუალებების გადახედვა, რომელსაც შეეძლო გამოენვია პირდაპირი ან არაპირდაპირი დისკრიმინაცია (ა) სექსუალური ორიენტაციის ან (ბ) გენდერული იდენტობის საფუძველზე?

1.2. მუშაობს თუ არა არსებითი მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის სისტემები და გამოიყენება თუ არა ისინი პირდაპირი და არაპირდაპირი დისკრიმინაციის შემთხვევების მონიტორინგისათვის (ა) სექსუალური ორიენტაციისა და (ბ) გენდერული იდენტობის საფუძველზე?⁷⁴

1.3. არსებობს თუ არა პროცესები, რომელიც უზრუნველყოფს ასეთი სახით გამოვლენილი დისკრიმინაციის აღმოფხვრას?

იუსტიციის სამინისტროს წერილში მითითებულია, რომ სამინისტროს შესაბამისი დეპარტამენტები, საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტი, სამართალშემოქმედებითი დეპარტამენტი და ანალიტიკური დეპარტამენტი უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს კანონმდებლობის ევროპული სტანდარტებისადმი შესაბამისობის თაობაზე მონიტორინგს.⁷⁵ გაურკვეველია, თუ როგორია მსგავსი მონიტორინგის შედეგები სექსუალური ორიენტაციისა და გენდერულ იდენტობაზე დაფუძნებული დისკრიმინაციის თვალსაზრისით და ჰქონია თუ არა ადგილი, ან იგეგმება თუ არა რაიმე ქმედება ამ მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით.

2. საკანონმდებლო და სხვა ზომების მიღებითა და მათი ეფექტური იმპლემენტაციით ებრძოლონ დისკრიმინაციას სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიადაგზე, უზრუნველყონ ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი პირების ადამიანის უფლებების მიმართ პატივისცემა და ხელი შეუწყონ მათ მიმართ შემწყნარებლობას.

2.1. დაინერგა თუ არა ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა (ა) სექსუალური ორიენტაციისა და (ბ) გენდერული იდენტობის საფუძველზე შემდეგ სფეროებში:

- დასაქმება,
- სოციალური უზრუნველყოფა და ჯანდაცვა,
- განათლება,
- მომსახურებასა და სერვისებზე, მათ შორის საცხოვრებელზე ხელმისაწვდომობა?

საქართველომ მიიღო გარკვეული საკანონმდებლო აქტები, რომლებიც მკაფიოდ კრძალავენ დისკრიმინაციას სექსუალური ორიენტაციის და/ან გენდერული იდენტობის საფუძველზე.⁷⁷ შრომის კოდექსი და კანონი პაციენტთა უფლებების შესახებ ამ მხრივ სპეციალურ მოხსენიებას იმსახურებენ. მიუხედავად ამისა, ეს საკანონმდებლო აქტები ჯერ კიდევ შეიცავენ ხარვეზებს და/ან მათ აკლიათ განხორციელების ძლიერი მექანიზმები, რის გამოც ვერ ხერხდება მათი ლგბტ პირების დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის პრაქტიკაში ეფექტურად გამოყენება. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში „ლგბტ პირები ხშირად ჰეტეროსექსუალებთან შედარებით უთანასწორო მდგომარეობაში იმყოფებიან; ზოგ შემთხვევაში კანონი არ არის პირდაპირ დისკრიმინაციული, თუმცა, პრაქტიკაში

⁷⁴ გარდა საზოგადოების აზრის გამოკითხვისა და სტატისტიკისა სიძულვილის საფუძველზე ჩადენილი დანაშაულების შესახებ, ეს უნდა მოიცავდეს თანასწორობის უზრუნველყოფ ეროვნულ ორგანოებში შეტანილ საჩივრებს და სასამართლოს ვერდიქტებს.

⁷⁵ თუმცა, წერილი ზუსტად არ განსაზღვრავს, რა იგულისხმება „ევროპულ სტანდარტებში“, ანუ არის ეს „ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის“ შესაბამისად შემოღებული სტანდარტები, ევროპის კანონმდებლობის სტანდარტები, თუ ორივე ერთად. წერილი აგრეთვე არ განსაზღვრავს, ხორციელდება თუ არა დამატებითი მონიტორინგი გაეროს შესაბამისი დოკუმენტების მიერ დაწესებულ სტანდარტებთან შესაბამისობის თაობაზე.

⁷⁶ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საპასუხო წერილი, N.26948, თარიღი: 26.06.2012.

⁷⁷ კვლევა ჰომოფობიის, ტრანსფობიის და სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის შესახებ. სამართლებრივი ანალიზი: საქართველო. დამოუკიდებელი მკვლევარი ანა ნაცვლიშვილი. COWI. 2010. გვ. 3. ბმული: http://www.coe.int/t/commissioner/source/lgbt/georgialegal_e.pdf

მის გამოყენებას მიეყავართ დისკრიმინაციულ შედეგებამდე, რაც ზიანს აყენებს ლგბტ ადამიანებს“.⁷⁸ განათლების სფეროში შესაბამისი კანონმდებლობა დისკრიმინაციას ზოგადად კრძალავს, თუმცა, დისკრიმინაციის აკრძალვის საფუძვლები კონკრეტულად არ მოიცავს სექსუალურ ორიენტაციას/გენდერული იდენტობას.

2.2. დაინერგა თუ არა ერთიანი, თანმიმდევრული სტრატეგია გრძელვადიანი საგანმანათლებლო და ცნობიერების ამაღლების პროგრამები, რომელიც მიმართულია საზოგადოებაში დისკრიმინაციული ან მიკერძოებული დამოკიდებულებების, წინასწარგანწყობების, მოქალაქეთა ქცევისა და სტერეოტიპების კორექციისაკენ?

არა.

3. უზრუნველყონ დისკრიმინაციის მსხვერპლთა აღჭურვა ეფექტური სამართლებრივი დაცვის საშუალებების ცოდნით და მათი გამოყენების შესაძლებლობით ეროვნული ხელისუფლების დონეზე. ასევე უზრუნველყონ, რომ დისკრიმინაციის წინააღმდეგ არსებული საშუალებები, საჭიროების შემთხვევაში, მოიცავდეს დამრღვევების მიმართ სანქციებს და დისკრიმინაციის მსხვერპლთათვის ადეკვატურ ანაზღაურებას;

3.1. არსებობს თუ არა სახელმწიფო დონეზე (ა) სექსუალური ორიენტაციის ან (ბ) გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის მსხვერპლთა სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებები?

არა.

3.2. არის თუ არა ეს საშუალებები ეფექტური, პროპორციული და ქმედითი?

ნებისმიერს, მათ შორის იმ პირებსაც, ვინც დისკრიმინაციის მსხვერპლია სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის საფუძველზე, თანაბრად მიუწვდებათ ხელი სასამართლოზე. მათ აგრეთვე შეუძლიათ საჩივარი შეიტანონ სახალხო დამცველის ოფისში ან მიმართონ სამართალდამცავ ორგანოებს და მოსთხოვონ მათი მანდატების ფარგლებში შესაბამისი ქმედებების განხორციელება. მსხვერპლს აგრეთვე შეუძლია მოითხოვოს კომპენსაცია სამოქალაქო პროცედურების გავლით. ეს უკანასკნელი, ყველაზე ხშირად, მატერიალური და მორალური ზარალის ასანაზღაურებლად გამოიყენება.

3.4 საჭიროების შემთხვევაში მოიცავს თუ არა არსებული საშუალებები ადეკვატურ ანაზღაურებას დისკრიმინაციის მსხვერპლთათვის?

არა.

4. კანონმდებლობის, პოლიტიკისა და პრაქტიკის შემუშავებისას იხელმძღვანელონ ამ რეკომენდაციის დანართში მითითებული პრინციპებითა და ზომებით;

5. უზრუნველყონ ამ რეკომენდაციისა და მისი დანართის თარგმნა და გავრცელება რაც შეიძლება ფართოდ შესაბამისი საშუალებებითა და მოქმედებებით.

5.1. რა ნაბიჯები გადაიდგა რეკომენდაციისა და მისი დანართის მაქსიმალურად ფართოდ გავრცელების უზრუნველსაყოფად?

ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი არ არის.

5.2. ითარგმნა თუ არა რეკომენდაცია და მისი დანართი?

რეკომენდაციისა და მისი დანართის თარგმნა და გავრცელება არ მომხდარა.

5.3. გავრცელდა თუ არა ისინი:

- ლესბოსელ, გეი, ბისექსუალ და ტრანსგენდერ საზოგადოებაში?
- სახელისუფლებო ორგანოებში?
- სამართალდამცავ სტრუქტურებში, მათ შორის სასამართლო და პენიტენციურ სისტემაში?
- ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმწიფო ორგანოებში, (მათ შორის, თანასწორობის საკითხებზე მომუშავე)?
- განათლების სისტემაში?
- ჯანდაცვის სისტემაში?
- სახელმწიფო და კერძო სექტორის წარმომადგენლებში, თანამშრომლებსა და დამსაქმებლებში?
- მასმედიაში?
- შესაბამის არასამთავრობო ორგანიზაციებში?

⁷⁸ იქვე.

I. სიცოცხლის, უსაფრთხოებისა და ძალადობისაგან დაცვის უფლება

A. დანაშაული სიძულვილის ნიადაგზე და სიძულვილით მოტივირებული სხვა შემთხვევები

1. ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ მსხვერპლის სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე ჩადენილი სავარაუდო დანაშაულის შემთხვევებისა და სხვა ინციდენტების დროს ეფექტური, სწრაფი და მიუკერძოებელი გამოძიება; ნევრმა სახელმწიფოებმა ასევე უნდა უზრუნველყონ, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სამართალდამცავი ორგანოების ან საჯარო უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედი სხვა პირების მიერ სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულების გამოძიებას, დამნაშავეების ეფექტურ გასამართლებას და საჭიროების შემთხვევაში მათ დასჯას, რათა თავიდან იქნას არიდებული დაუსჯელობის სინდრომი.

1.1. არსებობს თუ არა საკანონმდებლო ზომები სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებებისა და სიძულვილით მოტივირებული შემთხვევების აღმოსაფხვრელად?

1.1. საქართველოს კანონმდებლობა არ განსაზღვრავს სიძულვილის საფუძველზე ჩადენილ დანაშაულს და არ ახდენს მის კრიმინალიზაციას. შედეგად, არ არსებობს ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები ზოგადად სიძულვილის საფუძველზე ჩადენილი დანაშაულების ან ამავე საფუძველზე ლგბტ პირების მიმართ ჩადენილი დანაშაულების შესახებ.

1.2. აღიარებს თუ არა ეს ზომები (ა) სექსუალურ ორიენტაციასა და (ბ) გენდერულ იდენტობას, როგორც მსგავსი დანაშაულისა და შემთხვევების შესაძლო მოტივს?

1.2. უკანასკნელ დრომდე დანაშაულის ჩადენა სექსუალური ორიენტაციის/გენდერული იდენტობის გამო სიძულვილის საფუძველზე (ეთნიკური ან რელიგიური მოსაზრებების გამო სიძულვილისაგან განსხვავებით) არ ითვლებოდა დამამძიმებელ გარემოებად. თუმცა, ეს ხარვეზი სათანადოდ იქნა აღმოფხვრილი უკანასკნელი საკანონმდებლო ცვლილებით⁷⁹, რომლის შესაბამისადაც, დამამძიმებელ გარემოებათა ჩამონათვალს სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის გამო სიძულვილის საფუძველზე ჩადენილი დანაშაულებიც დაემატა. [ეს საკითხები უფრო დანვრილებით განიხილება 2.1. პარაგრაფში.]

1.3. უზრუნველყოფს თუ არა პოლიციის თანამშრომლების სწავლება იმას, რომ მათ გააცნობიერონ რამდენად აუცილებელია სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებებსა და შემთხვევებში ნებისმიერი სახის (ა) ჰომოფობიური ან (ბ) ტრანსფობიური კონტექსტის ეფექტურად, სწრაფად და მიუკერძოებლად გამოვლენა და გამოძიება, განსაკუთრებით როცა საქმე ძალადობას ეხება.

1.3. „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ შეკითხვაზე, უზრუნველყოფს თუ არა პოლიციის ოფიცრების თრეინინგი იმის ცოდნას, თუ როგორ უნდა იმოქმედონ რათა სწრაფად, ეფექტურად და მიუკერძოებლად იქნას გამოძიებული ჰომოფობიური და ტრანსფობიური კონტაქტები დანაშაულებებსა თუ დარღვევებში, შინაგან საქმეთა სამინისტრომ უპასუხა, რომ პოლიციის ოფიცრები იღებენ საბაზისო განათლებას ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებში. ისევე, როგორც გადიან სპეციალურ თრეინინგებს სიძულვილის საფუძველზე ჩადენილი დანაშაულების გამოძიების საკითხებზე, რაც აგრეთვე დისკრიმინაციის საკითხებსაც მოიცავს.

2010 წლის ნოემბერში ევროკავშირის TAIEX ინსტრუმენტის ფარგლებში, შსს-ს თანამშრომლებს ჩაუტარდათ თრეინინგი „სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაული და მისი გამოძიება“. თრეინინგს ატარებდნენ ექსპერტები ეუთოს დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა ოფისიდან, ასევე იტალიიდან და დიდი ბრიტანეთიდან.⁸⁰

2011 წლიდან, ევროკავშირის დაფინანსებით შსს პოლიციის აკადემია ახორციელებს პროექტს, რომლის ერთ-ერთი კომპონენტია სახალხო დამცველის აპარატის ტოლერანტობის ცენტრის წარმომადგენლებთან თანამშრომლობით, მთელი საქართველოს მასშტაბით პოლიციელებისთვის თრეინინგების ციკლი (სულ 5 თრეინინგი, საქართველოს 5 რეგიონში) „დისკრიმინაციის დაუშვებლობა“. ციკლის პირველი თრეინინგი ჩატარდა 2012 წლის 4-5 ივნისს. სათრეინინგო პროგრამა ფოკუსირებული იყო შემდეგ საკითხებზე: საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლის მიმოხილვა დისკრიმინაციის კუთხით; სტერეოტიპები, დისკრიმინაცია, ქსენოფობია, რასიზმი – განმარტებები და შესაბამისი მაგალითები; საქართველოში შეუწყნარებლობის/სიძულვილის საფუძველზე ჩადენილი ქმედებების ამსახველი ქეისები; ადამიანის უფლებათა ევროპული სა-

⁷⁹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლში 2012 წლის 27 მარტს შეტანილი ცვლილება.

⁸⁰ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპასუხო წერილი, N.640758, თარიღი 18.05.2012.

სამართლოს შესაბამისი საქმეები.⁸¹

პროექტის ფარგლებში ასევე დაგეგმილია ბროშურის „დისკრიმინაციის დაუშვებლობა“ გამოცემა და დარიგება საქართველოს მასშტაბით ყველა პოლიციის განყოფილებაში.⁸²

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ არც ბროშურა და არც სათრეინინგო პროგრამა არ შეიცავს ინფორმაციას ევროპის მინისტრთა საბჭოს რეკომენდაციების შესახებ (CoM/Rec 2010(5)).

შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილის თანახმად, სპეციფიკური თრეინინგების გარდა, ადამიანის უფლებები შედის პოლიციის აკადემიის ძირითად სასწავლო კურსშიც. შსს აკადემიაში მიმდინარე პოლიციის საბაზისო თრეინინგის პროგრამა ითვალისწინებს ინტენსიურ კურსს ადამიანის უფლებების დაცვისა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და შესაბამისი საერთაშორისო მექანიზმების შესახებ. კურიკულუმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს დისკრიმინაციის დაუშვებლობა. სისტემატურად ტარდება თრეინინგები საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით. მონაწილეები ეცნობიან ადამიანის უფლებათა დაცვის საერთო პრინციპებს, ადამიანის უფლებათა განსაკუთრებულ ასპექტებს, რომელიც გათვალისწინებული უნდა იქნას პოლიციის მუშაობაში. მათ შორის, დისკრიმინაციის დაუშვებლობას. სწავლების პროცესში ცალკე ყურადღება ეთმობა პოლიციის ეთიკის კოდექსსა და საზოგადოებაზე ორიენტირებულ პოლიციას, რაც მოიცავს ურთიერთობას სხვადასხვა ტიპის უმცირესობებთან და ამ ჯგუფებთან მიმართებაში გასათვალისწინებელ ფაქტორებს, სტერეოტიპების რღვევას და ა.შ.⁸³

იუსტიციის სამინისტროს საპასუხო წერილში მითითებულია, რომ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რელიგიური თრეინინგების ჩატარებას ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. მაგ. 2009 წელს ევროპის საბჭოს მხარდაჭერით პროკურორებისა და გამომძიებლებისთვის ჩატარდა თრეინინგი თემაზე „დისკრიმინაციის აკრძალვა.“⁸⁴ ასევე ოჯახური ძალადობის საქმეების ზედამხედველ პროკურორებს ყველა საოლქო პროკურატურაში ჩაუტარდათ თრეინინგი ოჯახური ძალადობის შესახებ, რომელიც მოიცავდა გენდერული დისკრიმინაციის საკითხებსაც.⁸⁵ წერილში ასევე მითითებულია, რომ „იუსტიციის სასწავლო ცენტრი“ საბაზისო სწავლების ფარგლებში სამინისტროს თანამშრომელთათვის ატარებს თრეინინგებს ადამიანის უფლებათა თემებზე.⁸⁶

1.4. არსებობს თუ არა დამოუკიდებელი და ეფექტური მექანიზმი სამართალდამცავი ორგანოების თანამდებობის პირთა მიერ ჩადენილი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებების ან სიძულვილით მოტივირებული შემთხვევების შესახებ განცხადებების მისაღებად და გამოსაძიებლად, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როცა დანაშაულის ერთ-ერთ მოტივს წარმოადგენს (ა) სექსუალური ორიენტაცია ან (ბ) გენდერული იდენტობა?

1.4. არ არსებობს სპეციალური განყოფილება, რომელიც კონკრეტულად სიძულვილის საფუძველზე ჩადენილი დანაშაულების ან სიძულვილით მოტივირებული ინციდენტების შესახებ განცხადებებს მიიღებდა ან მათ გამოიძიებდა, მაგრამ გენერალური ინსპექცია იძიებს შსს თანამშრომელთა მიერ ჩადენილი სამსახურებრივი დისციპლინის დარღვევის ფაქტებს. ზოგადად, სამართალდამცავთა მუშაობის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილში ნათქვამია, რომ: „პოლიციის სისტემაში განხორციელებული ბოლოდროინდელი რეფორმების შედეგად, გაძლიერდა სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის ეფექტიანობა; მოხდა პოლიციის ოფიცერთა მხრიდან დაუსჯელობის სინდრომის აღმოფხვრა; ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებებისადმი პატივისცემის ხელშეწყობა.“⁸⁷ თუმცა, ადგილობრივი და საერთაშორისო უფლებადაცვითი ორგანიზაციები სხვაგვარად აფასებენ ამ საკითხს.⁸⁸

81 იქვე.

82 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის საპასუხო წერილი, N.40/5-517, თარიღი: 22.05.2012

83 იქვე.

84 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საპასუხო წერილი, N.26948, თარიღი: 26.06.2012.

85 იქვე.

86 იქვე.

87 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპასუხო წერილი, N.640758, თარიღი 18.05.2012.

88 მაგ.იხ., Civil Georgia, 26 მაისი. '11 – პოლიციის „გადამეტებული ძალის გამოყენების“ გამო აკრიტიკებენ. ბმული: <http://www.civil>.

მსგავსი დანაშაულის გაცხადების დონე პოლიციაში ან ზოგადად სამართალდამცავ სტრუქტურებში ძალიან დაბალია. როგორც WISG-ის მიერ CEDAW-ში წარსადგენად მომზადებულ ჩრდილოვან ანგარიშში არის აღნიშნული: „კვლევამ გამოავლინა, რომ ლბტ ქალები ნებისმიერი ტიპის ძალადობის დროს, ხშირ შემთხვევაში არ მიმართავენ სამართალდამცველ ორგანოებს, თუ მხარდამჭერ ორგანიზაციებს“. როგორც ექსპერტთა უმეტესობა მიიჩნევს, საკვანძო პრობლემა ამ შემთხვევაში არის არა საკანონმდებლო ხარვეზები, არამედ მსხვერპლის შიში საკუთარი სექსუალური ორიენტაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებით, რაც თავის მხრივ გამოწვეულია ჰომოფობიური განწყობის სიჭარბით ქართულ საზოგადოებაში.⁸⁹ მსგავსი სურათი გამოავლინა ლგბტ დისკრიმინაციის კვლევამაც: ბოლო ორი წლის განმავლობაში რესპოდენტთა თითქმის მესამედს (32%, N=48) ერთხელ მაინც განუცდია ფიზიკური, ხოლო 89.93%-ს (N=134) ფსიქოლოგიური ძალადობა. 48 რესპოდენტიდან, ვინც ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი გახდა, პოლიციას მხოლოდ 12-მა (26,09%) მიმართა. იმ რესპოდენტთა 46.15%-ი, ვინც პოლიციას დახმარებისათვის მიმართა აღნიშნა პოლიციის მხრიდან ჰომოფობიური დამოკიდებულება, 30%-ს აქვს პოზიტიური დამოკიდებულების გამოცდილება, 23.08% კი საუბრობს პოლიციელთა ნეიტრალურ დამოკიდებულებაზე. მიზეზები, რის გამოც ძალადობის მსხვერპლი არ მიმართავს პოლიციას, შემდეგნაირად გადანაწილდა: 21,62% თვლის, რომ პოლიცია არაფექტურად მუშაობს, 29,73%, -ს ეშინია პოლიციელთა მხრიდან ჰომოფობიური დამოკიდებულების, 27,03%-მა არ ჩათვალა ფაქტი იმდენად სერიოზულად, რომ პოლიციისათვის მიემართა, 21.62%-მა არ დააკონკრეტა პასუხი.⁹⁰

2. ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ სასჯელის განსაზღვრისას, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის მოტივი მხედველობაში იქნას მიღებული როგორც დამამძიმებელი გარემოება.

2.1. უზრუნველყოფს თუ არა კანონმდებლობა, რომ მამოძრავებელი მოტივი, რომელიც ეხება (ა) სექსუალურ ორიენტაციასა და (ბ) გენდერულ იდენტობას გათვალისწინებული იყოს სასჯელის დანიშვნის დროს, როგორც დამამძიმებელი გარემოება?

2.1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლში ცოტა ხნის წინ შეტანილი ცვლილება გულისხმობს, რომ მსხვერპლის მიმართ სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის საფუძველზე გამოვლენილი მიკერძოებული მიდგომა სანქციების განსაზღვრისას დამამძიმებელ გარემოებად ჩაითვლება. ცვლილების მიხედვით: „დანაშაულის ჩადენა რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, ასაკის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, შეზღუდული შესაძლებლობის, მოქალაქეობის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი ან ნოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის.“⁹¹

3. ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ სათანადო ზომები, რათა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით ჩადენილი სიძულვილის დანაშაულებისა და სხვა სიძულვილით მოტივირებული შემთხვევების მსხვერპლებმა და თვითმხილველებმა განაცხადონ მათ შესახებ; აღნიშნული მიზნით, ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა შესაძლო ზომა, რათა სამართალდამცავ სტრუქტურებს, მათ შორის სასამართლო სისტემას, გააჩნდეს ასეთი დანაშაულებებისა და ინციდენტების იდენტიფიცირებისა და მსხვერპლთა და მოწმეთა დახმარებისა და მხარდაჭერისთვის აუცილებელი ცოდნა და უნარები.

3.1. გავრცელდა თუ არა საზოგადოებაში „სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებების“ მარტივი და გასაგები განსაზღვრება, რომელიც მოიცავს ისეთ მოტივს, როგორიცაა: (ა) სექსუალური ორიენტაცია და (ბ) გენდერული იდენტობა?''⁹²

ge/eng/article.php?id=23532; იხ. ასევე HRIDC: Vanishing Rights : Behind the Façade, Georgia: Events of 2009, etc.

89 საქართველოში ლბტ ქალთა მდგომარეობის ამსახველი ჩრდილოვანი ანგარიში CEDAW კომიტეტისათვის. „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“. WISG. თბილისი, 2012. გვ. 23-24, ბმული http://women.ge/wp-content/uploads/2012/05/WISG-LBT-CEDAW-shadow-report_geo.pdf

90 ლგბტ ადამიანთა მდგომარეობა საქართველოში. „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“ (WISG). თბილისი, 2012.

91 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. მუხლი. 53(3¹)

92 მაგ. პოლიციის ვებ-გვერდის ან ნაბეჭდი ლიფლეტების სახით.

3.1. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს კანონმდებლობაში მოცემული არაა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის განმარტება.

3.2. *უზრუნველყოფს თუ არა პოლიციისა და მოსამართლეთათვის გათვალისწინებული სასწავლო პროგრამები იმ ცოდნისა და უნარების დაუფლებას, რომლითაც ისინი მოახდენენ მსგავსი დანაშაულებებისა და შემთხვევების დადგენას, აგრეთვე დაზარალებულებისა და მონშეების ადეკვატურ დახმარებასა და მხარდაჭერას?*

3.2. პოლიციის თანამშრომლებისთვის ჩატარებული ტრენინგების შესახებ იხილეთ პასუხი 1.3.

მონშეთა დაცვასთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს საპასუხო წერილში აღნიშნულია: „საქართველოში 2006 წლიდან ხორციელდება მონშეთა დაცვის პროგრამა. 2010 წელს გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის ოფისის (UNODC) დახმარებით და აშშ საელჩოს DOJ პროგრამის მხარდაჭერით შემუშავდა ახალი პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა დაცვას (მათ შორის მონშეთა, დაზარალებულთა და სხვ.). პროგრამა შესაბამისობაშია საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნებთან. თავად პროგრამა საიდუმლოა. 2010-2011 წლებში, საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით, მონშეთა დაცვის საკითხისადმი მიძღვნილი არაერთი ტრენინგი, სამუშაო შეხვედრა და სემინარი ჩატარდა.“⁹³

თუმცა, როგორც ჩანს, ეს ზოგადად მონშეების და არა კონკრეტულად სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მონშეების დაცვისაკენ მიმართული ზომაა. „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერ ჯგუფს“ ზემოაღნიშნული პროგრამის შეფასების შესაძლებლობა არ გააჩნია არც ზოგადად და არც ლგბტ პირებთან დაკავშირებულ ინიციატივებთან მიმართებაში.

„ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფისთვის“ უცნობია გადიოდნენ თუ არა მოსამართლეები იგივე ტიპის ტრენინგებს უკანასკნელ წლებში. ეს შეკითხვა იუსტიციის სამინისტროს გაეგზავნა, თუმცა, მათი წერილი არ იძლეოდა ამ კითხვაზე კონკრეტულ პასუხს.

3.3. *უზრუნველყოფს თუ არა პოლიციისა და მოსამართლეთა სწავლების პროგრამები და ქცევის კოდექსები ლგბტ ჯგუფის წევრისადმი არადისკრიმინაციულ და პატივისცემით მოპყრობას, რათა ამ ადამიანებმა უსაფრთხოდ იგრძნონ თავი მათი (ა) სექსუალური ორიენტაციისა და (ბ) გენდერული იდენტობის მიუხედავად და შეატყობინონ მათ მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და შემთხვევების შესახებ დაზარალებულისა თუ მონშის სახით?*

3.3. შსს ეთიკის კოდექსში⁹⁴ ხაზგასმულია ადამიანის უფლებებისადმი პატივისცემა, კანონის შესაბამისობა და მის ფარგლებში მოქმედება, რაც დაფუძნებულია თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპებზე. ეთიკის კოდექსში განსაკუთრებით ხაზგასმულია პოლიციელის პასუხისმგებლობა, იხელმძღვანელოს მასზე დაკისრებული ამოცანების შესრულების დროს მიუკერძოებლობის პრინციპით და არ მოახდინოს დისკრიმინაცია.⁹⁵

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის წერილში ხაზგასმულია, რომ: „სწავლების პროცესში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა პოლიციის ეთიკის კოდექსს და საზოგადოებაზე ორიენტირებულ პოლიციას, რაც მოიცავს ურთიერთობას სხვადასხვა ტიპის უმცირესობებთან და ამ ჯგუფებთან მიმართებაში გასათვალისწინებელ ფაქტორებს, სტერეოტიპების რღვევას და ა.შ.“⁹⁶

კოდექსის შესრულებაზე ზედამხედველობის განმახორციელებელ ორგანოს წარმოადგენს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია.⁹⁷

ძნელი სათქმელია, თუ რამდენად წარმატებულად სრულდება პოლიციის ეთიკის კოდექსი პრაქტიკაში, რადგან ამის შესახებ არ არსებობს ოფიციალური მონაცემები. თუმცა, ალბათ ღირს იმის აღნიშვნა, რომ ეს დოკუმენტი არ არის ხელმისაწვდომი ინტერნეტში და „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფისათვის“, ისევე როგორც

93 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპასუხო წერილი, N.640758, თარიღი 18.05.2012.

94 შსს ეთიკის კოდექსი მიღებულ იქნა და მოქმედებს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2007 წლის 26 იანვრის №119 ბრძანების საფუძველზე.

95 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპასუხო წერილი, N.640758, თარიღი 18.05.2012.

96 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის საპასუხო წერილი, N.40/5-517, თარიღი: 22.05.2012

97 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპასუხო წერილი, N.640758, თარიღი 18.05.2012.

სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის, მისი რაიმე სხვა გზით მოპოვებაც ძალიან გაძნელებული იყო. საქართველოს პოლიციის სისტემაში ზოგიერთ პოზიტიურ ცვლილებასაც ჰქონდა ადგილი. თუმცა, ძნელი სათქმელია, რამდენად აისახა ეს ცვლილებები პოლიციის მიერ ლგბტ პირთა წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებისა თუ ინციდენტების გამოძიებაზე.

„ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ მიერ ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა შემთხვევები, როდესაც პოლიცია ყურადღებას არ აქცევდა მესამე მხარის მიერ ჩადენილ დანაშაულებებს; აგრეთვე გამოვლენილი იქნა პოლიციის ოფიცრების მიერ მუქარის, ცინიკური დამოკიდებულების და სიტყვიერი შეურაცხყოფის უგულებელყოფის ფაქტები როგორც ჯგუფის ინდივიდუალური წევრების, ასევე ლგბტ წევილების მიმართ (იხ. მაგ. ქეისი #W24). სახალხო დამცველის ოფისისა და „საქართველოში ქალთა ფონდის“ წარმომადგენლებმა ამ თვალსაზრისით აღნიშნეს, რომ ცნობიერების ამაღლების პროგრამები აუცილებელია სამართალდამცავი სტრუქტურების თანამშრომლებისათვის, რათა ასეთი პრაქტიკები თავიდან იქნას აცილებული.⁹⁸

„ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ დოკუმენტირებული აქვს შემთხვევები, როდესაც პოლიციის ოფიცრები თავად ემუქრებოდნენ, აშანთაუბდნენ ან სხვაგვარად შეურაცხყოფდნენ ლგბტ პირებს მათი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე (იხ. მაგ. ქეისები #P21, W22).

ასეთი შემთხვევები აშკარად მიუთითებენ იმაზე, რომ პოლიციის ზოგიერთი ოფიცერი უგულებელყოფს ეთიკის კოდექსს, ისევე როგორც სხვადასხვა სამართლებრივი აქტების მოთხოვნებს, რაც უნდა განიხილებოდეს, როგორც იმის ნიშანი, რომ არსებული რეგულაციების განხორციელების და მონიტორინგის უზრუნველსაყოფად უფრო მკაცრი კონტროლია აუცილებელი.

პროკურატურის მუშაკთა ეთიკის კოდექსი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს დისკრიმინაციის აკრძალვას. როგორც იუსტიციის სამინისტროს საპასუხო წერილში არის მითითებული: „აღნიშნული ეთიკის კოდექსი მიზნად ისახავს პროკურატურის მუშაკთა პასუხისმგებლობის მაღალი სტანდარტების დანერგვას, მიუკერძოებლობის პრინციპების დადგენას, სამართლიანი, ეფექტური და პროფესიული საქმიანობის გაუმჯობესებას, ადამიანის უფლებათა სტანდარტების დაცვას. მეტიც, ეთიკის კოდექსის თანახმად პროკურატურის მუშაკი ვალდებულია ხელი შეუწყოს ნებისმიერი დისკრიმინაციის აღმოფხვრას.“⁹⁹

წერილში ასევე აღნიშნულია: „საზოგადოებასთან ურთიერთობისას პროკურატურის მუშაკი პატივისცემით უნდა მოეპყროს თანამოსაუბრეებს, საკუთარი მოსაზრებების გამოთქმისას ტაქტიკადაც უნდა გამოხატავდეს დასაბუთებულ კრიტიკას. პროკურატურის მუშაკი ვალდებულია პატივი სცეს სხვა პირის სიტყვის, აზრისა და გამოხატვის თავისუფლებას, თუ ამით არ ილახება მესამე პირთა უფლებები და თავისუფლებები. დაუშვებელია ისეთი შეხედულებების გამოხატვა, რომელიც მიზნად ისახავს პირის შეზღუდვას ან შეურაცხყოფის მიყენებას რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური თუ სოციალური კუთვნილების, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის ნიშნით.“¹⁰⁰

3.4. არსებობს თუ არა პოლიციის განყოფილებები, რომლებიც სპეციალურად არიან დაკავებულნი ისეთი დანაშაულისა და შემთხვევების გამოძიებით, რომელიც დაკავშირებულია: (ა) სექსუალურ ორიენტაციასა და (ბ) გენდერულ იდენტობასთან?

3.4. პოლიციაში არ არსებობს სპეციალური დანაყოფი, რომელსაც სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის საფუძველზე ჩადენილი დანაშაულების გამოძიება დაევალებოდა.

3.5. არიან თუ არა პოლიციაში სპეციალური თანამშრომლები, რომლებიც მუშაობენ ადგილობრივ ლგბტ ჯგუფის წევრებთან და/ან ნდობაზე დამყარებული ურთიერთობის ჩამოსაყალიბებლად?

3.5. არ მოიპოვება ინფორმაცია იმის შესახებ, არსებობენ თუ არა სპეციალურად დანიშნული პოლიციის ოფი-

⁹⁸ საქართველოში ლგბტ ქალთა მდგომარეობის ამსახველი ჩრდილოვანი ანგარიში CEDAW კომიტეტისათვის. „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“. WISG. თბილისი, 2012. ბმული http://women.ge/wp-content/uploads/2012/05/WISG-LBT-CEDAW-shadow-report_geo.pdf

⁹⁹ საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანება №5, 2006 წლის 19 ივნისი „საქართველოს პროკურატურის მუშაკთა ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“. მუხლი 5(2)

¹⁰⁰ იქვე. მუხლი 6

ცრები, რომელთაც ადგილობრივ ლგბტ საზოგადოებასთან ურთიერთობების და ნდობის გასაღრმავებლად კონტაქტის დამყარება მოეთხოვებათ.

ეს შეკითხვა გაეგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროს, თუმცა, მათ მიერ გამოგზავნილი წერილი კონკრეტულად მასზე პასუხს არ შეიცავდა.

3.6. არსებობს თუ არა ანონიმური ან ელექტრონული საჩივრების სისტემა ან სხვა ადვილად ხელმისაწვდომი საშუალებები, რომელიც მესამე პირს საშუალებას აძლევს დატოვონ შეტყობინებები ასეთი შემთხვევების სიხშირისა და ხასიათის შესახებ ინფორმაციის შეგროვების მიზნით?

3.6. პოლიციაში და პროკურატურაში არსებობს ცხელი ხაზი, თუმცა, „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფისათვის“ არაფერია ცნობილი მათი ზოგადი ეფექტურობის თაობაზე ჩატარებული მონიტორინგის შესახებ; „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფს“ არ შეუძლია შეაფასოს ამ სერვისის ეფექტურობა კონკრეტულად სიძულვილზე დაფუძნებული ან ლგბტ პირთა წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებებში.

შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილში აღნიშნულია: „გენერალური ინსპექცია თავის მუშაობაში ეყრდნობა ისეთ ინფორმაციის წყაროებს, როგორიცაა მოქალაქეთა საჩივრები (წერილობითი და ცხელ ხაზზე შემოსული, მათ შორის ანონიმური), სახალხო დამცველი, მას მედია და სხვ. პოლიციელთა მხრიდან კანონსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენის შემთხვევაში ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია მიმართოს გენერალურ ინსპექციას და აცნობოს აღნიშნული ფაქტის შესახებ“.¹⁰¹

იხ. ზემოთ მოყვანილი მაგალითები ასეთ დანაშაულებთან მიმართებაში უცოდინრობის შესახებ (იხ. ქეისები #G8, #118, #P21); პოლიციის დისკრიმინაციული და დამამცირებელი მოპყრობის შესახებ მაგალითი იხ. ქვემოთ. თუმცა, ადგილი ჰქონდა ზოგიერთ პოზიტიურ ცვლილებასაც საქართველოს პოლიციის სისტემაში, ძნელი სათქმელია, იყო ეს პოლიციის მიერ ლგბტ დანაშაულების თუ ლგბტ მსხვერპლის მომცველი სხვა დანაშაულების გამოძიების პირდაპირი დადებითი შედეგი.

CEDAW კომიტეტისთვის წარსადგენ ანგარიშზე და ლგბტ დისკრიმინაციის კვლევაზე მუშაობის პერიოდში გამოვლენილი იქნა შემთხვევები, როდესაც პოლიცია ყურადღებას არ აქცევდა მესამე მხარეების მიერ ჩადენილ დანაშაულებს¹⁰²; აგრეთვე გამოვლენილი იქნა პოლიციის ოფიცრების მიერ მუქარის, ცინიკური დამოკიდებულების და სიტყვიერი შეურაცხყოფის უგულვებლყოფის ფაქტები როგორც ჯგუფის ინდივიდუალური წევრების, ასევე ლგბტ წევრების მიმართ. სახალხო დამცველის ოფისის და „საქართველოში ქალთა ფონდის“ წარმომადგენლებმა ამ თვალსაზრისით აღნიშნეს, რომ ცნობიერების ამაღლების პროგრამები აუცილებელია სამართალდამცავი სტრუქტურების თანამშრომლებისათვის, რათა ასეთი პრაქტიკები თავიდან იქნას აცილებული.¹⁰³

მეორე მხრივ, აუცილებელია ხაზი გაესვას იმას, რომ ზემოაღნიშნული ფაქტების გარდა, არ არსებობს ლგბტ საქმეების გამოძიებელი სპეციალური განყოფილებები. ზოგ შემთხვევაში პოლიციის ოფიცერთა უცოდინრობა და/ან მათი დისკრიმინაციული/ჰომოფობიური დამოკიდებულება იმ ლგბტ პირთა მიმართ, ვინც დანაშაულის მსხვერპლი გახდა მიგვანიშნებს იმაზე, რომ საჭიროა მათი ცნობიერების ამაღლება ლგბტ საკითხებსა და ზო-

101 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპასუხო წერილი, N.640758, თარიღი 18.05.2012.

102 მაგ. Case #W26. 2010 წლის 15 ოქტომბერი. თბილისი. ბარის „საქსესი.“ ლესბოსელ წყვილს, რომელიც ერთმანეთს კოცნიდა, ბარში მსხდომება ფოტოების გადაღება დაუწყეს, რაც გოგონებმა გააპროტესტეს. სიტყვიერი დაპირისპირება ფიზიკურში გადაიზარდა „ჯერ მუშტი დამარტყა პირდაპირ სახეში და მიმანარცხა კედელთან, მერე დავვარდი და ფეხები მირტყა, მერე სახეშიც მირტყა.. ჩემი მეგობრები ცდილობდნენ ჩემს გამოხსნას, ისინიც მოისროლა ერთი იქით, ერთი აქეთ, გადაიფრინა და მაგიდები წააქცია.. მენეჯერს, იმის მაგივრად რომ ან დაცვისთვის დაეძახა, ან რაღაცნაირად დამხმარებოდა, მეუბნებოდა რომ დახურე ანგარიში და წადიო.. პატრული გამოვიძახე, რომელიც კარგა ხნის მერე მოვიდა, მაგრამ მოვიდნენ. ისინი ნეიტრალურები იყვნენ, თუმცა იყო მინიშნებები რომ პროვოცირება იმ უცნობ ადამიანებს მე გაუუკეთე ჩემი საქციელით. ვთვლი, რომ მათი დამოკიდებულება არ იყო მწვავე ჰომოფობიური, მაგრამ ზოგადად ჰომოფობიური განწყობა იყო. თვითნაპატრულსაც და დაცვასაც ირონიული დამოკიდებულება ჰქონდათ. დაცვას იმის ნაცვლად რომ ემოქმედა, მეუბნებოდა რომ სასწრაფოდ დამეტოვებინა ბარი. პოლიციელები კი ჩაიციკლნენ იმაზე თუ რატომ მიღებდნენ ფოტოებს, ეს უკვე პოლიციის შენობაში ხდებოდა... ორი კვირის მერე წერილი მივიღე, რომ საქმე აღიძრა, თუმცა, მას შემდეგ აღარავინ დამკავშირებია... ნუ მერე რაღაც არც დრო მქონდა, არც ენერგია და ალაც იმედი არ მქონდა რომ ეს საკითხი მოგვარდებოდა და აღარ მივეყვი ბოლომდე...“;

103 საქართველოში ლგბტ ქალთა მდგომარეობის ამსახველი ჩრდილოვანი ანგარიში CEDAW კომიტეტისათვის. „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“. WISG. თბილისი, 2012. ბმული http://women.ge/wp-content/uploads/2012/05/WISG-LBT-CEDAW-shadow-report_geo.pdf

გადად, პოლიციის ეთიკით განსაზღვრულ ვალდებულებების შესახებ; იყო შემთხვევები, როდესაც პოლიციის ოფიცრები თავად ემუქრებოდნენ, აშანტაუბდნენ ან სხვაგვარად შეურაცხყოფდნენ ლგბტ პირებს მათი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე.

4. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ სათანადო ზომები, რათა უზრუნველყონ საპატიმრო დაწესებულებებში ან სხვაგვარად თავისუფლება აღკვეთილი პირების, მათ შორის ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი ადამიანების უსაფრთხოება და ღირსების დაცვა; კერძოდ, უნდა მიიღონ დამცავი ზომები აღნიშნული პირების მისამართით განხორციელებული ფიზიკური შეურაცხყოფის, გაუპატიურების და სხვა სახის სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ, იმის მიუხედავად თუ ვის მიერაა ეს ჩადენილი: სხვა პატიმრების თუ დაწესებულების პერსონალის მიერ; ასეთი ზომები უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ ადეკვატურად დაცული და პატივცემული იყოს ტრანსგენდერ პირთა გენდერული იდენტობა.

4.1. უზრუნველყოფს თუ არა ციხის თანამშრომლებისათვის განკუთვნილი სასწავლო პროგრამები და ქცევის წესები პატიმრებისადმი პატივისცემითა და არადისკრიმინაციულ მოპყრობას მიუხედავად მათი (ა) სექსუალური ორიენტაციისა და (ბ) გენდერული იდენტობისა?

4.1. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო წერს, რომ სამინისტრო ახორციელებს საქართველოს პენიტენციური სისტემის თანამშრომლების გადამზადებას, რომელიც ითვალისწინებს პატიმართა მოპყრობის ჰუმანური და არადისკრიმინაციული საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას, განურჩევლად მათი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობისა.¹⁰⁴ WISG არ ფლობს საკმარის ინფორმაციას, რათა შეაფასოს ამ თრეინინგების ეფექტურობა პრაქტიკაში.

სასჯელაღსრულების ორგანოების მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსში მითითებულია, რომ მოსამსახურემ მასზე დაკისრებული ამოცანები უნდა შეასრულოს კანონის ფარგლებში, მიუკერძოებლად, ეთნიკური, რელიგიური, სქესის თუ სხვა ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე.¹⁰⁵

თუმცა, სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ომბუდსმენის შეფასებები უკიდურესად კრიტიკულია პატიმართა მდგომარეობის ამსახველ ანგარიშებში.

4.2. არსებობს თუ არა მოქმედი ზომები, რათა მოხდეს ფიზიკური შეურაცხყოფის, გაუპატიურების და სხვა სექსუალური ძალადობის საფრთხეების მინიმუმამდე დაყვანა, მათ შორის დამნაშავეთა დისციპლინარული და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი რეგლამენტი, მათ შორის არასათანადო ზედამხედველობისთვის?

4.2. სახელმწიფო უზრუნველყოფს ბრალდებულისა და მსჯავრდებულის კანონიერი უფლებებისა და თავისუფლებების, ასევე მათი სამართლებრივი, სოციალური და პირადი უსაფრთხოების დაცვას, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულებას.¹⁰⁶ ბრალდებულს პატიმრობის, ხოლო მსჯავრდებულს თავისუფლების აღკვეთის აღსრულებისას გარანტირებული აქვს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით აღიარებული უფლებები და თავისუფლებები.¹⁰⁷ საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით ნებისმიერი ფიზიკური თუ სექსუალური ძალადობა ისჯება სისხლის სამართლის კოდექსით, ხოლო არასათანადო ზედამხედველობისა და პროფესიული გულგრილობისათვის პასუხისმგებელ პირს შეიძლება დაეკისროს როგორც დისციპლინარული სასჯელი, ასევე მიეცეს პასუხისმგებაში სისხლის სამართლებრივი გზით.¹⁰⁸

¹⁰⁴ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საპასუხო წერილი, N.11266/01, თარიღი: 14.05.2012.

¹⁰⁵ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება Nო. 151, 16.04.2009, მუხლი.2. მოსამსახურეთა საქმიანობის ძირითადი პრინციპები, ბმული https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=83476

¹⁰⁶ პატიმრობის კოდექსი. მუხლი 13 (1) და (2)

¹⁰⁷ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საპასუხო წერილი, N.11266/01, თარიღი: 14.05.2012.

¹⁰⁸ იქვე.

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს წერილში ხაზგასმულია ზემოთ აღნიშნული სტანდარტები და ასევე ნათქვამია, რომ: „საქართველოს პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში მყოფი ნებისმიერი მსჯავრდებული/ბრალდებული სარგებლობს საქართველოს კანონმდებლობით და საერთაშორისო ნორმებით აღიარებული უფლებებით“.¹⁰⁹

თუმცა, საკითხავია, რამდენად ხორციელდება ყოველივე ეს პრაქტიკაში, რადგან საქართველოს სახალხო დამცველი და ადამიანის უფლებადამცველი ორგანიზაციები ხშირად გამოთქვამენ შეშფოთებას საქართველოს პენიტენციურ ინსტიტუტებში საცხოვრებელი პირობების და პატიმართა მიმართ მოპყრობის თაობაზე.¹¹⁰ რაც შეეხება კონკრეტულად ლგბტ პატიმრებს, ინფორმაცია მათ შესახებ თითქმის საერთოდ მიუწვდომელია. ამჟამად საქართველოს ციხეებში მონიტორინგის განხორციელების უფლება მხოლოდ სახალხო დამცველს გააჩნია (რომელიც აგრეთვე „UNCAT“-ს ფარგლებში ეროვნულ პრევენციულ მექანიზმად დაინიშნა). ამ დრომდე სახალხო დამცველს საქართველოს პენიტენციურ სისტემაში ლგბტ პატიმრების მდგომარეობაზე რამე კონკრეტული განცხადება ან ანგარიში არ გამოუქვეყნებია.

ამ საკითხის შესწავლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან არსებობს ზოგიერთი ანგარიში, რომ წინა წლებში ლგბტ პირები ციხეებში განიცდიდნენ დისკრიმინაციას და ძალადობას. ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამჟამად ძველი პრაქტიკები საბოლოოდ აღმოფხვრილია, განსაკუთრებით, როდესაც ამის დამადასტურებელი არანაირი ინფორმაცია არ არსებობს.¹¹¹

4.3. არსებობს თუ არა დამოუკიდებელი და ეფექტური მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ციხის თანამშრომლების მიერ ასეთი დანაშაულის ჩადენაზე შეტყობინების მიღებასა და გამოძიებას?

4.3. დაწესებულებაში მოხვედრილ ბრალდებულს/მსჯავრდებულს პასუხისმგებელმა პირმა დაუყოვნებლივ უნდა მისცეს საშუალება, გაეცნოს წერილობით ინფორმაციას თავისი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ, მათ შორის, საჩივრის შეტანის უფლებისა და გასაჩივრების კანონით გათვალისწინებული წესის თაობაზე.¹¹²

წამებასთან, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობასთან დაკავშირებული საჩივრები განეკუთვნება განსაკუთრებულ შემთხვევას და განხილულ უნდა იქნეს დაუყოვნებლივ.¹¹³ ასეთ მოპყრობასთან დაკავშირებული საჩივრების შესახებ უნდა ეცნობოს დაწესებულების დირექტორს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს ან/და სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს არა უგვიანეს 24 საათისა.¹¹⁴

ძნელია იმის შეფასება, თუ რამდენად ეფექტურად ხორციელდება ეს დებულებები პრაქტიკაში, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ ადამიანის უფლებების დამცველი სხვადასხვა ორგანიზაციების ანგარიშებს საქართველოს პენიტენციურ სისტემაში ადამიანის უფლებების სერიოზული დარღვევების შესახებ, რომელთა გამოძიებაც არ ხდება.

4.4. ტრანსგენდერი პატიმრების შემთხვევაში არსებობს თუ არა რეგლამენტი, რომელიც უზრუნველყოფს პირთა გენდერული იდენტობის პატივისცემას ციხის თანამშრომლების მხრიდან ისეთი პროცედურების დროს, როგორიც არის მაგალითად სხეულის დათვალიერება და განსაკუთრებით გადაწყვეტილების მიღება იმის შესახებ თუ სად უნდა განთავსდეს ტრანსგენდერი პატიმარი – მამაკაცების თუ ქალების სასჯელაღსრულების დაწესებულებებში?

4.4. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრომ

¹⁰⁹ იქვე.

¹¹⁰ <http://www.ombudsman.ge/files/downloads/en/wlxxwtamrxzqzvysxoyk.pdf> <http://www.ombudsman.ge/files/downloads/en/hcqkqyhbldxcayqiwg.pdf>

¹¹¹ საქართველოში ლგბტ ქალთა მდგომარეობის ამსახველი ჩრდილოვანი ანგარიში CEDAW კომიტეტისათვის. „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“. WISG. თბილისი, 2012. გვ. 20-21, ბმული: http://women.ge/wp-content/uploads/2012/05/WISG-LBT-CEDAW-shadow-report_geo.pdf

¹¹² პატიმრობის კოდექსი. მუხლი 97(1)

¹¹³ იქვე, მუხლი 105(1) და (2).

¹¹⁴ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საპასუხო წერილი, N.11266/01, თარიღი: 14.05.2012.

შეტყობინა „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერ ჯგუფს“, რომ მათ არ გააჩნიათ ინფორმაცია საქართველოს პენიტენციურ დაწესებულებებში ტრანსგენდერი პირების არსებობის შესახებ. სამინისტროს განცხადებით, ზემოაღნიშნული მიზეზით და იმიტომ, რომ ასეთი ადამიანების რაოდენობა ქართულ საზოგადოებაში მცირეა (ასე იყო განმარტებული წერილში), სამინისტროს არ გააჩნია ინსტრუქციები, რომლებიც კონკრეტულად ამ პირების ციხეში ყოფნას დაარეგულირებდა.

მიუხედავად ამისა, წერილში აღნიშნულია, რომ: „მსგავსი საკითხის არსებობის შემთხვევაში, გადწყვეტილების მიღება მოხდება პატიმრის უსაფრთხოებისა და ინტერესების დაცვის გათვალისწინებით“.¹¹⁵

5. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის და შეუწყნარებლობის გავრცელების და აღნიშნული სახის დისკრიმინაციისა და შეუწყნარებლობის ბუნების შესახებ შესაბამისი მონაცემების შეკრება და გაანალიზება; უფრო კონკრეტულად, უნდა შეგროვდეს ინფორმაცია სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე ჩადენილი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებებისა და სხვა ინციდენტების შესახებ.

5.1. ჩატარდა თუ არა კვლევა ლგბტ ჯგუფის პირების მიმართ მტრული და უარყოფითი დამოკიდებულების არსისა და მიზეზების გამოსავლენად, ამ მოვლენასთან ბრძოლის ეფექტური პოლიტიკის შემუშავების მიზნით?

5.1. „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ მიერ სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებიდან მიღებული პასუხების შესაბამისად შეიძლება დავასკვნათ, რომ არცერთ მათგანს ჯერ არ ჩაუტარებია კვლევა ლგბტ პირების მიმართ მტრული და უარყოფითი დამოკიდებულების მიზეზების გასარკვევად, რაც აუცილებელია ამ მოვლენასთან საბრძოლველად.

5.2. რეგულარულად ტარდება თუ არა კვლევა ლგბტ ადამიანების მიმართ სოციალური მიმღებლობის/ მტრული დამოკიდებულების დონის გამოსაკვლევად?

5.2. მეტიც, სახელმწიფოს 2012 წლის ანგარიში CEDAW კომიტეტისათვის (CEDAW პირდაპირ ავალდებულებს სახელმწიფოებს ქალებთან მიმართ არსებული სტერეოტიპების აღმოფხვრას), არაფერს ამბობს საქართველოში ლგბტ ქალების წინააღმდეგ სტერეოტიპების აღმოფხვრაზე, მათი გამომწვევი მიზეზების სიღრმისეულ კვლევებზე რომ აღარაფერი ვთქვათ.¹¹⁶

სახალხო დამცველის წერილში წერია, რომ: „საქართველოს სახალხო დამცველის და მისი აპარატის მიერ კონკრეტული კვლევა ამ მიმართულებით არ ჩატარებულა, ვინაიდან მსგავსი კვლევების ჩატარება არ შედის მის მანდატში.“¹¹⁷ მეორე მხრივ, სახალხო დამცველის ოფისი აგროვებს სტატისტიკურ მონაცემებს ინდივიდუალური საჩივრების საფუძველზე. „თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისათვის 2011 წლის განმავლობაში სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებებისა ან/და შემთხვევების შესახებ განცხადება არ დაფიქსირებული, მსგავსი სტატისტიკა არ გვაქვს“.¹¹⁸ წერილის მიხედვით, სახალხო დამცველის ოფისში ამჟამად მსგავს მოტივით ჩადენილი მხოლოდ ერთი საქმის შესწავლა მიმდინარეობს.¹¹⁹

5.3. არსებობს თუ არა (ა) სექსუალური ორიენტაციისა და (ბ) გენდერული იდენტობის საფუძველზე „სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებების“ და შემთხვევების აღრიცხვისა და სტატისტიკის ეფექტური სისტემა?

5.3. სახალხო დამცველის აპარატის საპასუხო წერილის თანახმად, ამ ეტაპზე საქართველოს მთავარი პროკურატურა არ ფლობს სტატისტიკურ მონაცემებს სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის

¹¹⁵ იქვე.

¹¹⁶ CEDAW-ს მე-4 და მე-5 პერიოდული ანგარიშები საქართველოდან. 2012 წ.

¹¹⁷ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საპასუხო წერილი, N.706/04-11, თარიღი: 17.07.2012

¹¹⁸ იქვე.

¹¹⁹ იქვე.

საფუძველზე სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებების შესახებ.¹²⁰¹²¹

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საპასუხო წერილში მითითებულია, რომ „სამინისტროს ფარგლებში შესაძლებელია მხოლოდ კანონმდებლობის ევროპული სტანდარტებისადმი შესაბამისობის თაობაზე მონიტორინგის განხორციელება, რასაც იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი დეპარტამენტები: საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტი, სამართალშემოქმედებითი დეპარტამენტი და ანალიტიკური დეპარტამენტი აწარმოებენ უწყვეტ რეჟიმში.“¹²²

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში დღემდე არ ჩატარებულა სიღრმისეული კვლევა, რომელიც ასახავდა საზოგადოებაში არსებულ განწყობებს ლგბტ ჯგუფის წარმომადგენელთა მიმართ, ჰომოფობიის გამოვლენის ხარისხსა და სპეციფიკას. დღემდე ჩატარებული კვლევების უმეტესობა, რომლებიც სხვადასხვა ღირებულებებთან/ საკითხებთან და/ან ჯგუფებთან მიმართებას და განწყობათა ცვლილების დინამიკას სწავლობს (მათ შორის ჰომოსექსუალთა მიმართ), არ იძლევა ამგვარი ჩალრმავების საშუალებას.¹²³ CRRC-ს მიერ 2009-2011 წლებში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში მდგომარეობა ჰომოსექსუალობასთან მიმართებაში დიდად არ შეცვლილა და იმ ადამიანთა რიცხვი, ვინც ჰომოსექსუალობას მიუღებლად მიიჩნევს, უცვლელი რჩება – 90%.¹²⁴

ჰაინრიხ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიუროს კვლევამ უმცირესობების მიმართ მოსახლეობის განწყობებისა და დამოკიდებულებების შესახებ კი აჩვენა, რომ სხვა უმცირესობათა ჯგუფებს შორის, ყველაზე დიდი წნეხის ქვეშ სწორედ ლგბტ ჯგუფის ადამიანები არიან.¹²⁵ WISG-ის მიერ 2012 წელს ჩატარებულ კვლევაში მონაწილე ლგბტ ჯგუფის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ საზოგადოების დამოკიდებულება მათ მიმართ მზარდად ნეგატიურია.¹²⁶

უცნობია, თუ რამდენად ითვალისწინებენ სახელმწიფო დაწესებულებები/მოხელეები ამ და სხვა მსგავსი კვლევების შედეგებს მოქმედებაში და პოლიტიკის განსაზღვრისას.¹²⁷

120 იქვე.

121 „უნდა აღინიშნოს, რომ წინა წლებისათვის არც რიამე სხვა მიზეზით მოტივირებული სიძულვილის (მაგალითად, რასობრივი ან რელიგიური) საფუძველზე ჩადენილი დანაშაულის ან დისკრიმინაციის სტატისტიკური მონაცემები არსებობს. თუმცა სისხლის სამართლის კანონმდებლობის სხვადასხვა დებულებები ასეთი ქმედებების განხორციელებას მოითხოვდნენ, სამართალდამცავი ორგანოები ამ მუხლებს პრაქტიკაში არ იყენებდნენ“. სოფო ბენაშვილი, სახალხო დამცველის სამსახურის წარმომადგენელი; საჯარო დებატები ჰაინრიხ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო; 04.04.2012, ხელმისაწვდომია მხოლოდ ქართულ ენაზე შემდეგ მისამართზე: http://www.ge.boell.org/downloads/2_Discrimination_as_a_Grave_Circumstance_of_a_Crime_Ge.pdf

122 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საპასუხო წერილი, N.26948, თარიღი: 26.06.2012.“

123 ლგბტ ადამიანთა მდგომარეობა საქართველოში. „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“ (WISG). თბილისი, 2012.

124 ევროკავშირის მიმართ დამოკიდებულებისა და ცოდნის შეფასება საქართველოში. კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (CRRC), ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი. 2011. http://www.epfound.ge/files/eu_report_geo_12jan2012_final_1_.pdf

125 ჰაინრიხ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიუროს კვლევა უმცირესობების მიმართ მოსახლეობის განწყობისა და დამოკიდებულების შესახებ, ივნისი, 2011.

126 ლგბტ ადამიანთა მდგომარეობა საქართველოში. „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“ (WISG). თბილისი, 2012.

127 რაც შეეხება 2012 წელს WISG-ის მიერ ჩატარებულ ლგბტ დისკრიმინაციის კვლევას, შერჩევასთან დაკავშირებული შეზღუდვები, რომელიც ჯგუფის სპეციფიკას უკავშირდება არ იძლევა შედეგების განზოგადების საშუალებას ქვეყნის მასშტაბით, თუმცა იძლევა გარკვეულ ინფორმაციას იმ დისკრიმინაციული პრაქტიკების/გამოცდილებების შესახებ რაც კვლევაში მონაწილე ადამიანებს აქვთ. ეს ინფორმაცია საკმარისია იმისათვის, რომ ცხადი გაეზადოთ თუ სად და რა ტიპის პრობლემებს აწყდებიან ლგბტ ადამიანები ყოველდღიურ ცხოვრებაში. კვლევის შედეგები შეგვახსენებს, რომ სექსუალურ ორიენტაციაზე/გენდერულ იდენტობაზე დაფუძნებული დისკრიმინაცია ადამიანის უფლებათა მნიშვნელოვანი საკითხია, რომელიც რეაგირებას მოითხოვს როგორც ხელისუფლების, ისე საზოგადოების მხრიდან.

B. „სიძულვილის ენა“

6. ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები გამოხატვის ისეთი ფორმების წინააღმდეგ, მათ შორის მასმედიასა და ინტერნეტ სივრცეში, რომელმაც შესაძლოა გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი პირების მიმართ სიძულვილის ან დისკრიმინაციის სხვაგვარი ფორმის გამოწვევის, გავრცელების ან ხელშეწყობის პროვოცირება მოახდინოს. ასეთი „სიძულვილის ენა“ საჯაროდ უნდა იყოს აკრძალული და დაგმოხილი. ყველა მიღებულმა ზომამ პატივი უნდა სცეს გამოხატვის ფუნდამენტურ უფლებას კონვენციის მე-10 მუხლისა და სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად.

6.1. არსებობს თუ არა საკანონმდებლო ზომები განსაზღვრულ საფუძველზე არსებული „სიძულვილის ენის“ დასასჯელად?

6.1. საქართველოს კანონმდებლობა არ ახდენს სიძულვილის ენის კრიმინალიზაციას, მაგრამ რეგულირდება სამოქალაქო კოდექსის ზოგიერთი მუხლის, მაუწყებელთა და ჟურნალისტური ეთიკის ქცევის კოდექსების მეშვეობით.¹²⁸ ნებისმიერს აქვს უფლება მიმართოს თვითრეგულაციის სხვადასხვა მექანიზმებს სიძულვილის ენაზე რეაგირებისათვის.

საქართველოს საარჩევნო კოდექსი აწესებს გარკვეულ შეზღუდვებს სიძულვილის ენის გამოყენებასა და სოციალურ ჯგუფებს შორის შუღლის გაღვივებასთან დაკავშირებით: „საარჩევნო პროგრამა არ უნდა შეიცავდეს ომისა და ძალადობის პროპაგანდას, არსებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების ძალადობით შეცვლის ან დამხობის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის, ეროვნული შუღლისა და მტრობის, რელიგიური და ეთნიკური დაპირისპირების მოწოდებას.“¹²⁹

საქართველოს ორგანულ კანონში მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ მითითებულია: „დაუშვებელია ისეთი პარტიის შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს“, ¹³⁰ თუმცა, ჩამონათვალი არ მოიცავს სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობას.

6.2. ეხება თუ არა ეს ზომები: (ა) ჰომოფობიურ და (ბ) ტრანსფობიურ „სიძულვილის ენას“?

6.2. არ არსებობს საჯარიმო სანქციები, გარდა შინაარსის შემზღუდველი ზომებისა, რომლებიც სამაუწყებლო საინფორმაციო საშუალებების და ინტერნეტ პროვიდერების მიერ ჰომოფობიური სიძულვილის ენის გამოყენებას დაარეგულირებდნენ. კერძოდ: „იკრძალება ისეთი პროგრამების გადაცემა, რომლებიც მიმართულია პირის ან ჯგუფის ფიზიკური შესაძლებლობის, ეთნიკური კუთვნილების, რელიგიის, მსოფლმხედველობის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის ან სხვა თვისებისა თუ სტატუსის გამო შეურაცხყოფისაკენ, დისკრიმინაციისაკენ ან ამ თვისებისა თუ სტატუსის განსაკუთრებული ხაზგასმისაკენ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს აუცილებელია პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე და მიზნად ისახავს არსებული შუღლის ილუსტრირებას.“¹³¹

უფრო მეტიც, აკრძალულია არაეთიკური რეკლამა, რომელიც ფიზიკურ პირთა ეროვნების, რასის, პროფესიის, სოციალური კუთვნილების, ასაკის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და ფილოსოფიური მრწამსის მიმართ შეურაცხყოფელი სიტყვებისა და შედარებების გამოყენებით არღვევს საყოველთაოდ აღიარებულ ჰუმანურ და ზნეობრივ ნორმებს.¹³²

2009 წელს 138 ჟურნალისტმა ხელი მოაწერა ჟურნალისტური ეთიკის კოდექსს, რომელიც წარმოადგენს მე-

128 კვლევა ჰომოფობიის, ტრანსფობიის და სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის შესახებ. სამართლებრივი ანალიზი: საქართველო. დამოუკიდებელი მკვლევარი ანა ნაცვლიშვილი. COWI. 2010. ბმული: http://www.coe.int/t/commissioner/source/igbt/georgialegal_e.pdf

129 საქართველოს საარჩევნო კოდექსი. მუხლი 45. პუნქტი 3.

130 საქართველოს ორგანული კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ. მუხლი 5. პუნქტი 2.

131 საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ. მუხლი 56, პუნქტი 3.

132 საქართველოს კანონი. რეკლამის შესახებ. მუხლი. 3(5). ბმული: <http://www.mdffgeorgia.ge/contentimage/legislation/kanoni-reklamis-shesaxe.pdf>

დიის თვით-რეგულაციის მექანიზმს. ქარტია მოიცავს 11 პრინციპს, რომელთაგან ორი პირდაპირ ეხება ლგბტ ადამიანებს. ქარტიის მე-7 პრინციპის თანახმად: „ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის ნახალისების საფრთხე; ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე ან რაიმე სხვა ნიშნით. მე-10 პრინციპი ეხება პირადი ცხოვრების პატივისცემასა და ხელშეუხებლობას: „ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს ადამიანის პირად ცხოვრებას და არ შეიჭრას პირად ცხოვრებაში, თუ არ არსებობს განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი“. ქარტიის ხელმომწერი ჟურნალისტების მიერ საკუთარი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი ზედამხედველი ორგანოს მიერ ხორციელდება.¹³³

ზემოთ ჩამოთვლილი რეგულაციების შეუსრულებლობაზე პასუხისგება მხოლოდ თვითრეგულაციის მექანიზმებით არის შესაძლებელი. ამ კუთხით არსებობს როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური გამოცდილება.

პრაქტიკაში, თვითრეგულაციის მექანიზმების გარდა, უფლებადამცველები ცდილობენ გამოიყენონ ნებისმიერი სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც სამართალწარმოების გზით შესაძლებელს გახდის რეაგირებას პოლიტიკოსთა მიერ სიძულვილის ენის გამოყენების ფაქტებზე (იხ. მაგ. ქეისები #G8 და #W9), რომლებიც ეფუძნება საქართველოს საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებულ არგუმენტებს სიძულვილის ენის გამოყენებასთან დაკავშირებით.

6.3. ხდება თუ არა მედია ორგანიზაციების, მათ შორის ინტერნეტ გამოცემების ნახალისება, რათა მათ საკუთარი მოღვაწეობის ფარგლებში (მაგ. პროფესიული ეთიკის კოდექსის მეშვეობით) ხელი შეუწყონ:

- პატივისცემის, ტოლერანტულობისა და მრავალფეროვნების კულტურას და
- ლგბტ ჯგუფის წევრების ნეგატიურად და სტერეოტიპულად წარმოჩენის თავიდან აცილებას?

6.3. იხ. პასუხი 6.2.

6.4. არსებობს თუ არა კანონი, რომელიც ახდენს „სიძულვილის ენის“ კრიმინალიზაციას და მოიცავს თუ არა ის: (ა) ჰომოფობიურ და (ბ) ტრანსფობიურ „სიძულვილის ენას“?

6.4. N/A

6.5. ხდება თუ არა ინტერნეტ სერვისის მიმწოდებლების ნახალისება, რათა მათ მიიღონ ზომები (ა) ჰომოფობიური და (ბ) ტრანსფობიური მასალის, მუქარისა და შეურაცხყოფის გავრცელების აღკვეთისათვის?

6.5. ინტერნეტ მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია შეიმუშაოს ისეთ მექანიზმები, რომლებიც შესაძლებლობას მისცემს გააუქმოს ან განაკავშიროს მომხმარებელი, თუ გამოვლინდა ან ცნობილი გახდა, რომ ის აწარმოებს არასასურველი ელექტრონული გზავნილების, დაუშვებელი პროდუქციის, კომპიუტერული ვირუსების, თაღლითური ან/და სხვა მანერ პროგრამების გავრცელება/გადამისამართებას.¹³⁴ რეგლამენტში დაუშვებელი პროდუქცია განსაზღვრულია როგორც ელექტრონული კომუნიკაციების მეშვეობით გადაცემული პორნოგრაფია, სიძულვილისა და ძალადობის განსაკუთრებით მძიმე ფორმების ამსახველი, პირადი ცხოვრების შემლახველი, ცილისმამაებლური, შეურაცხყოფილი, უდანაშაულობის პრეზუმფციის დამრღვევი, უზუსტო, საავტორო უფლებებისა და საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით გადაცემული სხვა პროდუქცია.¹³⁵

ინტერნეტ-დომენის გამცემი პერიოდულად ამოწმებს მის მიერ რეგისტრირებულ ინტერნეტ-გვერდების შინაარსს იმ მიზნით, რომ თავიდან აიცილოს ინტერნეტ-გვერდზე დაუშვებელი პროდუქციის განთავსება. ასეთის შემთხვევაში, დომენის გამცემმა დაუყონებლივ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები მათ აღმოსაფხვრელად:

133 კვლევა ჰომოფობიის, ტრანსფობიის და სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის შესახებ. სამართლებრივი ანალიზი: საქართველო. დამოუკიდებელი მკვლევარი ანა ნაცვლიშვილი. COWI. 2010. ბმული: http://www.coe.int/t/commissioner/source/Igbt/georgialegal_e.pdf

134 „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტი“. მუხლი 101, პუნქტი 4. <http://gncc.ge/index.php?lang=id=GEO&sec=id=7060&info-id=3952>

135 იქვე. მუხლი.3 (3)2.

ა) გააფრთხილოს დომენის მფლობელი და განუსაზღვროს ვადა დაუშვებელი პროდუქციის ამოღებისათვის;

ბ) გააფრთხილოს უგულვებელყოფის შემთხვევაში მოახდინოს ინტერნეტ გვერდის დაბლოკვა.¹³⁶

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2012 წლის 6 ივნისს საქართველომ მოახდინა კონვენციის რატიფიცირება კიბერ-დანაშაულის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2012 წლის 1 ოქტომბრიდან.

თუკი სხვა მედია-საშუალებებში მეტ-ნაკლებად შესაძლებელია რეაგირება ჰომოფობიურ სიძულვილის ენაზე, ინტერნეტ სივრცის გაკონტროლება და რეაგირება დღემდე პრობლემად რჩება. არადა, სოციალურ ქსელებში, ინტერნეტ ფორუმებსა და ბლოგებზე გამოყენებული სიძულვილის ენა ხშირად ყველაზე კატეგორიულია და შეურაცხყოფელი და დამამცირებელი ლექსიკის გამოყენების გარდა, ხშირად, შეიცავს პირდაპირ მოწოდებებს დისკრიმინაციისა და ფიზიკური ძალადობისაკენ. (იხ. მაგ. ქეისები #G8, #I18)

6.6. თუ ადგილი აქვს „სიძულვილის ენის“ გამოვლინებას, ხდება თუ არა მათი საჯაროდ დაგმომა სა-
ჯარო პირთა მიერ?

6.6. სახალხო დამცველისა და სხვა საჯარო პირების მხრიდან, პარლამენტის წევრის გიორგი თარგამაძის მიერ 2012 წლის 22 მაისს (ქეისი #W7A) გაკეთებულ განცხადებაზე რეაგირება იყო პირველი შემთხვევა, როდესაც სახალხო დამცველმა საჯაროდ დაგმო სიძულვილის ენა ლგბტ ადამიანების წინააღმდეგ.¹³⁷

7. **წევრმა სახელმწიფოებმა უნდა აამაღლონ ხელისუფლებისა და საჯარო ინსტიტუტების წარმომადგენელთა ცნობიერება, მათი პასუხისმგებლობის ყველა დონეზე, რათა მათ თავი შეიკავონ ისეთი განცხადებებისგან, მათ შორის მასმედიის მისამართით გაკეთებული განცხადებებისგან, რომლებიც შეიძლება აღქმული იქნას როგორც სიძულვილის ან დისკრიმინაციის ლეგიტიმაცია.**

7.1 . გამოცემულია თუ არა სახელმძღვანელო პრინციპები ან მიღებულია თუ არა სხვა ზომები ხელისუფლების/საჯარო დაწესებულებების წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლებისათვის, რაც მიუთითებს მათ მსგავსი განცხადებებისაგან თავის შეკავების ვალდებულებაზე?

7.1. „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფისათვის“ უცნობია რომელიმე სახელმწიფო დაწესებულების მიერ მიღებული მსგავსი სახელმძღვანელო პრინციპების შესახებ.

საჯარო მოხელეთა ქცევა რეგულირდება კანონით საჯარო სამსახურის შესახებ, რომელიც პირდაპირ არ შეიცავს მითითებებს მოხელეთა მიერ საჯაროდ გავრცელებული განცხადებების თაობაზე. კანონის 73(1) მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად: „საჯარო მოსამსახურემ თავიდან უნდა აიცილოს ნებისმიერი მოქმედება, რომელიც ზიანს მიაყენებს პირადად მის, მისი დაწესებულების ან საჯარო სამსახურის რეპუტაციას“. ¹³⁸ ფარავს თუ არა ეს მუხლი საჯარო მოხელის მიერ ქსენოფობიური განცხადების გავრცელებას, გაურკვეველია.

2004 წელს მიღებული საქართველოს პარლამენტის წევრთა ეთიკის კოდექსი გარკვეულ შეზღუდვებს უწესებს პარლამენტარებს შეურაცხყოფელი გამონათქვამების გამოყენებაზე ¹³⁹. თუმცა, არაფერია ნათქვამი უშუალოდ ქსენოფობიური სიძულვილის ენის გამოყენებაზე პარლამენტართა მხრიდან, რაც არც თუ ისე იშვიათია როგორც ლგბტ პირების, ისე რელიგიური თუ ეთნიკური უმცირესობების მისამართით. არასამთავრობო ორგანიზაციები ამ კოდექსს, როგორც თვითრეგულაციის მექანიზმს, არაფექტურად თვლიან. ¹⁴⁰ ამ მოსაზრებას ზოგიერთი პარლამენტარიც ეთანხმება და საუბრობს მისი შეცვლის საჭიროებაზე. ¹⁴¹

136 იქვე. მუხლი 10³

137 ომბუდსმენი ქრისტიან—დემოკრატიების ჰომოფობიის წინააღმდეგ. თ. კუპრეიშვილი. ნეტგაზეთი. 22.05.2012. <http://www.netgazeti.ge/GE/105/News/9908/>

138 კანონი საჯარო სამსახურის შესახებ. მუხლი 73(1), პუნქტი. 6

139 საქართველოს პარლამენტის წევრთა ეთიკის კოდექსი. პუნქტი 4.

140 საქართველოს პარლამენტის წევრთა ეთიკის კოდექსი – შემდგომი რეფორმები“.საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო. 23 აპრილი 2012.

141 საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, მიხეილ მაჭავარიანმა გახსნა კონფერენცია თემაზე: „ეთიკის კოდექსი და სტანდარტები პარლამენტის წევრთათვის.“ 19.04.2012. http://www.parliament.ge/site2/index.php?lang_id=GEO&sec_id=1282&info_id=34791

სიძულვილის ენა ხშირად ხდება საქართველოს სახალხო დამცველის საგანმანათლებლო აქტივობების ნაწილი. სახალხო დამცველის საპასუხო წერილში ნათქვამია, რომ ამ თემასთან დაკავშირებით ჩატარდა თრეინინგი თავად სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებისთვისაც, რომლის ფარგლებშიც მონაწილეები გაეცნენ სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო სტანდარტებს. ზოგადად თრეინინგი მიზნად ისახავდა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლების ცოდნის გაზრდას, რათა აპარატის მხრიდან ეფექტურად მოხდეს სიძულვილის ენის პრევენცია და მის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლა.¹⁴²

7.2. გაუკეთებიათ თუ არა ხელისუფლების და საჯარო დაწესებულებების წარმომადგენლებს ისეთი განცხადებები, რომელიც შეიძლება გაგებულ იქნას, როგორც სიძულვილის ან დისკრიმინაციის გამართლება?

7.2. როგორც ჰომოფობიური სიძულვილის ენის კვლევები აჩვენებს, ჰომოფობიური სიძულვილის ენა ხშირად გამოიყენება პოლიტიკურ კონტექსტში და განსაკუთრებით მწვავეება წინასაარჩევნო პერიოდებში. პოლიტიკური ოპონენტების მარკირება ჰომოსექსუალად, დადანაშაულება „ჰომოსექსუალობის პროპაგანდაში“ გამოიყენება როგორც გამაძლიერებელი ეფექტი ოპონენტთაგან „უცხო“ კონსტრუირების პროცესში, რომელიც „გადაგვარებით ემუქრება ქვეყნის ტრადიციებსა და ეწინააღმდეგება რელიგიას“.¹⁴³

სახალხო დამცველის საპასუხო წერილში აღნიშნულია, რომ: „2012 წლის განმავლობაში ხელისუფლებისა და საჯარო დაწესებულებების წარმომადგენელთა მხრიდან ადგილი ჰქონდა განცხადებებს, რომლებიც შეიძლება შეფასდეს, როგორც დისკრიმინაციული და კონკრეტული ჯგუფისათვის შეურაცხმყოფელი“.¹⁴⁴ ეს ასევე მოიცავს ლგბტ ჯგუფს. (იხ. ქეისი #W7A)

ბოლო პერიოდამდე ჰომოფობიური სიძულვილის ენის გამოყენების ფაქტებზე პოლიტიკოსებისა და საჯარო პირების მხრიდან რეაგირებას მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციები ახდენდნენ. იყო შემთხვევები, როდესაც საჯარო პირები ახალისებდნენ სხვის მიერ გაკეთებულ ჰომოფობიურ განცხადებებს.

2010 წელს, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ ლგბტ უფლებებთან დაკავშირებული რეზოლუციის განხილვის წინ, სხვადასხვა რელიგიურმა გაერთიანებებმა საქართველოში ერთობლივი განცხადება გაავრცელეს: „იგეგმება „სექსუალური ორიენტაციის ნიადაგზე დისკრიმინაციისა და სქესის იდენტიფიკაციის“ კანონპროექტის განხილვა, რომელიც ჰომოსექსუალიზმის, ბისექსუალიზმისა და სხვა სექსუალური გადახრების ლეგალიზებას გულისხმობს. ამავე სესიაზე გამოტანილი იქნება დოკუმენტი, რომელიც აბორტს წარმოგიდგენს, როგორც ქალის უფლებასა და ოჯახის დაგეგმვის საშუალებას... შეუძლებელია, ევროპა, რომელიც უძველესი ქრისტიანული სამყაროს ნაწილს წარმოადგენს და რომლის კულტურაც მთლიანად რელიგიური ნიშნით არის განმსჭვალული, ევროსაბჭოს მაღალი ტრიბუნიდან ხმას აძლევდეს ისეთი მოვლენის ჩვეულებრივ ნორმად ქცევას, როგორიც არის სექსუალური გადახრები. ჰომოსექსუალიზმი, ბისექსუალიზმი და სხვა მსგავსი ქმედებანი არა მარტო ქრისტიანობაში, არამედ ყველა ტრადიციულ რელიგიაში უდიდეს ცოდვად არის მიჩნეული, რადგან იგი ადამიანის გადაგვარებას, მის სულიერ და ფიზიკურ დაავადებებს იწვევს“.¹⁴⁵ საქართველოს დელეგაციის წევრებმა არათუ გააპროტესტეს ამგვარი განცხადება, არამედ ზოგიერთი მათგანი მიუერთდა კიდევაც ამ განცხადებას (იხ. ქეისები #W1, #W2A, #W2B), ზოგმა კი განცხადება გააკეთა, რითაც კიდევ უფრო გააძლიერა ლგბტ ადამიანებთან დაკავშირებული სტერეოტიპები (იხ. ქეისები: #W3, #W5, #G8, #W9).

2012 წელს სიტუაცია შეიცვალა: „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერის, გიორგი თარგამაძის მიერ პარლამენტში საკონსტიტუციო ცვლილებების წარდგენისას გაკეთებულ ჰომოფობიურ განცხადებებს მწვავე კრიტიკა მოჰყვა როგორც პარლამენტართა, ისე არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან. (იხ. სქოლიოები 42,43,44)

142 საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საპასუხო წერილი, N.706/04-11, თარიღი: 17.07.2012

143 ე. აღდგომელაშვილი. სექსუალური ორიენტაციის/გენდერული იდენტობის რეპრეზენტაცია მედიაში (2011 წლის მაისის მდგომარეობით). მედიის განვითარების ფონდი (MDF). <http://www.mdfgeorgia.ge/index.php?&address=&menuid=16&id=54&lang=1>

144 საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საპასუხო წერილი, N.706/04-11, თარიღი: 17.07.2012

145 საქართველოს საპატრიარქოს, საქართველოში წმიდა საყდრის სადესპანოს, საქართველოში სომხური სამოციქულო ეკლესიის ეპარქია, ქვეყანაში მთავარი რაბინის მოვალეობის შემსრულებლის და სრულიად კავკასიის მუსლიმანთა სამმართველოს სრულუფლებიანი წარმომადგენლის ერთობლივი განცხადება. 29 იანვარი, 2010

ცალკე აღნიშვნის ღირსია „უფლებადამცველთა“ მიერ საჯაროდ გაკეთებული ჰომოფობიური განცხადებები, რომელსაც დიდი გამომხაურება მოჰყვა როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების, ისე მედიის მხრიდან.¹⁴⁶

8. საჯარო მოხელეები და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები უნდა ნახალისდნენ, რათა სამოქალაქო საზოგადოებასთან, მათ შორის მასმედიასა და სპორტულ ორგანიზაციებთან, პოლიტიკური და რელიგიური თემების წარმომადგენლებთან დიალოგის დროს ხელი შეუწყონ ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი ადამიანის მიმართ შემწყნარებლობისა და მათი უფლებების პატივისცემის დანერგვას.

8.1.გამოეხატა თუ არა მხარდაჭერა თანამდებობის პირებს და ხელისუფლების წარმომადგენლებს ამ მიმართულებით?

8.1. ქალთა ინიციატივების მხარდამჭერ ჯგუფს არ გააჩნია ინფორმაცია რომელიმე სახელმწიფო სტრუქტურის მიერ მსგავსი სახელმძღვანელოს გამოცემის შესახებ.

8.2. თუ ასეა, არსებობს თუ არა დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ თანამდებობის პირები და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები ხელს უწყობენ სამოქალაქო საზოგადოებასთან დიალოგის დროს ლგბტ ჯგუფის წევრებისადმი ტოლერანტული დამოკიდებულებისა და არაძალადობრივი ენის გამოყენების ნახალისებას?

8.2. საჯარო მოხელეების და სხვა სახელმწიფო თანამდებობის პირების მიერ სამოქალაქო საზოგადოებასთან დიალოგში ლგბტ პირების მიმართ ტოლერანტობის ნახალისების მაგალითები იშვიათია. მედია ანალიზის შედეგები გვიჩვენებს, რომ ლგბტ საკითხები პოლიტიზებულია და საზოგადოებაში არსებული ჰომოფობიის მაღალი დონის ფონზე, ხშირად გამოიყენება წინასაარჩევნო პერიოდში ელექტორატის მობილიზაციისათვის, პოლიტიკური ოპონენტების მარკირებისათვის ან მსგავსი მიზნებისათვის.¹⁴⁷ საქართველოში ძალზედ იშვიათად ისმის განცხადებები, რომლებიც ლგბტ ჯგუფის თანასწორუფლებიანობის დასაცავად და მის მხარდასაჭერად არიან მონოღებულნი.

¹⁴⁶ „გაზეთი „ასავალ-დასავალი“ ამა წლის 19-25 მარტის ნომერში გამოქვეყნდა ინტერვიუ ნანა კაკაბაძესთან, ადამიანის უფლებათა დამცველი, არასამთავრობო უფლებადამცველი ორგანიზაციის „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარესთან. ინტერვიუში ნათქვამია, რომ ის მომხრეა აღდგეს საბჭოთა კავშირის სისხლის სამართლის კოდექსში არსებული 121-ე მუხლი, რაც ჰომოსექსუალობის დასჯას ითვალისწინებდა. მისივე თქმით, „დანაშაულია, როცა საკუთარ არაჯანსაღ სექსუალურ ორიენტაციაზე ხმაშემა საუბრის საშუალებას აძლევ მამათმავალს და ამის პროპაგანდას ეწევი... ..სახელმწიფომ უნდა დაიცვას ეს ადამიანები, რომ არ სცემონ ქუჩაში, შეურაცხყოფა არ მიაყენონ, მაგრამ დანაშაულის ტოლფასია ყოველდღე გამოვინო ეს ხალხი, ტელესახეებად აქციო და გვიჩივინო, რომ ეს დასაძრახი არ არის. ამით ჩამოყალიბებულ პიროვნებებს ალიზიანებენ, თრგუნავენ და უფლებებს უღახვენ. ახალგაზრდობას კი პირდაპირ ტვინს ურეცხავენ, მენტალიტეტს უმახინჯებენ და აჩვენენ, რომ ეს საქციელი ცუდი სულაც არ არის. ამ საკითხის წინა პლანზე წამოწევა საზიანოა არამარტო ჩვენი ოჯახებისა და შვილებისთვის, არამედ საქართველოს მომავლისთვის. ასეთი ტრადიციებისა და სარწმუნოების მქონე ქვეყანაში მამათმავლობის პროპაგანდას ვერაფერს უნდა ბედავდეს. მართლმადიდებლობაში ხომ მამათმავლობა მომაკვდინებელ ცოდვად ითვლება!“ მომხრე ვარ აღდგეს საბჭოთა კავშირის სისხლის სამართლის კოდექსში არსებული 121-ე მუხლი. ინტერვიუ ნანა კაკაბაძესთან. გაზეთი „ასავალ-დასავალი“ №910, მარტი 19-25, 2012. <http://asavali.ge/archive/910/files/1-41pm5.pdf>; გაზეთის მომდევნო ნომერში, დაიბეჭდა ინტერვიუ ამავე ორგანიზაციის წარმომადგენელთან, გელა ნიკოლეიშვილთან (ადამიანის უფლებადამცველი არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“): „ბუნებაში ისიც ხდება, რომ ადამიანი ნაკლით იბადება. ამ ნაკლის გამო დევნა ყოვლად დაუშვებელია და ვინც ამ ნიშნით ჩაიდენს დანაშაულს, რა თქმა უნდა, დასჯის ღირსია, მაგრამ მეორე მხრივ, ამ ნაკლის ნორმად მიჩნევა და უმრავლესობისთვის თავს მოხვევაც სრულიად დაუშვებელია... ..თუნდაც ჰომოსექსუალი ან იელოველი, თავის იდეებს თუ ძალით ახვევს ვინმეს ან ოჯახში უფარდება, მოქალაქეს სრული იურიდიული უფლება აქვს, ხელისკერით მოიმოროს და ამის გამო ის კანონმა არ უნდა გაამტყუნოს!“ ბატონი ნიკოლეიშვილი ასევე აცხადებს რომ ერთსქესიანი ურთიერთობა არა მხოლოდ რელიგიურ დოგმებს ეწინააღმდეგება, არამედ ბუნებასაც. ერთსქესიანი სიყვარულის განდიდება, უფლის ნების საწინააღმდეგო ქმედებაა. ზაზა დავითაია. ინტერვიუ გელა ნიკოლეიშვილთან. გაზეთი „ასავალ-დასავალი“, №912, აპრილი 2-8, 2012. <http://asavali.ge/archive/912/index.html>;

იმავე პოზიციას იზიარებს ადვოკატი **ლალი აფციაური**: „თუკი საქართველოში ოდესმე გაბედავენ გეი-პარადის მოწყობას, მე როგორც ადვოკატი, სამართლებრივი ჩარჩოებიდან გავალ და მივალ გეი-პარადზე, რათა პანლური ამოვარტყა პარადის მონაწილეებს.“ მომხრე ვარ კანონში არსებობდეს მუხლი, რომელიც აკრძალავს ამ უმსგავსობის პროპაგანდას. მეგი საჯაია. ინტერვიუ ლალი აფციაურთან. გაზეთი „ასავალ-დასავალი“, №911, 26 მარტი-1 აპრილი/2012. <http://asavali.ge/archive/911/files/1-41pm5.pdf>

¹⁴⁷ ე.ა.დღგომელაშვილი. სექსუალური ორიენტაციის/გენდერული იდენტობის რეპრეზენტირება ქართულ მედიაში (2007-2011). WISG. 2012

II. გაერთიანების თავისუფლება

9. ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა ზომა, გაერთიანების თავისუფლების ეფექტურად გამოყენების უზრუნველსაყოფად კონვენციის მე-11 მუხლის შესაბამისად სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე, კერძოდ, დისკრიმინაციული ადმინისტრაციული პროცედურები, მათ შორის გაერთიანებების რეგისტრაციისთვის და პრაქტიკული ფუნქციონირებისთვის საჭირო ზედმეტი ფორმულები თავიდან უნდა იყოს აცილებული და გაუქმებული; ასევე, ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა ზომა სამართლებრივი და ადმინისტრაციული წესების, მათ შორის საზოგადოებრივ ჯანმთელობასთან, საზოგადოების მორალთან და საზოგადოებრივ წესრიგთან დაკავშირებული შეზღუდვების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ.

9.1. ემსობათ თუ არა ხელი ოფიციალურ რეგისტრაციაში ისეთ ორგანიზაციებს, რომელთა საჯაროდ გაცხადებული მიზანია ლგბტ ადამიანების კეთილდღეობაზე, უფლებებზე ან სხვა რაიმე მიმართულებაზე მუშაობა?

9.1. ყველას აქვს საზოგადოებრივი გაერთიანებების, მათ შორის პროფესიული კავშირების შექმნისა და მათში გაერთიანების უფლება.¹⁴⁸

2009 წლის 25 დეკემბერის საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად გამარტივდა არაკომერციული ორგანიზაციების და მათი რეგიონალური ფილიალების დარეგისტრირება საქართველოში. რეგისტრაციისას განაცხადის წარდგენისთვის დადგენილი საბოლოო ვადა შემცირდა 1 სამუშაო დღემდე. განაცხადის გაკეთებისას წარსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი გამარტივდა და შემცირდა. აღარ არსებობს რაიმე განსხვავებული რეგულაციები ადგილობრივ და უცხოურ არასამთავრობო ორგანიზაციებთან მიმართებაში. ასევე აღარ არის აუცილებელი არასამთავრობო ორგანიზაციების რეგიონული ოფისების ცალკე დარეგისტრირება.¹⁴⁹

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით: „დაუშვებელია ისეთი საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაერთიანების შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, ალვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს“.¹⁵⁰

ორგანიზაციების რეგისტრაციისათვის, მათ შორის იმ ორგანიზაციებისა, რომელთა მიზანსაც ლგბტ პირების კეთილდღეობის უზრუნველყოფა და მათი დაცვა წარმოადგენს, არანაირი შეზღუდვები არ არსებობს. რეესტრის მომსახურება გამჭვირვალეა და ხარისხიანი. წარმატების დამამტკიცებელ საბუთს დარეგისტრირებული ორგანიზაციების რაოდენობის ზრდა წარმოადგენს. ყოველწლიურად 1 000-ზე მეტი არაკომერციული იურიდიული პირი რეგისტრირდება. არ არის ცნობილი ლგბტ არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევები.¹⁵¹ „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფისათვის“ აგრეთვე უცნობია შემთხვევა, რომ ორგანიზაციას უარი ეთქვა რეგისტრაციაზე იმ მიზეზით, რომ მან განაცხადა ლგბტ საკითხებზე მუშაობის სურვილი.

9.2. თუ ასეა, ხორციელდება თუ არა ეს დისკრიმინაციული ადმინისტრაციული რეგლამენტის გამოყენებით, საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე, მორალზე, საზოგადოებრივ წესრიგზე დაფუძნებული შეზღუდვების ან რაიმე სხვა საშუალებების გამოყენებით?

9.2. N/A

9.3. არსებობს თუ არა ისეთი ზომების მიღების მაგალითები, რომელიც მიმართულია

- ლგბტ ორგანიზაციების თავისუფლად მოქმედების უზრუნველყოფისკენ

¹⁴⁸ საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 26(1)

¹⁴⁹ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საპასუხო წერილი, N.26948, თარიღი: 26.06.2012.

¹⁵⁰ საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 26(3)

¹⁵¹ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საპასუხო წერილი, N.26948, თარიღი: 26.06.2012.

- უცილებლობის შემთხვევაში მათი ინტერესების დაცვისკენ
- მათი მუშაობის ხელშეწყობისა და წახალისებისკენ?

9.3. არ არსებობს თავისუფალი და უსაფრთხო საქმიანობის უზრუნველმყოფი მექანიზმები კონკრეტულად ლგბტ ორგანიზაციებისათვის.

9.4. ხდება თუ არა ლგბტ ორგანიზაციების ჩართვა პარტნიორულ დონეზე საჯარო პოლიტიკის იმ საკითხების შემუშავებისა და იმპლემენტაციისას, რომელიც გავლენას ახდენს ლგბტ ჯგუფის წევრებზე?

9.4. არა.

10. არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმისაწვდომობა სახელმწიფო/საჯარო დაფინანსებაზე გარანტირებული უნდა იქნეს სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე.

10.1 ხელმისაწვდომია თუ არა არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის გამოყოფილი სახელმწიფო/საჯარო დაფინანსება ლგბტ ორგანიზაციებისათვის დისკრიმინაციის გარეშე?

10.1. არ არსებობს არანაირი შეზღუდვა დაფინანსების მისაღებად მიმართვის თვალსაზრისით. რაც შეეხება სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამებს, ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაცია (ძირითადად სოციალურ საკითხებზე მომუშავე სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციები) იღებს მთავრობისაგან დაფინანსებას. დღემდე სახელმწიფო დაფინანსების მისაღებად არც ერთ ლგბტ ორგანიზაციას არ მიუმართავს. თუმცა, არ არსებობს მიზეზი, ვივარაუდოთ, რომ ასეთი ორგანიზაცია უარს მიიღებს დაფინანსებაზე მხოლოდ თავისი პროფილის გამო.

10.2. გამხდარა თუ არა ხელმისაწვდომი მსგავსი ფონდები ლგბტ ორგანიზაციებისთვის?

10.2. არა.

11. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი ადამიანების უფლებებისთვის მეზობლთა დასაცავად მათ წინააღმდეგ მიმართული აგრესიისგან და მტრობისგან, მათ შორის, სავარაუდოდ სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ განხორციელებული ქმედებებისგან, რათა ადამიანის უფლებადამცველების დაცვისა და მათი საქმიანობის მხარდაჭერის გაუმჯობესების შესახებ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტების დეკლარაციის თანახმად, ადამიანის უფლებადამცველებმა შეძლონ თავისუფლად მოქმედება.

11.1. უზრუნველყოფს თუ არა სახელმწიფო ადამიანის უფლებების დამცველი ორგანიზაციების ეფექტურ დაცვას მესამე პირთაგან მომდინარე მტრული დამოკიდებულებისა და აგრესიისაგან?

11.1. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ხშირად სახელმწიფო ორგანოები ვერ ახერხებენ მოქმედებას, ან მათი ქმედებები არასაკმარისად ეფექტურია ადამიანის უფლებადამცველი ორგანიზაციების და პირების მტრული დამოკიდებულებისაგან და აგრესიისაგან დასაცავად. (იხ. ქეისი #118 ინტერნეტის მეშვეობით გავრცელებული მუქარის თაობაზე, საქმე #112A IDAHO-სადმი მიძღვნილი მშვიდობიანი მსვლელობის მონაწილეებზე თავდასხმის შესახებ და „CEDAW“-ის ჩრდილოვანი ანგარიშისათვის გიორგი გოცირიძის მიერ მიცემული ინტერვიუ.¹⁵²)

11.2. დადებითი პასუხის შემთხვევაში, ვრცელდება თუ არა ეს პასუხი ლგბტ უფლებადაცვით ორგანიზაციებზეც?

11.2. იხ. პასუხი 11.1.

¹⁵² „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ იურისტმა, გიორგი გოცირიძემ ხაზი გაუსვა ნების არარსებობას სახელმწიფოს მხრიდან, რომ ეფექტურად იქნეს გამოძიებული ჯგუფის წევრთა მიმართ ჩადენილი დანაშაულები. მან მაგალითად მოიყვანა სამართალდამცველთა უმოქმედობა ინტერნეტის, ძირითადად სოციალური ქსელების მეშვეობით განხორციელებულ მუქარებთან დაკავშირებით. „მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მარტივია მუქარის ავტორის დადგენა შესაბამისი ინტერნეტ პროვაიდერისგან აიპის გამოთხოვის მეშვეობით, ეს პროცესი იწვევს და რეალურად სამართალდამცველები არ ამჟღავნებენ სურვილს, რომ ასეთი ტიპის საქმეები გამოიძიონ. ...ამ შემთხვევაში ხარვეზი არ არის კანონში. ცვლილება საჭიროა სამართალდამცველი ორგანოების მხრიდან მიდგომაში, რომ მეტი სერიოზულობით, მეტი სკრუპულოზურობით მოექციდონ კონკრეტულად მუქარასთან დაკავშირებით გაკეთებულ საჩივრებს“. საქართველოში ლგბტ ქალთა მდგომარეობის ამსახველი ჩრდილოვანი ანგარიში CEDAW კომიტეტისათვის. „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“. WISG. თბილისი, 2012. გვ. 21-22. WISG. 2012. ბმული: http://women.ge/wp-content/uploads/2012/05/WISG-LBT-CEDAW-shadow-report_geo.pdf

11.3. არსებობს თუ არა მაგალითები სახელმწიფოს მხრიდან მიღებული ზომებისა, რომლებიც მსგავსი ორგანიზაციების საქმიანობის პატივისცემისკენ და ისეთი სამუშაო გარემოს შექმნისკენ იქნებოდა მიმართული, სადაც ასეთი ორგანიზაციები თავისუფლად განახორციელებენ თავანთ საქმიანობას?

11.3. თბილისში, 2012 წლის 17 მაისს IDAHO-ს დემონსტრაციაზე მიტანილი შეტევის შემდეგ (იხ. საქმე N12ა), ორგანიზაცია „იდენტობა“, რომელიც ღონისძიების ორგანიზატორი გახლდათ და მისი თანამშრომლები გარკვეული პრობლემების წინაშე დადგნენ. კერძოდ, პრობლემები შეექმნათ მათი ოფისის მეზობლად მცხოვრებ მოსახლეობასთან. ოფისიდან გამოსვლისას, ზოგიერთმა მეზობელმა დაინახა აქციისთვის მომზადებული პლაკატები და შეურაცხმყოფელი განცხადებები და მუქარა გააჟღერა „იდენტობის“ თანამშრომლების მიმართ. IDAHO-სადმი მიძღვნილი მსვლელობა და მისი დაშლა საქართველოს თითქმის ყველა მასობრივი ინფორმაციის საშუალების მიერ გაშუქდა. იმ დღეს, როდესაც მსვლელობის მონაწილეებზე თავდასხმა მოხდა, „იდენტობის“ ოფისთან საპატრულო პოლიციის მანქანა პატრულირებდა, თუმცა, ოფიცრები ორგანიზაციის არც ერთ წარმომადგენელს არ გამოლაპარაკებია. „იდენტობას“ ახალი ოფისის მოძებნამ მოუწია და სანამ მას იპოვნოდა, გარკვეული პერიოდით ორგანიზაცია „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერმა ჯგუფის“ ოფისით სარგებლობდა.

11.4. აქვთ თუ არა შესაძლებლობა ლგბტ ადამიანის უფლებათადამცველ ორგანიზაციებს იმუშაონ:

- ადამიანის უფლებათადამცველ ორგანიზაციებთან და ომბუდსმენთან ეროვნულ დონეზე
- მასმედიასთან
- სხვა ადამიანის უფლებათადამცველ ორგანიზაციებთან?

11.4. ა) ლგბტ პირების ადამიანის უფლებების დამცველ ორგანიზაციებს შეუძლიათ ეროვნულ ადამიანის უფლებების დამცველ ორგანიზაციებთან და სახალხო დამცველის ოფისთან თანამშრომლობა. ამ თვალსაზრისით, „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერ ჯგუფს“ ომბუდსმენის ოფისთან როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი თანამშრომლობის გამოცდილება გააჩნია.¹⁵³

საქართველოს სახალხო დამცველის საპასუხო წერილში ნათქვამია, რომ სახალხო დამცველის აპარატი „ყოველთვის გამოხატავს მზადყოფნას ითანამშრომლოს ნებისმიერ არასამთავრობო ორგანიზაციასთან. ამ ეტაპზე საქართველოს სახალხო დამცველი აქტიურად თანამშრომლობს ლგბტ ადამიანის უფლებადამცველ რამდენიმე ორგანიზაციასთან. სამწუხაროდ, ინდივიდუალური საქმეების კუთხით თანამშრომლობა არ არის ინტენსიური, საქმეების არ არსებობის გამო. ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე ადგილი ჰქონდა მხოლოდ ერთეულ შემთხვევებს, როდესაც საქართველოს სახალხო დამცველს მიმართეს. აღნიშნულ შემთხვევებსა და ფაქტებზე სახალხო დამცველმა ეფექტური რეაგირება მოახდინა, რაც აისახა საპარლამენტო ანგარიშებშიც“.¹⁵⁴

ბ). საქართველოში მოქმედი სამივე ლგბტ ორგანიზაცია აქტიურად თანამშრომლობს ჟურნალისტთა ქარტიის ხელმძღვანელ მედია საშუალებებთან და მედია ეთიკის საბჭოსთან.

გ). სამივე ორგანიზაცია თანამშრომლობს სხვადასხვა უფლებადამცველ და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც მუშაობენ მომიჯნავე საკითხებზე: ქალთა უფლებები, ჯანმრთელობა, გენდერული საკითხები, უმცირესობათა უფლებები და სხვ. თუმცა, არსებობენ გამოწვევები, რადგან ზოგი უფლებადამცველი ორგანიზაცია და ადვოკატთა კორპუსის წარმომადგენელი ღიად გამოხატავს თავიანთ ჰომოფობიურ დამოკიდებულებას. (იხ. სქოლიო 147).

11.5. შეუძლიათ თუ არა მათ მონაწილეობა მიიღონ სასწავლო სესიებში, საერთაშორისო კონფერენციებ-სა და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ სხვა ღონისძიებებში?

11.5. საქართველოში მოქმედი ლგბტ ორგანიზაციები არიან სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო

¹⁵³ თავის საჯარო გამოსვლებში საქართველოს სახალხო დამცველმა, გიორგი ტულუშმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ მის ამ თანამდებობაზე დანიშნვის დღიდან (2009 წლის 16 სექტემბერი) ჰომოფობიით მოტივირებული არცერთი დანაშაული არ მომხდარა. თუმცა, ცხადია, მან იცოდა საქმის „აღდგომელაშვილი და ჯაფარიძე საქართველოს წინააღმდეგ“ (რეგ. № 7224/11) შესახებ, რომელიც პოლიციის მიერ გამოძღვნილი ჰომოფობიის საკითხზე (იხ. საქმე № 19.) საქართველოდან ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში გაგზავნილ პირველ საქმეს წარმოადგენდა; როგორც ჩანს, მისი აზრით ეს არ იყო საქმე ჰომოფობიის შესახებ.

¹⁵⁴ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საპასუხო წერილი, N.706/04-11, თარიღი: 17.07.2012

ქსელების წევრები; ისინი რეგულარულად იღებენ მონაწილეობას კონფერენციებში, თრენინგებსა და სხვადასხვა ღონისძიებებში როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.

11.6. გათვალისწინებულია თუ არა უფლებადამცველთა დაცვისა და დახმარების ზომები მესამე ქვეყნებში. მაგ. როგორიცაა დასწრება/დაკვირვება სასამართლო პროცესებზე, ვიზების სასწრაფო წესით გაცემა და სხვ?

11.6. არ არის საკმარისი ინფორმაცია შეფასებისთვის.

12. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ სათანადო კონსულტაციის გავლა ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი ადამიანების უფლებადამცველ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ისეთი ზომების მიღებისას და განხორციელებისას, რომლებმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი ადამიანების მდგომარეობაზე.

12.1. გადიან თუ არა ლგბტ ორგანიზაციებთან კონსულტაციებს იმ ზომების მიღებასა და განხორციელებაზე, რომელიც ეხება ლგბტ ადამიანების უფლებებს?

12.1. ამ ეტაპზე თანამშრომლობა უფრო ცალმხრივ ხასიათს ატარებს. ძირითადად სწორედ ლგბტ ორგანიზაციები აგზავნიან თავიანთ წინადადებებს სახელმწიფო დაწესებულებებში (მაგ.: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შესწორების ინიცირება, რომლის მიხედვითაც სიძულვილის მოტივი ლგბტ პირების მიმართ ცნობილი იქნა ჩადენილი დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებად,¹⁵⁵ „იდენტობის“ მიერ მომზადებული წინადადება სქესის აღდგენის ქირურგიული ოპერაციის სახელმწიფოს მიერ თანადაფინანსების შესახებ, პირადობის დამადასტურებელი საბუთების შეცვლის პროცესში ტრანსგენდერი ადამიანების მიერ განცდილი პრობლემების შესახებ პოლიტიკური დოკუმენტის მომზადების თაობაზე და ა.შ.).

12.2. ჩატარდა თუ არა კონსულტაციები ამ რეკომენდაციის შესასრულებლად?

12.2. არა.

III. გამოხატვისა და მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება

13. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა უზრუნველყონ კონვენციის მე-10 მუხლის თანახმად გამოხატვის თავისუფლების ეფექტური გამოყენება სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის გარეშე. მათ შორის, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შესახებ ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების თავისუფლება.

13.1. უზრუნველყო თუ არა ხელისუფლებამ (ა) სექსუალურ ორიენტაციასა და (ბ) გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებული ინფორმაციისა და იდეების მიღებისა და გაცემის თავისუფლება, მათ შორის:

- ინფორმაცია ლგბტ ადამიანთა უფლებების მხარდამჭერი აქტივობების შესახებ
- მასალების გამოქვეყნება
- მას-მედიის საშუალებებით გაშუქება
- კონფერენციების ორგანიზება/კონფერენციებში მონაწილეობა
- ინფორმაციის გავრცელება/ხელმისაწვდომობა უსაფრთხო სექსუალური პრაქტიკების შესახებ?

13.2. ან პირიქით, ყოფილა თუ არა შემთხვევები, როცა გამოხატვის თავისუფლება შეიზღუდა?

13.1.-2. სახელმწიფო არც ახალისებს და არც კრძალავს სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებული ინფორმაციისა და იდეების გავრცელებას; საქართველოში მოქმედებს სხვადასხვა ვებ-გვერდები და ბლოგები ლგბტ საკითხებზე: lesbi.org.ge; minority.ge; identoba.org, gay.ge; gay-batumi.com და ა.შ. ლგბტ ორგანიზაციები თავისუფლად ბეჭდავენ და ავრცელებენ სხვადასხვა სახის მასალებს ლგბტ საკითხებთან დაკავშირებით; აწყობენ შეხვედრებს.

¹⁵⁵ თუმცა, სახალხო დამცველის ოფისის წერილში აგრეთვე აღნიშნული იყო, რომ ამ ცვლილებას სახალხო დამცველიც აქტიურად ლობირებდა.

13.3. წახალისებული აქვს თუ არა ხელისუფლებას მასმედიაში პლურალიზმი და არადისკრიმინაციული ბა (ა) სექსუალურ ორიენტაციასთან ან (ბ) გენდერულ იდენტობასთან მიმართებაში?

13.3. 2012 წლამდე ასეთი პრეცედენტი არ ყოფილა. თავიანთ საჯარო რიტორიკაში სახელმწიფო მოხელეები ყოველთვის ხაზს უსვამდნენ ტოლერანტობას და მის მნიშვნელოვნებას ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების მიმართ, თუმცა, მათ ურჩევნიათ დუმილი შეინარჩუნონ სექსუალურ უმცირესობასთან დაკავშირებული პრობლემების მთელი სპექტრის თაობაზე.¹⁵⁶ 2012 წელს სახელმწიფო ორგანოებმა და სახალხო დამცველმა ასეთი განცხადებები პირველად გააკეთეს¹⁵⁷.

14. წევრმა სახელმწიფოებმა საერთაშორისო, ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა უზრუნველყონ კონვენციის მე-11 მუხლის თანახმად მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებით სარგებლობა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე.

14.1. უზრუნველყოფს თუ არა ხელისუფლება ლგბტ ადამიანებისთვის მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებას?

14.1. 2011-2012 წლებში WISG-მა ჩაატარა სხვადასხვა თემატური ფლეშ-მოებები. ქალაქის მერია წინასწარ იყო ინფორმირებული ყველა ამ აქციის შესახებ. მერიას ასევე წინასწარ მიეწოდა ინფორმაცია ორგანიზაცია „იდენტობის“ მიერ 17 მაისს დაგეგმილი მსვლელობის შესახებ. ყველა ზემოხსენებულ შემთხვევაში თბილისის მერიას უარი არ უთქვამს ნებართვის გაცემაზე და დროულად უპასუხა მიმართვას.

15. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ სამართალდამცავმა ორგანოებმა მიიღონ შესაბამისი ზომები ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი ადამიანების უფლებებისთვის გამართული მშვიდობიანი დემონსტრაციის მონაწილეების დასაცავად, აღნიშნული დემონსტრაციის უკანონო შეწყვეტის ან შეკრების თავისუფლებით სარგებლობაში ხელის შეშლის მცდელობების აღსაკვეთად.

15.1. იყო თუ არა მტრული დამოკიდებულების შემთხვევები ლგბტ ჯგუფის შეკრების თავისუფლებით სარგებლობისას, მიიღეს თუ არა სამართალდამცავმა ორგანოებმა საფუძვლიანი და შესაბამისი ზომები კანონიერი დემონსტრაციების მშვიდობიანად მიმდინარეობის უზრუნველსაყოფად?

15.1. რაც შეეხება ლგბტ მშვიდობიანი მსვლელობის მონაწილეთა დაცვას სამართალდამცავთა მიერ, ამ კუთხით არსებობს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მაგალითები. 2012 წლის 17 მაისს, მაგალითად, პოლიციამ ვერ შეძლო მშვიდობიანი დემონსტრანტების მესამე მხარის მიერ განხორციელებული ძალადობისაგან დაცვა. (იხ. ქეისი #112a). თუმცა, 18 მაისს, როდესაც დემონსტრაცია თბილისში, პარლამენტის შენობის წინ იქნა ორგანიზებული, პოლიციამ ეფექტურად დაიცვა დემონსტრანტები მტრულად განწყობილი მესამე პირთაგან¹⁵⁸. ლგბტ ორგანიზაციები და მათი მხარდამჭერები, მათ შორის საქართველოში არსებული დიპლომატიური მისიების წარმომადგენლები, პარლამენტის წინ მოწყობილ დემონსტრაციაში მონაწილეობდნენ.

¹⁵⁶ ე. აღდგომელაშვილი. სექსუალური ორიენტაციის/გენდერული იდენტობის რეპრეზენტაცია მედიაში (2011 წლის მაისის მდგომარეობით). მედიის განვითარების ფონდი (MDF). <http://www.mdfgeorgia.ge/index.php?&address=&menuid=16&id=54&lang=1>

¹⁵⁷ „საპარლამენტო უმრავლესობა: ადამიანების მიმართ დისკრიმინაციული მიდგომა აკრძალულია“. 22.05.2012. ექსპრესნიუსი. <http://www.epn.ge/?p=109923>; „კუბლაშვილი: სექსუალური უმცირესობებისათვის შეზღუდვები არ დაწესდება“. ნ. ცეცხლაძე. ნეტგაზეთი. 22.05.2012. <http://www.netgazeti.ge/GE/105/opinion/9905/>; ომბუდსმენი ქრისტიან-დემოკრატების ჰომოფობიის წინააღმდეგ. თაზო კუპრეიშვილი. ნეტგაზეთი. 22.05.2012. <http://www.netgazeti.ge/GE/105/News/9908/>

¹⁵⁸ რამდენიმე ათეული ლგბტ (ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსსექსუალი) აქტივისტი და მათი მომხრეები 18 მაისს პარლამენტის შენობის წინ შეიკრიბნენ, რათა პროტესტი გამოეხატათ ძალადობის წინააღმდეგ, რომელსაც წინა დღით ჰქონდა ადგილი, როდესაც ფილარმონიის მიმდებარე ტერიტორიიდან რუსთაველის გამზირისკენ მიმავალ ლგბტ აქტივისთა მსვლელობას გზა გადაუღობეს „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ წევრებმა, მათმა მომხრეებმა და სასულიერო პირებმა. რამდენიმე უმნიშვნელო დაძაბული მომენტის მიუხედავად პარლამენტის წინ გამართული ერთსაათიანი აქცია ჰომოფობიისა და ძალადობის წინააღმდეგ მშვიდობიანად დასრულდა. რამდენიმე გამვლელი ეცადა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიეყენებინა აქციის მონაწილეთათვის, თუმცა სერიოზული ინციდენტებს ადგილი არ ჰქონია. ერთ მომენტში პოლიციის თანამშრომლებმა აქციის მონაწილეებს გაარიდეს ერთი ახალგაზრდა მამაკაცი, რათა მის მხრიდან დაწყებულ სიტყვიერ შეურაცხყოფებს გართულება არ მოჰყოლოდა. ახალგაზრდამ საბოლოო ჯამში ქაშუეთის ეკლესიას შეაფარა თავი, რომლის მოძღვარიც ეკლესიის მხარეს შეკრებილ ადამიანებს აფრთხილებდა, რომ არ მიკარებოდნენ პარლამენტის წინ გამართულ აქციას, რათა ადგილი არ ჰქონოდა შესაძლო „პროვოკაციებს“ ლგბტ აქტივისტების მხრიდან. web-portal civil.ge. 18.05.2012. <http://www.civil.ge/eng/category.php?id=87&gallery=81>

15.2. კერძოდ, ეფექტურად დაუცავს თუ არა პოლიციას ლგბტ მშვიდობიანი დემონსტრაციების მონაწილეები?

15.2. იხ. პასუხი 15.1

15.3. მოქმედებდა თუ არა პოლიცია პრინციპულად და პატივისცემით ლგბტ ადამიანებისა და მათი მხარდამჭერების მიმართ, როდესაც შეკრების თავისუფლების მხარდამჭერ ლგბტ ღონისძიებების ფარგლებში წესრიგს იცავდა?

15.3. იხ. პასუხი 15.1

16. ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა თავიდან აიცილონ გამოხატვისა და მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების შეზღუდვა, რომელიც გამოწვეული იქნება სამართლებრივი და ადმინისტრაციული დებულებების, როგორიცაა საზოგადოებრივი ჯანმრთელობა, მორალი და წესრიგი, ბოროტად გამოყენებით.

16.1. შეუზღუდავს თუ არა ხელისუფლებას შეკრების თავისუფლების მხარდამჭერი ღონისძიება? თუ ასეა, რა მიზეზით?

16.1. ლგბტ ადამიანების შეკრების თავისუფლების ან ლგბტ თემასთან დაკავშირებული ღონისძიებების ჩატარების შეზღუდვას ან აკრძალვას სახელმწიფოს მხრიდან დღემდე ადგილი არ ჰქონია.

16.2. დაუნესებია თუ არა განსაკუთრებული პირობები ლგბტ დემონსტრაციების ჩატარების დროსთან ან მარშუტთან დაკავშირებით, რომლებიც ჩვეულებრივ სხვა დემონსტრაციების მიმართ არ გამოიყენება?

16.2. მერიის მიერ გაცემულ არც ერთ ნებართვაში არ ყოფილა მითითებული რაიმე სპეციალური წინაპირობა ღონისძიების ჩატარების მარშრუტსა და დროსთან დაკავშირებით.

16.3. თუ შეუზღუდავს, შესაძლებელი იყო თუ არა მათი გასაჩივრება სასამართლოში ან გადანყვეტილების გადასინჯვა სხვა დამოუკიდებელი მექანიზმების საშუალებით?

16.3. N/A

17. ხელისუფლების წარმომადგენლებს ყველა დონეზე უნდა მოეწოდოთ, რომ საჯაროდ დაგმონ, განსაკუთრებით მასშედიში, გამოხატვის თავისუფლებისა და მშვიდობიანი შეკრების ინდივიდუალურ და ჯგუფურ უფლებაში ნებისმიერი არაკანონიერი ჩარევა, განსაკუთრებით როცა ეს ეხება ადამიანის უფლებებს ლესბოსელების, გეების, ბისექსუალებისა და ტრანსგენდერებთან მიმართებაში.

17.1. თუკი მოხდა უკანონოდ ჩარევა გამოხატვის თავისუფლებასა და მშვიდობიან შეკრებაში:

- მოყვა თუ არა ამას წახალისება ხელისუფლების მხრიდან, რათა ამგვარი ჩარევა დაეგმოთ?
- მოხდა თუ არა მსგავსი ჩარევის ფაქტობრივი დაგმობა თავად ხელისუფლების მხრიდან?

17.1. დარბევა გაშუქდა როგორც ადგილობრივი ასევე საერთაშორისო მედიის მიერ.¹⁵⁹ ადგილობრივმა ადამიანის უფლებადამცველმა ორგანიზაციებმა გაავრცელეს განცხადება სოციალურ ქსელებსა და მედიაში.¹⁶⁰ დარბევას გამოეხმაურა სახალხო დამცველი, პარლამენტის ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე (იხ. პასუხი 17.2-3), თუმცა, არ ყოფილა ოფიციალური საჯარო განცხადება დარბევის დაგმობის შესახებ სახელმწიფოს მხრიდან.

17.2. ლგბტ ჯგუფის წევრების მშვიდობიანი შეკრების მიმართ საზოგადოების მხრიდან მტრული დამოკიდებულების გამომჟღავნებისას, დაიცვა თუ არა ხელისუფლებამ ეს უფლება საჯაროდ?

17.3. თუ პირიქით, ხელისუფლებამ მოიწონა და მხარი დაუჭირა მტრულ დამოკიდებულებას ლგბტ მშვიდობიანი ღონისძიების შეკრების მიმართ?

159 Fighting at gay rights march in Tbilisi Georgia. 17 May 2012. BBC News. <http://www.bbc.co.uk/news/world-europe-18109022>, Georgia gay-pride march ends in fist fight. 17 May 2012. Euronews. <http://www.euronews.com/2012/05/17/georgia-gay-pride-march-ends-in-fist-fight/>; A Backlash in Georgia. By Haley Sweetland Edwards. June 14. 2012. New York Times. <http://latitude.blogs.nytimes.com/2012/06/14/progress-by-georgias-gays-spurs-a-backlash/> etc.

160 არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება ლგბტ პირების შეკრების უფლების დარღვევაზე. 18.05.2012. <http://www.npo.ge/story/arasamtavroboebis-gantskhadeba-lgbt-pirebis-shekrebis-uple>; კოალიცია ევროპული საქართველოსათვის განცხადება 17 მაისს მომხდარი ინციდენტის გამო. <http://www.npo.ge/story/koalitsia-evropuli-sakartvelostvis-gantskhadeba-17-maiss-m>

17.2-3 17 მაისს IDAHO-ს დემონსტრაციის ჩაშლის შემდეგ (იხ. ქეისი #112A), ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ დავით დარჩიაშვილმა განაცხადა: „თუ აქცია სხვების უფლებების შელახვისკენ არ არის მიმართული და თვითგამოხატვის ფორმაა, რაც არ უნდა მიუღებელი იყოს იგი ვინმესთვის, თავისუფალ ქვეყანაში ასეთი აქციები ტარდება ხოლმე. ჩვენ ან თავისუფალი ქვეყანა უნდა ვიყოთ, ან – არა. არ შეიძლება, ილაპარაკო, რომ გინდა დემოკრატია და ეს მხოლოდ შენთვის გინდოდეს“, - აღნიშნა პარლამენტის წევრმა და ასევე ხაზი გაუსვა, რომ ნებისმიერი სახის ფიზიკური შეტაკება არის უკანონო და უნდა დარეგულირდეს სამართალდამცავების მიერ¹⁶¹.

საქართველოს სახალხო დამცველმა, რომელმაც გააკეთა განცხადება 17 მაისთან დაკავშირებით,¹⁶² ასევე მკაცრად დაგმო თავდასხმის ფაქტი: „საქართველოს სახალხო დამცველი დაუშვებლად მიიჩნევს შეუწყნარებლობის ნიადაგზე განხორციელებულ ნებისმიერ ძალადობრივ ქმედებას. მშვიდობიანი აქციის ჩატარების უფლებით სარგებლობისათვის სათანადო პირობების შექმნა სამართალდამცავი ორგანოების პოზიტიური ვალდებულებაა. მსგავსი მსვლელობის წინააღმდეგ ჩადენილი სამართალდარღვევა სწრაფ და ადეკვატურ რეაგირებას მოითხოვს“.

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ აუცილებელია მსგავს შემთხვევებში სახელმწიფომ გაატაროს დროული და ეფექტური ღონისძიებები შეუწყნარებლობის ნიადაგზე განხორციელებული ქმედებების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით“.¹⁶³

IV. პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება

18. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ სრულწლოვან პირებს შორის ერთსქესიანი ნებაყოფლობითი სექსუალური კავშირის სისხლის სამართლებრივად ამკრძალავი ყველანაირი დისკრიმინაციული კანონმდებლობის გაუქმება, მათ შორის ისეთი კანონმდებლობისა, რომელიც განსხვავებულად განსაზღვრავს თანხმობის ასაკს ერთსქესიანი და ჰეტეროსექსუალური აქტებისთვის; გარდა ამისა, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა უზრუნველყონ იმ სისხლის სამართლის დებულებების გაუქმება, შეცვლა ან ანტიდისკრიმინაციულ პრინციპთან შესაბამისად განმარტება, რომლებიც ფორმულირების გამო შესაძლოა დისკრიმინაციული კუთხით იქნან გამოყენებულნი.

18.1. არის თუ არა კანონმდებლობაში კრიმინალიზებული ერთსქესიანი სექსუალური კავშირები? განსხვავდება თუ არა თანხმობის ასაკი (ჰომო და ჰეტეროსექსუალური კავშირებისათვის)? თუ ერთ-ერთი ამ ორიდან არსებობს რა ნაბიჯებს დგამს ხელისუფლება, რომ გაუქმდეს ასეთი კანონმდებლობა?

18.1. არა, ასეთი კანონი არ არსებობს. თანხმობის ასაკი – 16 წელი – იგივეა როგორც ჰომოსექსუალი, ასევე ჰეტეროსექსუალი ადამიანებისთვის.

18.2. არსებობს თუ არა ისეთი სისხლის სამართლის დებულებები, რომლებსაც მათი ფორმულირების ან მოქმედების სფეროს გამო მიეყვართ დისკრიმინაციული მიდგომის გამოყენებამდე (ა) სექსუალური ორიენტაციისა და (ბ) გენდერული იდენტობის მიმართ?

თუ ასეა, ასეთ შემთხვევაში რა ზომებს იღებს ხელისუფლება ამ სიტუაციის გამოსასწორებლად?

18.2. სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ შეიცავს რაიმე დებულებებს, რომელთა გამოყენებაც დისკრიმინაციის განსახორციელებლად იქნებოდა შესაძლებელი.

19. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ არ მოხდეს პიროვნების სექსუალურ ორიენტაციასთან ან გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებული პირადი ინფორმაციის შეგროვება, შენახვა და საჯარო დანესვულებების მიერ სხვაგვარად გამოყენება, განსაკუთრებით სამართალდამცავი ორგანოების მიერ, გარდა იმ შემ-

¹⁶¹ დავით დარჩიაშვილი სექსუალური უმცირესობების აქციას თვითგამოხატვის ფორმად მიიჩნევს. საინფორმაციო სააგენტო „მედია-ნიუსი.“ 17.05.2012. <http://medianews.ge/ge/daviddarchiashviliseqsualuriumtsiresobebisagtsiastvitgamokhatvisformadmiichnevs/4486>

¹⁶² სახალხო დამცველის განცხადება ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით. 17.05.2012. <http://www.ombudsman.ge/index.php?page=1001&lang=0&n=0&id=1500>

¹⁶³ საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება 2012 წლის 17 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით, 2012. 18.05.2010. <http://www.ombudsman.ge/index.php?page=1001&lang=0&n=0&id=1501>

თხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია განსაკუთრებული, კანონით განსაზღვრული და ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად; არსებული ჩანაწერები, რომლებიც მოცემულ პრინციპებს არ შეესაბამება, უნდა განადგურდეს.

19.1. რა ნაბიჯები გადაიდგა იმის უზრუნველსაყოფად, რათა ხელისუფლებამ დაიცვას მოთხოვნები (ა) სექსუალურ ორიენტაციასა და (ბ) გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებულ ჩანაწერებთან დაკავშირებით, განსაკუთრებით როდესაც ასეთი ჩანაწერები გაკეთებულია სამართალდამცავი ორგანოების მიერ?

19.1. პიროვნების სექსუალურ ორიენტაციასთან ან გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებული ინფორმაცია არის პირადი ხასიათის და ექვემდებარება დაცვის განსაკუთრებულ რეჟიმს. თუმცა, 2011 წელს კანონმდებლობაში შეტანილი შესწორება საგანგაშოა ამ თვალსაზრისით. მასში ნათქვამია, რომ „საჯარო ინტერესის“ არსებობის შემთხვევაში ნებადართულია პიროვნების შესახებ პირადული, მათ შორის სექსუალური ორიენტაციის შესახებ ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება და გავრცელება.¹⁶⁴ მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს არც ოფიციალური, არც რაიმე ერთპიროვნული განსაზღვრება იმისა, თუ რას წარმოადგენს „საჯარო ინტერესები“, ჟურნალისტიკა და უფლებადამცველთა შეკითხვას, თუ რას გულისხმობდა „საჯარო ინტერესი“, ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის (ყოფილმა) თავმჯდომარემ ლაშა თორდიამ ასეთი პასუხი გასცა: „საბავშვო ბაღს, ან რომელიმე ჯანდაცვის ობიექტს რომ ჰქონდეს ინფორმაცია, თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, არის თუ არა ადამიანი დაინფიცირებული შიდსის ვირუსით, ან საბავშვო ბაღს რომ ჰქონდეს ინფორმაცია ადამიანის სექსუალური ორიენტაციის შესახებ“.¹⁶⁵

დამატება ჯერ არ შესულა ძალაში.

თავის საპასუხო წერილში იუსტიციის სამინისტრომ მიუთითა, რომ აკრძალვის გამოწვევის შემთხვევებთან დაკავშირებით შეიმუშავეს საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ კანონში, რომელიც წარდგენილია საქართველოს პარლამენტში განსახილველად. აღნიშნული ცვლილებების თანახმად, მონაცემების დამუშავების აკრძალვა არ იმოქმედებს თუ: ა) მონაცემთა სუბიექტმა გამოხატა წერილობითი თანხმობა განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავებაზე; ბ) მონაცემთა სუბიექტმა საჯარო გახადა მის შესახებ მონაცემები მათი გამოყენების აშკარა აკრძალვის გარეშე; გ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია დამუშავებლის მიერ შრომითი ვალდებულების შესრულებისათვის ან მასთან დაკავშირებული უფლების განხორციელებისათვის; დ) დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის ან მესამე პირის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად და მონაცემთა სუბიექტს ფიზიკურად ან სამართლებრივად უნარი არ აქვს განაცხადოს თანხმობა; ე) მონაცემთა დამუშავება ხორციელდება საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიზნებისათვის, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულების (მუშაკის) მიერ ფიზიკური პირის ჯანმრთელობის დაცვის მიზნებისათვის, აგრეთვე თუ ეს აუცილებელია ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მართვისათვის ან ფუნქციონირებისათვის; ვ) დამუშავება ხორციელდება ლეგიტიმური საქმიანობის განხორციელებისას პოლიტიკური, ფილოსოფიური, რელიგიური ან სავაჭრო ხასიათის მქონე გაერთიანების, ასოციაციის ან სხვა არაკომერციული ორგანიზაციის მიერ. ასეთ შემთხვევაში მონაცემთა დამუშავება შეიძლება ეხებოდეს მხოლოდ ამ ორგანიზაციის წევრებს ან პირებს, რომლებსაც მუდმივი კავშირი აქვთ ამ ორგანიზაციასთან. (ამ შემთხვევაში დაუშვებელი იქნება მონაცემთა გამჟღავნება მესამე პირისათვის მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე).¹⁶⁶

იუსტიციის სამინისტროს საპასუხო წერილში მითითებულია, რომ: „მოცემული გამოწვევის, რომელიც ცვლილების სახით შევა პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ საქართველოს კანონში, თემატურად უკავშირდება განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა (sensitive data) დამუშავების აქტუალობას. ამ მხრივ, კანონის მე-6 მუხლში ზუსტად გადავიდა ევროკავშირის დირექტივით (EC/95/46) გათვალისწინებული მონაცემთა დამუშავების საფუძვლები. ცვლილებების მიზანია ევროკავშირის სტანდარტებთან, ასევე ევროპის საბჭოს მოთხოვნებთან უკეთესი შესაბამისობის უზრუნველყოფა“.

¹⁶⁴ მსგავსი სახის სხვა ინფორმაცია; მაგ.: რელიგია, ფილოსოფიური რწმენა და ა.შ.

¹⁶⁵ „არავითარი პირადი.“ მ.მეცხვარიშვილი. ნეტგაზეთი. 10.01.2010. ბმული: http://netgazeti.ge/GE/27/News/2534/?sms_ss=facebook&at_xt=4ca88497a59d6ab6%2C0.

¹⁶⁶ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საპასუხო წერილი, N.26948, თარიღი: 26.06.2012.

ხელისუფლების წარმომადგენლები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მონაცემთა სუბიექტი სარგებლობს გარკვეული უფლებებით, რაც აძლევს მას საშუალებას გააკონტროლოს საკუთარი მონაცემების დამუშავების პროცესი. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, მონაცემთა დამმუშავებელს მოსთხოვოს ინფორმაცია მასზე არსებული მონაცემების დამუშავების თაობაზე. თავის მხრივ, მონაცემთა დამმუშავებელმა მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 დღისა, მონაცემთა სუბიექტს უნდა მიაწოდოს შემდეგი ინფორმაცია: მის შესახებ რომელი მონაცემები მუშავდება; მონაცემთა დამუშავების მიზანი; მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძველი; რა გზით შეგროვდა მონაცემები; ვისზე გაიცა მის შესახებ მონაცემები, მონაცემთა გაცემის საფუძველი და მიზანი. მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის შემთხვევაში მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ.¹⁶⁷

ეს უკანასკნელი უფლება, რომელსაც სხვა პირობებში „პირადული მონაცემების შესახებ კანონის“ ფარგლებში უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ ძლიერი დაცვის მექანიზმის როლის შესრულება შეუძლია, ალბათ არაფექტური იქნება ლგბტ პირების უფლებათა დაცვის კონტექსტში. თუკი პირი ეკუთვნის ლგბტ ჯგუფს, მას არ გააჩნია უფლება მიმართოს მთავრობას მისი სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის შესახებ მონაცემების წაშლის/დაბლოკვის/განადგურების მოთხოვნით. ამავდროულად, ქვეყანაში არსებული ჰომოფობიური გარემოს პირობებში, ასეთი ინფორმაციის ოფიციალური ფორმით არსებობას და მეტიც – მის მესამე პირებისათვის გადაცემას – პირის ცხოვრებაზე უაღრესად უარყოფითი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია და ნამდვილად ვერ დაეხმარება მისი ფუნდამენტური უფლებების და თავისუფლებების დაცვაში.

მეორე მხრივ, საქართველოში ჯერ კიდევ ცოცხალია საბჭოთა მემკვიდრეობა, რომლის მიხედვითაც პირს მიეკერებოდა ლგბტ ჯგუფის წარმომადგენლის იარლიყი საზოგადოების თვალში მისი რეპუტაციის შელახვის მიზნით. ძალიან რთულია იმის დანახვა, თუ როგორ შეიძლება ამ პრაქტიკის შეცვლა.

სამოქალაქო აქტების რეგისტრაციას საქართველოში ახორციელებს სამოქალაქო რეესტრის სააგენტო, რომელიც ექვემდებარება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს. *სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ფუნქციები*: **ა)** დაბადების, ქორწინების, განქორწინების, მამობის დადგენის, შვილად აყვანის, სახელის, მამის სახელის, გვარის, მოქალაქეობის შეცვლისა და გარდაცვალების ფაქტების რეგისტრაცია; **ბ)** სამოქალაქო აქტების ჩანაწერების შესწორება, შეცვლა, აღდგენა და გაუქმება; **გ)** სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის თაობაზე განმეორებითი მოწმობებისა და ცნობების გაცემა; **დ)** სამოქალაქო აქტების შესახებ საარქივო ფონდის შექმნა, აღრიცხვა და შენახვა; **ე)** საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ფიზიკურ პირთა რეგისტრაცია და რეგისტრაციიდან მოხსნა, შესაბამისი პირადობისა და ბინადრობის მოწმობების გაცემა; **ვ)** საქართველოს მოქალაქის პასპორტის (საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირის სამგზავრო პასპორტის) გაცემა და შეცვლა; **ზ)** საინფორმაციო ბარათის გაცემა; **თ)** საქართველოს მოქალაქეებზე მათ საზღვარგარეთ დაქორწინების მიზნით ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებების არ არსებობის შესახებ ცნობის გაცემა; **ი)** უცხოელისა და საქართველოს მოქალაქის, უცხოელების ქორწინების რეგისტრაციაზე ნებართვის გაცემა; **კ)** სახელის, მამის სახელის, გვარის შეცვლის შესახებ სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის მიერ წარმოდგენილი მოქალაქის განცხადებისა და თანდართული საბუთების განხილვა და დამტკიცება; **ლ)** გვარის შესწორების (აღდგენის) შესახებ სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის მიერ წარმოდგენილი მოქალაქის განცხადებისა და თანდართული საბუთების განხილვა და დამტკიცება; **მ)** მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციასთან დაკავშირებული საქმიანობის ორგანიზება, კოორდინაცია და მეთოდური ხელმძღვანელობა; ცალკეული სახის სამოქალაქო აქტების რეგისტრაციასთან დაკავშირებული საკითხების გადანაცვლება; **ნ)** სამოქალაქო რეესტრის წარმოების უზრუნველყოფა; **ნ.ა)** მოქალაქეობის, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის, მიგრაციის საინფორმაციო ბანკის ფორმირების უზრუნველყოფა; **ნ.ბ)** საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა პირადობის დადასტურების, საქართველოს მოქალაქის პასპორტის (სამგზავრო პასპორტის) გაცემასთან დაკავშირებული საინფორმაციო ბანკის ფორმირების უზრუნველყოფა; **ნ.გ)** საქართველოში დროებით მყოფ უცხოელთა რეგისტრაციასთან დაკავშირებული საინფორმაციო ბანკის ფორმირების უზრუნველყოფა; **ო)** სააგენტოს ტერიტორიული სამსახურების მიერ გაწეული საქმიანობის შედე-

167 იქვე.

გების პერიოდული შეჯამება, შეფასება და ანალიზი; **ჰ)** სააგენტოს ტერიტორიული სამსახურების ბლანკებით (მკაცრი აღრიცხვის საბუთებით) უზრუნველყოფა, მათ შენახვასა და გამოყენებაზე კონტროლის განხორციელება; **ჟ)** სააგენტოს ტერიტორიული სამსახურების საქმიანობის სრულყოფის მიზნით პერსპექტიული და მიმდინარე გეგმების შემუშავება და განხორციელება; **რ)** სააგენტოს კომპეტენციას მიკუთვნებულ სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტების სრულყოფის შესახებ წინადადებების პერიოდულად მომზადება და თავისი კომპეტენციის ფარგლებში კონტროლი ამ სფეროებში მოქმედი კანონმდებლობის შესრულებაზე; **ს)** სააგენტოს ტერიტორიული სამსახურების საქმიანობის მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობა და კონტროლი; **ტ)** საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

სამოქალაქო აქტების შესახებ კანონის მიხედვით პირს, რომლის მიმართაც შედგენილია შესაბამისი სამოქალაქო აქტის ჩანაწერი, უფლება აქვს მიმართოს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს განცხადებით სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ცვლილების, შესწორების ან/და დამატების შეტანის შესახებ. სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ცვლილების, შესწორების ან/და დამატების შეტანის შესახებ განცხადების წარდგენის უფლება აგრეთვე აქვს პირის მშობელს/მშვილებელს – შვილის/ნაშვილების მიმართ რეგისტრირებულ სამოქალაქო აქტის ჩანაწერში საკუთარი მონაცემების შესაცვლელად.¹⁶⁸

19.2. რა ნაბიჯები გადადგა ხელისუფლებამ არსებული ჩანაწერების განადგურების უზრუნველსაყოფად?

19.2. მსგავსი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია არ მოგვეპოვება.

19.3. იყო თუ არა ეს ნაბიჯები ეფექტური? არსებობს თუ არა რაიმე მტკიცებულება, რომ

- ასეთი ჩანაწერები არ განადგურებულა?
- ასეთი მონაცემების შეგროვება გრძელდება?

19.3. 2011 წელს პარლამენტმა მიიღო კანონი პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ, რომლის მიხედვითაც ამ მონაცემების შეგროვება დასაშვებია.

20. მოთხოვნები, რომელთა შესრულება სავალდებულოა სქესის იურიდიული აღიარებისთვის, მათ შორის მოთხოვნები, რომლებიც ეხება ფიზიკური ხასიათის ცვლილებებს, რეგულარულად უნდა იქნას გადახდილი, არაჰუმანურ მოთხოვნათა გაუქმების მიზნით.

20.1. მოხდა თუ არა ასეთი პრიორიტეტული მოთხოვნების გადახედვა?

20.1. სქესის კვლავმინიჭების ოპერაციის შემდეგ, პირს შეუძლია შეცვალოს პირადი მონაცემები ოფიციალურ დოკუმენტებში.¹⁶⁹ ახალ პირადობის მოწმობაში უკვე სქესიცაა მითითებული, რაც მდგომარეობას უფრო ურთულესს ტრანსგენდერ პირებს, განსაკუთრებით მათ, ვინც ტრანზიციის პროცესში იმყოფება და მარტო პირველი ეტაპი აქვს გავლილი. სქესის აღიარების მთლიანი პროცედურა მოითხოვს მინიმუმ ორ წელიწადს, თუმცა ჩანაწერი არ იცვლება, სანამ ყველა პროცედურა არ დასრულდება სქესის კვლავმინიჭების ოპერაციის ჩათვლით. შესაბამისად ამ დროის განმავლობაში ეს ადამიანები სამართლებრივი დოკუმენტაციის თვალსაზრისით პრობლემურ მდგომარეობაში იმყოფებიან.¹⁷⁰

20.2. ჯერ კიდევ არსებობს თუ არა ისეთი მოთხოვნები, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს არაპროპორციულად ან თუნდაც შეურაცხყოფელად, როგორიცაა:¹⁷¹

- შეუქცევადი სტერილიზაცია,

¹⁶⁸ კანონი სამოქალაქო აქტების შესახებ. მუხლი 77 (1,2)

¹⁶⁹ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საპასუხო წერილი, N.26948, თარიღი: 26.06.2012.

¹⁷⁰ საქართველოში ლბტ ქალთა მდგომარეობის ამსახველი ჩრდილოვანი ანგარიში CEDAW კომიტეტისათვის. „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“. WISG. თბილისი, 2012. გვ.27. ბმული: http://women.ge/wp-content/uploads/2012/05/WISG-LBT-CEDAW-shadow-report_geo.pdf

¹⁷¹ „განმარტებითი მემორანდუმი“ აქცევს ყურადღებას „მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციას“ N Rec(2007) 17 გენდერული თანასწორობის სტანდარტების და მექანიზმების შესახებ, რომელიც ადასტურებს, რომ „როგორც კაცებს, ასევე ქალებს უნდა გააჩნდეთ განუყოფელი უფლება მიიღონ გადაწყვეტილებები საკუთარი სხეულის შესახებ, მათ შორის სქესობრივ და რეპროდუქტიულ საკითხებზე. ასეთი აღიარება უნდა იქნას ასახული ჯანდაცვის მომსახურების შემუშავების, განხორციელების, ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის, მონიტორინგის და შეფასების პროცესებში, ისევე როგორც კვლევების პრიორიტეტებში.“

- ჰორმონალური მკურნალობა,
- წინასწარი ქირურგიული პროცედურები ან იმის დამადასტურებელი საბუთის მოთხოვნა, რომ პიროვნებას აქვს უნარი იცხოვროს შეცვლილი სქესით ხანგრძლივი დროის განმავლობაში?

20.2. საქართველოში სქესის კვლავმინიჭება ხანგრძლივი პროცესია. ქირურგიულ ჩარევამდე გარკვეული პერიოდის განმავლობაში (ერთ წლამდე) ტრანსგენდერი უნდა იმყოფებოდეს ფსიქოლოგისა და სექსოლოგის დაკვირვების ქვეშ. პროცესის დასრულების შემდეგ, სპეციალური კომისია იძლევა დასკვნას, არის თუ არა აპლიკანტი „ჭეშმარიტი ტრანსექსუალი“. მხოლოდ ამ დასკვნის აღების შემდეგ შეუძლია ტრანსგენდერ პირს ჩაიტაროს სქესის კვლავმინიჭების ქირურგიული ოპერაცია. მეორე სავალდებულო პროცედურა ოპერაციის წინ ჰორმონალური თერაპიაა.

შესაბამისად შეუქცევადი სტერილიზაცია, ჰორმონალური მკურნალობა და წინასწარი ქირურგიული პროცედურები სავალდებულოა ტრანსგენდერისათვის ახალი დოკუმენტის მისაღებად.

21. ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა ცხოვრების ყველა სფეროში მოახდინონ პირის სქესის შეცვლის სრული სამართლებრივი აღიარება; კერძოდ, ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა შესაძლებელი გახადონ ოფიციალურ დოკუმენტებში სახელისა და სქესის შეცვლა სწრაფი, გამჭვირვალე და დიდი ხელმისაწვდომი გზით; ნევრმა სახელმწიფოებმა ასევე უნდა უზრუნველყონ, საჭიროების მიხედვით, არასახელმწიფო ერთეულების მიერ შეცვლილი სქესის და აღნიშნულთან დაკავშირებით განხორციელებული სხვა ცვლილებების შესაბამისი აღიარება ისეთ ძირითად დოკუმენტებში, როგორიცაა განათლების დამადასტურებელი დიპლომი ან შრომის წიგნაკი.

21.1. არსებობს თუ არა მოქმედი რეგლამენტი, რომელიც იძლევა პიროვნების სქესის შეცვლის მთლიანი იურიდიული აღიარების გარანტიას ცხოვრების ყველა სფეროში?

21.2. ქმნიან თუ არა ისინი შესაძლებელს სახელისა და სქესის შეცვლას ოფიციალურ დოკუმენტებში, მათ შორის, როგორიცაა:

- დაბადების მოწმობა,
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობა,
- მართვის მოწმობა,
- პასპორტები,
- სოციალური და ზღვევის ბარათები და ნომრები,
- საარჩევნო სია, მინის საკადასტრო რუკა და სხვა,
- სწრაფი, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი გზით?

21.3. არსებობს თუ არა რეგლამენტი, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამის ცვლილებებს სახელმწიფო დანესებულებების მიერ გამოცემულ ისეთ მნიშვნელოვან დოკუმენტებში, როგორიცაა:

- დიპლომები,
- სამსახურებრივი მოწმობები და
- სადაზღვევო ან საბანკო დოკუმენტები?

თუ არსებობს, მოიცავს თუ არა ეს რეგლამენტი პიროვნების პირადი ცხოვრების დაცვას იმგვარად, რომ არცერთი მესამე პირისთვის არ გახდეს ცნობილი ინფორმაცია სქესის შეცვლის შესახებ?

21.1-3. კანონი “სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრაციის შესახებ” მკაფიოდ განსაზღვრავს სქესის შეცვლას, როგორც სახელის შეცვლის ერთ-ერთ საფუძველს. თუმცა, ეს პირდაპირ არ არის მითითებული კანონში, მისი ფორმულირება გულისხმობს, რომ პიროვნების სახელი და სქესი უნდა “შეესაბამებოდნენ” ერთმანეთს ქალისა და მამაკაცის სახელების სოციალურად აღიარებული გაგების მიხედვით.¹⁷² თუმცა, საქართველოს კულტური-სათვის აგრეთვე დამახასიათებელია ზოგიერთი სქესობრივად ნეიტრალური სახელი.

172 კვლევა ჰომოფობიის, ტრანსფობიის და სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის შესახებ. სამართლებრივი ანალიზი: საქართველო. დამოუკიდებელი მკვლევარი ანა ნაცვლიშვილი. COWI. 2010. გვ. 6 ბმული: http://www.coe.int/t/commissioner/source/lgbt/georgialegal_e.pdf

სახელის ან გვარის გამოცვლა პირადობის მონმობის შეცვლის საფუძველს წარმოადგენს, თუმცა, კანონი არ განსაზღვრავს ახალი დაბადების მონმობის ან უმაღლესი განათლების დიპლომის ხელახლა გაცემის შესაძლებლობას. მათი ხელმეორედ გაცემა დაუშვებელია ნებისმიერი მიზეზით.¹⁷³

აგრეთვე არ არის ცხადი, შესაძლებელი იქნება თუ არა პრაქტიკაში დასაქმების შესახებ ცნობის შეცვლა.

22. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა შესაძლო ზომა, რათა მე-20 და 21-ე პარაგრაფების შესაბამისად განხორციელებული სქესის შეცვლის პროცედურის დასრულებისა და სამართლებრივი აღიარების შემდგომ, უზრუნველყონ ტრანსგენდერი ადამიანის მიერ მისი ახალი სქესის საპირისპირო სქესის წარმომადგენელთან ქორწინების უფლების რეალური გამოყენება.

*22.1. არის თუ არა ტრანსგენდერის უფლება დაქორწინდეს საპირისპირო სქესის ადამიანზე კანონით გა-
რანტირებული და იურიდიულად აღიარებული?*

22.1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი წყვილს ცალსახად განსაზღვრავს როგორც ქალისა და მამაკაცის წყვილს. თეორიულად, თუ პიროვნება კანონიერად იცვლის პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებს, არ არსებობს რაიმე სამართლებრივი წინააღმდეგობა ტრანსგენდერი ადამიანებისთვის დაქორწინდნენ საპირისპი-
რო სქესზე. თუმცა, WISG-ისთვის უცნობია ასეთი ფაქტების არსებობა.

**23. ეროვნული კანონმდებლობის მიერ ქორწინებაში არმყოფი პირებისთვის უფლებებისა და ვალდებულებების მინიჭების შემთხვევაში, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ აღნიშნული დისკრიმინაციის გა-
რეშე მოიცავდეს როგორც ერთსქესიან, ასევე სხვადასხვასქესიან წყვილებს, მათ შორის ცოცხლად დარჩენილი პარტნიორის საპენსიო და საიჯარო უფლებებით სარგებლობის გათვალისწინებით.**

*23.1. ანიჭებს თუ არა კანონმდებლობა უფლებებსა და ვალდებულებებს დაუქორწინებელ წყვილებს?
თუ ასეა, გადაიდგა თუ არა ნაბიჯები იმის უზრუნველსაყოფად, რომ ეს უფლებები და მოვალეობები
გავრცელდეს ერთსქესიან წყვილებზე?*

23.1. არ არსებობს (დაუქორწინებელ წყვილებს არანაირი ვალდებულებები არ ეკისრებათ).

დაუქორწინებელ წყვილებს შეუძლიათ მოითხოვონ გარკვეული უფლებები, თუკი მათ შეუძლიათ დაამტკი-
ცონ, რომ ერთობლივ მეურნეობას ეწეოდნენ გარკვეული დროის განმავლობაში. ექნებათ თუ არა ჰომოსე-
ქსულ წყვილებს ამ მიმართულებით ისეთივე უფლებები, როგორც ჰეტეროსექსუალ წყვილებს, პრაქტიკაში
უნდა შემოწმდეს. „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერ ჯგუფს“ არ გააჩნია რაიმე ინფორმაცია ამ საკითხთან
დაკავშირებით.

პრობლემის ამსახველ ერთ-ერთ მაგალითს პატიმრის მონახულების უფლება წარმოადგენს. ასეთი მონახულების
უფლება აქვთ ქორწინებაში მყოფ პარტნიორებს ან იმ პირებს, ვინც ერთიან მეურნეობას ორი წლის განმავ-
ლობაში ეწეოდნენ. თუკი ასეთი მონახულების უფლებას ლგბტ პირი მოითხოვს (და თუ წარმოვიდგენთ, რომ ეს
მოთხოვნა დაკმაყოფილდება), ამან შეიძლება პატიმრობაში მყოფი პარტნიორის სტიგმატიზაცია გამოიწვიოს.

**24. ეროვნული კანონმდებლობის მიერ რეგისტრირებული ერთსქესიანი პარტნიორობის აღიარების შემთხვევაში,
წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მათი სამართლებრივი სტატუსი, უფლებები და ვალდებ-
ულებები შესაბამის სიტუაციაში თანასწორი იყოს ჰეტეროსექსუალ წყვილების სამართლებრივ სტატუსთან,
უფლებებთან და ვალდებულებებთან.**

*24.1. ცნობს თუ არა კანონმდებლობა რეგისტრირებულ ერთსქესიან პარტნიორობას? თუ ასეა, გადაიდგა თუ
არა ნაბიჯი იმის უზრუნველსაყოფად, რომ მათი სამართლებრივი მდგომარეობა, უფლებები და ვალდებ-
ულებები ჰეტეროსექსუალური წყვილების უფლებებისა და ვალდებულებების თანასწორი იყოს?*

24.1. საქართველოს კანონმდებლობა არ აღიარებს რეგისტრირებულ ერთსქესიან პარტნიორულ ურთიერთობებს.

**25. თუკი ეროვნული კანონმდებლობა არ აღიარებს და არ ანიჭებს უფლებებსა და ვალდებულებებს რეგისტრირე-
ბულ ერთსქესიან პარტნიორებს და დაუქორწინებელ წყვილებს, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწი-
ნონ ერთსქესიანი წყვილების სამართლებრივი და სხვა სახის საშუალებებით უზრუნველყოფის შესაძლებლობა,**

173 იქვე, გვ. 21

რათა აღნიშნული წყვილები გაუმკლავდნენ ყოველდღიურ ცხოვრებაში სოციალური რეალობით გამოწვეულ პრაქტიკულ პრობლემებს; აღნიშნული ზომები უნდა განხორციელდეს დისკრიმინაციის გარეშე, მათ შორის სხვადასხვა სქესიანი წყვილების მიმართ დისკრიმინაციის გარეშე.

25.1. თუ ერთსქესიანი წყვილები არც უფლებებით და ვალდებულებებით სარგებლობენ, არც რეგისტრირებული პარტნიორობის ხელმისაწვდომობით ან დაუქორწინებელი წყვილების სტატუსით, აქვს თუ არა ხელისუფლებას გათვალისწინებული ისეთი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება, რომელიც დაფარავს აღიარების არარსებობის დროს წარმოშობილ პრაქტიკულ პრობლემებს?

25. 1. არა.

26. იმის გათვალისწინებით, რომ მშობლის უფლებასთან და მეურვეობასთან დაკავშირებული გადანაცვლებების მიღებისას ძირითადი ფაქტორი უნდა იყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესი, ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ გადანაცვლებების მიღება მოხდეს სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე.

26.1. რა ნაბიჯები გადაიდგა იმის უზრუნველსაყოფად, რომ გადანაცვლებები პარტნიორულ პასუხისმგებლობაზე ან ბავშვის მეურვეობაზე მიიღებოდეს დისკრიმინაციის გარეშე (ა) სექსუალური ორიენტაციის ან (ბ) გენდერული იდენტობის საფუძველზე?

26.2. პრაქტიკაში ხდება თუ არა ასეთი გადანაცვლებების მიღება არადისკრიმინაციულ საფუძველზე?

26.1-2. ამ მიმართულებით ნაბიჯები არ გადადგმულა.

27. იმის გათვალისწინებით, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესი უნდა იყოს ძირითადი ფაქტორი შვილად აყვანასთან დაკავშირებით გადანაცვლებების მიღებისას, ნევრმა სახელმწიფოებმა, რომელთა ეროვნული კანონმდებლობა მარტოხელა პირებს შვილად აყვანის უფლებას აძლევს, უნდა უზრუნველყონ, რომ შესაბამისი კანონის გამოყენება მოხდეს სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე.

27.1. რა ნაბიჯები გადაიდგა იმის უზრუნველსაყოფად, რომ ერთი პირის მიერ ბავშვის შვილად აყვანის გადანაცვლებები (სადაც ასეთი გაშვილება კანონით ნებადართულია) მიიღონ (ა) სექსუალური ორიენტაციისა და (ბ) გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე?

27.1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1246-ე მუხლი შვილის აყვანის უფლებას მხოლოდ დაქორწინებულ წყვილებს აძლევს. რადგანაც საქართველოს კანონმდებლობა არ ცნობს ერთსქესიან ქორწინებებს, ერთსქესიან წყვილებს არ ეძლევათ ბავშვის აყვანის უფლება. საქართველოს კანონმდებლობა იძლევა ბავშვის ერთი მშობლის მიერ აყვანის უფლებას, გარდა იმ პირებისა, რომლებსაც ავადმყოფობის, მორალური ან სხვა პიროვნული თვისებების გამო არ შეიძლება მიენიჭოთ მშობლის უფლება.¹⁷⁴ თუმცა, კანონი არ განსაზღვრავს მორალურ კრიტერიუმებს და არც სასამართლოს მიერ მიღებული გადანაცვლებები ან სამეცნიერო დასაბუთება არსებობს იმისა, თუ რა შემთხვევაში არ შეიძლება ადამიანს ბავშვის აყვანის მორალური უფლება გააჩნდეს. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს საზოგადოებაში ფართოდ არის გავრცელებული მოსაზრება ჰომოსექსუალობის ამორალურობის შესახებ, არსებობს მაღალი ალბათობა იმისა, რომ ლესბოსელ, ჰომოსექსუალ ან ტრანსგენდერ მარტოხელა მშობლებს მიენიჭებათ ბავშვის აყვანისათვის “მორალუროდ შეუსაბამოს” სტატუსი.¹⁷⁵

თუმცა, იუსტიციის სამინისტროს საპასუხო წერილში მითითებულია, რომ: „საქართველოს კანონი შვილად აყვანისა და მიწოდებით აღზრდის შესახებ არ ზღუდავს მშვილებლის უფლებებს სექსუალური ორიენტაციის კუთხით.“¹⁷⁶

27.2. პრაქტიკაში, ხდება თუ არა ასეთი გადანაცვლებების მიღება არადისკრიმინაციულ საფუძველზე?

174 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. მუხლი 1245.

175 კვლევა ჰომოფობიის, ტრანსფობიის და სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის შესახებ. სამართლებრივი ანალიზი: საქართველო. დამოუკიდებელი მკვლევარი ანა ნაცვლიშვილი. COWI. 2010. გვ. 13 ბმული: http://www.coe.int/t/commissioner/source/lgbt/georgialegal_e.pdf

176 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საპასუხო წერილი, N.26948, თარიღი: 26.06.2012.

27.2. ქალთა ინიციატივების მხარდამჭერ ჯგუფს არ გააჩნია ინფორმაცია ამ საკითხთან დაკავშირებული ქეისების შესახებ.

28. თუკი ეროვნული კანონმდებლობა მარტოხელა ქალებს ხელოვნური რეპროდუქციული ჩარევის საშუალებას აძლევს, ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ აღნიშნული პროცედურა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე განხორციელდეს.

28.1. რა ნაბიჯები გადაიდგა იმის უზრუნველსაყოფად, რომ მარტოხელა ქალებისთვის რეპროდუქციული მკურნალობის ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა (სადაც დაშვებულია ეროვნული კანონმდებლობით) იყოს სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე?

28.1. მარტოხელა ქალს შეუძლია მიიღოს დახმარება განაყოფიერებაში, თუმცა, ანალოგიურ შემთხვევაში, შვილად აყვანის შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად, ლესბოსელ ქალს შეიძლება უარი ეთქვას დედად გახდომაზე, მათ შორის ხელოვნურ განაყოფიერებაზე.¹⁷⁷

28.2. პრაქტიკულად, ხორციელდება თუ არა ასეთი ხელმისაწვდომობა არადისკრიმინაციულ საფუძველზე?

28.2. „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფისთვის“ მსგავსი პრაქტიკა ცნობილი არ არის.

V. დასაქმება

29. ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა საჯარო და კერძო სექტორში შრომითი ურთიერთობები თავისუფალი იყოს დისკრიმინაციისგან სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე. აღნიშნულმა ზომებმა უნდა მოიცვას დასაქმების და დანიშნულების ხელმისაწვდომობის პირობები, გათავისუფლება, გასამრჯელოს გადახდა და სამუშაოსთან დაკავშირებული სხვა პირობები, მათ შორის შევიწროებისა და ვიქტიმიზაციის სხვა ფორმების პრევენცია, მათ წინააღმდეგ ბრძოლა და აღნიშნულ ქმედებათა ჩამდენი პირების დასჯა.

29.1. არსებობს თუ არა კანონმდებლობა,¹⁷⁸ რომელიც კრძალავს დისკრიმინაციას (ა) სექსუალური ორიენტაციისა და (ბ) გენდერული იდენტობის საფუძველზე სახელმწიფო და კერძო სექტორში დასაქმებისას?

მოიცავს თუ არა დისკრიმინაციის აკრძალვა:

- დასაქმების ხელმისაწვდომობას (მათ შორის დაქირავებას), სამსახურებრივ დანიშნულებას,
- დათხოვნებს,
- ანაზღაურებას,

ზენოლისა და შევიწროვების სხვა ფორმებს?

29.1. შრომით ურთიერთობაში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიური ან რაიმე გაერთიანებისადმი კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულების გამო.¹⁷⁹

საქართველოს შრომის კოდექსი პირდაპირ კრძალავს დისკრიმინაციას სექსუალური ორიენტაციის ნაიდაგ-

¹⁷⁷ კვლევა ჰომოფობიის, ტრანსფობიის და სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის შესახებ. სამართლებრივი ანალიზი: საქართველო. დამოუკიდებელი მკვლევარი ანა ნაცვლიშვილი. COWI. 2010. გვ. 4 ბმული: http://www.coe.int/t/commissioner/source/lgbt/georgialegal_e.pdf

¹⁷⁸ „ევროპის სოციალური ქარტიის“ თანახმად, ეს კანონმდებლობა უნდა ეხებოდეს როგორც პირდაპირ, ასევე არაპირდაპირ დისკრიმინაციას. იგი აგრეთვე უნდა განსაზღვრავდეს, რომ დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებში მტკიცების ტვირთი დამსაქმებელს უნდა ეკისრებოდეს. (იხ. ევროპის სოციალური უფლებების კომიტეტის პრეცედენტები – მუხლი 1, „სამუშაოს უფლება“; http://www.coe.int/t/dghl/monitoring/socialcharter/Digest/DigestSept2008_en.pdf). „დასაქმების შესახებ ევროკავშირის დირექტივა“ არაპირდაპირი დისკრიმინაციის შემდეგ განმარტებას იძლევა: „როდესაც ერთი შეხედვით ნეიტრალური დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა ... კონკრეტული სექსობრივი ორიენტაციის მქონე ადამიანებს სხვა პირებთან მიმართებაში არახელსაყრელ პირობებში აყენებს ...“.

¹⁷⁹ საქართველოს შრომის კოდექსი, მუხლი 2(3)

ზე, თუმცა, ამ თვალსაზრისით კოდექსის მთავარი ნაკლი ისაა, რომ ეს ჩანაწერი ეხება უკვე დასაქმებული პირის დისკრიმინაციის აკრძალვას და არ ვრცელდება კანდიდატის შერჩევის ეტაპზე. მეორე მხრივ, კოდექსი არ ავალდებულებს დამსაქმებელს განუმარტოს დასაქმებულს სამსახურიდან გათავისუფლების მიზეზი და საფუძველი.¹⁸⁰ WISG-ს აქვს რამდენიმე შემთხვევა როდესაც სექსუალური ორიენტაცია/გენდერული იდენტობა გამხდარა გათავისუფლების მიზეზი. (იხ. ქეისი #W32). კიდევ ერთი ხარვეზი მდგომარეობს იმაში, რომ გენდერული იდენტობა არ არის ცალკე აღნიშნული კანონში როგორც დისკრიმინაციის აკრძალული საფუძველი.

29.2. მიიღო თუ არა ხელისუფლებამ დისკრიმინაციის, ზენოლისა და შევიწროვების წინააღმდეგ ბრძოლის სხვა ზომები, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორებში, მაგალითად:

- ქცევის წესების მიღება, როგორც დამსაქმებელთათვის, ისე თანამშრომლებისთვის;
- სწავლების და ცნობიერების ამაღლების პროგრამები, როგორც დამსაქმებლებისთვის, ისე თანამშრომლებისთვის;
- თანამშრომლებისთვის მასალების დარიგება, რომელიც აუხსნის მათ უფლებებს, საჩივრების შეტანის მექანიზმებს და დაცვის საშუალებებს;
- ლგბტ პირების დაქირავებისკენ მიმართული მცდელობა;
- ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკის მიღება, რომელიც მკაფიოდ ეყრდნობა სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობას;
- თანამშრომლობა და მხარდაჭერა თანამშრომელთა ჯგუფისა, რომელიც შედგება ლგბტ პირებისაგან?

29.2. იუსტიციის სამინისტროს პრაქტიკა პოზიტიურ მაგალითს წარმოადგენს. მათ წერილში აღნიშნულია: „იუსტიციის სამინისტრო დასაქმების თანაბარ შესაძლებლობებს სთავაზობს ყველა თანამშრომელს და კანდიდატს, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, რელიგიისა, სქესისა, ეროვნებისა, ასაკისა და ა.შ. იუსტიციის სამინისტროს აღნიშნული პოლიტიკა მიმართულია ნებისმიერი თანამშრომლის შევიწროვების წინააღმდეგ, გამორიცხავს მტრულ და შეურაცხყოფელ დამოკიდებულებას სამუშაო პროცესის დროს.“¹⁸¹

მეორე მხრივ, ასევე პოზიტიურ მაგალითებს შორის უნდა დასახელდეს ისიც, რომ იუსტიციის სამინისტროს შემუშავებული აქვს თანამშრომლის სახელმძღვანელო, რომლის მიზანია უზრუნველყოს ეთიკური და თავაზიანი სამუშაო პირობები. სამინისტროს ყველა თანამშრომელს აქვს უფლება, ჰქონდეს სამუშაო გარემო, რომელშიც იგი არ განიცდის შევიწროებას ან მტრულ დამოკიდებულებას რასის, კანის ფერის, რელიგიის, სქესის, ეროვნების, ასაკის და სხვა მსგავსი თავისებურების გამო. ამ პოლიტიკის მიზანია ჯანსაღ გარემოში სამუშაო პროცესის ეფექტურობის ზრდა.

იუსტიციის სამინისტროს თანამშრომელი უფლებამოსილია სქესობრივი შევიწროების ყველა მცდელობის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს გენერალურ ინსპექციას და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს, რომლებიც მოახდენენ მსგავს ფაქტებზე შესაბამის რეაგირებას.¹⁸²

პოზიტიური მაგალითები უმაღლესი განათლების სფეროშიც გვხვდება: დაუშვებელია დისკრიმინაცია უმაღლესი სასწავლებლების ლიდერის ასარჩევად ჩატარებული კონკურსების დროს. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით შეიძლება განისაზღვროს ხელმძღვანელობის კანდიდატისთვის, ასევე დეკანობის კანდიდატისთვის წაყენებული მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები. თუმცა, დაუშვებელია შეზღუდვის დაწესება რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, მოქალაქეობისა და დაკავებული აკადემიური თანამდებობის ნიშნით.¹⁸³

მიუხედავად იმისა, რომ შექმნილია თვითრეგულაციის მექანიზმები, ძნელია მათი ეფექტურობის შეფასება.¹⁸⁴

180 საქართველოში ლგბტ ქალთა მდგომარეობის ამსახველი ჩრდილოვანი ანგარიში CEDAW კომიტეტისათვის. „ქალთა ინიციატივების მხარდაჭერი ჯგუფი“. WISG. თბილისი, 2012. გვ.41, ბმული: http://women.ge/wp-content/uploads/2012/05/WISG-LBT-CEDAW-shadow-report_geo.pdf

181 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საპასუხო წერილი, N.26948, თარიღი: 26.06.2012.

182 იქვე.

183 იქვე.

184 2012 წლის 17 მაისს აიდაპო-სადმი მიძღვნილი მსვლელობისდარბევას გამომხაურება მოჰყვა ფეისბუქშიც. გიორგი მიქანაძემ,

29.3. გადაიდგა თუ არა ნაბიჯები ისეთი კანონების, დებულებებისა და პრაქტიკების გასაუქმებლად, რომელიც (ა) სექსუალური ორიენტაციის ან (ბ) გენდერული იდენტობის ნიშნით აფერხებს პიროვნების კარიერულ წინსვლას გარკვეულ პროფესიებსა და საქმიანობებში, მათ შორის შეიარაღებულ ძალებში?

29.4. კონკრეტულად შეიარაღებულ ძალებთან მიმართებაში:

- მიღებული იქნა თუ არა ზომები ლგბტ ჯგუფის წევრების დაცვისათვის გამოძიებისგან, გაფრთხილებისგან, ზეწოლისგან, დაშინებისგან, სასტიკი რიტუალებისგან, დამცირებისა და ცუდი მოპყრობის სხვა ფორმებისგან?
- ეხება თუ არა ქცევის წესები და სწავლებები ლგბტ ადამიანების დისკრიმინაციასთან ბრძოლისა და ტოლერანტული დამოკიდებულების დამკვიდრების აუცილებლობას?

29.5. ფარავს თუ არა სრულად და ეფექტურად დისკრიმინაციის წინააღმდეგ მიღებული ზომები ტრანს-გენდერ ადამიანებს დასაქმების სფეროში?

29.6. არის თუ არა შემუშავებული სპეციფიური პროგრამები ტრანსგენდერი ადამიანების დასაქმებისთვის?

29.3-6. სამინისტრომ არ გასცა პასუხი ამ კითხვებს.

30. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ტრანსგენდერი ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვას დასაქმების კონტექსტში; კერძოდ, დასაქმების აპლიკაციების შევსებისას თავიდან უნდა იქნას აცილებული ტრანსგენდერთა გენდერული ისტორიის ან მათი წინა სახელის დამსაქმებლისადმი და სხვა დასაქმებულებისადმი რეალური საჭიროების გარეშე ხელმისაწვდომობა.

30.1. მიღებულია თუ არა ზომები, რათა თავიდან იქნას აცილებული ტრანსგენდერთა გენდერული წარსულის ან მათი ძველი სახელების გამჟღავნება დასაქმების კონტექსტში?

30.1. სერიოზული საკანონმდებლო ხარვეზებია შესავსები ტრანსგენდერი ადამიანების დასაქმების სფეროში. აკადემიური დიპლომის გაცემის პროცედურა არ ითვალისწინებს იმავე პირზე დიპლომის ხელახალ, მეორედ გაცემას მაშინაც კი როდესაც გენდერის კვლავმინიჭების პროცედურა აქვს ადამიანს გავლილი. ეს ბარიერს უქმნის ტრანსგენდერი ადამიანების დასაქმებას. ასეთ სიტუაციაში, როცა სახელისა და გვარის შეცვლის პრაქტიკა დამკვიდრებულია, პიროვნებას შეუძლია დიპლომს თან დაურთოს სასამართლოს მიერ მინიჭებული დამატებითი საბუთი, იმის დასამტკიცებლად, რომ დიპლომსა და პირადობის დამადასტურებელ საბუთზე მითითებული ორი სხვადასხვა სახელი ერთსა და იმავე პიროვნებას ეკუთვნის. თუმცა, ტრანსგენდერი ადამიანის შემთხვევაში ეს პროცედურა ნაკლებად სავარაუდოა გამოსავალი იყოს, მეტიც, შეიძლება ეს ზიანისა და დისკრიმინაციის საფუძვლად იქცეს დასაქმების გადანაცვლების მიღების დროს.¹⁸⁵

რომელიც ილიას უნივერსიტეტში საბანკო საქმეს ასწავლის, ამგავრი განცხადებები გამოაქვეყნა თავის გვერდზე: „ლგბტ აქციების ორგანიზატორებს უნდა გაუნგრიო ცხვირ-პირი, თვითონ ეგენი არიან მართლა ჰომოფობები, ვინც იქ იყვნენ გამოსულები და შეშინებულები, ვერ იტანენ გარემოს. ვის ადანაშაულებენ თავიანთ უბედურ ცხოვრებაში საინტერესოა? უშუალოდ ორგანიზატორებზე მაქვს საუბარი, ასეთი პოზიცია მაქვს მე და არ ვმაღავ! ჯერ უმრავლესობის ინტერესებია მისახედი და მერე უმცირესობის. თუ უმცირესობის ინტერესები წინააღმდეგობაში მოდის უმრავლესობის ინტერესებთან... ..მე ვფიქრობ, ამ საკითხთან დაკავშირებით ნეიტრალური პოზიცია არავინ არ უნდა დაიკავოს და უნდა დააფიქსირონ საკუთარი შეხედულებები. ლგბტ სიტუაციები არასდროს არ ყოფილა სიახლე მსოფლიოსათვის, ეს არ არის სიახლე, რომელსაც არ მიიღებს ქართული საზოგადოება. ეს არის ის, რასაც არასდროს მივიღებთ. ლოგინში არავინ არავის არ უფარდება და თვითონ ნუ შეუვარდებიან ორგანიზატორები ნურავის“. „მე ვშეშობ ხუთ ორგანიზაციაში, სხვაგანაც ვასწავლი და რა მნიშვნელობა აქვს, სად ვასწავლი, ეს ლექციაზე არ მომხდარა, მე რომ ლექციაზე ვიქადაგო ეს თემა, ეგ სხვაა, მაგრამ მე ჩემი თავისუფალი ცხოვრება მაქვს, სადაც ვერავინ ვერაფერს ვერ დამიშლის“, – განუცხადა გიორგი მიქანაძემ ნეტგაზეთის კორესპოდენტს. რაც შეეხება მუქარას, მისი თქმით, ეს ზოგადი გამონათქვამი იყო და კონკრეტულ ადამიანს არ დამუქრებია. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, გიგი თევზაძის აზრით, ლექტორის ჰომოფობიაში დადანაშაულება სერიოზული ბრალდებაა, მიუხედავად იმისა, მან ჰომოფობური განცხადებები ლექციაზე გამოთქვა, თუ საჯაროდ გააკეთა და ამ საკითხს აკადემიური საბჭო აუცილებლად განიხილავდა. თუმცა, მოგვიანებით, რექტორმა აზრი შეიცვალა: „მიქანაძემ თავისი განცხადება გააკეთა პირად სივრცეში და შემდეგ საჯაროდ მოიხადა ბოდიში. რაც შეეხება იმას უნდა განეხილა თუ არა ეს საბჭოს უბრალოდ არავის არ მოუმართავს ჩვენთვის, ვინმეს რომ მოემართა ცალკეულ ფაქტს განვიხილავდით, მაგრამ არავის არ ამოუღია ხმა, არავის არ მოუმართავს ოფიციალურად“, – განაცხადა გიგი თევზაძემ. ილიაუნის ლექტორის ჰომოფობიაზე არ უმსჯელია. ანი ბერუკაშვილი. ნეტგაზეთი. 01.07.2012. <http://www.netgazeti.ge/GE/105/Life/10528/>

185 კვლევა ჰომოფობიის, ტრანსფობიის და სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის შესახებ. სამართლებრივი ანალიზი: საქართველო. დამოუკიდებელი მკვლევარი ანა ნაცვლიშვილი. COWI. 2010. გვ. 17-18 ბმული:

VI. განათლება

31. ბავშვის უპირატესი ინტერესის გათვალისწინებით, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც მიმართული იქნება საგანმანათლებლო პერსონალისა და მოსწავლეების მიმართ და რომელთა მეშვეობითაც უზრუნველყოფილი იქნება განათლების უფლებით ეფექტური სარგებლობა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე; აღნიშნული უნდა მოიცავდეს უსაფრთხო გარემოში ბავშვებისა და ახალგაზრდების განათლების უფლებას, რომელიც თავისუფალი იქნება ძალადობისაგან, ბულინგისგან, სოციალური გარიყულობისგან და დისკრიმინაციისა და დამამცირებელი მოპყრობის სხვა ფორმებისგან სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე.

31.1. იქნა თუ არა შემუშავებული

- თანასწორობისა და უსაფრთხოების პოლიტიკა
- ქცევის წესები და
- სახელმძღვანელოები

საგანმანათლებლო პერსონალისთვის, რაც უზრუნველყოფს ლგბტ მოსწავლეებისა და სტუდენტების განათლების მიღებას უსაფრთხო გარემოში, ძალადობის, დაშინების, სოციალური გარიყულობის ან სხვა ფორმით დისკრიმინაციული და ღირსების დამამცირებელი მოპყრობის გარეშე?

31.1. განათლების სფეროში დისკრიმინაცია აკრძალულია და განათლებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობა აღიარებულია კანონით როგორც დაწყებით და საშუალო, ასევე უმაღლეს სასწავლო სისტემებში.¹⁸⁶

საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ კრძალავს რაიმე სახის დისკრიმინაციას სკოლაში მიღებისას. ეს ნორმა არ გამორიცხავს შესარჩევი კონკურსის ჩატარების შესაძლებლობას იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომლებიც ახორციელებენ პროფილურ სახელოვნებო და სასპორტო მომზადებასა და განათლებას. კონკურსის დროს უნდა მოხდეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინება.¹⁸⁷

კანონმდებლობის თანახმად არის ჩამოყალიბებული უმაღლესი განათლების მიზნები, რომლებიც უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობასა და ღია ხასიათს, სწავლის, სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის აკადემიურ თავისუფლებას, უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობას მთელი სიცოცხლის განმავლობაში, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღებასა და მათი შესრულების კონტროლის პროცესში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვისა და ამ დაწესებულებაში კონკურსების საჯაროობასა და გამჭვირვალობას, უმაღლესი განათლების სფეროში ყოველგვარი დისკრიმინაციის აკრძალვას, მათ შორის აკადემიური, რელიგიური თუ ეთნიკური კუთვნილების ან/და შეხედულების, სქესის, სოციალური წარმოშობისა და სხვა ნიშნით.¹⁸⁸

უმაღლესი განათლების შესახებ კანონი ასევე ავალდებულებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს უზრუნველყონ თანასწორი მოპყრობა განურჩევლად პირის ეთნიკური კუთვნილებისა, სქესისა, სოციალური წარმოშობისა, პოლიტიკური თუ რელიგიური შეხედულებებისა და სხვა საფუძვლებისა.¹⁸⁹

WISG-ის მიერ ჩატარებული ლგბტ დისკრიმინაციის კვლევის ყველა მონაწილემ (16-18 წლის ასაკობრივ ჯგუფში) აღნიშნა რომ აქვს ბულინგის გამოცდილება სკოლაში.¹⁹⁰ (მაგ.იხ. ქეისი #W38).

http://www.coe.int/t/commissioner/source/igbt/georgialegal_e.pdf

186 კვლევა ჰომოფობიის, ტრანსფობიის და სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის შესახებ. სამართლებრივი ანალიზი: საქართველო. დამოუკიდებელი მკვლევარი ანა ნაცვლიშვილი. COWI. 2010. გვ. 17-18 ბმული: http://www.coe.int/t/commissioner/source/igbt/georgialegal_e.pdf

187 იქვე. მუხლი. 13(3)

188 საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“. მუხლი 3 (3)კ

189 საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“. მუხლი 16(1)დ

190 „იდენტობამ“ გააგზავნა ოფიციალური შეკითხვა განათლების სამინისტროში, რომელშიც ცდილობდა დაედგინა, შეისწავლიდა თუ არა ეს უკანასკნელი სკოლებში ჩაგვრის საკითხს და ცდილობდა თუ არა იგი შეექმნა ლგბტ-პირებისათვის უსაფრთხო გარემო სკოლებსა და უნივერსიტეტებში. თუმცა, სამინისტრომ ეს შეკითხვა, ისევე როგორც „ქალთა ინიციატივების მხარდაჭერი ჯგუფის“

ლგბტ პირების და საკითხების მიმართ სკოლებსა და უნივერსიტეტებში არსებული გამოცდილება ასახავს საზოგადოებაში არსებულ ზოგად ტენდენციებს და იმ ტრადიციული სტიგმების, ტაბუების და ფასეულობების ძლიერ ზეგავლენას განიცდის, რომელთაც მხარს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია უჭერს.¹⁹¹

2011 წელს შემუშავდა სახელმწიფოს ახალგაზრდული პოლიტიკის პროექტი. ამ პროცესში არასამთავრობო ორგანიზაციებიც იღებდნენ მონაწილეობას. ერთ-ერთი თავი (სპეციალური მხარდაჭერა და დაცვა), სხვა ჯგუფებთან ერთად, ლგბტ ახალგაზრდებსაც ეხებოდა. ამ თავის მიხედვით, სახელმწიფო ვალდებულია ლგბტ ახალგაზრდების პრობლემების მოგვარებაზე იზრუნოს. „მთავრობა ჩაატარებს სასწავლო კურსებს სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, რითაც ხელს შეუწყობს ბავშვთა და ადამიანის უფლებათა დაცვას და ასწავლის ახალგაზრდებს, თუ როგორ დაიცვან თავიანთი უფლებები, მათ შორის ეთნიკურ, რელიგიურ და სექსუალურ უმცირესობათა წარმომადგენლებისა და გოგონების/ქალთა უფლებები (რათა თავიდან იქნას აცილებული ნადრევი ქორწინება).“¹⁹² სპორტისა და ახალგაზრდული საქმეების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსმა განაცხადა, რომ მას შემდეგ რაც დოკუმენტი დასრულებულ სახეს მიიღებს, მისი განხორციელება დაიწყება. კითხვაზე, თუ რომელი სახელმწიფო ორგანო იქნება სკოლებში ლგბტ პირების უფლებების დაცვაზე და რა მექანიზმები იქნება გამოყენებული ამისათვის, მან განაცხადა, რომ ეს საკითხი ჯერ გადაწყვეტილი არ არის.

მიუხედავად იმისა, რომ თვითრეგულაციის მექანიზმები შემუშავებულია, ძნელია იმის შეფასება, თუ რამდენად ეფექტურად მოქმედებენ ისინი. (იხ. ქეისები #136, #140, ასევე სქოლიო 185).

31.2. მასწავლებლებისა და სხვა საგანმანათლებლო პერსონალისთვის განკუთვნილი დანყებითი პროფესიული მომზადება და სწავლება ეხება თუ არა იმის საჭიროებას, რომ

ა.) ლგბტ მოსწავლეებსა და სტუდენტებს მოეპყრან პატივისცემით

ბ.) შეძლონ გამოავლინონ, გაანალიზონ და ეფექტურად მოახდინონ რეაგირება და წინ აღუდგნენ ამ საფუძვლებზე დისკრიმინაციას სკოლებში?

31.2. მსგავსი პრაქტიკა WISG-ისთვის არ არის ცნობილი.

31.3. აქვს თუ არა მხარდაჭერა ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ მიმართული სკოლის კამპანიებისა და კულტურული ღონისძიებების მოწყობას, მათ შორის შესაძლებლობის ფარგლებში ლგბტ ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით?

31.3. WISG არ ფლობს ინფორმაციას ასეთი ღონისძიებების ჩატარების შესახებ.

32. ბავშვის უპირატესი ინტერესის გათვალისწინებით, შესაბამისი ზომები უნდა იქნას მიღებული სკოლებში ურთიერთშემწყნარებლობისა და პატივისცემის მხარდასაჭერად მიუხედავად სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობისა. აღნიშნული უნდა მოიცავდეს სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შესახებ ობიექტური ინფორმაციის მიწოდებას გეგმებსა და საგანმანათლებლო მასალებში. აღნიშნული ასევე უნდა მოიცავდეს მოსწავლეთა და სტუდენტთა აუცილებელი ინფორმაციით, დაცვითა და მხარდაჭერით უზრუნველყოფას, რათა მათ შეძლონ მათი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შესაბამისად ცხოვრება. გარდა ამისა, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ შეადგინონ და განახორციელონ თანასწორობისა და უსაფრთხოების სასკოლო პოლიტიკა და სამოქმედო გეგმა. წევრ სახელმწიფოებს ასევე შეუძლიათ უზრუნველყონ დისკრიმინაციის საწინააღმდეგო ადეკვატური ტრენინგებისა თუ სხვა სახის მხარდაჭერისა და სასწავლო მასალების ხელმისაწვდომობა. აღნიშნულ ზომებში გათვალისწინებული უნდა იქნას მშობელთა უფლება ბავშვების განათლებასთან დაკავშირებით.

შეკითხვა მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის შესრულების შესახებ, უპასუხოდ დატოვა.

191 კვლევა ჰომოფობიის, ტრანსფობიის და სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის შესახებ. სამართლებრივი ანალიზი: საქართველო. დამოუკიდებელი მკვლევარი ანა ნაცვლიშვილი. COWI. 2010. 2010. გვ.3 para.67. ბმული http://www.coe.int/t/Commissioner/Source/LGBT/GeorgiaSociological_E.pdf

192 http://youth.gov.ge/?page_id=1158

32.1. არის თუ არა ინფორმაცია (ა) სექსუალურ ორიენტაციასა და (ბ) გენდერულ იდენტობაზე სკოლის სასწავლო გეგმებში და ხდება თუ არა ჯანმრთელობისა და სქესობრივი განათლების სწავლება?

32.2. წარმოდგენილია თუ არა ეს ინფორმაცია ღირსეული და მიუკერძოებელი ფორმით?

32.3. არიან თუ არა ლგბტ მოსწავლეები და სტუდენტები დაცულნი და საჭირო ინფორმაციითა და მხარდაჭერით უზრუნველყოფილნი, რაც მათ საშუალებას მისცემს იცხოვრონ მათი (ა) სექსუალური ორიენტაციისა და (ბ) გენდერული იდენტობის შესაბამისად?

32.4. მიღებული არის თუ არა ზომები იმისათვის, რომ ადეკვატურად დაკმაყოფილდეს ტრანსგენდერი სტუდენტების სპეციფიური საჭიროებები სკოლაში, მაგალითად სკოლის დოკუმენტებში სახელის ან სქესის შეცვლასთან დაკავშირებით?

32.1-4. საქართველოს განათლების სამინისტროს პასუხი არ გაუცია CM/Rec(2010)5-ის იმპლემენტაციასთან დაკავშირებულ კითხვებზე. სკოლის კურიკულუმში არ შედის სექსუალური განათლება. სასწავლო წიგნები შეიცავს დისკრიმინაციულ მასალებს, თუმცა, რთულია ამაზე დავა და რაიმეს მტკიცება, რადგან არ არსებობს თანმიმდევრული კვლევა ამ საკითხთან დაკავშირებით.

WISG-ისთვის არ არის ცნობილი რაიმე სპეციალური პროგრამა (ცნობიერების გაზრდა, ფსიქოლოგიური კონსულტირება და ა.შ) სკოლებში ან უმაღლეს სასწავლებლებში, რომელიც გათვლილია ლგბტ სტუდენტების/მოსწავლეების საჭიროებებზე.

VII. ჯანდაცვა (ტრანსგენდერთა საკითხის გამოკლებით)

33. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი საკანონმდებლო და სხვა ზომები, რათა უმაღლესი ხარისხის ხელმისაწვდომი ჯანდაცვის სისტემით სარგებლობა მოხდეს სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე; კერძოდ, წევრმა სახელმწიფოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი პირების სპეციალური საჭიროებები ეროვნული ჯანმრთელობის გეგმების, მათ შორის სუიციდის პრევენციის ზომების, ჯანმრთელობის გამოკითხვების, სამედიცინო კურიკულუმების, სასწავლო კურსებისა და მასალების შექმნისას. წევრმა სახელმწიფოებმა ასევე უნდა მიიღონ მხედველობაში ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი პირების სპეციალური საჭიროებები ჯანდაცვის სერვისების მონიტორინგისა და შეფასებისას.

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობა კრძალავს პაციენტთა დისკრიმინაციას რაიმე საფუძველზე, მათ შორის სექსუალური ორიენტაციის გამო. ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული სამედიცინო დახმარება ხელმისაწვდომია საქართველოს ყველა მოქალაქისთვის. „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით არ დაიშვება პაციენტის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, აღმსარებლობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, დაავადების, სექსუალური ორიენტაციის ან პირადული უარყოფითი განწყობის გამო. თუმცა, არსებობს შემთხვევები, როცა დისკრიმინაცია მაინც ხდება. (მაგ. იხ. ქეისი #W34A, #W34C)

კანონი ასევე კრძალავს რაიმე სახის დისკრიმინაციას პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფი პაციენტისთვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენისას.¹⁹³

თუმცა, მეორე მხრივ, ჯანდაცვის სამინისტროს ბრძანება აწესებს ბლანკეტურ აკრძალვას სისხლის დონორობაზე ჰომოსექსუალთათვის, იმ მიზეზით, რომ ისინი მაღალი რისკის ჯგუფს მიეკუთვნებიან.¹⁹⁴

33.1. მიიღება თუ არა მხედველობაში განსაკუთრებული საჭიროებები, რომლებიც დაკავშირებულია: (ა) სექსუალურ ორიენტაციასთან და (ბ) გენდერულ იდენტობასთან

- ჯანდაცვის ეროვნული გეგმების შემუშავებისას,

¹⁹³ საქართველოს კანონი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ. მუხლი 5-6.

¹⁹⁴ ეს ბრძანებულება „იდენტობამ“ საკონსტიტუციო სასამართლომ გაასაჩივრა (გადაწყვეტილება საქმეზე ჯერ მიღებული არ არის)

- ჯანმრთელობის კვლევებში,
- სუიციდის პრევენციის პროგრამებში,
- სამედიცინო სასწავლო პროგრამებში,
- სასწავლო კურსებსა და მასალებში

სამედიცინო მომსახურების ხარისხის შეფასებისა და მონიტორინგის დროს?

33.1. არც სახელმწიფოს სამოქმედო გეგმები და არც არსებული სახელმწიფო სტრატეგია ჯანდაცვის საკითხებში¹⁹⁵ არ იღებენ მხედველობაში ლგბტ პირების კონკრეტულ საჭიროებებს. იგივე შეიძლება ითქვას ჯანდაცვის სფეროში განხორციელებულ კვლევებზე: აქამდე ჩატარებული არცერთი კვლევა არ იღებს მხედველობაში ლგბტ პირების საჭიროებებს ან ამ ჯგუფთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. რაც შეეხება თვითმკვლელობების პრევენციას, ასეთი პროგრამები საქართველოში საერთოდ არ არსებობს. ჯანდაცვის სამინისტროდან მიღებულ საპასუხო წერილში არაფერია ნათქვამი სამედიცინო თრეინინგების პროგრამებზე. „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერმა ჯგუფმა“ შესაბამისი ინფორმაცია სხვა წყაროებიდან მიიღო, თუმცა, ამ საკითხზე ნათელი სურათის შექმნა მაინც ვერ მოვახერხეთ. რაც შეეხება სახელმძღვანელოებში და სასწავლო მასალებში ჰომოსექსუალობის როგორც ავადმყოფობის განსაზღვრას, ნება გვიბოძეთ შეგატყობინოთ, რომ ჩვენ ამჟამად ვწარმოებთ სპეციალისტების სასწავლო პროგრამების გადასინჯვას და ვაპირებთ გადავაკეთოთ ისინი ისე, რომ მოხდეს ამ საკითხების გათვალისწინება.¹⁹⁶ ჯანდაცვის სამინისტროს საპასუხო წერილში არაფერია ნათქვამი ჯანდაცვის მომსახურების მონიტორინგის და ხარისხის შეფასების შესახებ. „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერმა ჯგუფმა“ შესაბამისი ინფორმაცია სხვა წყაროებიდან მიიღო, თუმცა, ამ საკითხზე ნათელი სურათის შექმნა მაინც ვერ მოვახერხეთ. მომსახურებით უკმაყოფილო პაციენტს შეუძლია საჩივრით სამედიცინო საქმიანობის მარეგულირებელ სააგენტოს მიმართოს. უკანასკნელი განიხილავს საკითხს და მიიღებს გადამწყვეტილებას, დაარღვია თუ არა ექიმმა კანონი.

33.2. აძლევს თუ არა სპეციალისტებს სასწავლო სამედიცინო პროგრამები იმის საშუალებას, რომ გაუჩიონ მაღალი სტანდარტის სამედიცინო მომსახურება ყველა ადამიანს (ა) სექსუალური ორიენტაციისა და (ბ) გენდერული იდენტობის სრული პატივისცემით?

33.2. ჩვენ ვერ მივიღეთ ცალსახა პასუხი კითხვაზე აძლევს თუ არა სათრეინინგო პროგრამა ჯანდაცვაში მომუშავე პროფესიონალებს იმის საშუალებას, რომ მაღალი სტანდარტის ხელმისაწვდომი მომსახურება შესთავაზონ უკლებლივ ყველა ადამიანს, სექსუალური ორიენტაციისა თუ გენდერული იდენტობის მიუხედავად.

33.3. არის თუ არა ხელმისაწვდომი განათლების, პრევენციის, მოვლისა და მკურნალობის პროგრამებისა და სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების სფერო ლგბტ ჯგუფის წევრებისთვის და პატივს ცემენ თუ არა ისინი მათ მოთხოვნილებებს?

33.3. სამინისტროს მიერ გამოგზავნილ საპასუხო წერილში არაფერი წერია ისეთ საკითხებზე, როგორიცაა განათლების, პრევენციის, მოვლისა და მკურნალობის პროგრამებისა და სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების ხელმისაწვდომობა ლგბტ ადამიანებისთვის. 2012 წლის 8 ივნისს შემოთავაზებული იქნა ახალი შესწორებები საქართველოს კანონში „ჯანდაცვის შესახებ“ (N07-3/639; 08.06.12), რომლის მიხედვითაც სუროგატი მშობლის დახმარების მიღების უფლება ექნებათ მხოლოდ უშვილო წყვილებს, რომლებიც იმყოფებიან დარეგისტრირებულ ქორწინებაში, მაგრამ უნაყოფო არიან.¹⁹⁷

33.4. არიან თუ არა ჯანდაცვის მუშაკები და სოციალური მუშაკები ნახალისებულნი, რათა შექმნან ღია და ტოლერანტული გარემო ახალგაზრდა ლგბტ ჯგუფის წევრებისთვის, მაგალითად ინფორმაციული კამპანიების მეშვეობით?

33.4. არ მოგვეპოვება ინფორმაცია ისეთი პროგრამების ან სახელმწიფოს მხრიდან გადამდგმული ნაბიჯების

195 http://www.healthrights.ge/wp-content/uploads/2012/05/jandacva_Eng.pdf

196 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საპასუხო წერილი, N.01/27507, თარიღი: 15.05.2012

197 http://chairman.parliament.ge/index.php?option=com_content&view=article&id=1603:2012-07-12-06-31-59&catid=136:prs&lang=en&Itemid=0

შესახებ ჯანდაცვის და სოციალურ მუშაკთა წასახალისებლად, რათა მათ ღია და მისაღები გარემო შექმნან ახალგაზრდა ლგბტ ადამიანებისთვის.

33.5. საავადმყოფოში ან გადაუდებელი სამედიცინო დახმარების საჭიროებისას პაციენტებს ეძლევათ თუ არა მათი უახლოესი ნათესავების არჩევის უფლება (ა) სექსუალურ ორიენტაციასა და (ბ) გენდერულ იდენტობაზე დაფუძნებული დისკრიმინაციის გარეშე?

33.5. საქართველოს კანონი პაციენტის უფლებების შესახებ შემდეგნაირად განმარტავს პაციენტის ნათესავს:

„პაციენტის ნათესავი – პირი, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი რიგითობის მიხედვით აქვს უპირატესი უფლება მონაწილეობა მიიღოს პაციენტისათვის სამედიცინო მომსახურების აღმოჩენასთან ან მის სიკვდილთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში“. პაციენტის კანონიერი წარმომადგენელი – პაციენტის მეურვე ან მისი ნდობით აღჭურვილი პირი: მშობელი, ბავშვი, მეუღლე, და ან ძმა, ბებია, ბაბუა ან სხვა ნათესავები, როგორც კანონმდებლობითაა განსაზღვრული ან პიროვნება, რომელიც მუდმივად ცხოვრობს პაციენტთან.¹⁹⁸ კანონი არ აწესებს შეზღუდვას ამ პირის გენდერის ან სქესის საფუძველზე.

ბავშვებთან და მოზარდებთან მუშაობა რიგ მნიშვნელოვან პრობლემებს გულისხმობს. როგორც „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ სექსოლოგი აღნიშნავს: „ამ ასაკის ბავშვებთან ვერ ვიმუშავეთ მშობლების გარეშე. საერთოდ, გაურკვეველია ვინ უნდა იმუშაოს ამ ასაკის ბავშვებთან. მე მოზრდილების ექიმი ვარ და მხოლოდ 18 წლის ზევით ასაკის პაციენტებთან მაქვს მუშაობის უფლება. არადა ყველაზე რთული პერიოდი არის გარდატეხის ასაკი... .. ეს საკითხი ძალიან დასალაგებელი და დასარეგულირებელია“.¹⁹⁹

34. უნდა იქნას მიღებული შესაბამისი ზომები რათა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის სტანდარტების თანახმად, არ მოხდეს ჰომოსექსუალობის დაავადებად კლასიფიკაცია.

34.1. არის თუ არა ამოღებული ჰომოსექსუალობა ეროვნული დაავადებების კლასიფიკატორიდან?

34.1. როგორც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საპასუხო წერილშია აღნიშნული: „საქართველოში მოქმედი ავადმყოფობათა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების საერთაშორისო სტატისტიკური კლასიფიკაციის – ICD-10 თანახმად, ჰომოსექსუალობა არ შედის დაავადებათა ჩამონათვალში“.²⁰⁰ თუმცა, რეალობაში ხშირად ჰომოსექსუალობას მაინც განიხილავენ როგორც ავადმყოფობას, რომელსაც მკურნალობა სჭირდება და მსგავსი მოსაზრება საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული სამედიცინო პერსონალს შორის საქართველოში (იხ. ქეისი #136). ამის უპირველესი მიზეზი არის ცოდნის ნაკლებობა თანამედროვე სამედიცინო და მეცნიერული მიდგომების შესახებ.²⁰¹

34.2. არის თუ არა ამოღებული და ჩასწორებული ის პოლიტიკური დოკუმენტები, სამედიცინო სახელმძღვანელოები და სასწავლო მასალები, სადაც ადრე ჰომოსექსუალობა განიხილებოდა, როგორც დაავადება?

34.2. WISG-ის მიერ ექსპერტებთან ჩატარებულ რამოდენიმე ინტერვიუში აღნიშნულია, რომ ზოგიერთ სახელმძღვანელოში ჰომოსექსუალობა მიჩნეულია დაავადებად, ასევე მიიჩნევენ სამედიცინო პერსონალის ზოგიერთი წარმომადგენელი. ამ საკითხთან დაკავშირებით ჯანდაცვის სამინისტროს საპასუხო წერილში აღნიშნულია: „ამჟამად მიმდინარეობს დიპლომის შემდგომი მზადების პროგრამების გადახედვა და იგეგმება მათი ჩასწორება აღნიშნული საკითხის შემდგომი დარეგულირების მიზნით. დიპლომამდელი მზადების პროცესი კი რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ სასწავლო დანესებულებების ავტორიზაციითა და პროგრამების აკრედიტაციით“.²⁰²

198 საქართველოს კანონი პაციენტის უფლებების შესახებ. მუხლი.4 (e,f)

199 საქართველოში ლგბტ ქალთა მდგომარეობის ამსახველი ჩრდილოვანი ანგარიში CEDAW კომიტეტისათვის. „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“. WISG. თბილისი, 2012. გვ.37, ბმული: http://women.ge/wp-content/uploads/2012/05/WISG-LBT-CEDAW-shadow-report_geo.pdf

200 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საპასუხო წერილი, N.01/27507, თარიღი: 15.05.2012

201 საქართველოში ლგბტ ქალთა მდგომარეობის ამსახველი ჩრდილოვანი ანგარიში CEDAW კომიტეტისათვის. „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“. WISG. თბილისი, 2012. გვ.36, ბმული: http://women.ge/wp-content/uploads/2012/05/WISG-LBT-CEDAW-shadow-report_geo.pdf.

202 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საპასუხო წერილი, N.01/27507, თარიღი: 15.05.2012

34.3. არსებობს თუ არა ისეთი ზომები, რომელიც უზრუნველყოფს, რომ არავინ გაიაროს რაიმე სახის მკურნალობა, პროცედურა, სამედიცინო ან ფსიქოლოგიური გამოკვლევა ან არ მოხდეს ძალდატანებით ვინმეს სამედიცინო დანებებულებაში მოთავსება (ა) სექსუალური ორიენტაციის ან (ბ) გენდერული იდენტობის საფუძველზე?

34.3. დისკრიმინაციის შემთხვევაში პაციენტს უფლება აქვს მიმართოს სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტოს, რომელიც იმსჯელებს მოცემულ საქმეზე და თუ დაადგენს ექიმის მიერ კანონის დარღვევის ფაქტს, უფლებამოსილია დაუწესოს მას სანქციები, რაც შეიძლება სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიის ჩამორთმევითაც დასრულდეს. პაციენტის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობა დაცულია კანონით.²⁰³ ბავშვთა დაცვის საკითხი ჰომოსექსუალობის იძულებითი „მკურნალობისგან“ არ არის სათანადოდ უზრუნველყოფილის კანონმდებლობით.

35. ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა უზრუნველყონ ტრანსგენდერი ადამიანებისათვის სქესის შეცვლის მომსახურების ეფექტური ხელმისაწვდომობა, რომელიც თავისუფალი იქნება არაგონივრული მოთხოვნებისაგან. სერვისების ხელმისაწვდომობა უნდა მოიცავდეს ტრანსგენდერთა ჯანდაცვის სფეროში არსებულ ფსიქოლოგიურ, ენდოკრინოლოგიურ და ქირურგიულ მომსახურებას. არც ერთ ადამიანს არ უნდა ჩაუტარდეს სქესის შეცვლის პროცედურა მისი თანხმობის გარეშე.

35.1. ხელმისაწვდომია თუ არა ტრანსგენდერი ადამიანებისთვის სქესის შეცვლის მომსახურება, რომელიც მოიცავს ფსიქოლოგიურ, ენდოკრინოლოგიურ და ქირურგიულ ექსპერტიზას?

35.1. ეს საკითხი არ არის დარეგულირებული კანონმდებლობის მიერ. ჯანმრთელობის სამინისტროს პასუხის მიხედვით, კანონით „ტრანსგენდერი ადამიანებისათვის სქესის შეცვლის მომსახურება ხელმისაწვდომია, რომელიც მოიცავს მულტიპროფილური გუნდის ერთიან შეთანხმებულ მოქმედებას, პიროვნების ჯანმრთელობის დაცვის უფლების გათვალისწინებით.“²⁰⁴ თუმცა, სქესის კვლავმინიჭება ფინანსურ ხარჯებთან არის დაკავშირებული, რაც ბევრისთვის ხელმისაწვდომი არ არის (იხ. პასუხი 36.1.).

35.2. თუკი არსებობდა ტრანსგენდერი პირების იძულებითი მკურნალობის პრაქტიკა მათი დაბადების სქესთან შესაბამისობის მისაღწევად, მოხდა თუ არა მსგავსი პრაქტიკის უარყოფა?

35.2. პაციენტთა უფლებების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად: სამედიცინო მომსახურების გაწევის აუცილებელი პირობაა პაციენტის, ხოლო მისი ქმედუუნარობის ან გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უუნარობის შემთხვევაში, ნათესავის ან კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებული თანხმობა.²⁰⁵

თუმცა, არის შემთხვევები, როცა ოჯახის წევრები აიძულებენ ლბტ ადამიანებს ფსიქოლოგთან და სექსოლოგთან მისვლას მათი ორიენტაციის „კორექციისა“ და „განკურნების“ მიზნით.²⁰⁶ (იხ. ქეისი #W37)

35.3. მიღებულია თუ არა ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ არ მოხდეს არცერთი ბავშვის სქესის კორექტირება სამედიცინო ჩარევით, რომელიც შემუშავებულია გენდერული იდენტობის თავზე მოხვევისთვის, მისი სრული, თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობის გარეშე, რომელიც შეესაბამება ასაკსა და მონიჭულობას?

35.3. სამინისტროდან ამ კითხვაზე პასუხი არ მიგვიღია, თუმცა, „16 წლამდე არასრულწლოვანს სამედიცინო მომსახურება უტარდება მხოლოდ მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არასრულწლოვანი ითხოვს კონფიდენციალურობის დაცვას. ამასთან, სამედიცინო მომსახურების გაწევის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას სავალდებულოა პაციენტის მონაწილეობა მისი ასაკისა და გონებრივი განვითარების მდგომარეობის გათვალისწინებით. მიუხედავად ამისა, ისეთი სამედიცინო მანიპულაციები, როგორებიცაა ვაქცინაცია მცირეწლოვნებში, გარკვეული სამედიცინო გამოკვლევების ჩატარება, გადაუდებელი ქირურგიული ოპერაციები, მკურნალობის ჩატარება არ მოითხოვს არასრულწლოვნის

203 იქვე.

204 იქვე.

205 საქართველოს კანონი პაციენტის უფლებების შესახებ. მუხლი.22

206 საქართველოში ლბტ ქალთა მდგომარეობის ამსახველი ჩრდილოვანი ანგარიში CEDAW კომიტეტისათვის. „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“. WISG. თბილისი, 2012. გვ.37, ბმული: http://women.ge/wp-content/uploads/2012/05/WISG-LBT-CEDAW-shadow-report_geo.pdf

მონაწილეობას, რადგან მისი ასაკი და გონებრივი განვითარება არ იძლევა იმის საშუალებას, რომ მისი ნება იქნას გათვალისწინებული“.²⁰⁷

36. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი საკანონმდებლო და სხვა ზომები რათა უზრუნველყონ, რომ ჯანმრთელობის დაზღვევის მიერ სქესის შეცვლის პროცედურებისთვის გამოყოფილი თანხის შემამცირებელი ნებისმიერი გადანყვეტილება იყოს კანონიერი, ობიექტური და პროპორციული.

36.1. იქ, სადაც კანონმდებლობის მიხედვით ჯანდაცვის ხარჯები იფარება კერძო ან სახელმწიფო სადაზღვევო სოციალური სისტემებით, ფარავს თუ არა დაზღვევა სქესის შეცვლის პროცედურებს?

36.1. სქესის კვლავმინიჭების სერვისებს არ ფარავს სახელმწიფო პროგრამები ან ქვეყანაში ხელმისაწვდომი პირადი სადაზღვევო პაკეტები. ორგანიზაცია იდენტიფიცირებს მიერ ჩატარებული შიდა კვლევის მიხედვით:

სქესის კვლავმინიჭება საკმაოდ რთული პროცესია და სამი ეტაპისგან შედგება: ოპერაციულ ჩარევამდე საჭირო შემოწმება და კონსულტაციები, ოპერაცია და ოპერაციის შემდგომი რეაბილიტაციის პროცესი. ამ პროცედურებისთვის საჭირო ხარჯები შემდეგნაირია:

1. ოპერაციულ ჩარევამდე საჭირო გამოკვლევებთან და კონსულტაციებთან დაკავშირებული ხარჯები. რაც მოიცავს: სექსუოლოგის პირველად კონსულტაციას, ორი სხვადასხვა ფსიქოლოგის დასკვნას, ორი სხვადასხვა ფსიქიატრის დასკვნას, 12 ვიზიტს სექსუოლოგთან, გენეტიკურ კონსულტაციებს და სხვ.

2. უშუალოდ ქირურგიულ ჩარევასთან დაკავშირებული ხარჯები.

3. ოპერაციის შემდგომ საჭირო ანალიზები, ენდოკრინოლოგიური დაკვირვება, ჰორმონალური თერაპია.

მთლიანობაში ეს სერვისები 19900 ლარი ჯდება (9500 ევრო), რაც ბევრისთვის საქართველოში ფინანსურად ხელმისაწვდომი არ არის. ორგანიზაცია იდენტიფიცირებს უკვე გაუგზავნა რეკომენდაცია შესაბამის ინსტიტუტებს სქესის კვლავმინიჭების პროცედურების თანადაფინანსების საჭიროების თაობაზე.²⁰⁸

36.2. თუკი ასეა, ხდება თუ არა მისი უზრუნველყოფა გონივრული, არათვითნებური და არადისკრიმინაციული გზით?

36.2. N/A.

VIII. საცხოვრებელი

37. შესაბამისი ზომები უნდა იქნას მიღებული რათა სათანადო საცხოვრებლის უფლება ეფექტურად და თანასწორად ხელმისაწვდომი იყოს ყველა ადამიანისთვის სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე. აღნიშნული ზომები მიმართული უნდა იყოს დისკრიმინაციული გამოსახლებებისგან თავდაცვისა და მინისა და სხვა საკუთრების შესაძენად და შესანარჩუნებლად თანასწორი უფლებების უზრუნველყოფისკენ.

37.1. კრძალავს თუ არა კანონმდებლობა დისკრიმინაციას (ა) სექსუალური ორიენტაციისა და (ბ) გენდერული იდენტობის საფუძველზე ისეთ გარემოებებში, როგორიცაა:

- საცხოვრებლის ყიდვა ან გაქირავება;
- საცხოვრებლის შესაძენად სესხების უზრუნველყოფა;
- დამქირავებლის პარტნიორი უფლებების აღიარება;
- გამოსახლება;

37.1. საქართველოს კონსტიტუცია საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერად მყოფი ყველა პირისათვის უზრუნველყოფს გადაადგილების თავისუფლებას და ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლებას.²⁰⁹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით „კერძო სამართლებრივი ურთიერთო-

²⁰⁷ <http://www.osgf.ge/files/publications/2010/book.pdf>

²⁰⁸ ორგანიზაცია იდენტიფიცირებს მიერ ჩატარებული კვლევა ჯანმრთელობის პოლიტიკა ტრანსგენდერ ადამიანებთან მიმართებაში. 2012

²⁰⁹ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 22, ნაწილი 1-ლი

ბის სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი. ეს წესი გამოიყენება როგორც სამეწარმეო, ასევე არასამეწარმეო, საქართველოსა თუ სხვა ქვეყნის პირების მიმართ”.²¹⁰ მაშასადამე, ნებისმიერ პირს აქვს უფლება დადოს გარიგება შეძენის ან ქირავნობის შესახებ და გახდეს კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე.

სამოქალაქო კოდექსი ასევე აწესრიგებს პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობებს.²¹¹ ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ სამოქალაქო ურთიერთობებში, მაგალითად სახლის ყიდვისას ან დაქირავებისას, საკრედიტო გარანტიების გაცემისას და ა.შ., კანონმდებლობა გამორიცხავს ნებისმიერ დისკრიმინაციას სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის საფუძველზე. ამის მიუხედავად, ლგბტ დისკრიმინაციის კვლევის შედეგებმა გამოავლინა შემთხვევები, როცა გამქირავებელი უარს ეუბნება დამქირავებელს სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე.²¹² (იხ. ქეისი #W39)

37.2. უზრუნველყოფილია თუ არა თავშესაფრის და სხვა გადაუდებელი საცხოვრებლის ხელმისაწვდომობა (ა) სექსუალურ ორიენტაციისა და (ბ) გენდერულ იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის გარეშე?

37.2. საქართველოში ფუნქციონირებს სხვადასხვა ტიპის სპეციალიზებული თავშესაფრები ხანდაზმულთათვის, მზრუნველობამოკლებული ბავშვებისათვის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისათვის, დედათა და ბავშვთა თავშესაფარი და სხვ. ამ ტიპის დაწესებულება კონკრეტულად ლგბტ პირებისათვის არ არსებობს.

37.3. ხელმისაწვდომია თუ არა ასეთი დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად მიმართული ინფორმაცია სახლის გამქირავებელისთვის და დამქირავებელისთვის?

37.3. ამ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაცია ხელმისაწვდომი არ არის.

37.4. ხელმისაწვდომია თუ არა ადეკვატური და ეფექტური სამართლებრივი ან დაცვის სხვა საშუალებები დისკრიმინაციის მსხვერპლთათვის?

37.4. ასეთი სახის კერძო ურთიერთობები სახელმწიფოს მიერ არ რეგულირდება. საქართველოში არ არსებობს ზოგადი ანტი-დისკრიმინაციული რეგულიაციები, რომლებიც ერთნაირად შეეხებოდა როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო პირებს. არ არსებობს ეფექტური კომპენსაციის მექანიზმები, როდესაც მეპატრონე საცხოვრებლის გაქირავებაზე უარს ამბობს.

37.5. ტარდება თუ არა ცნობიერების ამაღლების რაიმე სახის კამპანია უძრავი ქონების სააგენტოებისთვის, რათა აიმაღლონ ცოდნა ანტი-დისკრიმინაციულ დებულებებში?

37.5. WISG-ისთვის ინფორმაცია მსგავსი კამპანიების ჩატარების შესახებ ხელმისაწვდომი არ არის.

38. შესაბამისი ყურადღება უნდა დაეთმოს ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი ადამიანების უსახლკაროდ დარჩენის რისკებს, მათ შორის ახალგაზრდებსა და ბავშვებს, რომლებიც განსაკუთრებით მოწყვლადი არიან სოციალური მარგინალიზაციის, მათ შორის მათივე ოჯახების მხრიდან გარიყულობის გამო. ამ მხრივ, დისკრიმინაციის გარეშე, თითოეული ინდივიდის საჭიროების ობიექტურ შეფასებაზე დაყრდნობით, შესაბამისი სოციალური მომსახურება უნდა იქნას უზრუნველყოფილი.

38.1. შეიქმნა თუ არა ისეთი სოციალური პროგრამები, მათ შორის მხარდამჭერი პროგრამები, რომლებიც უსახლკარო ლგბტ ჯგუფის წევრების მოწყვლადი ჯგუფისკენ იქნება მიმართული, განსაკუთრებით ბავშვებისა და ახალგაზრდებისკენ, მისი გარემოცვის მხარდამჭერისა და უსაფრთხოების სექტორის ჩათვლით?

38.2. გაიარეს თუ არა შესაბამისმა სააგენტოებმა სწავლების და ცნობიერების ამაღლების პროგრამები, რათა მათ გააცნობიერონ და იგრძნონ უსახლკარო ლგბტ ჯგუფის წევრების, განსაკუთრებით ახალგაზრდა პირების საჭიროებები?

²¹⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. მუხლი 8, პუნქტი 1

²¹¹ იგივე. მუხლი 1

²¹² ლგბტ ადამიანთა მდგომარეობა საქართველოში. «ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი» (WISG). თბილისი, 2012.

38.1-2. ლგბტ პირებს ხშირად ემუქრებათ უსახლკაროდ დარჩენა, თუკი ოჯახის წევრები მათი სექსუალური ორიენტაციის შესახებ შეიტყობენ. თუმცა, არ არსებობს რაიმე სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ამ პრობლემების მოგვარებაზე იქნებოდა ორიენტირებული. საქართველოს შრომის, ჯანდაცვის და სოციალური დაცვის სამინისტროს (რომელიც თავშესაფრებზე პასუხისმგებელი) თავის წერილში ამ კითხვაზე პასუხი არ გაუცია. სხვა წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოში არსებობს თავშესაფრები სხვადასხვა კონკრეტული ჯგუფებისათვის. რაც შეეხება საგანგებო თავშესაფრებს და დროებით საცხოვრებლებს, მთავრობა იღებს დროებით ზომებს კრიტიკული სიტუაციების აღმოსაფხვრელად (მაგალითად, 2012 წლის სასტიკი ზამთრის გამო, თბილისში უფასო სასადილოებში უსახლკაროებისათვის დროებითი თავშესაფრები იქნა მოწყობილი). აგრეთვე ქვეყანაში ფუნქციონირებს არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მოწყობილი რამოდენიმე თავშესაფარი ოჯახური ძალადობის მსხვერპლთათვის (მათი თქმით, ამ მიზეზით მათთვის ჯერ არავის მიუმართავს) და საპატრიარქოსთან არსებული თავშესაფრები. პრაქტიკაში, ლგბტ პირებს, ამ თავშესაფრებიდან არცერთის გამოყენება არ შეუძლიათ.

IX. სპორტი

39. სპორტში ჰომოფობია, ტრანსფობია და სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაცია, რასიზმისა და დისკრიმინაციის სხვა ფორმების მსგავსად, მიუღებელია და აუცილებელია მის წინააღმდეგ ბრძოლა.

40. სპორტული ღონისძიებანი და ობიექტები ყველასათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს მათ შორის სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე; კერძოდ, მიღებული უნდა იქნას ეფექტური ზომები, რათა თავიდან იქნას აცილებული სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაცია სპორტული ღონისძიებების განმავლობაში და სპორტულ ღონისძიებებთან დაკავშირებით. ასევე, ასეთი ფაქტების არსებობის შემთხვევაში აღნიშნულ ფაქტზე რეაგირებისა და სასჯელის განსახორციელებლად.

40.1. რა ზომებია მიღებული, რათა აღიკვეთოს სპორტული ღონისძიებებიდან მონაწილის გარიცხვის რისკი (ა) სექსუალური ორიენტაციისა და (ბ) გენდერული იდენტობის საფუძველზე?

40.2. რა ნამახალისებელი ზომებია მიღებული, მაგალითად:

- სპორტულ ორგანიზაციებსა და კლუბებში სპორტსა და სექსუალურ ორიენტაციასთან ან გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებული ქცევის წესების შემუშავებისა და გავრცელებისთვის,
- სპორტულ კლუბებსა და ლესბოსურ, გეი, ბისექსუალურ და ტრანსგენდერ ასოციაციებს შორის პარტნიორობისთვის,
- ანტი-დისკრიმინაციული კამპანიებისთვის სპორტულ სამყაროში,
- სპორტული კლუბების მხარდაჭერისთვის, რომელიც ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი ადამიანების მიერ არის დაფუძნებული.

40.3. არის თუ არა მიღებული ეფექტური ზომები იმისათვის, რომ მოხდეს პრევენცია, საპასუხო რეაქცია და დასჯა დისკრიმინაციული შეურაცხყოფებისთვის სპორტულ ღონისძიებების დროს და მათთან დაკავშირებით?

კერძოდ?

- არის თუ არა სისხლის სამართლის დანაშაული სპორტულ ღონისძიებების დროს და მათთან დაკავშირებით ჰომოფობიური და ტრანსფობიური შინაარსის მქონე სიტყვების სკანდირება?
- დანერგილია თუ არა სპორტული ღონისძიებების²¹³ დროს მაყურებელთა მხრიდან ძალადობის და შეუსაბამო საქციელის ამკრძალავი ევროპული კონვენციის შესაბამისი დებულებები, ევროპის სპორტული ქარტია²¹⁴

213 <http://conventions.coe.int/Treaty/Commun/QueVoulezVous.asp?NT=120&CL=ENG> – იხ. კერძოდ მუხლები 2 („საშინაო კოორდინაცია“), 3 („ზომები“) და 5 („დამრღვევების განსაზღვრა და მათ მიმართ ზომების მიღება“).

214 [https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?Ref=Rec\(92\)13&Sector=secCM&Language=lanEnglish&Ver=rev&BackColorInternet=9999CC&BackColor](https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?Ref=Rec(92)13&Sector=secCM&Language=lanEnglish&Ver=rev&BackColorInternet=9999CC&BackColor)

- და ერკი-ს №12²¹⁵ ზოგადპოლიტიკური პრინციპები (ა) სექსუალურ ორიენტაციასა და (ბ) გენდერულ იდენტობასთან მიმართებაში?

40.4. არის თუ არა მიღებული სათანადო სპეციალური ზომები იმისათვის, რომ:

- შეწყდეს ტრანსგენდერი პირების სპორტული ღონისძიებებიდან ან კონკურსებიდან გაძევება
- აღმოფხვრას ის ხელისშემშლელი ფაქტორები რასაც ისინი აწყდებიან სპორტში მონაწილეობისას (მაგ. გასახდელი ოთახის ხელმისაწვდომობა)
- აღიარონ მათი სასურველი გენდერი?

40.1-4. ამ საკითხთან დაკავშირებით მთავრობას ინფორმაცია არ მოუწოდებია.

41. ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა წახალისონ სპორტულ გაერთიანებებთან და გულშემატკივართა კლუბებთან დიალოგი და მხარი დაუჭირონ მათ, რათა სპორტულმა გაერთიანებებმა და გულშემატკივართა კლუბებმა მოახერხონ სპორტში ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი ადამიანების დისკრიმინაციის წინააღმდეგ ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებების ჩატარება და აღნიშნული ჯგუფის მიმართ შეუწყნარებელი გამოსვლების დაგმობა.

41.1. გადაიდგა თუ არა ნაბიჯები იმისათვის, რომ წახალისდეს დიალოგი სპორტულ ასოციაციებსა და გულშემატკივართა კლუბებს შორის

- ცნობიერების ასამაღლებელი აქტივობების გასავითარებლად
- სპორტული ღონისძიებების დროს და მათთან დაკავშირებით (ა) ჰომოფობიური და (ბ) ტრანსფობიური ქცევის დასაგმობად?

41.1. საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ აცნობა „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერ ჯგუფს“ რომ ისინი არ ფლობენ ინფორმაციას საქართველოს სპორტის სფეროში ლგბტ დისკრიმინაციის ფაქტების შესახებ. წერილში აღნიშნულია:

„თქვენს წერილში აღნიშნული იმ ქმედებების გამოვლენის შემთხვევაში, რომლებიც შეიცავენ დანაშაულის ან გადაცდომის ნიშნებს, გატარებული იქნება კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები (ადმინისტრაციული ან სისხლისსამართლებრივი). გარდა ამისა, ჩვენი მხრივ ასევე გამოვთქვამთ მზადყოფნას, რომ ეროვნულ სპორტულ ფედერაციებთან და სხვა ორგანიზაციებთან ერთობლივად გატარდება შესაბამისი ზომები, რაც უზრუნველყოფს თვენი წერილის დანართში მითითებული ღონისძიებების განხორციელებას, მომავალში სპორტის სფეროში მსგავსი სახის დისკრიმინაციის ფაქტების აღმოსაფხვრელად“.²¹⁶ (იხ. ქეისი #W33)

X. თავშესაფრის ძიების უფლება

42. საერთაშორისო ვალდებულების არსებობის შემთხვევაში, ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა აღიარონ, რომ სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დევნის კარგად დასაბუთებული საფრთხე შესაძლოა წარმოადგენდეს ეროვნული კანონმდებლობით ლტოლვილის სტატუსისა და თავშესაფრის მინიჭების მართებულ საფუძველს.

42.1. არის თუ არა (ა) სექსუალურ ორიენტაციასა და (ბ) გენდერულ იდენტობაზე დაფუძნებული დევნის შიში აღიარებული, როგორც დასაბუთებული საფუძველი ლტოლვილის სტატუსისა და თავშესაფრის მისანიჭებლად?

orIntranet=FFBB55&BackColorLogged=FFAC75; იხ. კერძოდ: მუხლი 1.1 (ყველა ინდივიდისათვის სპორტულ აქტივობებში უსაფრთხო გარემოში ჩართვის შესაძლებლობის შექმნა); მუხლი 3 (ახლო თანამშრომლობა სპორტულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან); მუხლი 4.1 (დისკრიმინაციის თავიდან აცილება); მუხლები 4.2 და 4.4 (ხელმისაწვდომობა პრივილეგიების არ მქონე პირებისათვის).

215 http://www.coe.int/t/dghl/monitoring/ecri/activities/GPR/EN/Recommendation_N12/e-RPG%2012%20-%20A4.pdf: თუმცა ეს დოკუმენტი სპორტის სფეროში კონკრეტულად რასიზმს და რასობრივ დისკრიმინაციას ეხება, მასში ჩამოთვლილი ზომები აგრეთვე ძალიან კარგად მიესადაგება სპორტში სქესობრივი ორიენტაციის და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციასთან საბრძოლველად. პრაქტიკული თვალსაზრისით, ზემოთ ჩამოთვლილი სამი დოკუმენტიდან, ეს უკანასკნელი ყველაზე გამოსადეგია.

216 საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს საპასუხო წერილი, N. 04-12/813, თარიღი: 02.05.2012

42.2. გაიარეს თუ არა თავშესაფრის მოთხოვნის განხილვაზე პასუხისმგებელმა თანამშრომლებმა სწავლება იმ სპეციფიურ პრობლემებზე, რომელსაც ხვდებიან ლგბტ ლტოლვილები ან თავშესაფრის მაძიებლები?

42.3. ხდება თუ არა უარის თქმა თავშესაფრის მოთხოვნაზე იმის საფუძველზე, რომ მომთხოვნს შეუძლია თავი აარიდოს დევნას საკუთარ სახელმწიფოში თუ დამალავს თავის (ა) სექსუალურ ორიენტაციას ან (ბ) გენდერული იდენტობას?

43. წევრმა სახელმწიფოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ, რათა არ მოხდეს თავშესაფრის მაძიებლების გაგზავნა ისეთ ქვეყანაში, სადაც მათ სიცოცხლეს ან თავისუფლებას საფრთხე დაემუქრება მათი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის გამო, ან სადაც ისინი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის გამო იქნებიან წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის რისკის ქვეშ.

43.1. რა პროცედურები არსებობს აღნიშნული ვალდებულებების უზრუნველსაყოფად?

43.2. არსებობს თუ არა დოკუმენტურად დადასტურებული შემთხვევები, სადაც აღნიშნულია, რომ თავშესაფრის მაძიებლები დააბრუნეს ასეთ ქვეყანაში?

44. თავშესაფრის მაძიებლები დაცულნი უნდა იყვნენ ყველა სახის დისკრიმინაციული პოლიტიკისა და პრაქტიკისგან; კერძოდ, შესაბამისი ზომები უნდა იქნას მიღებული ფიზიკური ძალადობის რისკის თავიდან ასაცილებლად, მათ შორის თავისუფლებააღკვეთილი თავშესაფრის მაძიებლების მიმართ განხორციელებული სექსუალური ძალადობის, სიტყვიერი აგრესიის და შევიწროების სხვაგვარი ფორმების თავიდან ასაცილებლად. გარდა ამისა, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ თავშესაფრის მაძიებლებისთვის მათივე კონკრეტულ შემთხვევებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

44.1. რა ზომები არის მიღებული ამ მოთხოვნების შესასრულებლად?

44.2. კერძოდ, გაიარეს თუ არა სათანადო სწავლება და მიიღეს თუ არა ინფორმაცია დროებითი მოთავსების იზოლაციის, პოლიციის თანამშრომლებმა, სამედიცინო პერსონალმა და მოხალისეთა ორგანიზაციებმა, რომლებსაც ხელი მიუწვდებათ ასეთ შემთხვევებზე (ა) სექსუალური ორიენტაციისა და (ბ) გენდერული იდენტობის საკითხებზე?

42-44. საქართველოს კანონის მიხედვით ლტოლვილთა შესახებ (1998), „ლტოლვილად ითვლება საქართველოს ტერიტორიაზე შემოსული საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირი, რომლისთვისაც საქართველო არ არის მისი წარმოშობის ქვეყანა და რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი მოქალაქეობის ან მუდმივად საცხოვრებელი ქვეყანა, რადგანაც იდევნებოდა რასის, რელიგიის, ეროვნული კუთვნილების, რომელიმე სოციალური ჯგუფის წევრობის ან პოლიტიკური შეხედულების გამო და არ შეუძლია ან არ სურს ისარგებლოს იმ ქვეყნის მფარველობით ასეთი საშიშროების გამო.“²¹⁷ „სოციალური ჯგუფის წევრობა“ შესაძლოა გავრცელდეს ლგბტ ადამიანებზეც.“ თუმცა, ასეთი პრაქტიკების თაობაზე ინფორმაცია არ მოიპოვება.

რეგისტრაციის შემდეგ განმცხადებელის სტატუსის მაძიებლად აღიარება ხდება. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიგრაციის, რეპატრიაციის და ლტოლვილთა საკითხების დეპარტამენტი ასეთი შემთხვევების ფაქტებს სწავლობს. ფაქტების მოძიება გასაუბრების და კითხვარების შევსების მეშვეობით ხორციელდება. ეს შეიძლება ოთხი თვის განმავლობაში გაგრძელდეს. ამ პერიოდში საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სახელდობრ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის (UNHCR) ოფისთან ერთად, განმცხადებლებს დროებითი განსახლების ცენტრში თავშესაფრით უზრუნველყოფს.

კანონი იძლევა იმის გარანტიას, რომ ლტოლვილი არ დაბრუნდება მისი მოქალაქეობის ან მუდმივი საცხოვრებლის ქვეყანაში საკუთარი სურვილის წინააღმდეგ, თუკი ლტოლვილის სტატუსის მინიჭების საფუძველი (მაგალითად, ჩამოთვლილი მიზეზების გამო სამართლებრივი დევნა) იქ ჯერ კიდევ არსებობს. ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე უარი შეიძლება სასამართლოში გასაჩივრდეს. აკრძალულია ლტოლვილის დეპორტირება იმ

217 საქართველოს კანონი ლტოლვილთა შესახებ. მუხლი 1

ქვეყანაში, სადაც მის სიცოცხლეს საფრთხე რასის, რელიგიის, ეროვნების, სოციალური ჯგუფის წევრობის ან პოლიტიკური შეხედულებების გამო დაემუქრება.

საქართველოს კანონი უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ, რომელიც ძალაში 2006 წელს შევიდა, კრძალავს უცხოელის დეპორტაციას საქართველოდან ისეთ ქვეყანაში, სადაც: ა) მას დევნიან პოლიტიკური მრწამსისათვის ან იმ ქმედობისათვის, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დანაშაულად არ ითვლება; ბ) მას დევნიან ადამიანის უფლებათა და მშვიდობის დაცვისათვის, პროგრესული საზოგადოებრივ-პოლიტიკური, მეცნიერული და სხვა შემოქმედებითი საქმიანობისათვის; გ) მის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება. გადაწყვეტილება გადაწყვეტილების შესახებ შეიძლება გასაჩივრებული იყოს სასამართლოში.

კონსტიტუციის 47-ე მუხლი იძლევა იმის გარანტიას, რომ საქართველოში მაცხოვრებელ უცხოელ და მოქალაქეობის არ მქონე პირებს იგივენაირი უფლებები და მოვალეობები გააჩნიათ, როგორც საქართველოს მოქალაქეებს, გარდა კონსტიტუციით და კანონმდებლობით განსაზღვრული გამონაკლისებისა. იქვე აღნიშნულია, რომ „საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, კანონით დადგენილი წესით, საქართველო თავშესაფარს აძლევს უცხოელ მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს. ასევე, დაუშვებელია სხვა სახელმწიფოს გადაცეცე შემოხიზნული პირი, რომელსაც დევნიან პოლიტიკური მრწამსისათვის, ან იმ ქმედებისათვის, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დანაშაულად არ ითვლება.

თავშესაფრის მინიჭების თაობაზე გადაწყვეტილებას საქართველოს პრეზიდენტი იღებს. თავშესაფრის მინიჭების თაობაზე განცხადების განხილვა, უცხოელებისათვის თავშესაფრის მინიჭება, შეწყვეტა ან გაუქმება, ისევე როგორც მათი უფლება-მოვალეობები „უცხოელებისათვის თავშესაფრის მინიჭების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის ბრძანებულებით განისაზღვრება. ბრძანებულებაში ჩამოთვლილია გარემოებები, რომლებიც შეიძლება თავშესაფრის მინიჭების საფუძველი გახდნენ; მასში ნათქვამია: „საქართველოს პრეზიდენტი ანიჭებს თავშესაფარს უცხოელს, რომელსაც არ გააჩნიათ საქართველოს მოქალაქეობა და რომლებიც იდევნიებიან საკუთარ ქვეყნებში ადამიანის უფლებების ან მშვიდობის დაცვის, პროგრესული საზოგადოებრივი, პოლიტიკური, სამეცნიერო ან სხვა შემოქმედებითი საქმიანობის გამო.“ არც თუ ისე ცხადია, ხვდებიან თუ არა ლგბტ პირები ამ კატეგორიებში და ამ საკითხებთან მიმართებაში არც რაიმე სამართლებრივი პრეცედენტები არსებობს.

თუმცა, მეორე მხრივ, თავშესაფრის მაძიებლის დეპორტაცია აკრძალულია..

ბრძანებულებაში შემდეგ განისაზღვრება თავშესაფრის მაძიებლის დეპორტირების აკრძალვა იმ ქვეყანაში, სადაც იგი იდევნებოდა პოლიტიკური შეხედულებების ან ნებისმიერი სხვა ისეთი ქმედების გამო, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით არ ითვლება დანაშაულად. გადაწყვეტილება თავშესაფრის მინიჭების ან მასზე უარის თქმის შესახებ განცხადების რეგისტრაციიდან ოთხი თვის განმავლობაში უნდა იქნას მიღებული. თავშესაფარზე უარის თქმა შეიძლება სასამართლოში გასაჩივრდეს 15 დღის განმავლობაში.²¹⁸

„ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფისათვის“ უცნობია, როგორ სრულდება ეს დებულებები პრაქტიკაში, ან არსებობს თუ არა რაიმე შემთხვევა, როდესაც დარღვეული იქნა ლგბტ ლტოლვილის ან თავშესაფრის მაძიებლის უფლებები.

XI. ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტი

45. ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ადამიანის უფლებადამცავ სტრუქტურებს ჰქონდეთ სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის განხილვის უფლებამოსილება; კერძოდ მათ უნდა შეეძლოთ საკანონმდებლო და პოლიტიკის რეკომენდაციების შემუშავება, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე მუშაობა, ხოლო ეროვნული კანონმდებლობის მიერ დაშვების შემთხვევაში, საჯარო და კერძო სექტორის ინდივიდუალური საჩივრების განხილვა, სასამართლო საქმისწარმოების ინიცირება და აღნიშნულ საქმისწარმოებაში მონაწილეობის მიღება.

218 კვლევა ჰომოფობიის, ტრანსფობიის და სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის შესახებ. სამართლებრივი ანალიზი: საქართველო. დამოუკიდებელი მკვლევარი ანა ნაცვლიშვილი. COWI. 2010. გვ. 13-14 ბმული: http://www.coe.int/t/commissioner/source/igbt/georgialegal_e.pdf

45.1. არიან თუ არა ეროვნული უფლებადამცავი ინსტიტუტები აღჭურვილნი უფლებამოსილებით მიიღონ შემდეგი ზომები: (ა) სექსუალური ორიენტაციისა და (ბ) გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციასთან დაკავშირებით?

45.1. საქართველოს სახალხო დამცველი „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად უფლებამოსილია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სახელმწიფოებრივი გარანტიების უზრუნველყოფის მიზნით, ზედამხედველობა გაუწიოს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა, საჯარო დაწესებულებათა და თანამდებობის პირთა მხრიდან საქართველოს ტერიტორიის ფარგლებსა და მის იურისდიქციაში მყოფი ყველა პირისთვის სახელმწიფოს მიერ აღიარებულ უფლებათა და თავისუფლებათა დაცვასა და პატივისცემას, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, სქესისა, ენისა, რელიგიისა, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა თუ სხვა გარემოებისა.²¹⁹ შესაბამისად, დისკრიმინაციის საკითხებზე მუშაობა და მის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს სახალხო დამცველის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებასა და პრიორიტეტს წარმოადგენს.²²⁰

აქვე უნდა ითქვას, რომ სახალხო დამცველს გაეროს წამების წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმის ფარგლებში შექმნილი პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქცია აკისრია; ამავე დროს მას აქვს პენიტენციური სისტემაზე მონიტორინგის განხორციელების ექსკლუზიური უფლებამოსილება.

45.2. ახორციელებენ თუ არა ისინი შემდეგ მოქმედებებს:

- რეკომენდაციების წარდგენა კანონმდებლობისა და პოლიტიკის შესახებ
- მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება
- ინდივიდუალური საჩივრების განხილვა
- სასამართლო პროცესში მონაწილეობა
- საჯარო განცხადების გაკეთება ლგბტ ადამიანების უფლებების განხორციელების მხარდასაჭერად, მაგალითად როდესაც მათ არ აძლევენ საშუალებას ჩაატარონ მშვიდობიანი შეკრება (ა) სექსუალური ორიენტაციისა და (ბ) გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებული საკითხებთან მიმართებაში?

45.2. ამ ეტაპზე საქართველოს სახალხო დამცველისა და მისი აპარატის მიერ კონკრეტული რეკომენდაციები ამ მიმართულებით არ გაკეთებულა. საქართველოს სახალხო დამცველი აქტიურად ლობირებდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებულ ცვლილებას, რომლითაც დამამძიმებელ გარემოებად განისაზღვრა დანაშაულის ჩადენა რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, ასაკის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, შეზღუდული შესაძლებლობის, მოქალაქეობის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით. (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53 – ე მუხლის მე-3¹).²²¹

სახალხო დამცველის აპარატის მიერ მონერის წერილში მუშაობის მთავარ სფეროდ ხაზგასმულია: საგანმანათლებლო აქტივობები, ინდივიდუალური საჩივრების მიმოხილვა, მონაწილეობა სასამართლო პროცესში და საჯარო განცხადებების გაკეთება.

სახალხო დამცველის ოფისის პასუხში WISG-ის წერილზე აღნიშნულია, რომ სახალხო დამცველი ძალიან აქტიურად ახორციელებს საგანმანათლებლო აქტივობებს. ამჟამად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, იგი საქართველოს მასშტაბით ატარებს თრეინინგებს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისათვის თემაზე „დისკრიმინაციის აკრძალვა“. აღნიშნული თრეინინგის ფარგლებში ხდება საქართველოს და საერთაშორისო კანონმდებლობის განხილვა და საერ-

219 საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“. მუხლი.3(1)

220 საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საპასუხო წერილი, N.706/04-11, თარიღი: 17.07.2012

221 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 53, პუნქტი 31

თაშორისო სტანდარტების გაცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისათვის. ამასთან ზოგადად დისკრიმინაციის თემაზე რამდენჯერმე ჩატარდა სხვადასხვა სახის დისკუსია სემინარები – სტუდენტებისთვის.

წერილში ასევე აღნიშნულია, რომ საქართველოს სახალხო დამცველის ძირითად ფუნქციას ინდივიდუალურ საჩივრებზე რეაგირება წარმოადგენს. ბოლო წლების განმავლობაში სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე დისკრიმინაციის ფაქტზე ინდივიდუალური განცხადებით ერთეულმა პირებმა მიმართეს. აღნიშნულ განცხადებებზე როგორც უკვე აღვნიშნეთ საქართველოს სახალხო დამცველმა შესაბამისი ღონისძიებები გაატარა, რომლებიც მოგვიანებით საპარლამენტო ანგარიშებში აისახა.

წერილში ასევე აღნიშნულია, რომ დღემდე საქართველოს სახალხო დამცველისთვის სექსუალური ორიენტაციის, ან გენდერული იდენტობის საფუძველზე განხორციელებულ დისკრიმინაციის ფაქტებთან დაკავშირებით მიმდინარე სასამართლო პროცესის შესახებ ინფორმაცია არც ინდივიდუალურ და არც არასამთავრობო ორგანიზაციებს არ მიუწოდებიათ და არც მსგავს სასამართლო პროცესებზე სასამართლო მეგობრის სტატუსით მონაწილეობა მოუთხოვიათ.²²²

2012 წლის განმავლობაში საქართველოს სახალხო დამცველმა რამდენჯერმე გააკეთა საჯარო განცხადება მსგავს ფაქტებთან დაკავშირებით. ერთ-ერთი მათგანი ეხებოდა ლგბტ პირების მიერ ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გამართულ მსვლელობას, რომლის დროსაც ადგილი ჰქონდა აქციის მონაწილეთა შეურაცხყოფას. ხოლო, მეორე განცხადება გააკეთა საქართველოს პარლამენტის წევრის მიერ გაკეთებული საჯარო განცხადებების საფუძველზე.

ამას გარდა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხებზე სამოქალაქო განათლების ამაღლების მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველმა 2012 წლის 17 მაისს გააკეთა საჯარო განცხადება ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით.²²³

XII. დისკრიმინაცია მრავალჯერადი ნიშნით

46. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები, რათა უზრუნველყონ, რომ ეროვნულ კანონმდებლობაში დისკრიმინაციის ამკრძალავი და დისკრიმინაციის ხელის შემშლელი სამართლებრივი დებულებები ასევე კრძალავდნენ მრავალჯერად დისკრიმინაციას, მათ შორის სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე; ეროვნულ უფლებადამცავ დანებებულებებს უნდა გააჩნდეთ ფართო მანდატი, რათა შეძლონ აღნიშნულ საკითხებთან გამკლავება.

46.1. იცავენ თუ არა დისკრიმინაციის, პრევენციის და აკრძალვის ეროვნული კანონმდებლობის სამართლებრივი ნორმები აგრეთვე მრავლობით დისკრიმინაციას (ა) სექსუალური ორიენტაციისა და (ბ) გენდერული იდენტობის ნიშნით?

46.1. საქართველოს არ აქვს ცალკე კანონმდებლობა დისკრიმინაციის აკრძალვასთან დაკავშირებით. დისკრიმინაციის ამკრძალავი ნორმები არის მოცემული სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებში. უახლოეს წარსულში განხორციელებული ცვლილებებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დამამძიმებელ გარემოებად განისაზღვრა დანაშაულის ჩადენა რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, ასაკის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, შეზღუდული შესაძლებლობის, მოქალაქეობის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით.²²⁴ საქართველოს სახალხო დამცველი აქტიურად ლობირებდა ცვლილების ამ სახით მიღებას.²²⁵

²²² საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საპასუხო წერილი, N.706/04-11, თარიღი: 17.07.2012

²²³ იქვე.

²²⁴ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 53, პუნქტი 31

²²⁵ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საპასუხო წერილი, N.706/04-11, თარიღი: 17.07.2012

ამ მუხლის გამოყენების პროცესში სასამართლოს აქვს შესაძლებლობა დაადგინოს დისკრიმინაციის მრავალჯერადი ხასიათი. თუმცა, ნორმის სიახლიდან გამომდინარე ამ ეტაპისთვის პრაქტიკა ამ მიმართულებით არ არის ცნობილი.²²⁶

46.2. ეროვნული უფლებადამცავი ინსტიტუტების უფლებამოსილება აძლევს თუ არა მათ უფლებას გადაჭრან მრავალჯერადი (მულტი) დისკრიმინაციის პრობლემა?

46.2. სახალხო დამცველის აპარატს არ აქვს მრავალჯერად დისკრიმინაციის დარეგისტრირებული შემთხვევები.²²⁷

²²⁶ იქვე.

²²⁷ იქვე.

დანართი №3. სამინისტროების, საპარლამენტო კომიტეტებისა და სხვა უწყებების ჩამონათვალი, რომელთაც დაეგზავნათ რეკომენდაციის ტექსტი შესაბამისი კითხვებით

დასახელება	რეკომენდაციის მუხლი №	ვის გაეგზავნა	გაგზავნის თარიღი	რეგისტრაციის №	პასუხის მიღების თარიღი	წერილის №	კომენტარი/პასუხის ავტორი
საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო	/ 39, 40, 41	ვლადიმერ ვარძელაშვილი , საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს (ყოფილი) მინისტრი	30.04.2012	04/810	02.05.2012	04-12/813	გ. ავალიანი მინისტრის პირველი მოადგილე
საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	/ 29	ბაჩნა ახალაია , საქართველოს თავდაცვის სამინისტროს (ყოფილი) მინისტრი	01.05.2012	1-418			პასუხი არ მიგვიღია
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	/ 31, 32,	დიმიტრი შპაკინი , საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (ყოფილი) მინისტრი	30.04.2012	47096			პასუხი არ მიგვიღია
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	/ 1, 3, 5, 19,	ივანე მერაბიშვილი , საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (ყოფილი) მინისტრი	30.04.2012	551380	18.05.2012	640758	ზვიად თავარძილაძე ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	1, 2, 3, 5 / 2, 3, 6, 9, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 37, 42, 43, 44	ზურაბ ადიუშვილი , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს (ყოფილი) მინისტრი	30.04.2012	01/27577	26.06.2012	26948	თამარ თომაშვილი საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტის უფროსი
საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციის, დამცირებისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო	/ 4	ხათუნა კალმახელიძე , საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს (ყოფილი) მინისტრი	30.04.2012	01/13548	14.05.2012	11866/01	გიორგი ხოჯაევანიშვილი საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი
საქართველოს შრომის, ჯანთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	/ 21, 27, 28, 29, 30, 33, 34, 35, 36, 37, 38	ზურაბ ჭიაბერაშვილი , საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის (ყოფილი) მინისტრი	1.05.2012	35540	15.05.2012	01/27507	ეკატერინე ჯოჯუა ლონისძიებთან დაგეგმვისა და ორგანიზების სამმართველო, სამმართველოს უფროსი
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მთავარი პროკურორა	2, 6	მურთაზ ზოდელავა , მთავარი პროკურორი (ყოფილი)	30.04.2012	01/13-27581			წერილი გადამისმართდა იუსტიციის სამინისტროში
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია	/1, 3	ხატია დევანიძე , საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის რექტორი	01.05.2012	120	22.05.2012	40/5-517	ნინო ესართია , ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი	1, 2, 3, 5 / 5, 7, 8, 14, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 42	ლაშა თორდია, კომიტეტის თავმჯდომარე	4833	22.06.2012	4/2/5462	ლაშა თორდია, კომიტეტის თავმჯდომარე
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან არსებული გენდერული თანასწორობის საკონსულტაციო საბჭო	1, 2/	რუსუდან კერვალიშვილი, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე (ყოფილი)	4833	25.06.2012	2/5/5531	რუსუდან კერვალიშვილი, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე /წერილი გადამისამართდა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტში
საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი	1, 2, 3, 5 / 5, 7, 8, 14, 17, 18, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 29, 42,	პაველ კუბლაშვილი, კომიტეტის თავმჯდომარე (ყოფილი)	4833	04.07.2012	4/10/5814	პაველ კუბლაშვილი, კომიტეტის თავმჯდომარე
საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი	1, 2/ 21, 27, 28, 29, 30, 33, 34, 35, 36, 37, 38,	ოთარ თოიძე, კომიტეტის თავმჯდომარე (ყოფილი)	4886			პასუხი არ მიეცემა
საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი	1, 2, 5 /	დავით დარჩიაშვილი, კომიტეტის თავმჯდომარე (ყოფილი)	4833	17.05.2012	4/7/4222	დავით დარჩიაშვილი, კომიტეტის თავმჯდომარე
საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი	1, 2, 5 /	ლაშა ფეანია, კომიტეტის თავმჯდომარე (ყოფილი)	4833			წერილი გადამისამართდა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტში
საქართველოს სახალხო დამცველი	/ 5, 7, 11, 45	გიორგი ტულუშვი, საქართველოს სახალხო დამცველი (ყოფილი)	348	17.07.2012	706/04-11	ირაკლი მგავანაძე, მართლმსაჯულების დეპარტამენტის უფროსი
საქართველოს ფუნქციონირების ეთიკის ქარტიის საბჭო	/ 6, 13	ზვიად ქორიძე, ეთიკის ქარტიის თავმჯდომარე		27.07.2012	8/12/27.07-2012	თამარ კორძიაა აღმასრულებელი დირექტორი
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია	/ 6, 13	ირაკლი ჩიქოვანი, კომისიის თავმჯდომარე	03/1164-12	16.05.2012	03/1164-12	ირაკლი ჩიქოვანი კომისიის თავმჯდომარე

დანართი №4. ტერმინოლოგია

ბისექსუალი – ადამიანი, რომელსაც ორივე სქესის წარმომადგენელი იზიდავს.

ბიი – ჰომოსექსუალის სინონიმი. ეს ტერმინი ხშირად გამოიყენება მხოლოდ მამაკაცებთან მიმართებაში და აღნიშნავს მამაკაცს, რომელსაც ემოციურად და ფიზიკურად იზიდავს მამაკაცი.

ბენდარი – სოციალურად კონსტრუირებული კონცეფცია, ან გარკვეული ქცევების, ნიშნებისა და როლების სოციალური კლასიფიკაცია „ფემინურ“ და „მასკულინურ“ ჯგუფებად.

ბენდარული არაკონფორმულობა და ბენდარული პარიაცია – პიროვნების პროტესტისა და წინააღმდეგობის გამოვლინება დამკვიდრებულ გენდერულ „ნორმებთან“ და „შესაბამისობებთან“.

ბენდარული (თვით)გამოხატვა – გენდერის გარეგნული მანიფესტაცია, რომელიც ძირითადად „მასკულინურ“ და „ფემინურ“ ჩაცმულობაში, გარეგნობაში, მანერებში, მეტყველებაში, და სხვა სახის ქცევებში ვლინდება. გენდერული გამოხატვა ყოველთვის არ არის სექსუალურ ორიენტაციის ან გენდერულ იდენტობის ინდიკატორი.

ბენდარული იდენტობა – ადამიანის გენდერული თვითაღქმა, როდესაც ის თავს მიაკუთვნებს რომელიმე გენდერს (მასკულინურ ან ფემინურ სოციალურ კონსტრუქტს). პიროვნება შეიძლება ახდენდეს თვითიდენტიფიკაციას მამაკაცად ან ქალად. ზოგ შემთხვევაში კი, მისი თვითაღქმა მამაკაცურობისა და ქალურობის სოციალურ კონსტრუქტებს შორისა ან საერთოდ სცილდება მას. გენდერული იდენტობა შეიძლება იყოს, ან არც იყოს ადამიანის დაბადების სქესთან თანხმობაში. იქედან გამომდინარე რომ გენდერული იდენტობა შინაგანი, ინტერნალური მოცემულობაა, ის არ არის ხილული სხვებისთვის. გენდერული იდენტობა განსხვავდება სექსუალური ორიენტაციისგან.

ინტერსექსუალი – ადამიანი, რომლის ანატომია არ შეესაბამება ისეთ ბიოლოგიურ სტანდარტებს, რომელიც აღიარებს მხოლოდ ორ სქესს – მამაკაცი და ქალი. ინტერსექსუალობა არ თავსდება მხოლოდ ქალის ან მხოლოდ მამაკაცის ბიოლოგიურ მახასიათებლებში, რაც შეიძლება გამოიხატოს როგორც ქრომოსომულ ან ჰორმონალურ, ასევე გენიტალურ დონეზე. ინტერსექსუალობა შეიძლება დაბადებისთანავე შესამჩნევი იყოს ან მოგვიანებით განვითარდეს.

ლესბოსელი – ქალი, რომელსაც ემოციურად და ფიზიკურად იზიდავს ქალი.

ლგბტ – აბრ. ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი.

სქესი – სხეულის კლასიფიკაცია მამაკაცის ან ქალის ჯგუფებში. დაბადებისას ახალშობილს მისი ბიოლოგიური მახასიათებლების მიხედვით ქალის ან მამაკაცის სქესს მიაკუთვნებენ. მახასიათებლებში იგულისხმება: ქრომოსომები, ჰორმონები, შინაგანი რეპროდუქციული ორგანოები და გენიტალიები.

სექსუალური ორიენტაცია – ინდივიდის ფიზიკური, რომანტიკული, ემოციური და/ან სულიერი მიზიდულობა სხვა ადამიანის მიმართ. იგი მოიცავს ლესბოსურ, გეი, ბისექსუალურ და ჰეტეროსექსუალურ ორიენტაციას.

ტრანსგენდერი – ქოლგა ტერმინი, რომელიც აღნიშნავს ადამიანებს, ვისი გენდერული იდენტობა, გამოხატვა და ქცევა განსხვავდება მისი ბიოლოგიური სქესის ტიპური მახასიათებლებისგან. ტრანსგენდერი ადამიანები შეიძლება იყვნენ ჰეტეროსექსუალები, ლესბოსელები, გეი ან ბისექსუალები.

ჰომოსექსუალი – ადამიანი, რომელსაც ემოციურად და ფიზიკურად იზიდავს მისივე სქესის წარმომადგენელი.

ჰომოფობია – ირაციონალური შიში ან სიძულვილი ჰომოსექსუალობის ან იმ ხალხის მიმართ ვინც არის (ან ჰგონიათ რომ არის) ჰომოსექსუალი. ანალოგიურად ბიფობია აღნიშნავს ირაციონალურ შიშს ან სიძულვილს ბისექსუალობის მიმართ, ხოლო ტრანსფობია ირაციონალურ შიშს ან სიძულვილს ტრანსგენდერი ადამიანების მიმართ. ეს ფობიები გამოიხატება შეურაცხოფაში, ცრურწმენებსა და ნეგატიურ დამოკიდებულებებში, რაც ხშირად ძალადობასა და დისკრიმინაციის სხვა ფორმებს იღებს.

„ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“ (WISG) წარმოადგენს ქალთა უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელმაც ჰომოფობიის საკითხებზე მუშაობა 2002 წელს დაიწყო. 2003 წლიდან ორგანიზაცია მუშაობს ჰომოფობიური სიძულვილის ენის კვლევაზე ქართულენოვან მედიაში. 2005 წლიდან (WISG)-ის ქალთა უფლებების პროგრამა ფოკუსირებულია ლბტ ქალების გაძლიერებაზე საქართველოში.

Women's Initiatives Supporting Group (WISG) is a non-governmental organization working on women's rights in Georgia. WISG started to work on the issue of homophobia in 2002. Since 2003 WISG has been working on research and analysis of homophobic hate speech in Georgian media. Since 2005 its women's rights program has been focusing on LBT women's empowerment in Georgia.

A T E W
98 Apt., 19 Phanaskerteli str., Tbilisi 0194 Georgia
(995 32) 238-01-03
info@women.ge
www.women.ge www.lesbi.org.ge www.minority.ge